

114
1937



მნათობი

5

ს ე ხ ე რ ბ ე მ ი
ბ უ ი ლ ი ს ი — 1937

1144

პროლეტარებო, ყველა ქმნებისა, შაბი, შიქით



მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭ. შრომების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკვლიცო
ქრნალი

წელიწადი მეთერთმეტი


5

2042



ს ა ნ ე რ ბ ა მ ი

ტ ვ ი ზ ი ს ი 1937



პ/მზ. რედაქტორი — ღამით დამებრძო

პ/მზ. მღივანი — ლევან ასათიანი



რედაქცია:

ტფილისი, მანაშის, 13
მწერალთა სასახლე
ტ. 3-55-25

ქანტორა:

ტფილისი, კიროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდისქტორი

შთავლ. რწმუნ. № 31116. შეკვ. № 669. ტირაჟი 7900.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ეორესის ქ. № 5.

ლ. კ. ბერიძე

საქართველოს ბოლშევიკების X ყრილობის შედეგები

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) X ყრილობამ, რომელიც ამა წლის 15 — 21 მაისს მიმდინარეობდა, შეაჯამა საქართველოს ბოლშევიკების მიერ უკანასკნელი სამნახევარი წლის მანძილზე გაწეული დიდი მუშაობის შედეგები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებზე და ამხანაგ სტალინის ისტორიულმა მოხსენებამ განსაზღვრეს შინაარსი საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მთელი მოსამზადებელი მუშაობისა ყრილობისათვის.

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში უდიდესი სიცხადით გამოველინა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ყველა ნაკლი და დასახა გზები და ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

საქართველოს ბოლშევიკებმა თავისი X ყრილობა ჩაატარეს ამხანაგ სტალინის მითითებათა რეალიზაციის ნიშნით.

ამ მითითებათა საფუძველზე გადასინჯა ყრილობამ მთელი გაწეული მუშაობა და დასახა ღონისძიებანი საქართველოს პარტიული ორგანიზაციების შემდგომი მუშაობის ყოველ უბანზე.

პარტისა და აპრილის განმავლობაში ჩატარდა შირველადი პარტიული ორგანიზაციების ანგარიშები და არჩევნები, აგრეთვე სარაიონო, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები. ყველა მათ ჩაიარეს აქტიურად და დიდი აღფრთოვანებით. შირველადი პარტორგანიზაციების პარტკომების მდივნების საანგარიშო მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდა 21 ათასზე მეტი კაცი, ანუ ყველა დამსწრეთა 63 პროცენტამდე. სარაიონო და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე კამათში გამოვიდა 2 ათასზე მეტი კაცი, ანუ ყველა დამსწრე დელეგატის დაახლოვებით მესამედი.

სერიოზულად იქნა გაკრიტიკებული შინაპარტიული დემოკრატიზმის დარღვევის ფაქტები, სიფხიზლის მოღუნებისა და ხალხის მტრების მიმართ პოლიტიკური სიბრძნის უაქტებები.

მკაცრად აკრიტიკებდნენ კომუნისტები პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ცალკეულ ხელმძღვანელებს მათგან რომელიმე კავშირისათვის და მკვეთრად ეხმაურებოდნენ ყველა გამოხატულებას, რომელიც თხვევას სიფხიზლის მოდუნებისა და ხალხის შტრეზისადმი ლიბერალური დამოკიდებულებისა პარტიის წევრების მხრივ, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მდგომარეობა ეკავათ მათ.

პარტიულ კრებებსა და პარტიულ კონფერენციებზე სერიოზული ყურადღება მიექცა ანტისაბჭოთა პარტიების — მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, ფედერალისტებისა და სხვათა ნაშთების კონტრრევოლუციური ძირგამომხრელი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გამოვლინებას.

კომუნისტების ხაგრძობლად გაზრდილი აქტივობის შედეგად პარტიული კომიტეტების და სარაიონო და საქალაქო კომიტეტების პლენუმების შემადგენლობაში არჩეულ იქნა ახალ აღამიანთა დიდი რაოდენობა. პირველადი ორგანიზაციების პარტიული კომიტეტების 2.807 წევრის საერთო რაოდენობიდან პარტკომების წევრებად პირველად იქნა არჩეული 784 ამხანაგი; სარაიონო, საქალაქო და საოლქო კომიტეტების პლენუმთა 2.522 წევრიდან პირველად იქნა არჩეული 643 ამხანაგი.

პარტიული მასა უაღრესად გულმოდგინედ და ყოველმხრივ იხილავდა პარტიული ორგანოების არჩევისას წამოყენებულ ამხანაგთა კანდიდატურებს. თუ კრებაზე ირკვეოდა წამოყენებულ აცილებათა სისწორე, დასახული კანდიდატურა შეადგებოდა. ასე, მაგალითად, სარაიონო და საქალაქო კომიტეტების წევრთა და კანდიდატთა 4.464 კანდიდატურიდან ლა კენჭისყრით აცილება მისცეს 514 კაცს.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა ბოლშევიკური თვითკრიტიკა და კრიტიკა იზრდებოდა თვითველ კონფერენციასთან ერთად და განსაკუთრებული ძალითა და გეჟანებით გაიშალა ყრილობაზე.

საქართველოს ბოლშევიკების ყრილობას დაესწრო 547 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 87 — სათათბირო ხმით. ამთგან ყრილობის დელეგატებად პირველად იყო არჩეული 340 კაცი.

ყრილობამ მოისმინა საანგარიშო მოხსენება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობაზე 1934 წლის იანვრიდან 1937 წლის მისამდე განვილი პერიოდში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში მოყვანილმა ფაქტებმა და ციფრებმა ცხადჰყვეს, რომ საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც განუხრეოდ ზხორციელებდნენ საანგარიშო პერიოდში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს და ამხანაგ ხტალინის მითითებებს, მნიშვნელოვან წარმატებებს მიღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.



საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რეკონსტრუქციულ მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს სახალხო მეტრეწვის საწარმო პროდუქციაში 59.8 პროცენტადან 1933 წ. ავიდა 75.2 პროცენტამდე 1936 წელს და ამავე დროს ხაზგანდობლად გაიზარდა აბსოლუტურად სოფლის მეურნეობის პროდუქცია, განსაკუთრებით ძვირფასი კულტურებისა (ჩაის, ციტრუსების, ტუნგოსი, ყურძნის, თამბაქოსი და ა. შ.).

მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით მეორე ხუთწლიანი გეგმა საქართველოში ვადამდე სრულდება. ასე მაგალითად, სამრეწველო სახალხო კომისარიატებს მეორე ხუთწლედში მიმდინარე წლის დამლევსათვის უნდა მოეცათ 1.783 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია, მეორე კვარტალის დამლევს კი მივიღებთ უკვე 1.813 მილიონი მანეთის პროდუქციას სოფლის მეურნეობის დარგში საქართველოს 1937 წელს უნდა მოეცა 252 მილიონი მანეთის პროდუქცია, მაგრამ უკვე 1936 წელს ფაქტობრივად მოგვცა 260 მილიონი მანეთისა.

1936 წელს საქართველოში გამომუშავებულ იქნა 422 მილიონი კილოვატსათი ელექტროენერგია, ნაცვლად 1933 წლის 157 მილიონისა.

იმ ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე, რომლებიც ამჟამად შენდება (აწკესი, ხრამკესი, ტყვარჩელკესი და სხვ.), შეადგენს 182 ათას კილოვატს, უკვე მომუშავე ყველა სადგურის სიმძლავრე კი უდრის 91 ათას კილოვატს. აშენდა, შენდება და წელს დამთავრდება სასოფლო ელექტროსადგურები საქართველოს 21 რაიონში.

საქართველოს უმნიშვნელოვანესმა სამრეწველო საწარმოებმა საანგარიშო პერიოდში თვალსაჩინოდ გააძიდეს თავისი პროდუქცია.

ქიათურის მარგანეცის მალარობები ძირფესვიანად რეკონსტრუირებულია. მარგანეცის მექანიზებული ამოღების პროცენტი 1936 წელს შეადგენდა 83-ს ნაცვლად 9-ისა 1933 წელს. 1936 წელს ამოღებული იყო 1.502 ათასი ტონა მარგანეცის სასაქონლო პროდუქცია, ნაცვლად 470 ათასი ტონისა 1933 წელს.

ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხანამ — ერთერთმა საბჭოთა კავშირში არსებული სამი ამგვარი ტიპის ქარხნიდან — ფერომარგანეცის წარმოებასთან ერთად აითვისა სხვა ფერომენადნობთა წარმოებაც და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ერთიორად და უფრო მეტად გააძიდა თავისი საერთო პროდუქცია.

თითქმის გაორკეცდა ტყიბულის ქვანახშირის, ბარიტისა და ლიატომიტის ამოღება, გასამკეცდა გუშბრინის ამოღება.

ფულადი გამოხატულებით საქართველოს მთელი მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1936 წელს საორიენტირო გამოანგარიშებით შეადწინა 790 მილიონ მანეთს, ნაცვლად 489 მილიონი მანეთისა 1933 წელს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებითი ზრდის საქმეში გადამწყვეტ პირობად შეიქნა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გამოყენება. 1937 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში კოლმეურნეობის ფართობი იყო უკვე 75,8 პროც. ნაცვლად 36,8 პროცენტისა 1934 წლის 1 იანვრისათვის.

საქართველოს კოლმეურნეობანი წარმოადგენენ მარცვლელის, ჩაის, თამბაქოს, ტუნგოს, რამის, ჭარხლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძირითად მწარმოებლებს. კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობის ხელში თავმოყრილია მთელი სათესი ფართობის 75,4 პროცენტი. კოლმეურნეობანი გაიზარდნენ და მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ ორგანიზაციულად, მეურნეობრივად და პოლიტიკურად.

1936 წელს კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი გაიზარდა 234 მილიონ მანეთამდე, ნაცვლად 79 მილიონი მანეთისა 1933 წელს. შრომადღის საშუალო ღირებულება საქართველოს კოლმეურნეობებში 82 კაპიკიდან 1934 წელს გაიზარდა 1 მან. 80 კაპიკამდე 1936 წელს.

საქართველოში 1936 წელს რამდენიმე ათასმა კოლმეურნემ გამოიმუშავებულ შრომადღებში ფულად მიიღო 5, 10, 20 და 40 ათასი მანეთი კი, იღებდა რა შრომადღეში 20 მანეთამდე, ნატურის ჩატყვევად.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში საშუალოდ რაიონში შრომადღეზე ეძლეოდათ 5 მანეთზე მეტი.

ასე, მაგალითად, ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში შრომადღის ღირებულება საშუალოდ გაიზარდა 4 მან. 90 კაპიკიდან 1934 წელს 7 მან. 70 კაპიკამდე 1936 წელს, ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებში — 2 მან. 30 კაპიკიდან 7 მანეთამდე; მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში — 1 მან. 04 კაპიკიდან 5 მან. 60 კაპიკამდე საშუალოდ შრომადღეზე რაიონში.

ამ წარმატებებს საქართველოს კოლმეურნეობებმა მიიღწიეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების სწორი გამოყენების საფუძველზე. საკოლმეურნეო ცხოვრების ამ ურყევი კანონის სწორი განხორციელების საკითხს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მუდამ უდიდეს ყურადღებას აქცევდა, ყოველდღე სისტემატურად და ოპერატიულად ასწორებდა დამახინჯებებს საკოლმეურნეო წესდების გატარებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის თავისებურებანი მდგომარეობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვანებაში.

პარტიის ბელადი ამხანაგი სტალინი და ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი უდიდეს დახმარებას გვიწევდნენ და გვიწევენ ძვირფას კულტურათა განვითარების საქმეში, რომელნიც წარმოადგენენ საქართველოს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდისა და გაუმ-



ჯობების წყაროს, და რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

ამჟამად ჩაის პლანტაციებს საქართველოში უკავშირდება 40 ათასი ჰექტარი. 1936 წელს ჩაის მოსავლიანობამ თითო ჰექტარზე მიაღწია 1,620 კილოგრამს. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 20 ათასამდე ტონა ჩაის ფოთოლი.

ამჟამად სტალინის ინიციატივით საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ ციტრუსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად, გულმოდგინედაა შესწავლილი საქართველოს ცალკეული რაიონებისა და სოფლების ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები. სრულდება შედგენილი ხუთწლიანი გეგმა ციტრუსების გაშენებისა და ციტრუსების ფართობი ამჟამად უკვე აღემატება 6 ათას ჰექტარს.

წლითიწლობით მატულობს თამბაქოს მოსავლიანობა და იზრდება მისი ფართობი. თამბაქოს საქართველოში ამჟამად უკავია დაახლოებით 20 ათასი ჰექტარი. ჯერ კიდევ 5-6 წლის წინათ თამბაქოს მოსავალი თითო ჰექტარზე არ აღემატებოდა 2-3 ცენტერს. 1936 წელს თამბაქოს მოსავლიანობა საქართველოში გადიდა 7,9 ცენტერამდე. მნიშვნელოვნად ამაღლდა თამბაქოს ზარისხი და მისი გამოსავალი ზარისხების მიხედვით. ამის შედეგად 1936 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 15,460 ტონა თამბაქო 67 მილიონ მანეთზე მეტი თანხისა, ნაცვლად 12,131 ტონისა 1933 წელს, რაც ღირდა დაახლოებით 28 მილიონი მანეთი.

1936 წელს საქართველოს სს რესპუბლიკა გამარჯვებული გამოვიდა აზოგ-შავი ზღვის მხარესთან გამართული სოციალისტური შეჯიბრებიდან მეთამბაქოობის განვითარებაზე.

საქართველოში 40 ათას ჰექტარზე მეტი უკავია ვენახებს, აქედან საანგარიშო პერიოდში გაშენდა 4,500 ჰექტარზე მეტი. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დაეალემა — აყვანილ იქნეს 1940 წლისათვის ვენახების ფართობი 60 ათას ჰექტარამდე და გაორკაცდეს ამავე ვადისათვის მოსავლიანობა — შესრულებული იქნება.

საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა ტუნგოს კულტურა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მრეწველობისათვის. თუ 1933 წელს ტუნგოს მიერ დაკავებული ფართობი შეადგენდა სულ 347 ჰექტარს, 1937 წლის 1 მაისისათვის კი იგი გაიზარდა 9,926,5 ჰექტარამდე.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული აგრეთვე სხვა კულტურათა განვითარების დარგში (გერანი, რამი, კეთილშობილი დაფნა, ევკალიპტი და სხვ.), რომლებზედაც შესაძლებლობა არა მატვს შეეჩერდე.

ხალხის მტრები. ტროცკისტი და მენშევიკი მახინჯები ცდილობდნენ გავერცელებინათ კოლისწამება იმის შესახებ, თითქოს, საქართველოში,

სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარებასთან დაკავშირებით, მცირდებოდეს მარცვლელ კულტურათა ფართობი. 1937 წელს მარცვლელ კულტურათა ფართობი და მოსავლიანობა შემცირდა მატულობს.

შემდეგ ცხრილი ფვალნათლივ ადასტურებს ამ მდგომარეობას:

წელი	მარცვლელ კულტურათა ფართობი ჰექტარობით	მარცვლელ კულტურების მოსავლი ათას ფუნტობით	მოსავლიანობა თითო ჰექტარზე ცენტნერობით
1914	637.900	35.180	8,9
1933	807.502	45.864	9,8
1936	845.700	69.866	11,9
1937	865.299	65.979	(303 მიო)

საქართველოს მტკიცედ აქვს აღებული კურსი იმისაკენ, რომ 1940 წლისათვის ძირითადად დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი საკუთარი პურით.

მეცხოველეობის დარგში უკანასკნელ დროს შესაძლებელი გახდა მანებლობის შედეგების ლიკვიდაცია, იმ უხეში შეცდომების გამოსწორება, რომელთაც ადგილი ჰქონდა წინათ, და მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორებისა და ცხენების დარგში საქართველომ უკვე გადააჭარბა ომამდელ ღონეს. რაც შეეხება ცხვარსა და თხას; მიმდინარე წლის მოსალოდნელი ნამატი (850 ათასი სული) საშვალეებს მოგვეცემს ბევრად გადაეჭარბოთ ცხვრისა და თხის სულალობის ომამდელ ღონეს.

1937 წლის 1 იანვრისათვის არსებული ცნობების მიხედვით, საქართველოში იყო 1.760.400 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 1.741.500 სული ცხვარი და თხა.

მეცხოველეობის განვითარების შეჯიბრებაში ჩრდილო-კავკასიის მხარესთან საქართველო 1935 წელს პირველ ადგილზე გამოვიდა.

უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა ჩატარდა საქართველოს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, საბინაო-კომუნალური მშენებლობის და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისათვის. საგრძნობლად გაუმჯობესდა აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლის მიწოდება მშრომელებისათვის. ფართო მოხმარების



საქონლის ფასების სისტემატური დაკლება, რასაც მთავრად ვლადიმერტია ატარებენ, ხელფასის გადიდებასთან ერთად, იწვევს მწიბვრების მატერიალური მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო შემოქმედებითი ორგანიზაციებისადმი პარტიული წელმძღვეანელობის საკითხებს და პარტიული მშენებლობის საკითხებს.

საქართველოს მწერალთა, პოეტთა და ხელოვნების მუშაკთა დიდი უმრავლესობა წარსულში ანტისაბჭოურად იყო განწყობილი და აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამჟამად, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, სოციალისტური მშენებლობის წარმატებებისა და სოციალისტური კულტურის ზრდის შედეგად, ლიკვიდირებულია ანტისაბჭოთა დაჯგუფებები და მიმდინარეობანი, რომლებიც არსებობდნენ საქართველოს მწერალთა, მხატვართა და პოეტთა შორის. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა დიდი ნაწილი გადავიდა საბჭოთა თემატიკის შემოქმედებითს დამუშავებაზე. მთელმა რიგმა მწერლებმა და პოეტებმა მოგვეცეს ჩვენი სოციალისტური სინამდვილისადმი, საქართველოს სოციალისტური მშენებლობისადმი მიძღვნილი ნაწარმოებნი.

უკანასკნელ დროს განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა ქართული საბჭოთა პოეზია. ქართული პოეზია გამდიდრდა ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით. პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებნი. ბელადის სახეს, როგორც ყველა ჩვენი გამარჯვების სიმბოლოს, დიდი შემოქმედებითი ალტყინებით უმღერიან ჩვენი პოეტები. საუკეთესო სიმღერები და ლექსები თავმოყრილია ამასწინათ გამოსულ წიგნში „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“. დიდი სტალინის სახე დახატულია მთელ რიგ დრამატულ და პროზაიკულ ნაწარმოებებსა და საქართველოს მხატვართა სურათებში.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ქართველი ინტელიგენციის ნაწილის ცალკეულ პირთა შორის ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული განწყობილებანი და კავშირთიერთობანი კონტრრევოლუციურ, უცხო ელემენტებთან.

პარტიულ დოკუმენტთა შემოწმება და გამოკვლა, რაც ამხანაგ სტალინის ინიციატივით ჩატარდა, გადაიქცა უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებებად ჩვენი პარტიის რიგების შემდგომი განმტკიცებისათვის, პარტიის გაწმენდისათვის მტრული და სხვა ანტიპარტიული ელემენტებისაგან.

საქართველოში წინათ ძლიერნი იყვნენ ანტისაბჭოთა ნაციონალისტური პარტიები. ამ პარტიებიდან გამოსულლებმა მათი განადგურების შემ-



დეგ შესძლეს წარსულში საქართველოს ბოლშევიკთა რევოლუციონერობა, როგორც ცნობილია, წარსულში არსებობდა ეგრეთწოდებული სოციალ-დემოკრატიული ანტიპარტიული ჯგუფიც, რომელიც შემდეგ ტროცკიზმის პოზიციებზე გადავიდა. ამ ჯგუფის ნაშთები თვალთმაქცურად რჩებოდნენ კომპარტიის რიგებში. ასეთი მდგომარეობა მოითხოვდა განსაკუთრებით ყურადღებითს და გულმოდგინე მიდგომას თვითნაყოფი შესამოწმებელი კომუნისტისადმი.

პარტდოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის შედეგად გამოჩნდა ნებული და პარტიის რიგებიდან განდევნილ იქნენ თვალთმაქცები. კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტები და სხვა მტრული, პარტიისათვის უცხო ელემენტები, რომლებმაც მოტყუების გზით მიიღეს პარტიული ბილეთები. აღმოჩენილ იქნა ტროცკისტული ჯაშუშურ-მავნებლური ტერორისტული ცენტრი, რომელშიაც შედიოდნენ ბ. მდივანი, მ. ტოროშელიძე, მ. ოკუჯავა, ს. ჭაეთარაძე, ნ. კიკნაძე და სხვები.

დაუკავშირდნენ რა საქართველოში ანტისაბჭოთა პარტიების განადგურებულ ნაშთებს, ხოლო საზღვარგარეთ — ქართველი ხალხის მოსისხლე მტრის, იმპერიალიზმის დაქირავებულ აგენტს — ნოე ყორდანისა. ქართველი ტროცკისტები მავნებლურ, დივერსიულ და ჯაშუშურ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს სახალხო მუდრეობაში გერმანიის ფაშისტური წრეების სასარგებლოდ.

ჩვენმა პარტიამ მძლავრი სტალინური ხელით გაანადგურა სამშობლოს ყველა ეს მოღალატენი, ფაშიზმის დაქირავებული აგენტები, იუდეშკა ტროცკის დამკავშირები.

დაე იცოდნენ მტრებმა, რომ ყველა, ვინც შეეცდებოდა აღმართოს ხელი ჩვენი ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ, ლენინ-სტალინის პარტიის ნება-სურვილის წინააღმდეგ, — შეუბრალებლად იქნება გასრესილი და მოხპობილი.



საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობის მუშაობა ჩატარდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა ბოლშევიკური თვითკრიტიკისა და კრიტიკის ნიშნით. მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ბევრი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა მშრომელთა მასებს შორის მარქსიზმ-ლენინიზმის პრაიპაგანდის, პოლიტიკური აგიტაციის დაეწევის დარგში, აგრეთვე პარტორგანოების მიერ ბეჭდვითი სიტყვის ხელმძღვანელობა.

ყრილობაზე გამოვლინებულ იქნა შინაპარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული დემოკრატიის დარღვევათა მრავალრიცხოვანი ფაქტები.



ყრილობის მთავარი ყურადღება მიექცა პარტიულ-მეცნიერულ მუშაობის შეუფასებლობის ბოლომდე მხილებასა და აღწერას, კომუნისტების სიფიზილის ამალეებისა და ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის კიდევ უფრო განვითარების ამოცანას.

საქართველოს ბოლშევიკების მთელმა ყრილობამ დიდი აღფრთოვანებითა და ერთსულოვნობით ცხადყო უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული პარტიის ბელადის დიდი სტალინისადმი და ამბანაგი სტალინი, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებელი, პირველი აიჩიო ერთხმად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში.

საანგარიშო მოხსენების განხილვის შედეგად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ზახი და პრაქტიკული მუშაობა ერთხმად იქნა მოწონებული ყრილობის მიერ.

როგორც სარაიონო, საქალაქო და საოლქო კონფერენციებზე, ისე საქართველოს კომპარტიის ყრილობაზედაც არჩევნები ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებთან და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1937 წლის 20 მარტს „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ“ მიღებულ დადგენილებასთან სრული შეფარდებით.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ პირველმა კავშირში და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ზუსტად დაწესებულ ვადაში დაამთავრა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა გამორუდებანი, დაშვებულნი არჩევნების პირველ პერიოდში საქართველოს მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. თავის დროზე გამოავლინა და გამოასწორა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა.

პარტიული ორგანოების არჩევნებმა გვიჩვენეს, რომ საქართველოს პარტიულ მუშაკთა კადრები — პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები და პარტორგები, სარაიონო, საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივნები არიან ჯანსაღი, სწორად შერჩეული და ხარგებლობენ პარტიული მანის ნდობით: ფარული კენჭისყრისას რაიკომის, საქალაქო კომიტეტის ან საოლქო კომიტეტის არცერთი მდივანი არ ყოფილა გაშვებული, ხოლო პირველადი ორგანიზაციების პარტიული კომიტეტების 3.033 არჩეული მდივნიდან და პარტორგიდან 70 პროცენტზე მეტი დატოვებულია მდივნებად და პარტორგებად თავის პირველადს პარტორგანიზაციებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა განახლდა, მასში შევიდნენ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა

ახალი, უკანასკნელ დროს წამოწეული კადრები, მათ რამდენიმე სტალინო-გინგაძისეულიც.

პარტორგანოების ჩატარებულმა ანგარიშებმა და არჩევნებმა დასაბამი მისცეს საქართველოს პარტორგანიზაციების მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომ სერიოზულ გარდაქმნას.

ჩვენ, საქართველოს ბოლშევიკებს, მუდამ უნდა გვახსოვდეს და არასოდეს არ უნდა გვავიწყდებოდეს ამხანაგ სტალინის მითითებანი კაპიტალისტური გარემოების შესახებ. ჩვენ კიდევ უფრო ფხიზლად უნდა ვიყოთ და ვამზილოთ მახინაციები და ხრიკები ტროცისტ. მენშევიკ ჯაშუშ-დივერსანტებისა და სხვა ყოველი ჯურის აგენტებისა, რომელთაც ეცხოვთის დაზვერვანი ჰეზენიან ჩვენში.

ყველა ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციამ შემდეგში იმგვარად უნდა წარმართოს მუშაობა, რომ უმოკლეს ვადაში ხავსებით აღმოფხვრან მავნებლობის ყველა შედეგი საქართველოს სახალხო მეურნეობაში.

შემდეგში კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, ვინაიდან მას, ააშკარავენს რა ჩვენს ნაკლოვანებებს, დეფექტებს და მტკივნეულ ადგილებს, მიყვევართ მუშაობის კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაუმჯობესებისაკენ.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ კადრების შერჩევისა და განაწილების საქმე, გააძლიერონ მუშაობა თავისი კადრების შესასწავლად, უკეთ იცნობდნენ მათ, უკეთ ხელმძღვანელობდნენ მათ, მეტ დახმარებას უწევდნენ მათ.

გადაჭრით უნდა გაძლიერდეს ხელმძღვანელთა კავშირი როგორც პარტიულ მასასთან, ისე უპარტიო მუშებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ინტელიგენციის ფართო მასებთან. ჩვენმა ხელმძღვანელებმა კარგად უნდა იცოდნენ, რით ცხოვრობენ ისინი, რით სუნთქავენ ისინი, ასწავლიდნენ მათ და თავის მხრით სწავლობდნენ მათგან, იყენებდნენ მათს გამოცდილებას.

მთელი სერიოზულობითა და გულმოდგინებით უნდა იქნეს დაკენებული ბოლშევიზმის დაუფლების საქმე, კადრების პოლიტიკური აღზრდის საქმე და ჩვენი პოლიტიკური გულმინდობისა და უდარდულობის ლიკვიდაციის საქმე.

საჭიროა, რათა ჩვენმა პარტორგანიზაციებმა გამოიყენონ მთელი თავისი გამოცდილება პარტორგანოების არჩევნებისა, რომ უკეთ უზრუნველყოთ და ბოლშევიკურად მოემზადონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის. უნდა გვახსოვდეს და არ უნდა გვაიწყდებოდეს, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მომავალ არ-

ჩვენებში კლასობრივი მტერი შეეცდება ხელი შეუშალოს ჩვენს მტრებს. აირჩიონ საბჭოებში ჩვენი ქვეყნის ნამდვილად ლიბერალური, მსოფლიო-ადამიანები. ჩვენი კლასობრივი მტრები შეეცდებიან გამოიყენონ არჩევნების დროს ჩვენ მიერ დაშვებული სულ მცირე შეცდომაჲ კი.

განუხრელად განახორციელებენ რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს და პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებებს, საქართველოს ბოლშევიკები კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავის რიგებს საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ.

საქართველოს ბოლშევიკები შემდეგშიც მთელი უღმობელოებით და შეურიგებლობით გაუსწორდებიან პარტიისა და ხალხის ყველა მტერს, მავნებლებს, დივერსანტებს, ჯაშუშებსა და მათს ხელშეწყობით.

საქართველოს ბოლშევიკები დიდი სტალინის მიერ გამოწრთობილნი, სოციალიზმის მტრებთან შეურიგებელი ბრძოლის სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილნი, გააცამტვერებენ ტროცკისტ და სხვა ყოველი ჯურის თვალთმაქცთა, გამყემლთა, ჯაშუშთა და დივერსანტთა საზიზღარ ნაშთებს.

საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტური პარტია — ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის რკინისებური და ურყევი ბურჯი — საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გასწევს წინ კომუნისმის ახალი გამარჯვებებისაკენ.



საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება*)

ამხანაგებო! ნებას მივცემ ჩემს თავს ცოტა უფრო დაწვრილებით შეეჩერდე ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში შექმნა ყველა საჭირო წინამძღვარი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მძაფრი ზრდისა და აყვავებისათვის.

პარტიამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა ჩვენი კლასიკოსების ფრიად მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ასათვისებლად.

წარსულის ყველა კულტურული ღირებულება, რაც წინათ გხდამალული იყო, ახლა გამოყენებულა საბჭოების ქვეყნის მშრომელთა სამსახურისათვის.

ამ პერიოდში აღინიშნა ე. ნინოშვილის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას საიუბილეო თარიღები.

წელს აღინიშნება უდიდესი ქართველი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავის ღირსშესანიშნავე თარიღი.

საბჭოთა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მოვლენაა ქართული პოეზიის გენიოსის შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემაში შეიქმნა რუსთაველოლოგიის სალიტერატურო-სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. დიდი მუშაობაა ჩატარებული რუსთაველის გენიალური პოემის — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად და საიუბილეო აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად.

ამ ხნის განმავლობაში შესრულებულია პოემის მთელი რიგი ახალი თარგმანები სხვა ენებზე — რუსულზე, უკრაინულზე, მზადდება თარგმანები სომხურ, აზერბეიჯანულ და სხვა ენებზე.

რუსთაველის იუბილესათვის საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა ემზადება, რაც ცხადპყრფს ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ინტერნაციონალურ მეგობრობას.

*) ამხ. ლ. პ. ბერიას მოხსენებიდან საქ. კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე 1937 წლის 15 მაისს.



ქართული

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქართულმა საბჭოთა-სოციალისტურ-რამ ერთერთი პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა რიგში. საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, როგორც მოგვხსენებთ, განსაკუთრებული როლი ითამაშა ამხანავ სტალინის ინიციატივით მიღებულმა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წ. 23 აპრილის დადგენილებამ ლიტერატურულ-შეატრულ ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ.

საქართველოს ლიტერატურულ ორგანიზაციებში წინათ ბატონობდა ჯგუფობრიობა, რომელიც ხრწნიდა მწერალთა კადრებს და აფერხებდა ქართული ლიტერატურის განვითარებას. ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს ითამაშობდა ეგრეთწოდებული საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელიც წარმოადგენდა „რაპის“ ფილიალს და რომელსაც მეთაურობდნენ ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი და სხვანი.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობა მწერალთა წრეში აღვივებდა ჯგუფობრივ შუღლს, ყველა ურჩსა და სხვანაირად მოაზროვნეს მიერეკებოდა საბჭოთა ხელისუფლების მტრების ბანაკისაკენ.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან ერთად ქართველ მწერალთა წრეში წინათ არსებობდნენ კარჩაკეტილი, განკერძოებული ჯგუფები: „ცისფერი ყანწები“, „აკადემიური“ ჯგუფი, „ლუფელები“, „არიფიონი“ და სხვანი.

„ცისფერი ყანწების“ ჯგუფში შედიოდნენ: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. ვაფრინდაშვილი, ნ. მიწისვილი, გ. ლეონიძე და სხვანი.

ეს ჯგუფი ვერ კიდევ 1916 წელს შეიქმნა. სახელწოდება „ცისფერი ყანწები“ გადატანილი აზრით უნდა ყოფილიყო შემოქმედებითი შეზარხოშების. შემოქმედებითი თრობის ნიშანი, მაგრამ ცხოვრებაში ეს დევიზი არაიშვიათად ტარდებოდა ლოთობასა და ქეიფში. (სიცილი დარბაზში).

„ცისფერყანწელთა“ შემოქმედება ქართულ ლიტერატურაში წარმოადგენდა დასავლეთ-ევროპისა და რუსული ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურის დაგვიანებულ გამოძახილს.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა შედეგად, „ცისფერყანწელთა“ წინააღმდეგ ჩატარებული მწვავე იდეური ბრძოლის შედეგად, ჯგუფი დაიშალა.

თუ პირველ პერიოდში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის აპრილის დადგენილების შემდეგ „ცისფერი ყანწების“ ყოფილი ჯგუფის მთელი რიგი პოეტების შემოქმედებაში უიდეო ლირიკის მოტივები სჭარბობდნენ და მათ თავი ვერ დააღწიეს საკუთარ ვიწრო ლიტერატურულ



სდეროს, სამაგიეროდ უკანასკნელ წლებში მათი შემოქმედებით ნობის გაშლა ხდებოდა უკვე სოციალისტური მშენებლობის მიზანმიმართულ მუშაობის მიმართულებით.

„აკადემიური“ ჯგუფი წარმოადგენდა უკიდურეს მემარჯვენე ფრთის ქართულ ლიტერატურაში. იგი წარმოიშვა 1922 — 23 წლებში და აერთიანებდა მწერლებს კ. გამსახურდიას, ა. აბაშელს, გ. ქიქოძეს, პ. ინგოროყვას და სხვებს.

ჟურნალ „კავკასიონში“, რომელსაც ეს ჯგუფი 1924 წელს სცემდა, № 1-ში ჯგუფმა შემდეგნაირად გვამცნო თავისი პლატფორმა:

„ერთადერთი საზომი, რომლითაც იხელმძღვანელებს ამ შემთხვევაში „კავკასიონი“, ეს არის იდეები იმ მარადი ხელოვნებისა, რომელიც მაღლა სდგას წარმატებულ ლიტერატურულ მოდაზე...“

ჟურნალი, ბუნებრივია, მიმზიდველ ცენტრად გადაიქცა ინტელიგენციის ანტისაბჭოურ-შოვინისტურად განწყობილი ნაწილისათვის.

მაგრამ ეს, ეგრეთწოდებული, „აკადემიური ჯგუფი“ დაიშალა სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა და ჩვენი სოციალისტური კულტურის ზრდის შედეგად.

ამ ჯგუფის ერთერთი წარმომადგენელი ა. აბაშელი იწყებს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში. მან საბჭოთა თემებზე დასწერა მთელი რიგი ლექსები, რომლებიც ურიგონი როდი არიან.

ამ ჯგუფის მეორე წარმომადგენელი კ. გამსახურდია, რომლის მსოფლმხედველობა განისაზღვრებოდა აშკარად გამოხატული ფაშისტური ელფერის მებრძოლი ნაციონალიზმით, თავის უკანასკნელ ნაწარმოებში „მთიარის მოტაცებაში“ შეეცადა ჩამოშორებოდა ამ თავის ძველ იდეურ პოზიციებს და მოეცა დიდი მხატვრული ტილო ჩვენი სოციალისტური სინამდვილის შესახებ. მაგრამ ჯერჯერობით ეს მან ძალიან სუსტად შესძლო.

თუ კ. გამსახურდიას სურს იყოს საბჭოთა მწერალი, იგი უნდა განთავისუფლდეს თავისი ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ნაციონალისტური იდეებისაგან და განწყობილებებისაგან, უფრო დაუახლოვდეს ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს და თავისი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი მოახმაროს ქართველი მშრომელი ხალხის სამსახურს.

„ლფელთა“ ჯგუფისათვის, რომელიც 1924 წელს ჩამოყალიბდა და რომელშიაც შედიოდნენ ს. ჩიქოვანი, დ. შენგელაია, ბ. ელენტი, ლ. ასათიანი და სხვ., დამახასიათებელი იყო ფორმალური ნოვატორობა, წერილობურტუაზიული ბუნტარობა: ისინი სცემდნენ საპეციალურ ჟურნალს „H₂SO₄“ (გოგორდოვანი მყავის ქიმიური ფორმულა). (სიცილი დარბაზში).

„ლფელეები“ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში თავისუფლდებიან აბდაუბდისაგან, რომელიც მათ წარსულში, გადმოდიან

ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პოზიციებზე და მძიმედ დასაბუთებულ ქართული ლიტერატურის პირველ რიგებში.

დ. შენგელაიამ დასწერა მთელი რიგი მოთხრობები სოციალისტური მშენებლობის თემებზე. მან მოამზადა ახალი რომანი, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის სიკაბუკის წლებისადმი.

პოეტმა ს. ჩიქოვანმა მოგვცა მთელი კრიგ კარგი ლექსები თანამედროვე საბჭოთა თემებზე.

„არიფიონის“ ჯგუფში შედიოდნენ მწერლები მ. ჯავახიშვილი, შ. დადიანი, ს. შანშიაშვილი, ლ. ჭიაჩელი, გ. ქიქოძე, ი. მოსაშვილი და სხვ.

ეს ჯგუფი 1928 წელს წარმოიშვა. ჯგუფის ერთერთი მონაწილის — გ. ქიქოძის განმარტებით „არიფი“ „თანამესუფრეს ნიშნავს, არიფიონი — შეზარხოშებულ ადამიანთა კავშირია“. (სიცილი დარბაზში).

„მაგრამ ჩვენ ვითვრებით — სწერდა ქიქოძე — არა ღვინით, არამედ ურთიერთი შემოქმედებითი შთაგონებით“.

ეს ჯგუფი არსებითად ნაკლებად განსხვავდებოდა შემოსხენებულ „აკადემიური“ ჯგუფისაგან, და, ისე როგორც ეს უკანასკნელი, იღვა ჩვენდამი აშკარად მტრულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პოზიციებზე. გ. ქიქოძის სტატიაში, რომელიც ჟურნალ „არიფიონის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა და რომელიც ჯგუფის დეკლარაციას წარმოადგენდა, დაწერილი იყო:

„... რევოლუციამ ვერ გადალახა ევრაზიის საზღვრები, დედამიწის ერთი შეექვსედი ნაწილით შემოიფარგლა. რა დაუპირდაპირა მან ძველ კულტურას? *ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოოპერაცია... ძველი ღმერთები მოკვდნენ, კრიტიკულმა აზროვნებამ ამოსწვა ძველი ილუზიები, შეუძლებელია უკან დაბრუნება გულუბრყვილო ცრუმორწმუნეობისაკენ, მაგრამ სული დაცალიერდა და ელექტრონის ნაკადით არ შეიძლება მისი ავსება“.

ეს იყო აშკარა კონტრრევოლუციური მოწოდება, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ.

სოციალიზმის წარმატებათა შედეგად, „არიფიონის“ ჯგუფის წინააღმდეგ გაშლილი იდეური ბრძოლის შედეგად მოხდა ჯგუფის თვით-ლიკვიდაცხა და ამჟამად ჯგუფის ყველა ძირითადი მონაწილე ცდილობს აქტიურად იმუშაოს საბჭოთა ლიტერატურის დარგში.

მ. ჯავახიშვილმა ურიგო რომანი არ დასწერა XIX საუკუნის 30-იანი წლების გლეხური რევოლუციური მოძრაობის შესახებ „არსენა მარაბდელი“.

შ. დადიანმა დასწერა რომანი სამეგრელოს გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ცხოვრებიდან — „ურდუმი“.

მანვე დასწერა პიესა, მიძღვნილი საქართველოს ბოლშევიკურ რევოლუციისადმი, 1905 წლის რევოლუციის პერიოდიდან.

ლ. ქიაჩელმა დასწერა ახალი რომანი „გვადი ბიგვა“, რომელშიაც ამოცანად დაისახა დაგვანახვოს, თუ როგორ მიჰყავს საკოლმეურნეო მშენებლობას გლეხობა ახალი შეძლებული ცხოვრებისაკენ.

ი. მოსაშვილმა ბულო ღროს მოგვცა მთელი რიგი კარგი ლექსები, რომლებიც მიძღვნილია სოციალისტური მშენებლობის თემებისადმი.

უქანასკნელ დროს ვანშტკიცდნენ და გაიზარდნენ პროლეტარულ მწერალთა კადრები — ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, ი. აბაშიძე და სხვ. თავიანთ ნაწარმოებებში მათ გვიჩვენებს იდეურ-შემოქმედებითი ზრდა და თავიანთი ოსტატობით ხშირად არ ჩამოუყარდებიან ძველ კვალიფიციურ მწერლებს.

უქანასკნელ წლებში განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა ქართული საბჭოთა პოეზია. ქართული პოეზია გამდიდრდა ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით.

პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებნი. ჩვენი პოეტები უმღერიან ბელადის სახეს, როგორც ყველა ჩვენი გამარჯვების სიმბოლოს.

საუკეთესო სიმღერები და ლექსები შეგროვილია ამასწინათ გამოსულ წიგნში „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. ლეონიძის ახალი პოემა „ბელადის ბავშვობა და ყრობა“, რომელიც დიდი პოეტური აღმაყრენით არის დაწერილი.

ქართული პოეზიის მიღწევას უსათუოდ წარმოადგენს ქართველი მწერლების ლექსად ნათქვამი „საქართველოს მშრომელთა წერილი ხალხთა ბელადს დიდ სტალინს“ საბჭოთა საქართველოს თხუთმეტი წლისათვის.

ყურადღების ღირსია ქართული ლექსების წიგნი ესპანეთის შესახებ, რომელიც გამსჭვალულია საბრძოლო ინტერნაციონალიზმის სულით და რომელიც გამოხატავს ქართველი ხალხის სოლიდარობას სისხლიანი ფაშისმის წინააღმდეგ ესპანეთის მშრომელი მასების განმათავისუფლებელ ბრძოლასთან.

ამ წლების განმავლობაში შემოქმედებითს წარმატებებს მიაღწია ქართულმა საბჭოთა დრამატურგიამაც.

ამ ბოლო დროს დაწერილია მთელი რიგი ახალი პიესები.

დრამატურგმა ს. შანშიაშვილმა დასწერა პიესა „არსესა“. რომელსაც, როგორც ვიცით, დიდი წარმატება ჰქონდა. ამ პიესაში ავტორმა გვიჩვენა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჭვირები, მათი ბრძოლა თავდაპირველობის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ახალგაზრდა დრამატურგმა გ. მდივანმა დასწერა „მეცხენოვანი“ ესპანეთის ამბების შესახებ. ყველა თავისი ნაკლის მიუხედავად, პიესა იძლევა ესპანეთის ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლ-რევოლუციონერთა ამაღლებულ სახეებს.

გ. ბააზოვის პიესა „იკვა რიეინაშვილი“ ეხება 1905 წლის რევოლუციის და გადმოგვცემს საქართველოში ბოლშევიკურ ორგანიზაციითა ბრძოლის ერთერთ ეპიზოდს.

მწერალმა ს. კლდიაშვილმა დასწერა პიესა ახალი კოლხიდის შესახებ, რომელსაც ამ ხეზონში დასდგამს რუსთაველის თეატრი.

კრიტიკა ჯერ კიდევ ვიწრო ადგილს წარმოადგენს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. ჩვენი კრიტიკოსები სუსტად ამჟღავნებენ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ჩვენი მწერლების ნაწარმოებებში და ყოველთვის ობიექტური როდი არიან: იმის ნაცვლად, რომ კარგად შეისწავლონ ყოველი ცალკეული ნაწარმოები და მისცენ სერიოზული და სამართლიანი კრიტიკა ობიექტური ანალიზის საფუძველზე, ისინი ძალიან ხშირად გამომდინარეობენ ცალკეული მწერლებისადმი პირადი სიმპატიებიდან თუ ანტიპატიებიდან, გამომდინარეობენ იქიდან, თუ რომელ ჯგუფს ეკუთვნოდნენ ისინი ოდესღაც და ხელმძღვანელობენ პრინციპით — „ჩვენიანია“ თუ „მოწინააღმდეგეა“.

ასეთი მუშაობის შედეგად ისინი სრულიადაც არასაკმაოდ და არადროულად ამჟღავნებენ კლასობრივად მტრულ, უცხო იდეებს ცალკეულ მწერალთა ნაწარმოებებში.

მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში, ჩვენს გმირულ საბჭოთა სინამდვილეს ჯერ კიდევ არ უპოვნია მასში ღირსეული მხატვრული, სრულფასოვანი ასახვა.

ჩვენი ლიტერატურა უნდა იყოს ხალხური, უნდა გამოხატავდეს კაცობრიობის მოწინავე იდეებს — **ლენინ-სტალინის** პარტიის იდეებს.

მწერალთა კავშირს მთელი რიგი დიდი ნაკლოვანებები აქვს და არასაკმაოდ ხელმძღვანელობს მწერალთა შემოქმედებითს პროცესს, არ არის გაშლილი თვითკრიტიკა მწერლებს შორის.

უნდა მოვაწყოთ ბრძოლა ჩვენი მწერლების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ბრძოლა ბოლშევიზმის დაუფლებისათვის, ბოლშევიზმის დაუფლებისათვის ბრძოლა უნდა იდგეს მწერალთა მთელი ორგანიზაციის მუშაობის ცენტრში.

როგორც ვნახეთ, ქართველი მწერლებისა და პოეტების უდიდესი უმრავლესობა, რომლებიც წარსულში ანტისაბჭოურად იყვნენ ზგანწყობილნი და თავის გარშემო იკრებდნენ უკმაყოფილოებს — ახლა აქტიურად მუშაობენ საბჭოთა თემატიკაზე.



ბევრმა მათგანმა, როგორც უკვე ვამბობდი, მოგვეცა კავშირ-
მოებნი, რომელთა ნაწილი გადათარგმნილია საბჭოთა კავშირის
ენებზე.

მაგრამ ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკთა შორის არიან
ცალკეული პირები, რომლებმაც უნდა გადასინჯონ თავისი კავშირურ-
თიერთობა ქართველი ხალხის მტრებთან — აღნიაშვილთან, ლომინაძეს-
თან, ჯიქიასთან, ელიავესთან და სხვებთან, სერიოზულად დაუფიქრდნენ
ამას და გამოიტანონ თავისთვის ყველა საჭირო დასკვნა, ვინაიდან არა-
ვის ნებას არ მივცემთ ითვალთმაქცოს, ქართველი ხალხი მოატყუოს და,
საბჭოთა მწერლის ან მხატვრის მაღალი სახელწოდების ამოფარებით,
აკეთოს თავისი შავი საქმე ხალხის მტრებთან ერთად.

მაგალითად, პაველ იაშვილმა, რომელიც უკვე 40-ზე მეტი წლისაა,
დროა ქუთაისწავლოს.

სიკეთე არ მოჰყვება მის ნაწარდს ლომინაძისგან ჯიქიასკენ, ჯიქიას-
გან აღნიაშვილისკენ, ლოლობერიძისგან ლომინაძისკენ და, დაბოლოს,
ელიავეს კლანჭებში.

ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავის საქციელს აგ-
რეთვე გამსახურდია, ჯავახიშვილი, მიწიშვილი, შევარდნაძე და კიდევ
ზოგიერთები.

საბჭოთა მწერალი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს საბჭოთა ხელისუ-
ფლების, სოციალისტური სამშობლოს, **ლენინ-სტალინის** პარტიის
ერთგული ადამიანი, მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, თავისი საბჭო-
თა სამშობლო, ღრმად სწამდეს მისი ძალა და ძლიერება. იგი უნდა იყოს
გულწრფელი და გულმართალი თავის ნაწარმოებებში, იგი უნდა განამტ-
კიცებდეს, აფართოებდეს თავის კავშირურთიერთობას მშრომელთა ფარ-
თო ფენებთან.

ჩემ მიერ ჩამოთვლილმა მწერლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი შემდ-
გომი საქციელი, ის გარემოება, თუ რა სწრაფად გარდაიქმნებიან და
დაპყვნიან ისინი თავის წარსულ საქმეებსა და კავშირურთიერთობას,
განსაზღვრავს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებუ-
ლებას მათდამი.

ხმები ადგილებიდან: მართალია!

ბერია: შესამწევ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა თეატრალურმა და კი-
ნო-ხელოვნებამ.

ცნობილია, რომ რუსთაველის სახელობის თეატრი მთელი რიგი თა-
ვისი უდავოდ წარმატებული დადგმებით („ანზორი“, „ინ-ტირანოსი“,
„რღვევა“) გამოვიდა მოწინავე თეატრების რიგში. მაგრამ ამ თეატრის
შემოქმედებაში თავიდანვე დაისახა საწინააღმდეგო ტენდენციები, რა-
მაც გამოიწვია ღრმა იდეურ-მხატვრული ჩაქვრდნები („თეთნულდი“,

„ლამარა“, „შლევი“) და თეატრი აღმოჩნდა მწვევე ინტელექტუელი და მხატვრული კრიზისის წინაშე.

თეატრს სათავეში ედგა ახმეტელი, რომელიც აღმოჩნდა კარგად და მკაცრად, იგი იკრებდა თავის გარშემო ანტისაბჭოურად განწყობილ ელემენტებს. თეატრში გაბატონებული იყო შეუწყნარებელი ატმოსფერო: თვითკრიტიკის, ჩახშობა, შიშველი აღმინისტრირება, კორპორატიული კარჩაქეტილობა, საზოგადოებრიობისაგან მოწყვეტა და სხვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, როგორც ახმეტელი, ისე მისი ჯგუფიც მოიხსნა და თეატრის ხელმძღვანელობა განმტკიცებულ იქნა.

ხელმძღვანელობის გამოცვლის შემდეგ თეატრის დიდი მიღწევა იყო დადგმები: „არსენა“, „ალკაზარი“, „შემოდგომის აზნაურები“.

როგორც თქვენ იცით, თეატრი დაჯილდოვებულია ლენინის ორდენით, ორდენებით დაჯილდოვებულია ამ თეატრის 10 არტისტი და ამხ. ხორავასა და ვასაძეს მიენიჭათ სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდება.

კარგად მუშაობს მარჯანიშვილის სახელობის თეატრიც, რომელმაც თეატრში გატარებულ ღონისძიებათა შემდეგ მოგვცა მთელი რიგი კარგი დადგმები. ცუდად როდი მუშაობენ გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი, სომხური დრამის სახელმწიფო თეატრი, თურქული თეატრი, აგრეთვე ბავშვთა თეატრები.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა გაატარა აგრეთვე ღონისძიებანი რაიონული თეატრების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

1936 წელს დამთავრდა ახალი სათეატრო შენობის აგება ფოთსა და ლანჩხუთში, წელს შენდება ქუთაისისა და გორის თეატრები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა ქართული ხელოვნების დეკადის მოსაწყობად მოსკოვში. ჩვენ ამასთან გამოვდიოდით იმის საჭიროებიდან, რომ დეკადის მომზადების პროცესი გამოგვეყენებინა ყველა მუსიკალური დაწესებულებისა და, პირველ რიგში, საოპერო თეატრის მთელი შემოქმედებითი და ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნისათვის.

ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ მთლიანად, ჩვენმა საოპერო დადგმებმა მოსკოვში მაღალი შეფასება მიიღო.

ქართული ხელოვნების დეკადის წარმატებამ მოსკოვში გამოიწვია უდიდესი ინტერესი ქართული ოპერებისადმი. ოპერები „აბესლომ და ეთერი“ და „დაისი“ ამჟამად შეტანილია მოკავშირე რესპუბლიკათა საოპერო თეატრებისა და სსრ კავშირის დიდ თეატრის რეპერტუარში.

უდიდესი წარმატება ხედა ხალხურ შემოქმედებასაც. ვახუთი „პრა-
და“ 1937 წლის 9 იანვარს სწერდა:

„დაე გვაპატიონ ანტიკური ეპოქის სწავლულმა მკვლევარებმა, —
ქართული ხალხის საუუნდო ხელოვნება უფრო მდიდარია, ან, უფრო
შემთხვევაში, არ ჩამოუვარდება ანტიკურ ხელოვნებას!.. ქართული
ხალხური მუსიკის საუკეთესო ნიმუშებზე უნდა ისწავლოს ყველა
ჩვენმა კომპოზიტორმა და შემსრულებელმა“.

დეკადის მონაწილენი (დაახლოებით 800 კაცი) გარემოსილნი იყვნენ
ყურადღებითა და მზრუნველობით პარტიისა და მთავრობის ხელმძღვა-
ნელთა მხრივ, საბჭოთა კავშირის დედაქალაქის ფართო საზოგადოებრიო-
ბის მხრივ.

დეკადის მონაწილეებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებასა და
მზრუნველობას იჩენდა პარტიის ბელადი ამხანაგი **სტალინი**. (მქუხარე
ტაში).

პარტიამ და მთავრობამ **ოპერისა და ბალეტის თეატრი** დააჯილდოვა
ლენინის ორდენით, თეატრისა და ეთნოგრაფიული გუნდების მუშაკები
კი ორდენებით, ძვირფასი საჩუქრებითა და ფულით.

ამრიგად, ჩვენ ამჟამად გვაქვს **ლენინის ორდენით დაჯილდოვებული**
ორი თეატრი და გვყავს ორდენებით დაჯილდოვებული 48 მუშაკი ხე-
ლოვნებისა.

მაღალი ჯილდო დიდ ვალდებულებებს აკისრებს ხელოვნების ყველა
მუშაკს, რომლებიც არ უნდა გამედიდურდნენ, ისინი მთელი თავისი
ენერგიით უნდა შეუდგნენ ახალ, ჩვენი დიადი ეპოქის ღირსეულ ხელოვ-
ნების ნაწარმოებთა შექმნას.

• • •

საანგარიშო პერიოდში ქართულმა კინემატოგრაფიამ მოგვცა სრულ-
ფასოვანი მხატვრული ფილმები: „უკანასკნელი მასკარადი“ და „არსე-
ნა“ — რეჟისორი ქიაურელისა, „ნარინჯის ველი“ — რეჟისორი შენგე-
ლაიასი, „დარიკო“ და „უკანასკნელი ჯვაროსნები“ — რეჟისორი დოლი-
ძისა, „ნახვამდის“ — რეჟისორი მაკაროვისა, „ჟუჟუნას მზითვეი“ — რე-
ჟისორი ფალავანდიშვილისა, „მფრინავი მღებარი“ — რეჟისორი ესაკია-
სი, „ქაჯეთი“ — რეჟისორ მიქაბერიძისა, „გამარჯვების 15 წელი“ — რე-
ჟისორი მიტროფანოვისა და სხვ.

საკიროა, რომ საქართველოს კინემატოგრაფიამ უფრო მეტად ხელი
მოჰკიდოს ისეთი სურათების წარმოებას, რომლებიც ასახავენ ჩვენს სო-
ციალისტურ სინამდვილეს, მრეწველობისა და საკოლმეურნეო მინდერე-
ბის სტახანოველთა ცხოვრებასა და ბრძოლას.

სახკინმრეწვის მუშაობაში დიდ ნაკლს წარმოადგენს სურათების უალრესად მაღალი თვითღირებულება, როგორც შედეგი არამატრიცული დიისა, არამედ რეკისორების კუდი საწარმოო მუშაობების შედეგად უფროს, არადამაკმაყოფილებელი მუშაობა დრამატურგებთან მჭიდროდ მუშაობის მაღალმატვრული სცენარების შექმნის საქმეში.

1936 წელს აშენდა და ამუშავდა კინოთეატრები: გორში 350 ადგილით და ასპინძაში — 200 ადგილით.

1937 წელს დამთავრდება და ამუშავდება კინოთეატრები: ჭიათურაში 600 ადგილით, მხარაძესა და ლაგოდეხში — 350 ადგილით, ლანჩხუთში — 300 ადგილით, ლენინგორში — 250 ადგილით, ადიგენში — 200 ადგილით.

თბილისში შენდება დიდი კინოთეატრი 1.200 ადგილით.



დროის უქონლობის გამო მე არ მაქვს შესაძლებლობა დაწვრილებით შევეჩერდე სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის საკითხებზე.

უნდა აღვნიშნო მხოლოდ, რომ საქართველოს მხატვრების სურათების შარშან მოწყობილმა გამოფენამ თემაზე „საქართველოსი და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესახებ“, აგრეთვე მთელმა რიგმა ჩატარებულმა კონკურსებმა ასაგებ შენობათა და საქართველოს ქალაქების დაგეგმვის საარქიტექტურო პროექტების შედგენაზე გვიჩვენეს ჩვენი მხატვრებისა და არქიტექტორების შემოქმედებითი ზრდა.

მაგრამ, როგორც მხატვრებმა, ისე არქიტექტორებმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ თავისი საქმის ნამდვილ ოსტატებად გახდნენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ, რათა გაამართლონ თავისი ვალდებულებანი, რომელნიც მათ იკისრეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისა და საყვარელი ხელადის ამხანაგ სტალინის წინაშე.



ამხანაგ ი. სვანიძის
ახალგაზრდობის დროინდელი დამსახურება



ქურონალ „მნათობის“ რედაქცია ამგვენებს
ამხანაგ სვანიძის ახალგაზრდობის დროინდელ
ლექსებს, დაწერილს 1895 — 1896 წლებში, როდესაც
ამხანაგი სვანიძე 15 — 16 წლის იყო.
ჯერჯერობით აღმოჩენილია ემგსი ლექსი.

ვარდს გაეფურჩქა კოკორი,
გადაჰხვევოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიაცსა.
ტოროლა შალალს ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით ჰგალობდა,
ბუღბუღლიც, გრძნობით აღვსილი,
ნაზის ხმით ამას ამბობდა:
„აჰყვედი, ტურფა ქვეყანავ,
„ილზინე, ივერთ შხარეთ,
„და შენც, ქართველო, სწაველითა
„სამშობლო გაახარეთ!“

ი. ჯ—შვილი.

გაზ. „ივერია“ № 123, 14 ივნისი,
1895 წ., გვ. 1.

როდესაც ბბდრად მნათობი მთვარე
ცის კამარაზედ გადაცურდება
და მისი შუქი, გაბრწყინებული,
ლურჯ კორიზონტზედ შეთამაშდება;
ოდეს ბულბულის სტვენა-სიმღერა
ჰაერში ნახად გაიწყრიალებს,
როს სალამურის სულის კვეთება
მთისა მწვერვალზედ შეისრიალებს;
ოდეს მთის წყარო შეჩერებული,
კვლავ გზას გააპობს, გადიხზრიალებს,
და ტყე ნიავეით გაღვიძებული,
შეიშმუშნება, გაიშრიალებს;
ოდეს მტრისაგან გადახვეწილი
კვლავ ეღირსება თვის, ჩაგრულ მხარეს
და როს სნეული, შუქს მოკლებული
კვლავ დაინახავს მზესა და მთვარეს,
მაშინ მეც, ჩაგრულს, სევდისა ნისლი
თავიდან მწყდება, მყისვე მშორდება
და იმედები კეთილდღეობის
უბედურს გულში მილორძინდება!
და ამ იმედით გატაცებულსა
სული მიხარის, მშვიდად სძგერს გული:
ნუ-თუ წრფელია იმედი ესე,
ჩემდა იმა დროს მოვლინებული?!

სოსნლო.

მთვარეს

იარე დაულალავად
თავი ნუ ჩაგვიკილია,
გაპფანტე. ნისლი ღრუბლების,
უფლის განგება დიღია.

ნაზად შესცინე ქვეყანას
შენ ფეხ-ქვეშ გადაქიმულსა;
მყინვარს დამღერე ნანინა,
ზეციდამ გადმოკიდულსა.

კარგად იცოდე, რომ ერთხელ
ძირს დაცემული, ჩაგრული
კვლავ აღემართვის მთას წმიდას,
იმედით აღტაცებული.

მაშ, ტურფავ. წინანდებურად
ღრუბლებში გაიკაშკაშე;
ლურჯ ჭამარაზედ საამოდ
სხივები შეათამაშე.

მეც გადავიხსნი საკინძეს
და მკერდს მოგიშვერ მთვარესა,
ხელ-განპყრობილი თავყვანს-გცემ
ქვეყნად შექ-მომფინარესა!

სოსელი.

თ. რ. პრისტავს

როს მშრომელ გლეხთა ვაებით
საბრალოდ აცრემლებული
ზეცას შეჭვენესდი, მგოსანო,
ერისთვის თავ-დადებული;
როს ერის კეთილდღეობით
საამოდ აღტაცებული,
სომთ აფლერებდი ტკბილ-ხმაზედ,
ვით ზეციით მოვლინებული;
როს დაჰგალობდი სამშობლოს,
ის იყო შენი ტრფიალი,
მისთვის გაჰჭონდა შენს ჩანგსა
გულის-წარმტაცი წკრიალი...
მაშინ, მგოსანო, ქართველი
თურმე ციურს ძეგლს გიგებდა
და წარსულს შრომას, ვაებას
აწმყოთი გიგვირგვინებდა.
შენმა სიტყვებმა მის გულში
უკვე გაიდგა ფესვია,
მოიმკე წმიდა მცხოვანო,
რაც სიყრმით დაგითვისია;
ნამგლად იხმარე ერისგან
გრძნობით ჰაერში ძახილი:
„ვაშა, რაფიელ! გამრავლდეს
მამულში შენებრი შეილი!!!“

სოსელო.

ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი,
კარის-კარ დაწიალებდა;
ხელთ ეპყრა მუხის ფანდური,
ხმა-ტყბილად აწკრიალებდა;
მის საოცნებო პანგებში,
ვითარცა სხივი მზიური,
ისმოდა თვითონ სიმართლე
და სიყვარული ციური.
ბევრს აღძგერა იმა ხმამ
გული, ქვად გადაქცეული;
ბევრს გაუნათლა გონება,
ბნელ-უკუნეთად ქცეული.
მაგრამ დიდების მაგიერ,
სად ჩანგმა გაიწკრიალა,
განდევნილს ბრბომ იქ დაუდგა
შხამით აღსაესე ფილა...
და უთხრეს: „შესვი, წყეულო,
ეგ არის შენი ხვედრიო!
შენი არ გვინდა სიმართლე,
არც ეგ ციური ხმებიო!“...

სოსელი.

მოხუცი ნინია

მოხუცდა ჩვენი ნინია,
გაუცვდა მკლავი გმირისა...
რარიგ გატეხა ტიალმა
ჭალარამ ღონე რკინისა!

ჰაი, დედასა!.. მრავალჯერ
„ათთარა“-ნამგლის ტრიალით
მკერდ-ლია ყანის ბოლოში
წამს გავარდნილა გრიალით,

ხელურების გორები
გვერდით-გვერდს აუყენია
და ხვითქით მორთულ სახეზე
აღმური გადასდენია...

ახლა კი მუხლებს ველარ ძრავს,
სიბუღით მოკვეთილებსა,
წევს, ან ~~იღნებობს~~, ან წარსულს
უამბობს შვილი-შვილებსა...

ხან-და-ხან ახლო ყანებში
ყურს მოჰკრავს ხოლმე მღერასა
და გული, ჯერეთ მაგარი,
უწყებს სიამით ძგერასა:

წამოიწევა ცახცახით,
ყავარჯენს დაებჯინება
და, რა გაჰხედავს ბიჭებსა,
შეებით ლა გაიღიმება...

სოხელო.



ილია ჭავჭავაძის

დაბადების

ასი წლის თავი

1837 — 1937




საქართველოს
ქრონიკალი



0. შავეჩაშვილი

შავთაძის ქ. ჯაფარიძის



დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახოს მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი:

რომ ჩემს საფლავზე დაყუდებულმან
ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა
მე ჩამომძახოს თუნდ ჩემის ხმითა:

იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა;
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

19 ნოემბერი 1858 წ.
პეტერბურგი.

ილია ჭავჭავაძე



პოეტი

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაშა.
შე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა;
ლმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა.
დიდის ლმერთის საკურთხეველის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოამე ვიყო
კმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული.
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...
მაშინ ციდან ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ.
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა.



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՆՈՒՅՆԱԳՐԱԿԱՆ



Ո. ՅՅԵՆՅԵՆ

იქიას კვობიობიქი

დავიბადე 27 ოქტომბერს 1837 წ. სოფელ ყვარელში, ყვარელი თე-
ლავის მაზრის სოფელია, ტფილისის გუბერნიისა, და შთლად ადგილს, სი-
ლნალის მაზრასთან ერთად, კახეთი ეწოდება საერთო სახელად. მამაჩემი
რამდენადმე განათლებული კაცი იყო, აფიცრად მსახურობდა ნიქეგორო-
დის დრაგუნის პოლკში და რუსული კარგად იცოდა. დედაჩემმა მშვენი-
ვრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირად ჰქონდა
დასწავლული თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა
და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელ-
ნაწერი. სალამოობით დაგვსხავდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრო-
ბებსა და ამბებს, წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე
დღის სალამოზედ გვიკითხავდა: აბა ვინ უფრო კარგად მიაბობსო, რაც
გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად უამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ
დიდათ ვაფასებდით.

სწავლა მ წლისამ დავიწყე ჩენი სოფლისავე მთავართან ქართუ-
ლის წერა-კითხვა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სა-
ხელი ჰქონდა განთქმული საღრმთო წიგნების კარგის მკითხველისა. ზო-
ლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომზიბლველი თქმა იცოდა
ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილათ გასაგე-
ბის ენით უფრო საღრმთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა,
ვის რა გმირობა მოექმენდა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი
და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და
დასაცველად.

ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის
„დიმიტრი თავდადებული“ თემად გამოვიყენე მრავალის წლის შემდეგ.
ერთი კიდევ პატარა საშობაეო მოთხრობა დავწერე. ჩემს „გლახის ნა-
ამბობში“ ზოგიერთ ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების
გავლენისა.

მთავართან ვსწავლობდი, ამავე ჩემ სამშობლო სოფლის ვლუბკაცების
შვილებთან. რამდენადაც მახსოვს, ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ. ყველანი

შინიდან დაედო დით მთავართან დილ-დილით და სწავლა გვერდით მხოლოდ შუა დღემდე. წერაკითხვას, როგორც მახსოვს, მართ საათს არ ვანდომებდით ხოლმე; დანარჩენი დრო შუადღის დროს იმაში გადიოდა, რომ ერთმანეთით თვით მთავრის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით და უმთავრესად უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაკებელ ნაამბობს.

მეთერთმეტე წელში რომ გადავდექი, მაშინ ქალაქში წამოყვანა და მიმცა რაევსკისა და პაკეც პანსიონში. ეს პანსიონი ტფილისის მაშინდელ ყველა კერძო სასწავლებელზედ უკეთესი იყო.

15 წლისა ვიყავ, როცა ამ პანსიონიდან ტფილისის გიმნაზიაში შევედი; მეოთხე კლასში მიმიღეს და ბინით კი ისევ პანსიონში ვიყავი. პანსიონს მაშინ განაგებდა მხოლოდ ერთი პაკეც. პაკეც გერმანელი იყო, ყოველმხრივ განათლებული კაცი. გერმანიიდან დაიბარა მაშინდელმა კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდირმა ნეიტგარტმა თავის შვილების აღსაზრდელად. ხოლო ნეიტგარტის შემდეგაც ტფილისში დარჩა და პედაგოგ რაევსკისთან ერთად პანსიონი დააარსა. პაკეც სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდენად მამობრივს მზრუნველობას იჩენდა თავის შვირების მიმართ, იმოდენას ცდილობდა და ყურს უგდებდა მათს ზნობრივსა და გონებრივ განვითარებას, რომ თითქმის მთელს თავისუფალ დროს, კლასში მეცადინეობის შემდეგ, იმათ ანდომებდა, ხან ემუსიაფებოდა. ხან ართობდა მუსიკითა და მართავდა ხელდახელ კონცერტს რომალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა.

გავათავე მერვე კლასი, მხოლოდ საბოლოო ეგზამენი აღარ დავიჭირე და 1857 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში შევედი იურიდიულ ფაკულტეტის მაშინდელ ამერიკალურს განყოფილებაზედ.

1861 წელს უკვე მეოთხე კურსზე ვიყავი. მაგრამ გავანებე თავი უნივერსიტეტს მაშინდელ საუნივერსიტეტო არეულობის მიზეზით.

1863 წელს დავაფუძნე ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელმაც სულ ერთ წელიწადს იცოცხლა. ამავე 1863 წელს შევირთე ცოლად ოლგა თავად თადეოზ გურამიშვილის ასული.

1864 წლის დამდეგს, როცა განიზრახეს გლეხკაცობის განთავისუფლების რეფორმა საქართველოში, გამგზავნეს იმერეთს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილებათა მოხელედ და დამავალეს გამოამერკვია, თუ რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის ბატონყმობისაგან წარმომდგარი.

იმავე წლის ნოემბერში ბატონყმობა უკვე გადავარდა იმერეთში და მე დანიშნული ვიქმენ მომრიგებელ შუაგაცად დღშეთს. მომრიგებელ შუაგაცად დავყავ იქ 1868 წლამდე; ხოლო ამ წელს შემოიღეს სასამართლოს რეფორმა კავკასიაში და მე მომანდეს ასრულება მომრიგებელ მოსამარ-

თლის თანამდებობისა დუშეთსავე. მოპრიგებელ მოსამართლედ ვიყავ 1874 წლამდე.

აქ მეტი არ იქნება ვსთქვა, რომ ამერეთისთავად-აზნაურობამ ნაწილი ვლენთა განთავისუფლებისათვის უმაღლესად ნაბოძების ფულისა გადასდო ისეთის ბანკის დასაარსებლად, რომელიც უფრო შესაფერი იქნებოდა ქვეყნის საჭიროებისათვის წესიერ კრედიტის დასამყარებლად; უფრო კი ისეთი ბანკისა, რომლის მოგება მოჰმარდებოდა განსაკუთრებით თავად-აზნაურობის შეილთა აღზრდა განათლებას.

ბევრი ყოყმანისა და შერყვობის შემდეგ, თუ რაგვარი საკრედიტო დაწესებულება დავიარსოთო, თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა, ჩემის რჩევისამებრ, დაარსება საადგილმამულო ბანკისა და აარჩია კომისია, რომლის ერთერთ წევრად მეც დამნიშნა წესდების შემდგენლად. წესდება, შედგენილი მთავრობის მიერ სახელმძღვანელოდ ნაჩვენებ წესდებათა ნიმუშების მიხედვით, თავად-აზნაურობამ მოიწონა იმავე 1874 წელს. მისი ნიშნობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისაგან განაარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, იმის გარდა, რაც კი სხვადასხვა თანხას უნდა მიემართოს, ჰმარდება ამერეთის არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი თავად-აზნაურთა; არამედ მიწადმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის.

ამავე 1874 წელს თავად-აზნაურობამ დამავალა წავსულიყავ პეტერბურგში და გამომეთხოვნა დამტკიცება მის მიერ მოწონებულის წესდებისა მეც ამ საქმის გულისათვის სახელმწიფო სამსახურს თავი დავანებე და პეტერბურგს წავედი.

წესდება ზემოხსენებული განსაკუთრებულის თვისებით დაამტკიცა მთავრობამ 1875 წელს. ამ წლიდან დაიწყო ბანკმა მოქმედება. და, თუმცა ძირის თანხად ჰქონდა 240.000 მან, დღეს იმ მდგომარეობამდე მიაღწია, რომ ყოველწლივ 360.000 მანეთზედ მეტს მოგებას იძლევა. თან ძირს თანხაც, თავად-აზნაურთაგან შემოტანილი ბანკის დასაფუძნებლად უკვე უკან დაუბრუნდა თითოეულ დამფუძნებელს წევრს.

ამჟამად ბანკის მოგებით ინახება ერთი კერძო გიმნაზია და, თუმცა გიმნაზიაში პანსიონიც არის უღარიბეს თავად-აზნაურთა შეილებისათვის, მაინც ამ სკოლაში ყველა წოდების ბავშვებიცა სწავლობენ. ამას გარდა ამ მოგებით ინახება ერთი სამეურნეო სკოლა, რომელშიაც იღებენ აგრეთვე ბავშვებს წოდების განურჩევლად.

ბანკის დაარსებიდან დღემდე გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. ეს თანამდებობა არჩევით არის და არჩევანი ყოველს სამსწრე საბჭოში ერთხელ სწარმოებს.

1877 წელს დაეარსე ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“, რომელიც შემდეგ ყოველთვიურ ჟურნალად იქმნა გადაკეთებული, ხოლო 1886 წლიდან ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთად. 1902 წელს გაზეთი სხვას გადაეცემა და ამის რედაქტორობით გამოდის დღესაც. ჩემ თხზულებათა შორის რუსულად ითარგმნა სხვადასხვისაგან რამდენიმე წერილი, ლექსი და ერთი პოემა „განდევილი“ სთარგმნა ბ-მა ტორევესკიმ. რუსული თარგმანი ჩემის ლექსებისა ზოგი ჩართულ ოქნა ცალკე კრებულში, რომელიც ტფილისში დაიბეჭდა, ნაწილი კიდევ იბეჭდებოდა „რუსკაია მისლ“-ში, „უივოპისნოე ობოზრენიე“-ში, და „ვესტნიკ ევროპი“-ში და აღარ მახსოვს კიდევ რომელშიაც.

ჩემი პოემა „განდევილი“ გადათარგმნილია ინგლისურად M. wortrop-ის მიერ და პროზად ფრანგულს ენაზედ. გერმანულად ნათარგმნი რამდენიმე ჩემი წერილი ლექსი ჩართულ იქნა იმ კრებულში, რომელიც დაიბეჭდა პირველად 1886 წელს ლეიპციგს. სთარგმნა ის ლექსები არტურ ლეისტმა. კრებულს სათაურად ჰქონდა „Georgische Dichter“ მეორედ ეს კრებული დაიბეჭდა 1900 წელს დრეზდენში. რეცენზიები დაიბეჭდა თავის დროზედ ტფილისის რუსულ გაზეთებში — „კავკაზ“-სა და „ნოვოე ობოზრენიე“-ში, ხოლო სატახტო ქალაქებისაში, რამდენადაც მახსოვს, „Русская мысль“-ში, „Живописное обозрение“-ში და მოსკოვის ერთ გაზეთში, რომლის სახელიც სამწუხაროდ აღარ მახსოვს. საზღვარგარეთ კი რეცენზიები დაიბეჭდა რამდენიმე გერმანულ გაზეთში და სხვათა შორის „Literarische Echo“-ში 1898 წელს და „ასადეტუ“-ში, აგრეთვე იტალიურ ჟურნალ „Nuova antologia“ VI 1900 წელს. განხილვა ჩემის საზოგადოებრივისა და სალიტერატურო მოღვაწეობისა და ბეჭდილი იყო ფრანგულ „Gaucase illustre“-ში 1902 წელს.

1877 წელს ამომირჩიეს საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად და რამდენსამე ხანს მეჭირა ეს თანამდებობა. ვიყავ აგრეთვე არჩეული ქართული დრამატიული საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარედ და ეს თანამდებობა მეჭირა 1881 წლამდე. 1886 წლიდან დღემდე ვიმყოფები „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარედ. ვიყავ აგრეთვე სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის წევრად. ვიღებდი მონაწილეობას ხან მიწვევით, ხან არჩევით თითქმის ყოველ კომისიაში, რომელიც არკვევდა ჩვენის მეურნეობისა და სხვა საკითხებთან საგნებსა.

ჩემი სალიტერატურო მუშაობა დაიწყო 1857 წლიდან. როცა „ცისკარში“ მივეცი დასაბეჭდათ რამდენიმე წერილი ლექსი. ხოლო შემდეგ ჩემი თხზულებანი იბეჭდებოდა — „დროებაში“, „კრებულში“, ჩემ მიერ



დაარსებულ „საქართველოს მოამბეში“ და „ივერიაში“ და აგრეთვე ქართულ „მოამბეში“.

წერილ ლექსების გარდა, დაეწერე რამდენიმე პოემა, სახელდობრ: „ეპიზოდური ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „აჩრდილი“, „დიმიტრი თავდადებული“, „განდევილი“ და დრამატული ეპიზოდი „დედა და შვილი“, მოთხრობათა შორის შემიძლია დავასახელო 1. „კაცია ადამიანი“, დაბეჭდილი 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ და შემდეგ ცალკე წიგნად გამოცემული პეტერბურგში ქარველ სტუდენტებისაგან, 2. „გლაზის ნაამბობი“, აქვე და იმავე წელს დაბეჭდილი, მერე აგრეთვე ცალკე წიგნად დაბეჭდილი, 3. „სკენები გლეხთა განთავისუფლების პირველ დროისა“, დაბეჭდილია 1865 წელს „ქრებულში“ და მერე ცალკე წიგნად; 4. „მგზავრის წერილები“, დაბეჭდილი 1854 წელს, „ქრებულშივე“, 5. „ოთარაანთ ქერივი“ 1888 წელს; 6. „უცნაური ამბავი“ — „მოამბე“-ში, 7. „საშობაო მოთხრობა“, 8. „საბრძოლელაზედ“ „ივერიაში“ და სხვა.

ვთარგმნე ლექსები პუშკინისა („წინასწარმეტყველი“), ლერმონტოვისა („წინასწარმეტყველი“) „ჰაჯი აბრეკი“ და „მწირი“ და ტურგენევის „ლექსი პროზითა“, აგრეთვე რამდენიმე ლექსი ჰეინეს და გოეტესი. ვადავთარგმნე აგრეთვე თ. ივანე მაჩაბელთან ერთად „მეფე ლირი“ შექსპირისა, ვილებდი მონაწილეობას ცნობილ ქართულ პოემის „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის აღმდგენელ კომისიაში, აგრეთვე შემდეგთა თხზულებათა რედაქტორობას და გამოცემაში: „ლექსნი“ ალ. ჭავჭავაძისა და „ლექსნი“ ვ. ორბელიანისა; ამ ლექსებს დართული აქვს ჩემი წინასიტყვაობა, და ძველებური ქართული მოთხრობა „ვისრამიანი“.

ამას გარდა ბევრი წერილია კიდევ ჩემ მიერ დაწერილი საპოლიტიკო, საპუბლიცისტო, საკრიტიკო და საპოლემიკო შინაარსისა, აგრეთვე წერილები საპედაგოგო საგნების შესახებ. უფრო მოზრდილ საპუბლიცისტო წერილებს შორის შეიძლება დავასახელო „ხიზნების საქმე“, „ცხოვრება და კანონი“ და „ყაჩაღობა ამიერ კავკასიაში“. საკრიტიკო და სა-

* ილია ჭავჭავაძის ეს ავტობიოგრაფია თითქმის მიეწიებული დოკუმენტია. იგი დაიბეჭდა 1908 წელს ეჭრნალ „განათლების“ პირველ ნომერში ავტობიოგრაფია დაწერილია ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონისათვის 1902 თუ 1903 წელს. ამ ავტობიოგრაფიის მიხედვითაა შედგენილი ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ის მეტად მოკლე მიმოხილვა, რომელსაც დასაბეღებულ ენციკლოპედიის ოცდამეთერთმეტე ტომში (1903 წ.) 359 გვერდის ნახევარზე ნაკლები უკავია. სამწუხაროდ, სახელგანთქმულ „სამოციანელს“ „დღიურები“ და „მემორები“ არ უწერია, საკუთარი წარსულის მოგონებას ხანდახმულობაში შენულმა მწერალმა დრო ვერ დაუთმო, ამიტომ განსაკუთრებით ძვირფას მასალას წარმოადგენს მის მიერ ლექსიკონისათვის დაწერილი ავტობიოგრაფია.

პოლემიკო წერილებს ეკუთვნის სხვათა შორის აგრეთვე ქვემოთ „ივე-
რიაში“ ფელეტონებად დაბეჭდილი: „ზი ისტორია“ და „სომხური-სტეცი-
ერი და ქვათა ლაღადი“. ეს უკანასკნელი წერილი ამას წინადა დაიბეჭდა
რუსულად და დიდი აღიარებით ასტეხა სომხურ მწერლობაში.

ქართველთა გამომცემელმა ამხანაგობამ დაიწყო ბეჭდვა ჩემი ნაწე-
რებისა და დაბეჭდა მხოლოდ 4 ტომი. ვერაუდით კი ათი-თორმეტი ტო-
მი უნდა დაებეჭდა. დაბეჭდილ 4 ტომში მიაჩვეა ლექსები, მოთხრობანი,
ამბები და სცენები.



იაკობ ბალახაშვილი

ილია ჭავჭავაძე

და სამოციანი წლების კებობაზრვის ქართულ
სტუდენტთა წრე

რუსეთის შეფეების თანდარმთა ლექსიკონში სიტყვა „სტუდენტი“ ხშირად პოლიტიკურად არა საიმედო პიროვნების სინონიმი იყო.

„ორთავიანი არწივის“ მსახურთა შიში და ზიზღი განსაკუთრებით ძლიერდებოდა ხოლმე, როცა სტუდენტის ქუდი ეხურა რომელიმე დაპყრობილი ქვეყნის შვილს. გასული საუკუნის პირველ ნახევარში ამ დაპყრობილი ქვეყნების შვილთა რიცხვს ქართველი ახალგაზრდობაც მიემატა.

1857 წელს საქართველოდან გავიდა ქართველ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი, რათა უნივერსიტეტში ზიარებოდა მოწინავე იდეებს და აღედგინა გიორგი ერისთავის — ივანეს მიერ, „თერგდალეულობისათვის“ გატეხილი სახელი.

ამ ჯგუფში იყო ილია ჭავჭავაძეც.

კავკასიონის მთებზე გადასვლისას მათ შეხვდათ გრიგოლ ორბელიანი, რომელიც შორივი ჩინით დაჯილდოვებული სამშობლოში ბრუნდებოდა.

„ჩვენ რომ რუსეთს მივდიოდით, — სთქვა ერთხელ ილიამ, — და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა, მღეთის დაშვებაზე, შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა ტფილისს. გრიგოლი ფეხით მოდიოდა ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელშეწყობილი, პირმიმარე, დაფიქრებული; დაშორებით მოსდევდა მას ნელი ნაბიჯით ეკიპაჟი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თვისის ელემენტით — კავკასიის მთებით და ღრუბლებით გარსშემორტყმული, ალტაცებით ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ესაა, ამ დამშვიდებულ გულზე ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერს ბუნებასაო“.

„მამათა და შვილთა“ საუკეთესო წარმომადგენლების — შებვედრა თითქოს სიმბოლოური იყო. პირველათ აქ გაიყარა ის გზებუნიერებლებმა ცრამდენიმე წლის შემდეგ ისინი ორ მოწინააღმდეგე ბანაკში ჩიხვეცნა.

ახალგაზრდები ხანგრძლივად სტოვებდნენ თავიანთ ქვეყანას.

როცა ნისლში ჩამჯდარმა კავკასიონმა მიფარება იწყო, ჰაბუკ ილიას, ალბათ, გაახსენდა სტრიქონები თავისი ლექსიდან:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა...
...მშვიდობით, ჩემო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა,
უცხოეთიდან კვლავ მოგაწვდნით ჩემს გულს და თვალსა;
კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდან თქვენ ჩემი სული,
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქასა გული...“

ორი კვირის მგზავრობის შემდეგ ახალგაზრდებმა მიადწიეს პეტერ-ბურგს. ახალგაზრდები ქალაქში შესვლისთანავე ვასილევის კუნძულისაკენ გაემართნენ — ქართველ სტუდენტებთან.

შესასვლელი გამოცდების ჩაბარებისთანავე ილია ჰაბუკავაძე ჩარიცხულ იქნა იურიდიულ ფაკულტეტის კამერალური განყოფილების თავისუფალ მსმენელად.

დაიწყო ლექციები, მაგრამ სტუდენტები ჯერ კიდევ კარგად არ იცნობდნენ თავიანთ პროფესორებს.

ერთხელ, — იგონებდა შემდეგში ილია, — ერთს იაფ კუხმისტერში ესადილობთ ახალი ჩარიცხული ქართველი სტუდენტები, ვასილევის კუნძულზე, იქვე უნივერსიტეტის ახლოს, და რაღაც იურიდიულ ხაგანზედ ჩამოგვივარდა ბაასი, როგორც მოგვხსენებათ ახალგაზრდობის საქმე. ბაასი კარკ და მწვანე კამათად გადაგვექცა. კამათში ჩამოგვევრია ერთი ახალგაზრდა რუსიკა, იმავე საერთო სასადილო მაგიდას უჯდა და სადილობდა. იმასაც მაშინვე პირში ვეციოთ. ცხარედ შევეკამათეთ და არ დაუთმეთ რა. თუმცა მეტად განკვეთით და სადად განმარტა საკამათო საგანი. მეორედღეს — შევხვდეთ და ის კაცი კათედრაზე — კია გამოკიმული უნივერსიტეტში და ლექციასა კითხულობს. აუდიტორია გაქედლია სტუდენტობითა. ვიკითხეთ მისი ვინაობა და პირ-კატა-კი გვეცა, როცა გვითხრეს, სპასოვიჩია, პროფესორი, დიდი მცოდნე იურისპრუდენციისაო.“^{*)}

მაგრამ ეს იყო ლექციების კითხვის დასაწყისში, გავიდა მცირე ხანი და ახლად ჩარიცხული ქართველი სტუდენტობაც, აწყვა რა საერთო ფეხის ხმას, დადიოდა არა იმ პროფესორების ლექციებზე, რომელთა მოსმენაც ფაკულტეტის წესების მიხედვით იყო სავალდებულო. არამედ მთელი სტუდენტობისათვის საყვარელი პროფესორების ლექციებზე. ასე-

*) ი. ჰაბუკავაძე: „თხზულებანი“, 1914 წ., გვ. XXIV, XXV.



ქართული
ლიბრერი



მღერ შავთაძე კახიკაძის კართში სტუმრებთან წარსი

თები იყვნენ: ნ. ი. კოსტომაროვი, მ. მ. სტასიულევიჩი, კ. დ. კასოვიჩი, კ. დ. კაველინი და სხვები.

პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ სტუდენტობას წერე ჰქონდა, რომელსაც „პაწაწა კავკასიელების წრეს“ ეძახდნენ. მცირე ხნის განმავლობაში ამ წრის მეთაური და ხელმძღვანელი გახდა ახლად ჩასული ილია ჭავჭავაძე.

ნიკო ნიკოლაძე იგონებს:

„ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზე ევლებოდნენ მას; ესენი ამტკიცებდნენ, რომ მიზნშეწონილია დაარსდეს რამდენიმე სათვისტომო: ქართველების, სომხების, რუსების, ლეკების და სხვათა და მათ შორის უნდა დამყარდეს მჭიდრო კავშირი“¹⁾.

წრე გატაცებული ყოფილა რომანტიზმით და ერთიანად „ჩაყურყურმა-ლავებული“ ვალტერ-სკოტის თხზულებებში.

„ჩვენ. — სწურს ამ წერილის ერთი წევრი, — ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით. როგორც საზოგადო კითხვებზე, აგრეთვე ჩვენს დაბეჭადულ სამშობლოს მომავალზედ. ვკითხულობდით ხშირად ქართულ წიგნებს.“²⁾

„პაწაწა კავკასიელების წრეს“ სათანადო ლიტერატურას აწვდიდა ქართველი პროფესორი დავით იოსების-ძე ჩუბინიშვილი (1814 — 1891), რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში 1855 წლიდან ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრას განაგებდა.

მალე წრემ ცნობილი ლექსიკოგრაფისაგან ბატონიშვილ სალომეს კუთვნილი წიგნთსაცავი მიიღო.

საინტერესოა ხელწერილი, რომელიც ქართველ სტუდენტებს პროფესორ ჩუბინიშვილისათვის მიუცია ბიბლიოთეკის მიღების გამო. ამ ხელწერილში ვკითხულობთ:

„ქართველნი სტუდენტები გაძლევთ თქვენ, უ. პროფესორს დავით ჩუბინოვს, ამა პიროვნების წერილსა მაზედა, რომელი მივიღეთ თქვენგან, ნაჩუქები განსვენებულის მეფის ასულის სალომესაგან, შემდგომნი ქართული წიგნები: 1) ქილილა და დამანა, 2) სამართალი ვახტანგისა, მეშვიდე ნაწილი, 3) საქართველოს ისტორია, ვახუშტისა, 4) ღრამატიკა ანტონ კათალიკოზისა, 5) ღრამატიკა გავოზისა, 6) საქართველოს ცხოვრება, ვახტანგ ბატონიშვილისა, 7) რიტორიკა მიხიტარისა, 8) ცხენის კარბადინი, 9) კატელორია, ანტონ კათალიკოზისა, 10) ქართლის ცხოვრება, პაპუნა ორბელიანისა და სენია ჩხეიძისა, 11) ყარამა-

¹⁾ ნ. ნიკოლაძე; „ჩვეული თხზულებანი“, ტ. I. 1931 წ., გვ. 95.

²⁾ „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935 წ., წიგნი I, გვ. 564.

4. „მნათობი“ № 5.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული



ნიანი, 12) განმარტება აპოკალიპსისა, 13) ვეფხის ტყაოსანი და-
ბეჭდილი ვახტანგ მეფისაგან, 14) სიბრძნე სიცრუის ზღაპარი, 15) სახა-
რება, შედრულად დაბეჭდილი, 16) გურამიანი, 17) ქრისტეშობის საბ-
ორბელიანისა, 18) ვახტანგ მეფის სრული სამართალი, 19) ასტრონომი-
კური ვახტანგ მეფისაგან ნათარგმნი, 20) სპარსული სახარება, ქართული ასო-
ებით დაწერილი. 21) ეელიზარიანი, 22) ვახტანგ მეფის ლექსები, 23) მოგ-
ზაურობა ტიმოთესი, 24) მარკ-აგრელიანი, 25) რუსულ-ქართული ლექ-
სიკონი, 26) საქრისტიანო სწავლა, გაიოზისა, 27) მოთხრობა დიდი კონს-
ტანტინე მეფისა და სხვა და სხვა სიტყვები, 28) მარხვისათვის, დიდი ეა-
სილისა, 29) მახმადიანთა სიტყვისება, 30) შობის ვალობა, დაბეჭდილი,
31) საღმრთაწაულო, 32) ეაზნი, 33) დავითნი, 34) სამღვთო კურთხევა,
35) პარაკლიტონი, 36) ეარლამის სიტყვები, 37) საღმთო მსახურება,
38) სამოციქულო. და ეს ზემოხსენებული წიგნები სასარგებლოდ ჩვენ-
და ჩვენს ბიბლიოთეკაში დარჩებიან დაუკარგავად, რაზედაც ხელს ვა-
წერთ: დავით ბაქრაძე, ალექსანდრე აფხაზი, პავლე თუმანიშვილი, ნი-
კოლოზ ლოლობერიძე, ლუარსაბ მაღალაშვილი, ესტატე მაღალაშვილი,
გრიგოლ მაღალაშვილი, ნიკოლოზ ალექსი-შვილი-მესხი, კონსტანტინე
მეფისაშვილი, ივანე ისარლიშვილი, დავით ლოლობერიძე, მიხეილ ანდრო-
ნიკაშვილი, ილია ჭავჭავაძე, პეტრე ალხაზიშვილი, ნიკოლოზ ჯაბადარი,
ბასილ სავანელი, ბასილ თუმანიშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, გრი-
გოლ ჯაქეაზიშვილი, სიმონ აბაშიძე, ალიოზ მიხანდარი, აკაკი წერეთელი,
მიხეილ ტერდავიძე, ილიკო სერებრიაკოვი".¹⁾

ხელწერილში მოხსენებულ პირთა გარდა, წრეში შედიოდნენ: გიორ-
გი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კობტა აფხაზი, დიმიტრი ყაზბეგი და სხვანი.

„პაწაწა კაცკასიელების წრის“ წევრნი პეტერბურგის უნივერსიტეტის
სხვა სტუდენტებთან ერთად გულის ფანცქალით მოელოდნენ ხოლმე
„კოლოკოლისა“ და „სოფრემენიკის“ მორიგ ნომერს.

„რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო! — იფრებდა რამდე-
ნიმე ათეული წლის შემდეგ ერთი ქართველი სტუდენტი. — რანაირი მო-
უთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ შედ-
ნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის („სოფრემენიკის“ — ი. ბ.)
ახალი წიგნი გამოვიდა! რა ალტაცებით და აჩქარებით, რა სიხარულით
და დაუღალაობით დავეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რა ნაირათ გვი-
ფთქავდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტენი
და გონება!

რამდენი გრძელი, ბოლო-მოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამე
გატვირთვებია ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების

¹⁾ А. Цагарели — „Сведения о памят. груз. письм.“, 1894 წ., ტ. I, გამო-
შვება მესამე, გვ. 186, 187.

სჯაში, მათზე დავაში, და რამდენი შემდეგი ღამეები მოუტყუებდად უწვალუბივართ იმ გრძობის მღელვარებას, იმ აზრის მღელვარებას, რომელიც ამ ეურნალს ჩვენში მოუზღენია, ვინ დათვლის ამ ხანგრძლივი ბედნიერების, ალტაცების, ტვინის წვალების და გრძობის ამოღების დღეებს, ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადგოთ „გულში ჩაბეჭდილ კვალს!“.)

არა ნაკლები აღელვებით ათვლიერებდნენ დასახლებული წრის წევრნი ივანე კერესელიძის მიერ პეტერბურგში გაგზავნილ ეურნალ „ცისკრის“ მორიგ ნომრებს; მაგრამ „რაზნოჩინური“ ინტელიგენციის გავლენის ქვეშ მყოფ ქართველ ახალგაზრდობისათვის „ცისკრის“ იდეური კრედო სრულიად მიუღებელი იყო.

ამიტომ „პაწაწა კავკასიელების წრის“ წევრებმა გადაწყვიტეს, წერილით ეცნობებინათ ივანე კერესელიძისათვის ეურნალის მიმართულების შეცვლის აუცილებლობის შესახებ.

ივანე კერესელიძე, — სთქვა ერთხელ აკაკი წერეთელმა, — „ცისკარს“ გვიგზავნიდა პეტერბურგში, ჩვენც მადლობა მოვწერეთ და ვთხოვეთ, რომ „Направление“ გამოეცალა. კერესელიძემაც „დაგვიჯერა“ და ზღვით გამოგზავნა ეურნალი“.)

1857 წლის ნოემბრიდან ეურნალს ოდნავი გაუმჯობესება დაეტყო. „ცისკრის მეთორმეტე წიგნიდან დაიწყო მოლაყბემ თავის „სლაყბო ფურცლის“ ბეჭდვა, რომელმაც აღფრთოვანებაში მოიყვანა წრის წევრნი.

გაბრიელ სულხანიშვილისადმი გაგზავნილ წერილში წრის ხელმძღვანელი ილია ქაეკავაძე სწერდა:

ამას წინად მგონია შენი სტატიები იყო ცისკარში და მოლაყბედ აცხადებდი შენ თავს¹⁾. შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო, რაც კი შეეხება ენას, სწორედ ფუნომენი იყო ჩვენს გორიზონტზედ. პაზრობაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო, რა მახვილათ დაეცა მოლაყბე ქართველობას; რა კარგა დაიწყო ქართველის უბედურებაზე დაცინება და რა ღამაზ ქართულ ჯარაზედ დართულ სიტყვებით ტიტინებდა! რა სიხარბით ვკითხულობდით მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გამოსულს. უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდან ხელში ის ბედნიერი ცისკრის ნომრები, სადა მოლაყბეს ფურცლები ბრწყინავდნენ სხვათა შორის²⁾.

1) ეურ. „კრებული“, 1873 წ., წიგნი მეოთხე, გვ. 151, 152.

2) იხ. ვახ. „კონტინსტური განათლება“, 1936 წ. № 3.

3) ილია სტუდენტობა: „მოლაყბის“ დსევდონიმიოთ მოთავსებული პირველი სამი წერილი „ცისკარში“ ეკუთვნოდა მიხეილ თემანიშვილს (ეს საკითხი თავის დროზე ამომწურავად გაარკვია განსვენებულმა სიმონ ხუნდაძემ. იხ. „მნათობი“, 1933 წ., № 8 — 9).

***) ეურ. „ცისკარი“, 1863 წ. № 7, გვ. 370, 371.

თავდაპირველად „წრეს“ მართო ლიტერატურული ინტერესება ამრძ-
რაგებდა, მაგრამ თანდათან მისი მოქმედების არე გაფართოვდა და ვლადი-
ველდლიური საკითხთა წყებაში სოციალ-პოლიტიკური კატეგორიების
შეხილვას შევიდა.

„პაწაწა კავკასიელების წრის“ წევრნი სხვადასხვა სახის პოლიტიკურ
ლექციებს აწყობდნენ.

დარჩენილია ცნობა დიმიტრი ყაზბეგის მიერ წაკითხული ერთი ლექ-
ციის შესახებ.

„ერთ საღამოს, — სწერს დღემდე უცნობ მოგონებაში გიორგი ანდრო-
ნიკაშვილი, — ჩაის შემდეგ ვისხედით მცირე ხანს და ჩვენი ლექტორიც
დიმიტრი (ყაზბეგი) გართული იყო რაღაც ფიქრში. ეშმაკურად შეცრად
წარმომავონდა ერთი საკითხი, რომლის ახსნა მე დიდათ შეინტერესებო-
და, ეს საკითხი გახლდათ „ატეიზმი“, რომელიც 1860-ან წლებში ვრცელ-
დებოდა და რომელმაც ზოგიერთი პირი მეტად გადარია, საკითხით მიე-
მართე მე ყაზბეგს და ვთხოვე მისი ახსნა, თუ რამდენად უნდა ჩვენც
გვემწონოდა მისი სიმართლე.

ამაზედ დიმიტრიმ დაიწყო საუბარი მშვენიერის მიმართულებით, რო-
გორათაც ჰკვიანმა და განათლებულმა კაცმა, არა იმ განზრახვით, რომ
ჩვენც შევეჩვილიყავით ატეისტებად, არამედ გვიხსნიდა იმას, თუ რაზედ
აფუძვნებდნენ ზოგიერთი განათლებული პირი თავის აზრს ამ საგნის
შესახებ.

ჩვენ დიდათ სულგანაბლენი უსმენდით ამ საუბარს და ველოდით
მის დაბოლავებას, მაგრამ ამ დროს ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი (ალექსანდ-
რე) დ(იმიტრეს-ძე) ც(იცი)შ(ვილი), როგორღაც შეტოკდა თავის საწოლზედ
საიდანაც წამოწოლილი უგდებდა ყურს მოსაუბრეს, წამოვარდა ფეხზედ,
მივარდა იარაღ ჩამოკიდებულს კედელს, სტაცა ხელი ხანჯალს, გაიძრო
და მივარდა საცოდავს დიმიტრი ყაზბეგს ყვირილით. „თქვენ, სტუდენ-
ტები, ყოველთვის მოღალატენი ხართ, მთავრობისაც და ურწმუნოები
მღვდლებისაც; ამისათვის მამა ჩემი არ წამიწყდება, ეხლა ამ ხანჯა-
ლით აგკოწმებ, თუ აქედამ არ დაიკარგებიო“. წამოვეცივდით ყველანი,
ვეციით ამ კაცს, შეიქნა აყალ-მაყალი; ამასობაში დიმიტრი ყაზბეგმა ხმა-
ამოუღებლად დაიხურა ტუდი, გავიდა საჩქაროდ გარეთ“.)

პეტერბურგის სტუდენტთა 1861 წლის არეულობასთან დაკავშირებით
ილია ჰაეპქეაძის საქართველოში წამოსვლის გამო, „პაწაწა კავკასიელებ-
ის წრე“ დაიშალა.

*) ამ საქ. მუშ. პალ. განუ. ხელ. Q ფონდისა, № 31.



ბიბლიოთეკის ფონდის 60-იან წლებში

უკანასკნელი დღეები ი. ჭავჭავაძისა



როდესაც 21 აგვისტოს საგურამოში მივიღოდი, არ ვფიქრობდი, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი მისვლა მოხუც ძვირფას მეგობართან, რომ ამით ვათავებოდა ჩვენი ხანგრძლივი, ნათელი და შეურყეველი მეგობრობა. მზე მზიარულად ანათებდა საგურამოს მთებს, ტყესა და ბალებს და მყუდრო სახლი ალერსით გამოიყურებოდა მწვანე ხეებიდან.

მეგობრული ღიმილით მომგება ილია და ჩვეულებრივად მკითხა, რამდენი ხნით მეწვიეო. ხანმოკლე სტუმრობა არ უყვარდა და ხშირად მომიხდებოდა ხოლმე მეტის ხნით დარჩენა, ეიძვრე ვფიქრობდი.

დალონებული იყო, ემდუროდა სხეულის სისუსტეს და აწუხებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცუდი ამბები. მაგრამ არ უყვარდა ამის შესახებ ლაპარაკი და ამჯობინებდა რასმე წაკითხვას ან ისეთ საგნებზე ლაპარაკს, რომელთაც შეეძლოთ დავეიწყებინათ არევი-დარეულობის სამწუხარო სურათები.

საზოგადოდ შევნიშნე ენერჯის სისუსტე და ის სიფიცხე, რომელიც სჩვევია მოხუცებულობას. აღარ ჰქონდა, როგორც შევამჩნიე, წინანდებური სიყვარული სხვასთან ყოფნისა და ლაპარაკისა. ხანდახან, საღამოებით, დიდხანს იჯდა გაჩუმებული აივანზე. წინაღ მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთი ჩემი მზიარული სიტყვა გაამხნევებდა, ახლა კი ამაო იყო ყოველივე ჩემი ცდა. მთელე ექვსი დღის განმავლობაში ჩემი უკანასკნელი ყოფნის დროს მე არ მინახავს ღიმილი მის სახეზე.

— გაისეირნეთ ცოტა. — ვუთხარი ერთს საღამოს: — მაკიონი ძალიან სასარგებლოა.

— რა უნდა იყოს ჩემთვის სასარგებლო, როცა შეიძლება, თრი წლის სიციცხლე-ლა დამრჩა. — მიპასუხა ილიამ ჩაფიქრებით.

ღიაღ, ვეღარ ვიცანი ილია, აღარ იტაცებდა ბუნება, არ ართობდა საუბარი და თითქმის ერთხელაც არ ამოუღია ხმა მწერლობის შესახებ.

მისი სულიერი მდგომარეობის ზედგავლენით, მეც დავკარგე მზიარულება და ვიკონებდი წინანდელ დროს და მასთან ერთად ძველი მეგობრის მაშინდელ სიტხოვლეს.

რა ნათელი დრო იყო! გრძელი საუბრები პოეზიისა და სილამაზის შესახებ, საქართველოსა და მისი წარსულის შესახებ, საუბრები, რომლებიცაი ბრწყინავდა მისი მდიდარი სული. როგორ უნდა ავწერო ეს საუბრები?! რამდენჯერ ვისხედით ამ აივანზე გაზაფხულის ან ზაფხულის საუცხოო საღამოს, როცა მთვარე ანათებდა, როცა ამწვანებულ ბაღში ურცხვი ბუღბული გალობდა, სახლის უკან კაკლების ქვეშ შადრევანი ჩუხჩუხებდა, ხოლო შორს პოეტის საყვარელი არაგვი ხმაურობდა წყნარის, დიდებულის ხმით ლაპარაკობდა მაშინ ის ქართველ პოეტებზე, სა-

ხალხო პოეზიაზე, ვიოტესა და შილერზე, კაცობრიობის განვითარებაზე და ყველაფერზე, რაც ღირსია ადამიანური გონებისა და ვერტუტუქსაჲს!

ჩემთვის დღესასწაული იყო, როცა ვესაუბრებოდი მასს — „სწავლას“ — ლეხებით ერთმანეთს აზრებს, მაგრამ მარტო მისი მდიდარი აზრების პოეტური თვისება როდი გიზიდავდა. მზიბლავდა აგრეთვე მისი ჰუმანური (ადამიანური) შეხედულება კაცობრიობაზე. განა ილია ჭავჭავაძემ არ დასწერა „კაცია ადამიანი“ და „გლახის ნაამბობი“?

ის აზრი და გრძნობა, რომელმაც დააწერინა ეს მოთხრობები, იყო საფუძველი მისი 50 წლის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მისი დევიზი უკანასკნელ დღემდის. ამისათვის არ უღალატნია, მაგრამ ბოლო დროს ხშირად ხმარობდა სიტყვას „უბედურობას“. მეტად მძიმეა ყოველივე ამის შესახებ ლაპარაკი.

27 აგვისტოს, დილით, ილია, კნენა ოღლა და მე ეტლით წამოვედით ტფილისში. დილა ღრუბლიანი იყო და ჩვენი წამოსვლის შემდეგ დიდი წვიმა წამოვიდა. რადგან ეტლს სახურავი არა ჰქონდა, ყველანი დაესველდით და წვიმამ ძალზე შეგვავწუხა.

იმ ალაგას, სადაც სამი დღის შემდეგ მოხდა საშინელი მკვლელობა, გზის ორივე მხრით თხელი ტყეა. იქ რომ გამოვიარეთ, ყრუანტელმა გამიარა ტანში, მაგრამ ფიჭადაც არ მომსვლია რაიმე უბედურობა: ილია თან გვახლდა და როგორც განათლებული კაცი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ვინმე ხელს შეახლებდა მოხუცს — პოეტს, ქართველი ხალხის სიამაყეს.

ილია, ჩაფიჭრებული იჯდა ჩემთან პირდაპირ და ერთხელ თუ ორჯერ სთქვა, რომ მეშინია გაცივებისო! კნ. ოღლას ფერი არ ჰქონდა, დაღონებული იყო, და საზოგადოდ მოწყენილი იყო ჩვენი უკანასკნელი მგზავრობა. როცა მივედით რკინისგზის ხიდთან, ამინდი გამოკეთდა, და ჩვენც უკეთეს გუნებაზე დაედექით.

დიღმის დუქანში შევისვენეთ, რომ რამე გვეჭამა. აქ ილია ცოტათი გამხიარულდა და ლაპარაკის ხალისიც მოუვიდა. გამოჩნდა მზე და გაანათა ნაცნობი არე-მარე, სადაც ხშირად ვაგვივლია ერთად. თითქმის გამხიარულეზულები შემოუსხედით უბრალო სუფრას და მოვიგონეთ წარსული.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი. გულითადი საუბარი იყო და როცა ილია ილიმებოდა, მეგონა, რომ მისი გული იციწინოდა, თუმცა არა გაბედულად, მღელვარედ. ერთი საათის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს ვაშორდით ოღლას ქუჩაზე.

— ენახავთ ერთმანეთს! — მითხრა ილიამ, მაგრამ რალაცა დიდხანს ვუცქეროდი მიმავალს, სანამ მისი ეტლი მთლად არ მიიშალა ვერის დაღმართზე... განა წინასწარ გრძნობდა ჩემი გული, რომ ამის შემდეგ ველარ ენახავდი, რომ ეს იყო უკანასკნელი ნახვა?

მშვიდობით, მშვიდობით, ძვირფასო, დაუვიწყარო მეგობარო!..

*) ვაზ. „ზაკავკასიე“, 1907 წ., 9 სექტ.



ქართული
ლიბრერი



მ. შავვაშვიტი და ივ. მარაბული ჭადრაკის თამაშის დროს
(70-იანი წლები)

აკაკი წერეთელი

ილიას ხსოვნას

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას,
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!..
ნუ თუ მართლა დღეს გადაწყდა
საქართველოს ბედის წერა?
აოა, არა!.. მითქმა-მოთქმა
ეს მშიშარა, ტყუილია;
ის მშობელი არ მოკვდება,
წარმოშობა ვინც ილია!..
გრძნობა კვდება გონება კი
ეკუთვნის წინ მომავალსა...
გაპყავს ხიდი ცხოვრებისთვის
და უკაფავს გზა და კვალსა.
და მიტოვაც ვინც მოკვდება,
განა ყველა ითქმება მკვდრად?
ზოგი ჩადის ბნელ-საფლავში,
ზოგი აქვე რჩება ლამპრად.
და ილიაც არ მომკვდარა...
მამულისთვის რჩება ლამპრად,
მაშინ როცა მისი გეამი
გაღიქცევა მიწად და მტერად.
რაც კი ჰქონდა მაღლით ნიჭი
ბუნებისგან მოცემული,
მთლად მიუძღვნა მისს სამშობლოს,
ფიანდაზად დასდვა გული!

... ახლა შენთან მაქვს საქმე იუდავ
წინ წამოდექი! ნუ იმალები!!
და ვერაგობით ძლევა-მოსილი
გამოაჩინე შენი თვალეები!

ღრმა მოხუცებულს და ნაამაგარს
 რომ ჰკლავდი, მაშინ არ გითხრა გულმა,
 გარეშე მტრების სასიხარულოდ
 ისევე მათგანვე მოტყუებულმა,
 რომ მაგ სიკვდილით იმასთან ერთად
 შენ გულს უკლავდი თვით ქართველობას
 და შემბლაღავი „წმინდა-წმინდათა“.
 იორკეცებდი თვით საქაგლობას?
 მაგრამ შენ ვინ ხარ? ვინ მოგცა გრძობა?
 ვით ჰეროსტრატემ დასწვი ტაძარი
 და გეგონა, რომ ორივე მხარეს
 საშვილიშვილო დაეც თავხარი.
 რა შემცდარი ხარ!.. თვით ილიასთვის
 მაგგვარ სიკვდილში არის სიცოცხლე
 და საქართველოს კი ძველი აღთქმა
 ისტორიული მით გაუახლე —
 ოროებით დაღლილს და მიძინებულს:
 ის გამოახელს მაგითი თვალებს
 და შეაჩვენებს, საშვილიშვილოდ
 შენებრ მეთაურს და ნაძირალებს!!

1907 წ. 8 სექ. 3 ტფილისი.



პაპა-ფაპაველა

იღია ჭავჭავაძის ბ ს მ 3 6 1 ს

საძირკველად აზრი ჩააგდე —
 ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,
 მან გააბრწყინვა სხივებით
 ჩვენის სამშობლოს მთა-ბარი.
 გვეყარაულობდი თვალ-ფხიზლად,
 შენ იყავ ჩვენი საფარი, —
 მოგვალით ჩვენისვე ხელით,
 მოძმეთთვის ნაჭირმაგარი.
 და შენი სისხლიც იქ ბრწყინავს,
 სად წინაპართა ნთხეულა,
 რომელთა ხსოვნა შენს გულში
 აროდის გამოლეულა.
 იმათ სისხლს არაგვის პირად
 შენიც დაერთო წლეულა.
 მოჰკვდი თვით სატრფოს კალთაზე,
 და დუმდა ჩანგის სიმები;
 აყვავებული მამული
 გაგვიხდა დასატირები!
 დაგიკოცნიან სახესა
 ნათელს არაგვის გმირები;
 შეილის დაკარგვის გლოვობენ
 ტურფა ალაზნის პირები!
 ეაკო ყაჩაღთან ერთადა
 მოსთქვამენ გლეხის შეილები,
 უსამართლობის მსხვერპლები,
 ყაჩაღად გაცვიფნილები.
 ჩვენის საწყლობის მოზარცე,
 მანდ დაისვენო ეგები?!
 ჩვენ რა ვჭნათ, ჩვენა ცოცხლებმა:
 გარს შემოვივლეთ ბეჭები,

ვხდებით ყვავ-ყორნის სადილად
 ტურა-მგელთ გასაცვლელელები!
 ვაი რომ რჩება აკვანი
 ბაზალეთის ტბის ძირასა
 და დიდხანს კითხვადვე გვრჩება:
 „ვინ ამოიღებს იმასა?!
 ან იმ ბაღს ვინ უპატრონებს,
 უსუსურს, მტირალს ბედისა,
 აკვანში რომ წევს საწყალი
 და ძუძუ სწყურის დედისა?
 ან იმ ცრემლის ტბას დიადსა,
 ერისგან დანადინარსა.
 ვინ დაჰშრეტს, ვინ ამოიყვანს
 იმ უსუსურსა მტირალსა?!“
 ვერაფერს ვიტყვი, ენა სდუმს
 თაუხე დაგეჩხავის ყორანი,
 ვაღმა ვასვლისა მსურველთა
 უკულმა მიგვყავს ბორანი:
 გაგვიბატონდა, მგოსანო,
 სირეგვნი შეუწონარი.....

1907 წ.



ქვემოთ მოცემულია
საქართველოს ხალხთა
ბიბლიოთეკის და
საქართველოს ხალხთა

საქართველოს
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

საქართველოს



მკითხავი

კომედი-ზაკის 3 მოქმედებად
ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანიდან“
გადმოკეთებული

წინათქმისთვის

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“ ბევრმა გადმოკეთა სასცენოდ. მათ შორის თვით ილიამაც. ილია ჭავჭავაძემ თავის გადმოკეთებულ პიესას უწოდა „მაჭანკალი“, ხოლო ასიკო ცაგარელმა „მკითხავი“. ორივე პიესა განკუთვნილი იყო ნატო გაბუნიასთვის. სუტკნეინა მაჭანკალს და ხარ-ფუხელ მკითხავს ნატო გაბუნია-ცაგარლისა უბადლოდ და იშვიათის ოსტატობით ანასახიერებდა.

ა. ცაგარელს, მოთხრობასთან შედარებით, „მკითხავში“ ბევრი ახალი აერსონაჟი შეუყვანია. ეს აძლევს მას ეშხს და თითქოს „სისრულესაც“, მაგრამ, როგორც ყველა გადმოკეთებული პიესა, ამ ნაწარმოებსაც „ცოდნები“ ახასიათებს.

„მკითხავი“ დათარიღებულია: 1885 წელი, 10 იანვარი.

პირველად წარმოადგინეს ნ. გაბუნია-ცაგარლის საბუნებისოდ 1885 წელს, 23 იანვარს.

ჩვენ მიერ გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის პიესა „მაჭანკალი“ — ჩვენის რედაქციით და შენიშვნებით — უკვე შევიდა ილიას საიუბილეოდ გამოცემულ კრებულში (სახელგამი, გვ. 526); ამ უამად ვაქვეყნებთ ასიკო ცაგარელის „მკითხავს“ იმავე „კაცია-ადამიანიდან“ გადმოკეთებულს, რომელიც დღემდე დაკარგულად ითვლებოდა.

„მკითხავის“ ერთადერთი ეგზემპლარი (ავტორის ავტოგრაფი) მხოლოდ ჩვენს ბიბლიოთეკაშია დაცული.

პიესა პირველად იბეჭდება.

ი. ვრიშაშვილი

მ კ ი თ ხ ა ვ ი

მოქმედნი პირნი:

- თ. ლუარსაბ თათქარიძე, მებატონე (40 წ.).
- დარეჯან, იმისი ცოლი (45 წ.).
- კ-ნა ელისაბედ, ამათი რძალი (50 წ.).
- ლამაზიხუელი, დარეჯანის პირის ფარეში (16 წ.).
- ბარბარე, თათქარიძეების ვაჟია (60 წ.).
- ხარფუხელი საბუდა, მკითხავი (40 წ.).
- სირაჯ-პეტუა (35 წ.).
- მართა (30 წ.).
- პელაგა (28 წ.).
- თებრო, მკითხავის ხელზე მოსამსახურე (18 წ.).
- გიგლა (27 წ.).
- აბრამა (30 წ.).
- კუტი, გლეხი (25 წ.).
- სოფლის გოგო (17 წ.).
- პრისტავი (35 წ.).
- გლეხები.

მოქმედება სწარმოებს სოფელში

პირველი მოქმედება

სცენა: არა მდიდარი ოთახი სამის კართ, შუაზე და გვერდებზე. მარჯვნივ ლუარსაბის ოთახია, მარცხნივ დარეჯანისა. ორსავე მხარეს, მარჯვნივ და მარცხნივ, პატარა ტახტები სდგას, ხალებით და მუთაქებით დაფენილი. მარცხნივ ლუარსაბის ტახტია, მარჯვნივ დარეჯანისა. ჩამდენიმე თეთრმიტკალ-გადაფარებული უბრალო სკამი დგას.

1 სანახაში

სცენა ცოტახანს ცარიელია. გამოვა ლუარსაბი გულგაღვლილი საშინაო ტანისამოსით. ნაიადილევიან.

ლუარსაბ. (კარებშივე) უკ! რა ნაირად გავძეხი! (იწმორება) ე ჩვენი ბარბარე სწორედ ბოზბაშისთვის გაუჩენია ღმერთსა. რა ბოზბაშს აკეთებს ეს მამაცხონებულო! გემო ეხლაც კი თითებში მიდგა (იწუწუნის). არა, არტალასაც კარგა ხარშამს, მაგრამ ბოზბაში სულ სხვაა (ტახტისაკენ მიდის). სამხრად ერთი ლაზათიანი ხარშო მინდა გავაკეთებინო კვერცხით. იმასაც ძა-

ლიან გემრიელად აკეთებს ძალიან გემრიელად აკეთებს (ტაბტზედ დაჯდება და შუთაქაზედ წამოწვება). ვახშმადაც პარკისკენ წაიქცის სუკებს შვეაშიშინებ, ზედ ერთ სველ-სველ წარსულს წამოწვება. გიანს მიეაყოლებ და შორჩა ბერი ცხონებასა... (ხმით დაამთქნარებს და გაიზმორება) უუჰ!.. ე კეთილი ცხოვრება კარგი მაქვს, მაგრამ უბედური იმითი ვარ, რომ შვილი არა მყავს! ე დალოცვილი ღმერთი ზოგს ერთ ნახირ შვილებს აძლევს და რა იქნებოდა, ერთი ჩემთვისაც ეწვალობებინა! ერთი ჩემი ძმისა და რძლისათვის თვალები დამეყენებინა. (ამთქნარებს და თან ლაპარაკობს) სიხარულით ფეხზედ არა დგანან, შვილი არა ჰყავთო და იმისი მამული ჩვენ დავერჩებაო. იმ დღეს იმ პირშავს ჩემს ძმას დავითს ეთქვა, როდის იქნება ის ოხერი ჩაკედესო, რომ იმის მამულზე ვინავარდოვო. (ჩაფიჭრდება) განა შვილი იმისთვის მინდა, რომ მართლა შეღო შევისდეს. შენ არ მომაცდევ! დავითის გამოჯავრებით მინდა, ის არ ში. და ჩემს მამულზე გავახარო. იმისი ჯავრი არ მინდა შევირჩინო თორემ ეს ჯიბრი რომ არ იყოს, ძალიანაც არ ვინაღვლიდი უშვილობას. კოტანი არიან უშვილონი? მეც იმითში ვიქნებოდი რა. (მაღლა). დავითი არ მინდა გავახარო, დავითი!

2. სანახაში

იგივე და დარეჯანი

დარეჯანი. (შემოდის წინდის ქსოვით). რა იყო ლუარსაბ, რაზედა ჯავრობ? (თავის ტახტისკენ მიდის)

ლუარსაბ. (დარეჯანს ყურს არ ათხოვებს). ახლა დავითს უნდა შერჩეს ის სიტყვები! უნდა ჩვენ მამულზე გავახაროთ. (წამოიწევს) დარეჯან! შენი ქირიმე, თუ გიყვარდე, თუ გიყვარდე აი ერთი ვაჭიშვილი შობე! დავითის გამოჯავრებით მაინცა შობე, რომ სხვა არა იყოს რა. ოღონდ იმისი ჯავრი კი ამომაყრევინე და მერე თუნდა მომკალ. შენი ქირიმე, შენი დედაკაცობის ქირიმე, დარეჯან! თუ გიყვარდე აი!

დარეჯან. ვშობამ. შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს! ვშობამ, თუ აგრეა. (დაჯდება) ახლა, ლუარსაბ... წუხელის სიხარში ერთმა მოხუცებულმა კაცმა, ფეხებამდის უმტვრო ქალღღივით წვერი ჰქონდა, ერთი წამალი დამალევიანა და მითხრა, გამრავლდი, ვითარცა იაკობი. მე მაშინვე მუხლზე ვემთხვიე. შენ მაგივრადაც ვემთხვიე.

ლუარსაბ. მართლა?

დარეჯან. შენმა დღეგრძელობამ!

ლუარსაბ. (გახარებული) მერე შენ თავს ვერაფერი შეატყე?

დარეჯან. თითქო ბავშვა მუცელში გაიჩუნა...

- ლუარსაბ. (უცხად წამოჯდება). გაიჩურუნა? ჰოი, იმას კი ვენაცვალე სულში! ერთი დაიბადოს, რომ ჩემი კაცობა ვაჩვენო! (მხეარეუფლად) მაშ გაიჩურუნა-ჰა?
- დარეჯან. მაშა!
- ლუარსაბ. მერე, ის ბებერი სწორედ შენი თვალითა ნახე?
- დარეჯან. აი, როგორც შენა გხედავ.
- ლუარსაბ. შენი ჭირიმე! მაშ იმედია, დარეჯან?
- დარეჯან. მაშ ჭა!
- ლუარსაბ. (ისევ წამოწეება). ჰო, შენ გეთაყვანე, შენა! (წამოჯდება) როგორ ვითხრა?
- დარეჯან. გამრავლდი, ვითარცა იაკობიო.
- ლუარსაბ. იაკობი ვინ იყო?
- დარეჯან (დაყოყმანდება, სწორედ არ იცის). ვინ იყო? წირვა-ლოცვაზე მაინც არ გაგიგონია — აბრამის მძახლის განაყოფის შვილი იყო.
- ლუარსაბ. ახლა გამრავლდი ვითარცა იაკობ, მითომ რაო?
- დარეჯან. მითომ ისაო, რომ გამრავლდიო!
- ლუარსაბ. აი ვენაცვალე იმის ენას! მაშ იმედია?
- დარეჯან. კიდეც! ნუ იცი შენ ეგ, ნუ? ნუ ხარ უჯერო, ცოდვია.
- ლუარსაბ. აღარ ვიქნები, აღარ! ოლონდ შენ შვილი შობე, თუნდა ენასაც მოვიკენებ. ოლონდ დავითს ნუ გაახარებ...
- დარეჯან. ღმერთია მოწყალე! გეუბნები არ გავახარებ მეთქი.
- ლუარსაბ. ახ, ნეტავი კი მართლა შობო და!
- დარეჯან. კიდეც, ნუ ხარ უჯათი! წმინდა კაცის სიტყვაზე როგორა ხარ უჯერო. რა დაგემართა!
- ლუარსაბ. აი დალახვრა ღმერთმა! ჩემთავად გულში უნდა მეთქვა, ღმერთმა იცის — და აკი კიდეც წამომცდა, ახ, ნეტავი...
- დარეჯან. კიდეც!
- ლუარსაბ. ფუ დალახვრა ღმერთმა! კინალამ კიდეც არ წამომცდა! ახლ-მეტად რომ მინდა, იმიტომ, თორემ... (წამოიწეეს) შინ ეს მითხარი, ხომ მართლა გაიჩურუნა, დარეჯან, შენ გენაცვალე?
- დარეჯან. ჰო მეთქი, ჭა!
- ლუარსაბ. რახან გაიჩურუნა. ერთი იმის სადღეგრძელოთ გამოვიძინებ. თორემ ჩემი ენის ამბავი რომ ვიცი, ერთს კიდეც წამომაროშინებ-რასმე და ღმერთი მიწყენს.
- დარეჯან. თელეთისა არ იყოს! იმდენი ამუნათე, იმდენი იძახე, შორს არისო, რომ გაგვიწყრა და აი დღესაც შვილი არა გვყავს.
- ლუარსაბ. მერე აკი მაშინვე შევეხვეწე, ნუ გაჯავრდები მეთქი, რატომ არ მაპატიო? რა ვუყოთ, რომ „შორს არის მეთქი“ ერთხელ წამომცდა? ერთი ალილო ღვდელსაც შესცდებაო.

დარეჯან. კარგი, კარგი! რაც იყო, იყო, ეხლა მაინც არ აწყენენთ ლუარსაბ. მაშ დავიძინებ.
დარეჯან. შენი ნებაა.
ლუარსაბ. (დასაძინებლად ემზადება) ოჰ, თუ მართლა გაიჩუქუნა, დარეჯან!

3 სანახაში

ივნივე და ლამაზისეული

ლამაზისეული. (ვახარებული შემოვარდება). ქალბატონო! ქალბატონო! ლუარსაბ. (უცხად წამოჯდება). რა იყო, გოგო? საბძელს ხომ ცეცხლი ააწევიდა?

ლამაზის. (ქაჭანიტ). ოჰ, საბძელს კი არა და... ჩამჩიშვილს რომ ძაღლმა შეილი დაუცოფა, იმისათვის ერთი ეჭმი დედაკაცი მოუყვანიათ ქალაქიდან. ის დედაკაცი თურმე მთელ ღუნიაზე განთქმული მკითხავია. ხომ არ გნებავთ, აკითხვინოთ? რაც კაცს გულში აქვს და შუბლზე აწერია, ყველაფერს თურმე მაშინვე შეიტყობს. და ისეთი ეჭმიანო, რომ სამასი წლის უშვილოს შეიღს აყოლებსო.

ლუარსაბ. (ყურებს დაცქეტს). იქნება მართლა? (პირჯვარს იწერს) აი დიდება შენთვის ღმერთო! დიდება შენთვის! მართლა, კაცს ღმერთი არ გასწირავს! აკი თუ, დარეჯან, ღმერთს აწყენინე და განრისხებულაო? მაშინ მკითხავი თავის ფეხით კარზე რად მოგვაყენა?

დარეჯან. ჯა, ღმერთზე როდი გითხარი, თელეთზე გითხარი. (ლამაზისეულს) შენ პირს შეაქარი, ჩემო ლამაზისეულო, შენ პირს შეაქარი! აბა, ეხლავე გააკურცხლე და ის მკითხავი აქ მოიყვანე, უთხარი, კნიაზი და კნეინა გიბარებენ-თქო. აბა ვინძლო...

ლუარსაბ. ლამაზისეულო! მე ჭიცი და ჩემმა კაცობაში, აბა მალე...

დარეჯან. გასწი და აბა ჩქარა.

ლამაზისეული. ქალბატონო ერთი რამე უნდა მოგახსენოთ (მიუახლოვდება). მეც მინდა ვაკითხვინო ჩვენ მოურავზე. იმ დღეს სათონის კარებში ორჯერ მიჩქმიტა, ენახოთ, რას იტყვის, შემირთავს თუ არა?

დარეჯან. შეგირთავს, შეილო, შეგირთავს. იმ დღეს მე და ლუარსაბს გვეხვეწებოდა, ლამაზისეული მომითხოვეთო.

ლამაზის. მე მაინც მინდა, ვაკითხვინო, გაიგებს თუ არა... ეხლაც დალურჯებული მაქვს...

დარეჯან. კარგია, გასწი ჩქარა არაინ არ წაიყვანოს.

ლამაზის. ეხლავე აქ მოვიყვან (ხტუნაობით გაიქცევა). შენ კი ჭიკრი მალეო... (გადის).

4 სანახაპი

ლუარსაბ და დარეჯან

ლუარსაბ (სიხარულით შეჰყურებს და ფეხებს გაიქნევს). ჰაი, გიდი! ბაშადლენი, ლუარსაბ, ბაშადლენი... დარეჯან, შენი ჭირიმე, დარეჯან, სიხმარი ცხადდება!.. მაშ ეს რის ნიშანია? შკითხავი თავის ფეხით კარზე მოგვადგა.

დარეჯან. მაშ, ჯა! რომ გეუბნებოდი, მაშ რა იმედით გეუბნებოდი, შეილი, შეილი მეყოლება მეთქი? შე რათა ხანია გული მითხრობდა.

ლუარსაბ. მეც დიდიხანია გულად მითხრობდა, თურმე ეს ამბავი კი იყო. აბა ეხლა დაუდგა თვალი დაეითსა აი? მაშ შეილი გვეყოლება—ჰა? ურააა (სამჯერ ყვირის და ფეხებს იქნევს) უჰ, დარეჯან, რა ჭორწილს გადაუხდი ჩემ შეილს? აბა სმა მაშინ იქნება აი. მგონია, ერთი არ დაეაყენო ფეხზე! ყანწისა და ჯიხვის სროლით, მგონია ერთს არ ამოვასუნთქებინო (მტკელზე ხელს იცემს) ღვთის მოწყალებით გაჭირვებაში ერთ ჩაფს ჩაეტეე! აბა ლხინი მაშინ იქნება აი! ახლა, ახლა, დარეჯან, შენი შეილის ჭორწილში ლეკურს არ ითამაშებ?

დარეჯან. (ღიმილით და თავგამოდებით). რატომაც არა, ჯა?

ლუარსაბ. ჰო, გეთაყვანე, ეგრე, ეგრე! შენ მიყურე რასიმღერა გამოვიჩინო. ნამდვილი კახური აი? (მღერის) კახური ზი...ჭის ჭი...რიიი... მეეე... ჩა... აა... რაკ... კებს კულ... აა... სა. (სიმღერითვე ამბობს) გე... ნა... ცვა... ლე... სუ... ლში დარე... ეე... ჯან, თვა... ლი დაუ... დვა ჩემ ძმას დაა... აავითსა. (სიმღერას გაათავებს და ღრიალებს) ურააა! ურააა! ურააა! დარეჯან, მოდი იცი რა ვქნათ? მითამ ეხლა ჭორწილია: აბა ერთი... ერთი შენებური დიდოური... მე „განდიდურს“ დაგძახებ.

დარეჯან. მითომ რატომაც არ ვითამაშებ ჩემი შეილის ჭორწილში...

ლუარსაბ. ჰო, გეთაყვანე, თუ გიყვარდე! აი, მითამ ჭორწილია, თუნდ ლეკური იყოს. ჰა?... მე „პაწაწაწინა ნიგვზის ტოტს“ დაგძახებ. (მღერის და თან ტაშს უკრავს) ჰა-და, პაწაწაწინა ნიგვზის ტოტი! ჩუპრი ჩუპარ, ჩუპრი ჩუპარ, ჩუპრი დარეჯანასა! (რამდენჯერმე იტყვის რო გაათავებს) ურა! ურა! ურა! (ქუდს ჭერში ააგდებს, მერე დაიხურავს).

დარეჯან (ხელებს გაშლის და ჩამოუვლის)

5 სანახაპი

ჩინივე და ლამაზისეული

ლამაზის. (შემოდის მოწყენილი)

დარეჯან. (შედგება) რა ამბავი მომიტანე?



ლუარსაბ. (ტაშს უკრავს და ყვირის) აბა, ლამაზისეულს! ჩემს შოკმა, ჩამოტრიალდი! პაწაწინა ნიგვზის ტოტი... აბა, პაწაწინა...

დარეჯან. (ლუარსაბს) მოიცა, ჭა! (ლამაზისეულს). რა პასუხი მოიტანე? მოვალო?

ლამაზის. არა ვყოფილვარ.

დარეჯან. რატომ, ჭა?

ლუარსაბ. (შეღრიალებს) არა ვყოფილვარო? როგორ თუ არა ვყოფილვარ?

დარეჯან. (ლუარსაბს). დაიცა, ჭა, რა დაგემართა? (ლამაზისეულს). რატომ?

ლამაზის. თქვენი რძალი, კნინა ელისაბედი დამხვდა და მკითხა, სად მიღიხარო? მე მოვახსენე, მკითხავეთან მეთქი; ბატონებმა შეიღის თაობაზე უნდა აკითხვიან მეთქი. იმან ქოქოლა დამაყარა და მითხრა: შეილი! თქვენმა სიცოცხლემო, პირლია ლუარსაბს და კოთხუნჯ დარეჯანს ტარიელი დებადებათო...

ლუარსაბ. (ზეზე წამოხტება). ვინ ტარიელაა? მამა შენია ტარიელა-თქო!..

დარეჯან. (ლუარსაბს). ცოტა დამაცადე!..

ლუარსაბ. (დაჯდება). ოჰ, ჩემო რძალო, მე შენ ტარიელას გაჩვენებ, თუ ბიჭი ვარ!

ლამაზის. (დარეჯანს). ველარც ჩქმეტაზე ვაკითხვინე! ნეტავი მართლა მიხვდებოდა ვინ მიჩქმიტა?

დარეჯან. რა დროს ეგ არის! მერე, რაღას გამობრუნდი?

ლამაზის. იმედი არ არის, ტყუილად ხარჯი მოგივათო და გამოვბრუნდი.

დარეჯან. ჰაი, შე შურიანო, შე გველო-თქო! ალბათ, იმ დედაკაცისა დიდი იმედია, რომ შურით გამოუბრუნებიხარ. წადი შენა და როგორც დაგარიგო, ისე უთხარი. თუ არ წამოგყვეს, ფულს გაგატან და წინათვე მიეცი, ოღონდ კი აქ მოიყვანე. წამოდი ჩემთან (ოთახში შედიან).

ლუარსაბ. (შიაძახებს). გაგზავნე, დარეჯან. უთუოდ გაგზავნე. (დაწეება პირადმა) ჯერ ერთი გამოვიბრუნეო ძილით. მერე მე ვიცი. ჩემი გაგზავრება ნუ უნდათ. თორემ... ერთხელ ხომ ახსოვს ჩემ ძმა დავითს, ცხელ-ცხელი ლობიოს სადღელარი რომ დავთხლიშე (თვალეებს დახუჭავს და ნელა ლაპარაკობს) ოჰ, დავით. ოჰ, ჩემო რძალო! მე თქვენ სინსილას გავი... (ხვრინვას ამოუშვებს. მერე სიხმარს ნახავს და ძილში ლაპარაკობს) რა დავიშავე, შე დალოცვილო ღმერთო, რომ შეიღს არ მაძლევ? მიბრძანე და თელეთს აკი ვიახელი სალოცავათა... თორმეტ აბაზიანი ცხვარი დაგიკალ და ორი აბაზის სანთელი ავინთე. ჰა? რა? დარეჯანი ორსულათ არის? შეილი ეყოლება? (სულელურად გაიცინებს და ზმუილით ძილში წაეა).

6 სანახაში

ივინივე და დარეჯანი


 საქართველოს
მწერთა კავშირი

დარეჯან. (შემოვა წინდის ქსოვით და თავის ტახტზე მოიკეცავს). დამაცადე ელისაბედ, ჩემ სარჩოს სულ იმ მკითხავს გადავაგებ და ვაწამლინებ კია. ტყუილად ფიქრობთ, ისინი დაიბოცებიან და იმათ მამულზე ვინაეარდებთო. (სთვლემს და თავს აკანკურებს) ღმერთო, მა ნუ მოასწროთ იმ დღეს, რომ ჩვენ უშვილოთ გადავიაროთ! „ა შურიანი, ის გველი, ჩემი რძალი! დამაცადოს, მე იმას ვაჩვენებ... (ეძინება) ჯერ დამაცადოს... არა, თეთრ-წვერა მოხუცმა სწორეთ მითხრა, შვილი გეყოლებათ. (ძილში) შვილი... ახ, ნეტავი... შვილ... (თავს ჩაჰკიდებს).

ლუარსაბ. (ძილში დაიშმუვლებს, სუნთქვა ეკვრის, მაგრამ გარკვევით ლაპარაკობს). ვაი, რა დროს მოვევდი!.. დარეჯანი ორსულად არის... ჩაკედესო... მიწა მიაყარეთო... ახ, ნეტავი ეხლა კი გავცოცხლდე და! ჩემ ძმას და დას ფერხული უბიათ... დარეჯანიც მზიარულობს... ახ, ნეტავი ეხლა გავცოცხლდე და!.. დარეჯანიც მოჰკალით, შვილი არ დარჩესო, ორსულად არისო... ლუარსაბის მამული ჩვენიო... (შფოთავს და იბრძვის) საფლავს დავენგრევე! კუბოს ავგლეჯ!.. მაშ მშარბავენ! აი თქვენი სინსილა... (ერთ ძალიან შეხტება და იატაკზე დაეცემა).

დარეჯან. (გამოელევიძება, ლუარსაბს არ უყურებს). ლუარსაბ ვაიგე, რა დიდი მიწის ძვრა იყო? (დაინახავს, წამოხტება) უი, შენს. დარეჯანას! ეს რა დავმართვია, შენ გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე?

ლუარსაბ. (გაშტერებული და პირდაღებული ზის იატაკზე და სიზმარს იკონებს. სიჩუმე).

დარეჯან. (უკან დაიწევს შეშინებული). რა დაგემართა, შენი ჭირიმე, შენი, ლუარსაბ?

ლუარსაბ. (ხელს დაუქნევს). დამაცა, მინდა მოვიგონო.

დარეჯან. (შიშით). შენ გენაცვალე, ჩქარა მითხარ, ლამის გავთავდე შიშისაგან.

ლუარსაბ. (თვალედაქცეტილი და გაშტერებული თავისთვის). მე მოვევდი. დარეჯანი ჯერ კი ტიროდა და მერე, როცა დამშარბეს, იმანაც თავი დამანება! აკი ვუყვარდი! დამაცადოს! რატომ ჩემთან არ დავმარხა... ის პირშავი ჩემი ძმა და რძალი! ფერხული გააბეს... მკვდარი არა ვყოფილიყავი, მე ვუჩვენებდი იმათ...

დარეჯან. შენი ჭირიმე, ლუარსაბ, სიზმარში ხარ თუ ცხადლივ? მითხარი, ლამის სული დამელიოს.

ლუარსაბ. ეხლა განა? მაშინ რატომ არ დაგელია, როცა მიწა მომყარე და მარტოკა ჩამფალ შვე მიწაში?

- დარეჯან.** რას ამბობ, შენი ჭირიშე, რასა? ერთი შემატყობინე!
- ლუარსაბ.** რა უნდა შეგატყობინო? ცარიელის ტირილითა და გულგრილითა, უნდა თან ჩამყოლოდი! არა გცხვენიათ? გინჯალოცხენა
- დარეჯან.** (თავში შემოიკრავს). უი, ეხლა დამდგომია თვალები! ძილში ეშმაკს ჩაუკრავს თავში და ჭკუიდან შეუშლია. ეხლა რაღა ვქნა, მე უბედურმა! (კარებთან მიიბრუნს და ყვირის) მიშველეთ! მიშველეთ! ქმარი გამიგიჟდა! ვუი, ამ დღის მნახველსა შე ქოფაკო დარეჯანო! (თავში იცემს გაწეწილი).
- ლუარსაბ.** (სრულიად გამოერყვევა, წამოხტება გაღვლილი). მოიცა, კარში ნუ გახვალ, რა ამბავია? (დარეჯანისაკენ გაიქცევა).
- დარეჯან.** (კარებში გავარდნა). დაიჭირეთ, დააბით! ქმარი განიგიჟდა! (მოისმის ბრაზუნნი, დარეჯანი კიბეზე დაგორდება).
- ლუარსაბ.** (კარებიდან გაპყვირებს). ბიჭებო! არიქათ, ბიჭებო! ცოლი გამიგიჟდა! ბიჭებო! ქალბატონს უშველეთ, კიბიდან დაგორდა, სულ დაილეწა! ჩქარა, ბიჭო. რა ღმერთი გაგიწყრათ!

7 სანახაში

ივინივე და ბარბარე

- ბარბარე.** (შემოვა დამკლავებული. წინ კაბა აკეცილი აქვს). რა იყო, ბატონო? ცომა ვზელავდი და ხმაურობა შემომესმა?
- ლუარსაბ.** რა იყო და, დარეჯანი კიბიდან დაგორდა!.. მივხედავდი, მაგრამ გიყისა მეშინიან.
- ბარბარე.** (თავში შემოიკრავს). უი, დამიდგეს და დამიბნელდეს თვალები! წავიდეთ, მივხედოთ! (მიდის).
- ლუარსაბ.** მოიცა, აგე ბიჭებს მოჰყავთ... მერე ორსულად არის, ბარბარე, სიზმარში ენახა და ხომ მუცელი წაუხდება! დაილეწა...
- ბარბარე.** (ცმუკაეს, თითქო რალაცა. სწადიან). მაგითი არა უშავს რა, ეხლავე იახოს შემოვაკრამ.
- ლუარსაბ.** ჰო, ჰო, ბარბარე. იახო, იახო შემოარტყი.

8 სანახაში

ივინივე და დარეჯანი ორ ბიჭს მოჰყავს ყბა-ახვეული

- ბარბარე.** (მივარდება). რა იყო, შენ გენაცვალე, ქალბატონო? გონებაზე როგორა ხარ? ტახტზე დასვით, ბიჭო!
- ლუარსაბ.** რა იყო, შენ გენაცვალე, დარეჯან?
- დარეჯან.** (დაიკივლებს). იქით წაიყვანეთ, გიყია. (ტახტზე დაჯდება. ბარბარემ და ბიჭებმა არ იციან, გიყი რომელია, ხან ერთს უყურებენ, ხან მეორეს).

- ლუარსაბ. (თავში იცემს). ვაიმე! სწორედ გაგივდა! (ტირილით) ვინ არის, დარეჯან, გიჟი, შენ გენაცვალე? მე ჩემ გონებაზედა ვარ. დარეჯან. (ხელით). იქით! იქით!
- ლუარსაბ. (სრულმად მოსდის). მე ჩემ ჰქუაზედა ვარ, ზმანაზედა ვარ.
- დარეჯან. აბა სწორედ შემომხედე!
- ლუარსაბ. აბა, შენი სულისა! (გაულრეკამს, ტახტის წინ დაუჩოქებს) შენი ლუარსაბი ვარ!
- დარეჯან. წელან რას ლაპარაკობდი?
- ლუარსაბ. სიზმარი ვნახე და იმას ვიგონებდი.
- დარეჯან. ძირს რაღად იყავი გაშოტილი?
- ლუარსაბ. ცული სიზმარი ვნახე; მმარხავდნენ მითამ, საფლავიდან ამოვხტი და ძირს კი დავეცი.
- დარეჯან. (ღიმილით). მე კი ქვეყანა შევეყარე, ქმარი გამიგიჟდა მეტქი! უი ჩემ თავს!
- ლუარსაბ. მე კიდევ შენ მეგონე გიჟი, შენ კი გენაცვალე ამ თეთრ ყირმიზ ლაბაბში! (ნიკაპზე ხელს ამოუსვამს) მე ჯანი გამვარდეს, მუცელი ხომ არ წაგიხდა?
- დარეჯან. არა, შენს თავს ვფიცამ... გვერდები და ყბა კი ძალიან ვიტკინე.
- ლუარსაბ. აბა, ბარბარე, მიშველე რამე.
- ბარბარე. (აქამდე გატეხილ ყბას უსინჯავდა, ოთახში დაცუცუნებს, რალასაც ეძებს). აბა, დათოკავ, ემ მინუტში გაიქეც და ქატო მოშეშე, ავური გააცხელებინე და ძმარი გადააქლე, ლოლო ჩამოიღეთ. დაფშენიტეთ და ქატოში აურიეთ. შენ კიდევ, პავლიავ, ჩქარა იახო შემოიტანე, წელზე შემოვარტყა. ემანდ ხილაბანი ძვეს, ისიც შემოიტანეთ. თავშალი გამოუცვალეთ.
- ბიჭები. (მარდათ გაცვივდებიან. სხვადასხვა მხარეს).
- ლუარსაბ. (ხელები უჭირავს და შესცქერის) მუცელი ხომ არ წაგიხდა, გენაცვალე?
- დარეჯან. არა, შენმა დღეგრძელობამ! (უღიმის და ებღერსება).
- ბარბარე. (ოთახში დაცუცუნებს). ჩქარათ, იახო! (გასძახებს) იახო და პიტნის ჩაიც მოადლეთ, პიტნის ჩაიიი!..
- ლუარსაბ. არიქა, ბიჭებო, პიტნის ჩაი მოადლეთ. მეც ძალიან მინდა. პიტნის ჩაი. (დარეჯანს უკრექს და გვერდში უღიტიანებს).

მეორე მოქმედება



ეროვნული

ტანკოლოგთა კავშირი

სკენა: გლეხის სახლი. კარები შუაზე აქვს. მარჯვნივ

1 სანახაში

მკითხავი ღდა თებრო

მკითხავი ტახტზე ზის მოკეცილი. თეთრი ტანისამოსი აცვია. კალთაში გახსნილი კარბადინი უდევს და ჩასცქერის. გვერდით დიდი თასი უდგას, წყლით სავსე. თასს გარშემო წმინდა სანთლები ურკვია, გამჭრალი. ტახტზედვე უწევია ზოთღები და შეშები წამლებით. თებრო შორი-ახლო სდგას.

მკითხავი. თებრო, მრდი ახლო. (აქეთ-იქით იხედება) ხომ არაეინ არ არის ოთახში?

თებრო. არაეინ. კარებიც დაკეტილია.

მკითხავი. ხალხი არის ვინმე?

თებრო. კლდეა აღარ არის, კარებზე იმოდენა ხალხი მოგროვდა. ოცზე მეტი ქათამი და ინდაური მოუყვანიათ, ზოგს კვერცხები.

მკითხავი. სულელო! რამდენჯერ მითქვამს, ქათამი და ინდაური დაუშალე-მეთქი, უთხარი, არ გასჭრის-თქო. საქმე ფულია. ჩვენთვის ფულია საჭირო. საიდგან სად მოვსულვართ. წმინდა სანთელსაც რომ ბლომად მოიტანდნენ, ისიც კარგია, ისიც ფულია. ვისაც წმინდა სანთელი არა აქვს, არ მიიღო, უთხარი, ხატი გაგვირისხდება-თქო. რაც სანთლები გვაქვს, გაიტანე და თუნდა შაურად ექვსიც მიეცი, არაფერია, ისევე ჩვენთან მოვა ის სანთლები. მაშ ბევრია ხალხი?

თებრო. ძალიან ბევრი გახლავს. ამიტყდნენ, ჩქარა შეგვეშვი, უნდა ეკითხვირთოთ: მე უთხარი ჯერ ლოცულობს-მეთქი, ცოტა დაიცადეთ.

მკითხავი. კიდევ ვერ შეიტყე იმ კუტის ამბავი?

თებრო. როგორ არა. აქაურ გოგოებს სულ გამოგვითხე.

მკითხავი. (სასტიკად გადახედავს) ისე კი არა ქნა, რომ გაგვიგონ და ესტიბარი გაგვიწყდეს.

თებრო. არა ბატონო, რას შევამჩნევიებ. თქვინ შეგირდს აბა რალა სწავლება მინდა! მე ისე სიტყვას გადაეკრამ ხოლმე, და მოჰყვებიან ფქვას. მთელი ამ სოფლის ამბავი მიაშხეს, ვის რა შური აქვს ერთმანეთში, ვინ რით არის ავად. წელან ხომ მოგახსენეთ იმ დედაკაცების ამბავი და ორი ძმისა. მაგრამ კუტისა მითხრეს, რომ შემოდგომაზე ხარები დაეპარგაო. ტყეში ბევრი ეძებნა და ვერ ეპოვა, მერე დაღალულს დასძინებოდა. მეორე დღეს მგზავრებს ეპოვათ და სოფელში ჩამოეტანათ.

მკითხავი. კარგია. ეგენი მე ყველაფერი ვეცი, უური მარჯვეთ გეჭიროს, რაც გაიგონო, იშწამსვე მანიშნე.

კარების კაკუნი



ქართველთა
მწიგნობართა კავშირი

თებრო. კარებს აბრაახუნებენ, გაულო თუ არა?

მკითხავი. იკითხე, ვინ არის და ჯერ კოტა დამაცადეთ.

თებრო. (კარებს გააღებს, გაიხედავს და გამოობრუნდება). მე რომ მოგახსენეთ, იმ უშვილო კნიაზების ვოგოა.

მკითხავი. გაუღე მარტო იმას.

თებრო. (გაუღებს კარებს). შემოდი.

2 სანახაში

იგინივე და ლამაზისეული

მკითხავი. (თასს დაშტერებია. თითოთ რაღაცას აკეთებს). პოი, მიწად მოვლენილო ანგელოზო! ანგელოზო ბედნიერებისა და სიხარულისაო! შენ მოუვლენიხარ წმინდა თედორეს, რათა შენი პატრონები გაახარო უშვილობით დამწვარ-დამწარებულები! მომიახლოვდი და წაუღე იმათ სასიხარულო ამბავი.

ლამაზის. (იქით) დიდება შენთვის ღმერთო! ჯერ სახეზე არ შემოუხედნია. და როგორ გაიგო. ვინა ვარ და რისთვის მოვსულვარ (თებროს) შეიძლება მიუახლოვდე?

თებრო. ჯერ საწირავი უნდა მიართო, სანთლები და მერე...

ლამაზისეული. მე ხომ აქ არ მინდა ვაკითხვინო, თან უნდა წავიყვანო.

მკითხავი. (მოიხედავს). რა გინდა, შვილო?

ლამაზის. (კანკალით). ბატონებმა შემოგითვალეს, თუ შეიძლება, აქ გადმობრძანდითო, უნდა ვაკითხვინონ.

მკითხავი. ძალიან შორსა სდგებართ?

ლამაზის. აქვე ახლო გახლავართ, სამი კალოს იქით.

მკითხავი. იქ რომ წამოვიდე, შვილო, და ძალა არ გამოიჩინოს ხატმა? აქ უნდა მოვიდნენ, კანონი ესეა.

ლამაზის. აქ მოვიდოდნენ, მაგრამ ქალბატონს არ შეუძლიან, კიბიდან ჩაჩამოვარდა და გვერდები და ყბა იტკინა.

მკითხავი. (ღიმილით). მართლის თქმა გყვარებია. აი, შვილო, წყალში როგორა სჩანს გვერდები და ყბა, ყბა და გვერდები.

ლამაზის. (დააშტერდება წყალს). დიახ, დიახ, სჩანს თუ შეიძლება, ძალიან ჩჩარა უნდათ...

მკითხავი. აბა, ამოტენა გაჭირვებულ ხალხს რა უყო, შვილო? აქ მოვრჩები და მერე ვადმოვალ.

ლამაზის. ოღონდ მალე წამობრძანდით და უკითხეთ, რასაც უბრძანებთ, მოგცემენ.



მკითხავი. (იჩით). ეს ძალიან ტუტუცი ჩავიგდე ხელში! (იმას) რა ნაღველი აქეთ იმისთანა, რომ ამდენ ავადმყოფს თავს მასხინებს და საჩქაროთ მიბარებენ.

ლამაზის. რა ვიცი. ხომ იცი, უშვილონი არიან...

მკითხავი. ეგ ხომ უშენოდაც ვიცი, რომ შვილი არა ჰყავთ.

ლამაზის. (გაკვირვებული იჩით) რა ექნა, საიდან გაიგო! (იმას) მაშ ისიც გეცოდინებათ, ქალაქში რომ მკითხავს აკეთხინებს და ეთქო, თელეთი ილოცეთო!

მკითხავი. მაშ ჩემო კარგო, ჩვენი ხელობა რა არის? პურს მაგითი ვკამ და ეგ როგორ არ გეცოდინება? აი, შვილო, ჩაიხედე ჩემს კარაბადინში, ეს ყველაფერს შეუბნება.

ლამაზის. თელეთში რომ ვიყავით, ისიც იცი?

მკითხავი. გეუბნები, შვილო, ჩვენი ხელობა ეგ არის-მეთქი! მაგითი ეცხოვრობთ, მაშ არ გეცოდინება?

ლამაზის. (იჩით) გენაცვალე, დედავ, ეს რა ყოფილა! (იმას) მაშ მალე წამოხვალ?

მკითხავი. როგორც აქ მოერჩები ხალხს, იმ წამსვე წამოვალ.

ლამაზის. მაშ მე წავალ. თქვენ კალოზედ გამოიარეთ, ჩვენი სახლის გვერდზე ორმოა, არ ჩავარდეთ. (მიდის).

მკითხავი. კარგი, კარგი. ღმერთმა უშველოს, ეს რა სულელი გოგო შემბვდა ყველაფერი გამაგებინა.

3 სანახაში

ივინივე და ხალხი

თებრო. შეიძლება გაულო კარები.

მკითხავი. გაულე (დაიწყებს ტუჩების ცმაცუნს, თან წყალში ჩაშტერებით იყურება. ხალხი გროვად შემოვა, ყყანით, და შორი ახლოს დადგება).

თებრო. (ხალხს) ჩუმად იყავით, თორემ განრისხდება. თითო-თითოდ მოდით.

მკითხავი. (ხორბალს ჰყრის წყალში და ამტერდება, ჰადაგად დაეცემა და შეჰყვირებს) მანებელნო! არა სულნო! ბოროტნო! მედგარნო! გამშორდით! გამშორდით! წყეულიმც იყავით ცით ქვეყანამდის! არ იხაროთ არცა სააქაოს, არცა საიჭიოს! მოსწყდეს თქვენი გასაგისი! შესწყდეს წყარო ბოროტებისა! დაგლახეროთ! დაგშაშროთ. გული გაგიპოს ლახვარმა წმინდა გიორგისამ, რომ თქვენით არ იტანჯებოდეს ხალხი. არა სწყდებოდეს, არ უძღურდებოდეს! არ იავადოს და ცხოვრობდეს ბედნიერებაში! წმინდა სტეფანე, თევდორე, ესტატე. ექვთიმე, ზურაბ, გოგია, სამას საშოცდა საშნო მოციქულნო დე-



გვირგვინოსანო! განდევნეთ, შემუსრეთ ბოროტებნი, ქუთუმი-
ლად იცხოვროს ამ ხალხმა ცოლით, შეილითვე დაჰყუყუებთ!
(ხშირად ჭაქანებს. მერე თავს ხელზე დასდებს და დაისევინებს.
წყალს ჩაჰყურებს. მიწურულის ხმით) რა არის, შეილო, ამდენი ბო-
როტება, დაუნდობლობა, მტრობა, შური! ძმა ძმას არ ინდობს და-
სალუპად, ნათესავი ნათესავს, რძალი რძალს, მამა შეილს. ამა
ლმერთი რა კეთილს მოგცემთ! დიდი ვედრება მართებს ამ სოფელს.
ლმერთი განრისხებულია თქვენზე! ვერ გიკითხავთ, ხატი დამ-
ლახვრავს.

ხალხი. (ერთად) შეგებაბრალე, ამოტელა ხალხს ნუ დაგვლუპავს და შენ
რაც გინდა, ის მოგვთხოვე.

მკითხავი. რა ვაეწყობა. თუ ხატი არ შემრისხავს, ვთხოვ. აპატიე, წმინ-
დაო ზურაბ შეცოდებანი შენის სამსახურისთვის.

თებრო. ამა თითო-თითო მოდიო.

მართა. (წინ წამოდგება. ხელში ჭათამი და კვერცხები უჭირავს) აი, ბა-
ტონო, საწირავად ეს მიიღეთ, ფულზე ნაკლებათ გახლავართ.

თებრო. ახლა რომ არ გასჭრას, იტყვიო, ასე და ისეო. ფული უნდა მოგე-
ტანათ. (ჭათამს და კვერცხებს გამოართმევს და ელისაბედს ჩემად)
ორივე რძალი აქ არის.

მკითხავი. (თებროს). ვიცი. (ჯერ კარაბადინს გადაფურცლავს. მერე
წყალს უყურებს). სანთლები გაასწორეთ.

თებრო. (თასზე მიკრულ სანთლებს ტყუილად ასწორებს).

მკითხავი. (წასჩურჩულებს). ნივთები რომ დაუქარგავს ეს არის?

თებრო. (მითომ სანთლებს ასწორებს). დიახ. თავის რძალს აბრალებს.
სხვებმაკა სთქვეს, იმასა აქესო (მარჯვნივ დადგება).

მკითხავი. (წყალში იყურება) ორი რძალი, ორი მტრედი, ერთად ღულუ-
ნით უნდა ცხოვრობდნენ. რათა გაქვთ, შეილო! შური, მტრობა ეოთ-
მანეთში? (წყალში თითს უქნევს) შენ არა ხარ კარგი დედაკაცი!
(შეუტევს) არა ხარ-მეთქი! რა ხელი გაქვს, რომ ამის ზანდუკთან
დაფუსფუსებ?

მართა. (გახარებული პელაგას). ეხლაც იტყვი, არაო? ეხლაც იტყვი, არაო?

პელაგა. (შეშინებული აკანკალდება) ისე შენს გასავისს გაუხარია, რო-
გორც შენ მართალი იყო! (წინ წადგება, მკითხავს) მე უფროსი რძა-
ლი გახლავარ...

მკითხავი. (ვითომ არა იცის რა) ვისი რძალი?

პელაგა. (მართაზე). მე და ეს რძლები გახლავართ! ძვლები გაუჩნდეს ამას
თვალეში!

მართა. ძვლებიც გაგიჩნდეს და ქვლებიც!

პელაგა. აი შე უმსგავსო! შე მურია ძაღლო!

მართა. აი შე ჭაჩალო შენა!



- თებრო. აქ ჩხუბი არ იქნება, დუქანი რომ არ არის?
- ხალხი. კარგით, ადამიანებო, როგორ იქნება... არ გააფრთხილებს...
- პელაგა. დედამთილი რომ გარდაგვეცვალა, იმისი ნივთები...
- მკითხავი. (გააწყვეტინებს) რა საჭიროა, რომ არ მიამბო...
- მართა. (დაცინვით) ძალიან ასწავლე, შენმა დღეგრძელობამ!
- მკითხავი. ის ნივთები სულ აქ არის. (წყალში აჩვენებს) ჩახედე! ჩახედე: შენ საქმაოდ გრგებია, მაგას რაღათ ეცილებოდი? წადი ეხლავე და მორიგდით სერცხვილია.
- პელაგა. ბატონო, ახლა მეც გამიგონეთ...
- მართა. წამოდი ეხლავე. ჩამაბარე ჩემი ნივთები, თორემ ისე დაგაწყვე-ლინებ, რომ გასაგისით არ ავშორდეს. ეხლავე მგლის კოქს დავსწვამ.
- პელაგა. მე ჩემი დედამთილის ნივთები მაქვს, შენი არაფერი არ ვიცი.
- მართა. ეხლა არა სიტყვა, რომ შენ ჩემი ნივთები ამოვიღია?
- პელაგა. დიხაბაც ამოვიღე, მაგრამ ის შენი არ გახლავს, ჩემი დედამთილისაა.
- მართა. ისმც მიეწიე შენ დედამთილს და ორივენი აძალდით... (ხელს წააგლეხს) წამოდი, ეხლავე მომეცი, თორემ ვეტყვი ჩემს ქმარსა და სახლს თავზე დაგანგრევთ.
- პელაგა. მე კი ვერ ვეტყვი ჩემ ქმარსა, რომ ამოტელა ხალხში ქურდიზას მამრალეზ და თავი მომჭერი.
- მართა. (მივარდება) წამოდი ეხლავე-მეთქი. შე ქაჩალო შენა. ფისი რომ გაკრავს თავზე!
- პელაგა. შენ კულულ დალალებიც გვეყოფა! ჩუმით, თორემ... გახსოვს ლუკაია მებაღე? ეხლავე ქვეყანას შევატყობინებ.
- მართა. (იბლაუჭება) ხმას ჩაიკმენდავ თუ არა?
- თებრო. ხალხო! რას უყურებთ? გაიყვანეთ, თორემ (მკითხავზე) გაჯავრდება.
- პელაგა. (ბუწუწებში მივარდება) შე შახტიავე. შე წუწყო!
- ხალხი. (ხელს მოხვევენ და წივილ-კივილით გაჰყავთ).

4 სანახაში

- ივინივე და კუტი. ორ კაცს შემოაქვს და წინ, სცენაზე, დასვამენ.
- მკითხავი. (წყალში იყურება და ხორბალსა ჰყრის) უღელ ხარს, შვილო, რაზე აკლავდი თავს? უი, უი, სად გდებულხარ იმ კლდეებში? რატო ნადირმა არ გაგაფუჭა! რა მიზეზი გამოგსელაა. ში საყოფაო? (შეუტევს) ხატი არ გასხოვთ და ეგ იმან იცის, თორემ ტყეში ვის არ უღლია! (ხალხში ჩორჩოლი და გაცვირვებით თავის ჭიკია. კარბადინს კითხულობს) მიზეზით დაკუტებულისათვის, დასაზელი წამალი: ლენცოფა, გვარჯილა და დამწვარი თხილამურა ერთად შე-

ზელხლი დასაღვეად: ძმარნარევი ნიორ-წყალი. საქმელები: თხლის შექამადი, ხალიფაფა და ხირხიტო. ტანზე დასადებად: მუდუნეფულ დოში ამოვლებული ვაზის ფოთოლი და თავზე ტყეშლის ტყლაპი. ოფლისათვის: პიტნის ჩაი და ლოლოს წვენი. (თებროს) ორი შუშა კარგი წამალი მიეცი. (ჩუმათ) ქიშიშის წვენი რომ არის, ის მიეცი და სამ მანეთზე ნაკლები არ გამოართვა, უთხარი, უებარი წამალია-თქო. (იმათ) მარტო წამალი არას უხამს: თავი და თავი მიზეზია წმინდა თვედორესი. სამი ღამე უნდა უთიოთ, თორმეტ-აბაზიანი ცხვარი უნდა მივართვათ, ათი შაურის სანთელი და ექვსი აბაზიც ღვდელსა. (თავისათვის) ჩემი მეგობარი ღვდელია, ნახევარს გამოყოფს ხოლმე, მეც სულ იმასთან ვერეკები ხალხს. (იმათ) სანთელს აქვე მოგყიდით, ნაკურთხი სანთელია. თუ ამას აასრულებთ, მოგიჩრჩებათ.

ორი გლეხი. ავაშენოს ღმერთმა! ვალში ჩავდებებით და მაგვებს კი ავასრულებთ (კუნტი გააქეთ).

თებრო. (იმათ) სანთლებისათვის გამოგზავნეთ ვინმე. (მკითხავს) ჯერ ათი შაურის სანთელი არ მოგროვებულა.

მკითხავი. რა მოგცეს?

თებრო. სამ უზალთუნი და სამიც წამლისა.

5 სანახაში

იგინივე და სოფლის გოგო

გოგო. (ზელში სამი კვერცხი უჭირავს, წინ წამოდგება) ამისი მიკითხეთ!

თებრო. აბა ამისი რა უნდა გიკითხოთ? ფული უნდა მოიტანო.

გოგო. დედამა არ დამეხოცება, ერთი აბაზის მეტი არა მაქვს. გუშინ ორი წყვილი წინდა გავყიდე. (აძლევს ფულსა და კვერცხებს) აი ესეც.

მკითხავი. (თებროს) არა უშავს რა, გამოართვი. (წყალში იყურება) მერე გოგოს რამდენჯერმე შეხედავს ორი ერთმანეთთან შორი-აბლოს... (უცბად შეხედავს გოგოს ტუქსვით) რა დროს შენი ეგებია, ჯერ მიწას არ ასცილებიხარ! ვინ არის, ეს შალის ჩოხა რომ აცვია?

გოგო. (შემკთალი) სესიკიანთ დათუა გახლავს.

მკითხავი. მერე, რას ავღვენებია? ყმაწვილ გოგოს თავი ეგრე უნდა გეჭიროს? (წყალში იყურება) უი, უი, უი, ეს რეები ჩაგიდენიათ?

გოგო. (მორცხვად) არაფერი, დედამა არ დამეხოცება! იმ დღეს ჩვენებიანთ გომურის კარებში დამიჭირა და ერთი მაკოცა... მიყვარხარო, შეგირთამო. სხვა არაფერი, ღმერთმანი!

მკითხავი. არა, უყვარხარ კია, მაგრამ მაინც თავი კარგა დაიჭირე-თუ სხვა არ შეირთო, შენ შეგირთავს.

გოგო. (ვახარებული) მადლობელი გახლავართ. (ვარეთ გავარდება)

6 სანახაში

ივნივე და კნინა

ქართული
განმანათლებელი

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ქართული

ხალხიდან. (ახლო მივლენ) მე მიკითხე, ჯერ მე მიკითხე, არა, მე მიკითხე მე წინ მოველი, მე მეჩქარება. (დიდი ხმაურობა).

მკითხავი. დამაცადეთ, დამაცადეთ, ყველას გიკითხავთ.

თებრო. (მკითხავს) ერთი კნინაა, თქვენი ნახვა უნდა.

მკითხავი. სადა მცალია იმისთვის. მერე იყოს.

თებრო. ძალიან. საჭირო საქმე აქვს და ეჩქარება კიდევ.

მკითხავი. მაშ მოვიდეს. (ხალხს) ვინც წინ მოვიდა, ჯერ იმას უნდა ეუკთხო, ცოტა უკან დადევით. რა არის ზედ თავზე მადგიხართ? (ტყუილად ჩაიძინებს).

თებრო. (კნინას) ჯერ ცოტა მოითმინეთ, სიზმარშია და მერე უფრო კარგად გიკითხავთ.

კნინა. რა დროს ძილია, მეჩქარება.

თებრო. უნდა სიზმარი ნახოს, უმაგისოთ არ შეიძლება!

მკითხავი. (ცოტა ხანს უკან გაიღვიძებს). ვინ არის?

კნინა. (მოუახლოვდება) დილა მშვიდობისა!

მკითხავი. საკითხავად მობრძანდით?

კნინა. არა, ბატონო, ცოტა საქმე მაქვს თქვენთან.

მკითხავი. აბა, მიბრძანეთ, არა მცალია, ხალხს კითხვა უნდა, ვცდები.

კნინა. (ფულს აძლევს) აი მაგ მოცდენაში ეს აილე და ცოტა ხანს კი ყური დამივადეთ.

მკითხავი. (გამოართმევს ფულს) აბა ჩქარა მიბრძანეთ.

კნინა. დღეს თქვენთან ერთი აქაური თავადის გოგო იყო. რათ გიბრძანებდნენ?

მკითხავი. საკითხავი გვაქვსო.

კნინა. ისინი უშვილონი არიან და ჰგონიათ შვილი მოგვეცემაო...

მკითხავი. (იმედით) რატომაც არ უნდა ეგონოთ?

კნინა. აბა რა სათქმელია, ორმოცზე მეტისანი არიან!

მკითხავი. ეგ არაფერიც არ არის, ვისაც უწერია — უწერია. საქმე წამლობაა.

კნინა. მაშ იმტლია?

მკითხავი. ასე წლისაც რომ იყოს, ჩემი წამლებით შემოძლია შვილი ვაყოლო.

კნინა. (იქით) უი, დამიდგა თვალი! (იმას) მე იმათი რძალი ვახლავარ.

მკითხავი. (იქით) ამას რაღაცა სწადიან, (იმას) მერე რად ირგებოდით.

გენაცვალე, კნინავ? მე აკი უთხარი ვადმოვალ, უკითხამ და უწამლებ-მეთქი. შეიღს კი უთუოდ ვაყოლებ.

კნინა. არა, მაგისთვის არ გიახელით... ეგენი ჩვენი მონახევრები არიან.

6. „მნათობი“ № 5.

- ან... შეილი არა ჰყავთ... მე ბევრი შეილები მყავს...
 მკითხავი. (იქით) გავიგე, ქალბატონო, რაცა გნებაჟნ. (იქით)
 სენეთ, სწორედ იმედია მეთქი.
- კნენინა. თქვენს გასამრჯელოს მოგართმევთ და (ყოყმანობს).
 მკითხავი. ნამდვილად ვაყოლებ, თქვენმა სიცოცხლემ.
- კნენინა. მე მაგას არა გთხოვთ...
 მკითხავი. (თვლით რალასაც ანიშნებს და გაუღიმებს) აბა როგორ შეიძ-
 ლება, თუ კი კარაბადინში სწვრია?
- კნენინა. რა ვუყოთ რომ სწვრია... მე გთხოვთ არ უწამლოთ... შეილს ნუ
 აყოლებთ!
- მკითხავი. მერე სული კნენინაე?
 კნენინა. აი ეს ფული და ნუ უწამლავთ.
- მკითხავი. რა გახლავთ?
 კნენინა. წითლიანი.
- მკითხავი. წითლიანი რა სათქმელია! მაგათი მამული ასი თუმანი მაინც
 არ ეღირება?
- კნენინა. რასაკვირველია, ეღირება.
- მკითხავი. მაშ ერას წითლიანს როგორ მამლევე, რომ სამუდამოდ იმო-
 ტელა მამული დაგინარჩუნოთ? ერთი წითლიანიც უნდა დაუმატოთ,
 ნალკებ არ იქნება. იმათ რომ ვუწამლო და შეილი ვაყოლინო, ათ
 თუმანსაც კარგა მომცემენ.
- კნენინა. აი უკანასკნელი ფული, ერთ ლურჯიანსაც დაუმატებ.
- მკითხავი. ეგ თხოთმეტი მანეთი ეხლა მომეცი, ხუთიც გამომიგზავნე.
- კნენინა. აბა სადა ვიშოვო ხელათ ხუთი მანეთი. გეფიცები, არა მაქვს. თუ
 გინდა თამასუქს მოგცემ.
- მკითხავი. (ღიმილით) კნენინაე! ყინულზე ხომ არ გინდათ დამიწვროთ თა-
 მასუქი.
- კნენინა. როგორ თუ ყინულზე? ღვინოს გავციდით და ჩაგაბარებთ.
- მკითხავი. არა გენაცვალე, აქ თამასუქებს ხელი არა აქვს. ეს ხატის საქ-
 მეა. მეზობლებში იშოვეთ და ეხლავე ჩამაბარეთ.
- კნენინა. თუ ვერ ვიშოვი, კოტა უნდა დამაცადოთ. (ჩურჩულებენ).

7 სანახაპნი

იგინიე, ხირაჯი, გიგლა და აბრამა

ხირაჯი. (ორ გლესს მოათრევს ყვირილით. ორივესთვის საყელოში ხელი
 უვლია. შეიარაღებულია ხანჯლით, ხმლით და წინ ქამარში ორი
 დამბაჩა ურჭვია. აქეთ-იქით ყელზე ყაბალახი) აქ მოდით, თქვე ქა-
 რამზადებო, რას ვიშვრებით! ვნახოთ, ეხლავე, ვაიგებნ თუ არა, რა



აეზაჯობაც ჩაგიდენიათ! (ყვირის) აქვე სისხლი უნდა დაეღვროს, სისხლი!

გინჯაქვედგეგროს

აბრამა. ალავ! აქ რას შემოგვათრიე, ნუ დაგვაწყვევლინებ, წაიღეთ, როგორც გნებავთ, ისე მოგირიგდებით. შეხი ღვთის გულისთვის. (გულზედ ხელს ადებს).

სირაჯი. (შემკრთალი). ხელი იქით წაიღე, ხელი! ვერა ხედავ, ინდაურო, დამბაჩა გატენილია! არ გავარდეს!.. მე თქვენ გაჩვენებთ!

გიგლა. ალა! ღმერთი, რჯული მოგირიგდებით, როგორც გინდა.

სირაჯი. ხმა! ხმა, თორემ ვიდრე იარალი! აქ უნდა პირი გაგიშავოთ, თქვე ჩამოსახრობებო, თქვენა! (მკითხავს) დედი! უღელი ჩოჩორი დავკარგე, ხელათ უნდა მიკითხო, ჩქარა!

თებრო. (სირაჯს) ხომ ხედავ, არ სცალიან? ჯერ კნენას ელაპარაკება.

სირაჯი. რა დროს კნენაა, რას ამბობ? უღელი ჩოჩორისათვის ახლა კნენა-ზობა სად ვიშოვო?

მკითხავი. (კნენას) როგორც ბრძანეთ, ისე იყოს.

კნენა. მაშ იმედი მექნება. (მიდის ჩქარა).

მკითხავი. (სირაჯს) რა გინდა, შვილო?

სირაჯი. ხელათ უნდა მიკითხო, უღელი ჩოჩორი დავკარგე, რა იქნენ ის ოხრები?

მკითხავი. რა ჩოჩრები?

სირაჯი. ვა! ჩოჩორი არ იცი რა არის? ვირის შვილი რაღა?

აბრამა. სამაგიეროს მოგართმევთ, ოღონდ ნუ აკითხვინებ, ალავ!

სირაჯი. კრინტი, თორემ აქვე აკეუწამთ! (შეუტევს) ჰა ამოვიძრო ხმალი და ხანჯალი? (მკითხავს) ტაქცია ერთი აბაზი არ არის?

მკითხავი. ერთი აბაზი რათ იქნება! მეჩე სანთლებიც არ მოგიტანია!

სირაჯი. (ჯიბიდან ფულს იღებს) სანთლები არა. ახლა მაშხალები! (ფულს აძლევს) აჰა. მანეთიანია, სანთლისაც აქ არის და საკმელისაც. სხვაც უნდა მიკითხო. ოღონდ რიგიანდ უნდა მიკითხო თორემ ამით ეხლავე შენ წინ თავებს დავაყრევინებ.

მკითხავი. (სირაჯს) ეგენი შენი რა არიან?

სირაჯი. (წყენით) რა არიან! მამიდაშვილები! იარაღზე ვერ გვატყობ, რომ მე სხვა ვარ და ესენი სხვანი? აქაური მუციკები არიან! ამით ებარათ ჩემი ჩოჩრები. ჯერ ეგ გამიგე, სხვაც უნდა გკითხო.

მკითხავი. (წყალში ქერსა ჰყრის და აკვირდება) ეს საით მიჰყავთ? საით მიჰყავთ? ვისი საქონელია, რომ მიჰყავთ! პატრონს რა პასუხს აძლევთ? ანაბარს ეგრე ინახავენ?

სირაჯი. (შეუტევს გლეხებს) აკი არსაით არ წაგიყვანიო?

აბრამა. ვენახს იქით არ გაგვიცილებია...

მკითხავი. (აბრამას) მაშ თავლიდან რომ გამოიყვანე, საით მიგყავდა ღობის ძირას?

აბრამა. მე ეს არის ეხლა მოველი ჭალაქიდან, ვირები სამი დღე არის, დაკარგულან.

მკითხავი. (გაასწორებს) მერე შენ ვინ გეუბნება, მეორეს ვინ ვეუბნება სირაჯი. (აბრამას დაციხნით) შენი თავის მზემ, ძალიან ასწავლე, ვერ გაიგებს, როდის მობრძანდი ჭალაქიდან, აი!

მკითხავი. (წყალში იყურება) მეორეც, საით მიგყვანდა?

გიგლა. ენახში მიმყვანდა.

მკითხავი. იმ დღეს წყალიც დააღვივინე.

გიგლა. შე დალოცვილო, ქორები ხომ არ იყვნენ, უწყლოთ გაეძლოთ! წყალს ყოველ დღე ვალევივინებდი.

მკითხავი (სირაჯს) შენი საქონელი მაგასა პყავს, რაც გინდა, ის უყავი. თუ არ ჩავაბაროს, შემატყობინე, ესე დავკლანკამ, როგორც წმინდა სანთელი.

გიგლა. თქვენი რისხვა არა მქონდეს, არ ვიცი რა იქნენ, გეფიცებით.

სირაჯი. (გაბრაზებული) ოხ — მეც! ხელათ დამბაჩას ვავადებდი, მაგრამ ვაი თუ სხვას მოხვდეს. შე პარამზდაც, შენა!

მკითხავი. სხვა კიდევ რა გინდა, შვილო?

სირაჯი. ამ არამზადებისაგან ორი ქვევრი ღვინო ვიყიდე; ერთი თეთრი, ერთი კუპრივით შავი ღვინო. წასაღებად მოვედი, ვხედავ ეს შავი ღვინო ისეთია, როგორც ბროწეულის წვენი! გადაბრუნდაო! რა ეშმაკებმა გადაბრუნეს. ერთი ეს კლეოზნიკობა სწორედ შემიტყე.

მკითხავი. (წყალში იყურება). ეს ერთი ქვევრი კედლის პირდაპირ არის, მეორე კუთხისკენ.

სირაჯი. (გააწყვეტინებს გლეხებს) მართალს ამბობს თუ არა! ნამდვილად ვერ გაიგო, აი!

გლეხები. მართალი მოხსენებაა. კედლისკენ წითელი ქვევრია.

მკითხავი. წითელს გეუბნები მამ!

სირაჯი. (დაციხნით) აზირ, რომ ასწავლის? ვაი შენი ინდაური თავი...

მკითხავი. (წყალს დააკვირდება) ეს რომელია? ეს რომელია?

გიგლა. (აბრამს) ბიჭო, გამოტყდი, რა ღმერთი ვაგიწყრა, ემანდ ჯადო არ გვიყოს!

მკითხავი. ხელში ეს დიდი რაღაც რომ გიქრავს, დოქივითა...

გიგლა. (აბრამს) ბიჭო, თავს წუ იჭრ, თქვი.

აბრამა. აიღე, რათ გინდა რომ აკითხვინებ? აკი მოგახსენე, ნიაღვარი შემოვარდა მარანში-მეთქი, ქვევრშიაც ჩასულიყო... ფულს დაგიკლებთ, ოღონდ მოერიგდეთ.

სირაჯი. ჯერ დაიცა, თითონ ვაიგებს, რა ნიაღვარიც არის.



მკითხავი. (წყალში იყურება) ბიჭო! ბიჭო! რას ჩადი? რას ჩადი? ლენო ამოიღე რამდენიც გინდოდა, საწყალ პატრონს რომ წყლით ამსებ და ლენოს უხდენ?

სირაჯი. (შეპყვირებს) ნიაღვარია?! ჩქარა ჩემი ოცდაათი თუმანი დამითვალეთ, ლენოებიც შტრაფში უნდა ჩამომიტანოთ თქვენის ურმით.

აბრამა. ეგრე არ იყო, მე და ჩემმა რჯულმა!

სირაჯი. კიდევ არა სტყდებით? ჩქარა ჩემი ოცდა ათი თუმანი.

აბრამა. რა ვქნათ, მოვრიგდებით, როგორც იქნება, ოღონდ ჯადოს ნუ გვიზამს.

სირაჯი. კრინტი მეთქი! (ძალიან ყვირის) ხალხო, განზე, უნდა ხმალი ამოვიღო.

ხალხი. (ჩოჩქოლი) კარგია, ალავ; თუ ღმერთი გწამს... (ეხვევიან, ვითომ აშველებენ, ერთმანეთს აწევიან)

სირაჯი. პა, ვიღებ ხმალს განზე იყავით, განზე! ძალიან გაჯავრებული ვარ. (ხმაურობა).

ფარდა

მესამე მოქმედება

პირველი მოქმედების სცენის მოწყობილება

1 სანახაში

ფარდა აიხდება. ლუარსაბ ჩამოშვდარიან თავის ტახტზე, დარეჯანი გვერდით უდგას ლუარსაბს დარეჯანისთვის წელზე მარჯვენა ხელი მოუხვევია უსიტყვოდ არმოყოფენ. დარეჯანი ცხვირპირსა და ნიკაპზე ხელს უკაცუნებს და ღიმილით ენახება. ლუარსაბს პირი დაუღია და ღრვით შესტერის დარეჯანი გულში უღიტინებს, ლუარსაბი იგრძობს და იცინის. სცენა სამს წამს.

2 სანახაში

იგინივე და ლამაზისეული

ლამაზის. (შემოვარდება) არიკათ, ბატონებო, მკითხავი.

ლუარსაბ. (უტბად ტახტიდან წამოვარდება, დარეჯანს დაეჯახება და წააბარბაცებს, თითონვე შეიკავებს).

დარეჯან. (შიშით შეპკივლებს) უი-მე, გენაცვალეთ!

ლუარსაბი. (შეშინებული ლამაზისეულს უჯავრდება) ო-უ! რა ნაირი გლარჯანი შემოიტანე! გულეები დაგვიხეთქე! (გულზე ხელს იდებს და ქაჭანებს).

დარეჯან. გოგო! ეგრე შეშინება რაღაა?! გული გადმომივარდა! (თავის ტახტზე დაჯდება).



ლამაზის. რა გქნა, მაშ არ მეთქვა, მკითხავე მოდის მეთქი და მერე წავლენო-
მერე უნდა იცოდეთ, რა სასწაულებს ჩადის. ხუთს ცოცხლებს, ხუთს ცოცხლებს, ხუთს
ცოცხლებს, ხუთს ცოცხლებს, ხუთს ცოცხლებს. ჩემი თვალის წინ ოთხ-
მოცი წლის ბებერს შევილი აყოლა.

ლუარსაბ. (თავისთვის) ვაიმე, დედავ, რას ამბობს! კვდრები გაუცოცხ-
ლებიაო. მაშ კაცის ხიკვდილი იმისთვის უფრო ადვილი იქნება. ეს
რა წყალში ჩავეარდი! დარეჯან, შენი ტყბილი სულის ჭირიმე, ჩემ-
თან მოდი, თორემ მეშინიან. თუ არა და მე იქ-თ ოთახში შევალ-
და შენ დახვდი...

დარეჯან. ეს ამბობ ადამიანო, ორივენი აქ უნდა ვიყოთ. მარტო რო-
გორ უნდა დამაგდო ამ კუდიან დედაკაცთან?!

ლუარსაბი. რა გქნა, შენი ჭირიმე, დარეჯან, სული ტყბილია. ძალიან მიუ-
ვარხარ, ღმერთმა ხომ იცის, მაგრამ... ორივენი რომ ერთად არ
დავიხოცნეთ, ერთი მაინც გადავრჩეთ, დამმარხავე არავეინ გვეყო-
ლებას...

ლამაზის. რისა გეშინიანთ, ბატონო! მართალია, შეუძლიან ჯადოთი კაცი
მოკლას, მაგრამ თქვენ რას გერჩით. თქვენგან ფულის იმედი აქვს.
ისეთი კარგი დედაკაცია, რომა... მე აი ესე პირში ველაპარაკე-
ბოდი...

ლუარსაბ. როგორ? პირდაპირ?

ლამაზის. დიას!

ლუარსაბ. მერე ვერაფერი შეატყვე?

ლამაზის. რა უნდა შემეტყო, ისე ტყბილად მითხრა, რა გაეწყობა, ეხლავე
წამოვალაო.

ლუარსაბ. შიშით კი არ მეშინია, მაგრამ, დასწყველოს ღმერთმა, რაღაც
კანკალმა ამიტანა... კვდრებს აცოცხლებსო... რა ვიცი...

ლამაზის. არა, ძალიან კარგი ადამიანია... მაშ წავალ და გამოუძღვები,
აქვე კალოზე მოდის (გაიქცევა). დალაღმე, დალაღმე, გოგოჯან!..
დარეჯანი. (ტახტზე მოიკეცავს, შიშით კანკალებს. სიჩუმე).

ლუარსაბ. (მოკეცილია ტახტზედ, და ეშინია).

დარეჯან. (ლუარსაბს გადახედავს).

ლუარსაბ. (მიმიკით ანიშნებს, მოდი, ჩემთან დაჯექიო).

დარეჯან. (მიმიკითვე— არა, შენ ჩემთან მოდიო).

ლუარსაბ. (ყელს უწევს და გულზე აჩვენებს, მეშინიან, შენ ჩემთან მო-
დიო).

დარეჯან. (აგრეთვე თავისკენ ეწევა. სცენა სამ წამს გასტანს).

3 სანახაში

იგინივე და კნინა



კნინა. (შემოდის) სალამო მშვიდობისა.

ლუარსაბ. }
დარეჯან. } („შეშინებულნი ტანში გაიმართებიან, უკან არ იხედებიან).

კნინა. (თავისთვის) ჯა, შვილის ყოლის იმედი რომ მიეცათ ეხლა გახდნენ უმძრახები! ნეტა ვიცოდე, რა მოსჩვენებიათ. იმასაც ვნახავთ, რა შვილი ეყოლებათ!.. (ლუარსაბისკენ წავა) ყმაწვილო, რა გაქვთ საკითხავი, რომ...

ლუარსაბ. (ხელების ქნევით გააწყვეტინებს, არ იხედება) იქით, შენი ჭირიმე იქით წადი, დარეჯანია ორსულად, მე ხომ არ ვარ!

კნინა. (თავისთვის) რა ვქნა, რა ღმერთი გასწყრომიათ! (დარეჯანისაკენ წავა) დარეჯან, რა დაგმართვიათ, რომ...

დარეჯან. (ხელებს გაასავსავებს) იქით, იქით ღვთის გულისათვის! შორიდან როგორც გინდა, ისე შეგვილოცე, ახლოს ნუ მეკრები.

კნინა. (თავისთვის) დიდება შენთვის ღმერთო, დაგიქდნენ, თურა ამბავია! ეს ცინგლიანი ლუარსაბიც რომ თავს მარიდებს! მეხი კი დავაყარე, ჩემი კუტით არის გამოზრდილი! (ლუარსაბისაკენ წავა) ნეტა რას შემდღურებიან! უშვილობა ღვთის ნებაა, მე რა ვქნა, ჯა! (ლუარსაბს მკლავზე ხელს წაავლებს) ყმაწვილო, არ იტყვი...

ლუარსაბ. (უტბად შეღრიალებს) ვაიმე, დედავ, მოეკვდო, მიშველეთ! (წამოფრინდება ტახტიდან და თავის ოთახში შევარდება).

დარეჯან (იმავე დროს შეჰკვივლებს) მიშველეთ, გენაცვალეთ! (ტახტიდან ჩამოვარდება, გაიქცევა და კარებთან წაიქცევა).

4 სანახაში

იგინივე და ბარბარე

ბარბარე. (შემოვარდება) რა იყო, გენაცვალეთ, გული გადმომიბრუნდა!

კნინა. (დარეჯანს აბრუნებს) ჩქარა, ბარბარე, წყალი!

ბარბარე. უი, დამიდგეს და დამიბნელდეს თვალები! რა მოუვიდა, მითხარით? ქალბატონო! ქალბატონო! გენაცვალე!..

კნინა. ჩქარა მეთქი წყალი!

ბარბარე. სილა გაართყი და ყურები აუწიე გული გადაჰფერებია (ოთახში დატუტუნებს, წყალს ეძებს, მერე გარეთ გავარდება და ლიტრას შემოიტანს).

ლუარსაბ. (კარებში თავს შემოჰყოფს და დაიყვირებს) ლავიწები აუწიეთ, ლავიწები!

ბარბარე. (იატაკზე დაჯდება და მუქით პირზე წყალს ასხამს და რეჯანს) ქალბატონო, გენაცვალე, რა იყო? რა მოგივიდა? გაქვს, გენაცვალე!..

კნეინა. რა მოუვიდა და შემოვედი, ცოლი და ქმარი აქ ისხდნენ, დაიკვილეს ერთი აქეთ ეცა, მეორე იქით.

ბარბარე. უი, დამიდგეს თვალები, შეშინებია! (იქით) შენ მაინც ეშმაკის ფეხი გაქვს! (კნეინას) მიშველე, ქალბატონო, ტახტზე მივაბრძანოთ (შრებში შეუსხდებიან და ტახტზე დასვავენ).

ლუარსაბ. ბარბარე! ბარბარე! შეშინებულისა შეულოცე!

ბარბარე. თვალისას შეულოცავ, თვალნაკრავია! (ულოცავს. ამთქნარებს და ტუჩებს აცეცუნებს!)

კნეინა. ბარბარე! ცოტა იქეთ მიდექ, ნიავე მოუვიდეს.

ბარბარე. არა უშავს რა. ეხლა კი მოსულიერდა (თან ულოცავს).

დარეჯან. (ნაზად) ეს რა მომივიდა, ჭა? მეძინა? ლუარსაბი სად არის?

ლუარსაბ. (კარებიდან უყვირის) აქა ვარ, დარეჯან, აქა! კარგათა ვარ, შენ როგორა ხარ, კუჭისა? (შემოვა და ვიღასაც ათვლიერებს)

ბარბარე. (ლოცვას გაათავებს, სამჯერ პირჯვარს გადაიწერს) აგური გავაცხელო, ქალბატონო?

დარეჯან. არ მინდა, კარგად ვარ. შენ თონეს მიხედე.

ბარბარე. (თავში შემოიკრავს) უი ჩემ თავს! იმოტენა პური სულ ითაფებდა! (გარეთ გარბის).

ლუარსაბ. (პირჯვარს იწერს ასე უცბად სად გაჰქრა ის კუდიანი! ძალიან გადავრჩი ამ!

კნეინა. ვინ კუდიანი, რასა ბრძანებ ჩემო მამლო! მე ვიყავი, რომ არ შემომხედე.

დარეჯან. მაგან გამიხეთქა გული რომ დაიყვირა, თორემ ვერე როგორ შემეშინდებოდა.

ლუარსაბ. (კნეინას) შენ იყავი? (იქით) შენი თავი კი ანგელოზი გგონიხ თუ! იმას თავის დღეში შენოტელა კუდი სად ეჭნება?

კნეინა. თუ ვერე გეშინიანთ, თქვე დალოცვილებო, სახლში რაღას იბარებდით მკითხავს?

ლუარსაბ. (ამყაღ) ჩვენი ნებაა და ვიბარებდით. იმის ხელში უნდა დავიხოცნეთ.

კნეინა. თქვენი ნებაა, რასაკვირველია, მაგრამ, როგორც თავისიანი, მე თქვენ გეუბნებით, რომ ძალიან უხეირო მკითხავია და არც ეჭიმობა იცის, ფულებს ტყუილად გადაპყროთ!

დარეჯან. რა ვქნათ, თუ არა გვეშველება-რა! ჩვენი ნება ხომ არ არის, ხატის ნებაა. ქვეყანა კი ძალიან აქებს, სასწაულებს ჩადისო და!..

ლუარსაბ. (გულმოსული) ჩვენი ნებაა და ვაწამლინებთქვეყნებულს და შენმა ბებრეკმა დავითმა თავში ქვა იეცით! ვერც ვაწამლინებთ ჩვენს მამულზე. ვერა! ტყუილად თავი ნუ გიკედებათ.

კნენია. (თავისთვის) თავიც მოგიკვდათ და ტანიც! (იმათ) რა ვქნა, თქვენ რომ შეილები არა გყვანდით, ჩვენი რა ბრალია! ჩვენ რაღაზედა გეწყევლით?

ლუარსაბ. როცა დაგვატყუეთ, რომ ხატმაც მოგვხედა, მკითხავებმაც ხელი მოგვიწყეს და ჩემი დარეჯანი ფეხშიძიედ არის, ესლა მოგვიხშირეთ ნახვა? (ლაპარაკს აჯაერებს) როგორ მშვიდობით ბრძანდებით, ჩემო რძალო, როგორა ხარ, ჩემო მახლო? (თავისი ხმით) გაგშორდით, გაგშორდით! ჩვენში ჩალა ვაწყვეტილია! თქვენი ძმობა აღარ გვინდა.

კნენია. რა ვქნა, ჩვენ რა დაგვიშავებია თქვენთვის? თქვენი უშვილობა ხომ ჩვენი ბრალი არ არის? ნეტავი ასე მოგივიდეთ, ერთი დუტინი შეილი ერთად გეყოლოთ.

ლუარსაბ. თქვენ იმაში ხართ დანაშაული, რომ მძინარეს არ მისვენებთ და მღვიძარეს. გგონია, დამავიწყდა, იმ დღეს სიზმარში რომ მშარხავდით და შენა და ჩემი ძმა დავითი სიხარულით ცეკვას უვლიდით! (გაჯაერდება) პაი, კვდარი არა ვყოფილიყავ, მე თქვენ გიჩვენებდით ცეკვას! გასწი გამშორდით შვილის ქორწილშიაც კი არ დაგპატყუებთ, მე თქვენ დამაცადეთ!

კნენია. (მიდის) ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, აღარ გავივლი თქვენთან (იქვით) თუ არა გამეწყო რა მკითხავთან, მღვიანბევი ხომ დღეს ჩემსას გადმობრძანდება, დავაჭერინებ იმ მკითხავს და დეე მაშინ უწამლოს! ჩემი თუმანი დაიკარგოს, არა უშავს რა, შვილი ხომ აღარ ეყოლებათ!

დარეჯან. მეზი კი დაგაყარეთ, რა კარგი რძალი და მახლი თქვენა გყავხართ!

ლუარსაბ. (წამოდგება) დარეჯან! თუ ვინდა, გამოუდგები და ბიბრუს ვაქმევ!

დარეჯან. არა გენაცვალე, მავის ქმარს ვილბ გადაურჩება!

ლუარსაბ. მართალს კი ამბობ, აი! ძალიან ღონიერი კია ის ოხერო ჩემი ძმა დავითი! შორგვს ისე აიტაცებს ხოლმე, როგორც ბურთი! ცუდით გამხეთქამს, სადაც კი შემხვდება, აბა, კამბეჩის მამოძულ ხარს, რა რქა შერჩება!



ივანე, ლამაზისეული, მკითხავი და თებროსი

ლამაზის. (შემოვა) მკითხავი მოვიდა.

ლუარსაბ. (შეშინებული) აბა, დარეჯან, გული გაიმავრე, შენ გენაცვალე, რაც მოგვივა, მოგვივა.

დარეჯან. (კანკალებს) მე ყოჩაღათა ვარ, შენ ნუ გეშინიან!

ლუარსაბ. ლამაზისეული! შენც აქ იყავი, ფეხი არ მოიკვალო და ბიჭებს უთხარი, მზად იყვენ, ვინცობაა მოხდეს რამე.

მკითხავი. (შემოვა, კარებთან გაჩერდება, თებროს უკან მიჰყევება) ძერასა ჰკითხეს: შეილება ვირჩენია თუ ორი თვის წყლის უსმელობაო? წყლის უსმელობაო. ჯორსა ჰკითხეს, შენ რაღაო? უსმელობაო. თქვენთვის არავის უკითხავს და რატომ შეილი არა გყავთ, ვინ დაგწყევლათ ვგრე?

დარეჯან. (გაოცებით ლუარსაბს გადახედავს) საიდან გაიგო ესე მალე!

ლუარსაბ. (პირს დააღებს გაკვირებული, მერე პირჯვარს იწერს) კურთხეულ არს სახელი უფლისა! ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ! დედაკაცო! ჩვენ გულში იჯექი?

მკითხავი. (იმათ ყურს არ უფდებს. ლამაზისეულს) ჯამით წმინდა წყალი მომიტანე. (თებროს) შევტარა დანა, ნახშირი და ახალი ხორბალი ამოიღე.

თებროსი. (ბოხჩას გახსნის, ამოიღებს კარაბადინს და სხვა რამეებს).

ლუარსაბ. (დარეჯანს) თუ არ ეშმაკის მანქანება, ამისთანა გუთმისნობა არ იქნება!

დარეჯან. (შეშინებული დგას).

მკითხავი. (ძირს დაჯდება, წყალში ხორბალს ჰყრის და ტყეპნით)

წმინდა გიორგიმ დასწყევლოს
უსმელონი, იმათ სენი!
თქვენ კალთაში უნდა გეხდეთ
ასულნი და ტურფა ძენი.
ეშმაკისგან ხართ შეკრულნი,
უბედურებაა თქვენი.
მაგრამ ეშმაკის ხვანჯს გაუხსნით,
წამი გვინდა, არა დღენი...

(მკლავზე ხელს წაივლებს და კივის) მკლავი!.. მკლავი!.. მკლავი!.. მკლავი!.. მკლავი!.. მუხლები!.. მუხლები!.. (ქაქანებს. მერე აიღებს დანას. ტურებს აცმაცუნებს. მერე წყალს გაუშტერებს თვალს) ქალაქში მკითხავთან ვიკითხეინებიათ, მკითხავიც კარგი შეგხედრიათ, სწორედ უთქვამს, თელეთი ილოკეთო...



- დარეჯან. } (შეშინებული ერთმანეთს უცქერიან).
 ლუარსაბ. }
 მკითხავი. (ტურებს აცმატუნებს და ხორბალს წყალში ჰყრიან) გიქ-
 ნიათ, რომ დაგიჯერებიათ და თელეთში წასულხართ სალოცავად.
 შეგეწიოთ თელეთის მაღლი!
- ლუარსაბ. (შიშით) შენც შეგეწიოს.
 დარეჯან. (ლუარსაბს შიშით) ჩუ, ქა!
 მკითხავი. (წყალს დააშტერდება) მაგრამ...
 ლუარსაბ. }
 დარეჯან. } (უცბათ წასძახებენ) მაგრამ რა?
 მკითხავი. მაგრამ ისა, რომ მკითხავს გუთმისნობა სავსე არა ჰქონია, ცო-
 ტა ჰკლებია! თორემ თელეთი როგორ არ გიშველიდათ, რომ გა-
 მოეცნო!
- ლუარსაბ. (სამდურავით) აკი შენი ბრალიაო, დარეჯან, ადრევე რომ მით-
 ხარი! გამოდის, ჩემი ბრალი არა ყოფილა...
 დარეჯან. დამაცა რა დროს ეგ არის, მე აქ შიშისაგან სული მძვრება: რა
 ყოფილა, შენ გენაცვალე, ეს დედაკაცი!
 მკითხავი. დიახ, მკითხავის ბრალია, იმას რომ მიგნება ჰქონოდა, ეხლა
 შეილი კალთაში გეჯდებაოდათ, რომ...
 ლუარსაბ. }
 დარეჯან. } (უფრო ახლო მივლენ და ჩასცქერიან
 მკითხავი. დიახ, თელეთი გიშველიდათ, რომ (წყალს დააკვირებენ)
 თქვენ სახლში ჯადო არა ყოფილიყო.
- ლუარსაბ. }
 დარეჯან. } (ერთად) ვაი, ადრე და მალე დალუბულო იჯახო!
 მკითხავი. ნუ გეშინიათ, ეხლა ის ჯადო საშიში აღარ არის, მე ხელში
 მყავს.
- ლუარსაბ. აბა, გვაჩვენე, თუ ხელში გყავს. დარეჯან! მე კი ვერ შევბე-
 დავ, მე თვალებს დავხუჭავ და შენ გასინჯე.
 დარეჯან. (შიშით) უი, არა ვეთაყვანე! შენ თითონა ნახე. მე დავხუჭავ
 თვალებსა.
 მკითხავი. ნუ გეშინიათ, განა მართლა ხელში მყავს ჯადო! ჯადო თქვენს
 ეზოშია.
- ლუარსაბ. (უცბათ) სადა, ვეთაყვანე, სადა? არიქა, ბიჭებო, მიშველეთ!
 მკითხავი. თავლას უკან რომ ორმოა, ჯადო იქა დევს...
 ლუარსაბ. (ყვირის) ბიჭებო! არიქა, ბიჭებო! აბა თქვენი ჭირიმეთ, ბიჭე-
 ბო! თუ ბატონის წყალობა გინდათ, ბიჭებო! თუ ჩოხები გინდათ,
 თავლას უკან ორმოა! არიქა, ბიჭებო! თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო!
 დარეჯან. (შიშისაგან გაფითრებული) აქ რომ ჰყვირი, ვინ რას გაიგო-
 ნებს? გარეთ გადი. და გაგზავნე ბიჭები.

ლუარსაბ. არა, შენ გეთაყვანე, დარეჯან, ეხლა კი შენ გეყვები და შერე
თუნდა ორმოცჯერ შე გავალ.

დარეჯან. გადი, რისა გეშინიან, ჯადო ხომ არ დაგახრჩობს?

ლუარსაბ. არა, გეთაყვანე, შენ გადი, რა არის? ეხლა თუ ღმერთი გწამს,
შენ გადი, თუ გიყვარდი...

დარეჯან. არა გცხვენიან, მე, დედაკაცსა, მგზავნი და შენ კი ქუდი გეხუ-
როს და კაცი გერქოს!

ლუარსაბ. რა დროს კაცობაა, რას ამბობ, სახლში ჯადო არისო.

მკითხავი. (ზეზედ ადგება) შე დაუძახებ ბიჭებს, მაგაზედ როგორ და-
ლონდით!

ლუარსაბ. ჰო, გეთაყვა, შენ დაუძახე, ჩვენ ხომ გვხედავ, დავლონდათ.
ახლა ჩვენ ოთახში რომ მარტოკანი დავრჩებით, ხომ არაფერი?

მკითხავი. როგორ არაფერი, ჯადო პირდაპირ აქ შემოკარდება და მით-
მალეობა. აი ჩემ გოგოს გავგზავნი. წადი, თებრო, ბიჭები გგზავნენ
და მალე მოდი.

თებრო. (გავა, ისევ მალე შემოვა).

ლუარსაბ. ჰო, ჰო, გეთაყვანე, შენ ჩვენთან იყავი.

მკითხავი. სანამ ჯადოს იპოვიან, სანამ შე თქვენ შევილოცავთ. (კარაბა-
დინს გადაშლის და ჩუმად ტუტუნებს) კნენია, აქეთ მობრძანდით!
(შუასცენაზე დააყენებს).

ლუარსაბ. გამაგრდი, დარეჯან, გამაგრდი, შენ გენაცვალე.

მკითხავი. (დარეჯანს) სამჯერ უნდა გკითხოთ და მიპასუხოთ: გულით
გსურთ შეილის ყოლა?

დარეჯან. დიახ.

მკითხავი. დიახ კი არა, ხატის ნებაა, იმას ვერ ვაწყენინებ-თქო. გულით
გსურთ შეილის ყოლა?

დარეჯან. ხატის ნებაა იმას ვერ ვაწყენინებ.

მკითხავი (სამჯერ ჰკითხავს და გამაგორებინებს). ეხლა რაც ლოცვები
იცი, გულში სთქვი. მე შევილოცავთ. (დარეჯანს გვერდებს
უსინჯამს, ყურებში და თვალეზში ნელა ჩაბერავს, პირჯვარს გა-
დასწერს და ეტყვის) განწმენდილხარ! განწმენდილხარ! განწმენ-
დილხარ! (აძლევეს) შანა გულზედ დაიკარ და ბოროტ სული აღარ
მოგეკარება.

6 სანახაში

ივინივე და ბიჭი

ბიჭი (შემოდის) რამდენი უტრიალეთ და ორმო ვერ ეპოვეთ! იქ ორმოს
რა უნდა?

ლუარსაბ. ვაი, შენ ჩემო თავო! დახე ჯადოს ამათთვისაც თვალეზა
აუბამს. რაღა გვეშველება!

მკობხავი. (ეშმაკურად) მე თვითონ წავალ. მე ჯადო თვალებს. ეგრე ამბობს, თქვენ წამოდით, რომ თქვენი თვალითა ნახოთ. *ნახოთ თქვენ თვალითა ნახოთ* ლუარსაბ. არა, გეთაყვა, ჩვენ ისეც დაგიჯერებთ, შენა *ნახე, ვითომ ჩვენ გვინახავს.*

მკობხავი. მაშ ჩემ გოგოს გავგზავნი. წადი თებრო და ჯადო აპოვნინე. თებრო. (ბიქს) წამომყე! (გადიან).

მკობხავი. აბა, კნიაზო, ახლა თქვენ უნდა შეგილოცოთ. დაიჩოქეთ. ლუარსაბ. რათა?

მკობხავი. შეილისა უნდა შეგილოცოთო.

ლუარსაბ. თუ ძალიან საჭირო არა ვარ, მოდი დარეჯანმა დაიჩოქოს.

მკობხავი. ამას აკი შეულოცე, ახლა თქვენ უნდა შეგილოცოთ.

ლუარსაბ. (იჩოქებს) მაშ ძალიან ნუ შემილოცავ, არა მაწყინოს რა.

მკობხავი. ვააღეთ პირი.

ლუარსაბ. (პირს დააღრენს და მკობხავს შესცქერის)

მკობხავი (ტუჩებს აკმაცუნებს, პირუჯვარს გადასწერს, გაუწევს და ოდნავ სილას გაარტყამს) ეხლა ეგრე ჩოქით გარს შემოუარეთ თქვენ ცოლს და ესე სთქვით. ეს იცოდეთ, რასაც ეხლა იტყვით; უნდა შეასრულოთ. თორემ შეილი არ გაგვზრდებათ.

ლუარსაბ. აეასრულებ, თავი არ მომიკვდება!

მკობხავი. მაშ მომყევთ და სთქვით: წმინდა ზურაბისთვის ერთი კურატი შემიწირავს, ერთი ქოცო ზედაშე, ორი ცხვარი; მკობხავისთვის ოცი კოდი პური, ხორაგვი, ორი თუმანი ფული, ოლონდ შეილი მომე. (დარეჯანს გარს უვლიან)

ლუარსაბ. (მკობხავს ჩოქით მისდევს) შემიწირავს ერთი კურატი, ერთი ქოცო ზედაშე... დამავიწყდა სხვა, აღამიანო...

7 სანახამი

იგინივე, თებრო და ბიქი

თებრო. (ძონძები შემოაქვს) აი ჯადო, ვიპოვეთ.

ლუარსაბ. (უცბათ ზეზე წამოვარდება და კუთხეში იმალება) ვაიმე, დედავ, ჯადო! აქ არ შემოიტანოთ! დასწვით! დასწვით! გარეთ გაიტანეთ!..

თებრო. (კარებში გადაუყრის) ბიჭებო! ჩქარა დასწვით.

მკობხავი. (თებროს) აბა სასმელი წამლები მიაღებინე. (ჩუმად) შაქარწყალი დააღვინე.

თებრო. (ორ შუშას ამოიღებს, ერთს ლუარსაბს მისცემს, მეორეს დარეჯანს) უცბათ უნდა მიირთვათ (მკობხავს ჩუმად) დიანბეგი მოსულა და გვეძებენ.

ლუარსაბ. (დალევს) უპ, რა მწარეა! სწორეთ შხამია! (ტახტზედ დაჯდება და იგრიხება).
 დარეჯან. (დალევს) გენაცვალეთ, გულმუცელი სულე! (მომოხუთქაქრა მწარეა!
 მკითხავი. (თებროს) ყველაფერი გაახვიე, ორი თემანი ხელში მიჭირავს და უნდა ვავსწიოთ.

8 სანახაში

იგინივე და აბრამა, მერე პრისტავი, სირაჯი, ბარბარე და ბიჭები
 აბრამა. (შემოვა, მკითხავს) დიანბეგმა დაგიბარა, ჩქარა აქ მოდიო.
 მკითხავი. მდიანბეგს ჩემთან რა საქმე აქვს?
 ლუარსაბ. (ტახტზე გორამს) ვინა ხართ ქრისტიანები, მიშველეთ, მოვ-
 კვდა.
 დარეჯან. (იკლავება) დავიწვი, ღვთის გულისათვის, მიშველეთ.
 მკითხავი. (თებროს) გოგო! სხვა ხომ არაფერი დააღვინე?
 თებრო. ლურჯი შუშებით რომ იყო, ის დავაღვინე.
 მკითხავი. (შემკრთალი) იქნება მართლა? რაზე დამღუპე, შე წყველ-შე-
 ჩვენებულო?!
 აბრამა. ჩქარა, ადამიანო, გიბარებს.
 მკითხავი. (თებროს) შე პირისღვთისაგან წყვეულო, ის წამალი ხომ დასა-
 ლევი არ იყო! ის ხომ ვალესილი ნიშადურია! ქეცის წამალია! (თავ-
 ში შემოიკრავს).
 ლუარსაბ. (სიმწარით ღმუის) ხალხო, მიშველეთ, გულ-მუცელი მეწვის!
 დარეჯან. მიშველეთ, წყალი! (ტახტზე გორავს).

კარების ბრახუნი

აბრამა. (კარებს გააღებს) მობრძანდით, აქ გახლავს. ბატონებისათვისაც
 რაღაც ჯადო უქნია, ლამის დაიხოცონ.
 პრისტავი. (შემოდის, მკითხავს) შენ ვინა მოგცა ნება, რომ დადიხარ, ხალხს
 სძარცვამ და ატყუებ?
 მკითხავი. მე ხომ ჩემად არა ვარ მოსული, ხატის ძალით დავდივარ.
 სირაჯი. (ღრიალით, ხელში ვირის კანჭი უჭირავს) აკი თუ შენი ჩორები
 მოიპარესო, შე კუდიანო, შენა! ეს რა არის? (კანჭს აჩვენებს)
 მგლებს შეუტამიბთ და შენ კინალამ ხალხი გამაწყვეტინე!
 მკითხავი. (შეშინებული) თებრო, უნდა თავს ვუშველოთ.
 სირაჯი. შამე ჩქარა ჩემი სამ-მანეთიანი, თორემ არ ვიცი, რას გიზამ.
 პრისტავი. მოიტანეთ თოკი და შეჭკარიოთ! მე მაგას ვაჩვენებ სეირს.
 აბრამა. ვისაც უწამლა ამ სოფელში, ყველანი გაწყდნენ. ჩვენებიანთსე-
 სიკაც მოკვდა, კუტიც მოკვდა, გოგლაც ეხლა კვდება...



ლუარსაბ { სიმწარისაგან კივიან) გვიშველეთ! გვიშველეთ! გვიშველეთ!
 დარეჯან. { გვიშველეთ! გვიშველეთ! გვიშველეთ!
 სირაჯი (ხელსა ჰკიდებს მკითხავს) მე კი ეხლავე მომცეს ჩემი სამი მანეთი და მერე თუ გინდა, ჩამოახრჩეთ. (ჯიბეში ხელს უყოფს).
 მკითხავი. იქით დამეკარგე, ვილაცა ხარ, თორემ ეხლავე დაგველანჭამ.
 სირაჯი. (მოშორდება) ვაი, შენი სული წაწყდა, შენი! შე ჯადოქარო, შენა!

პრისტავი. გაბაწრეთ მაგრა და მდიანბევს წარუდგინეთ.

სირაჯი. (პრისტავს) კნიაზ, ჩემი ვირებისას რა პასუხს მაძლევთ?

პრისტავი. სწორეთ კი იცი, რომ შენი ვირის ფეხია. იცნობ შენ ვირებს?

სირაჯი. ვაი! რას ამბობ, კნიაზ, ეხლა შენ ვერ გიცნობ: ჩემ ვირებს როგორ არ ვიცნობ?

პრისტავი. იქნება მართლა, დაიკარგა?

სირაჯი. აი, კაცო, იმ ოხრის ფეხი!

პრისტავი გაბაწრეთ!

მკითხავი. ვინც მომიახლოვდება, დაგველანჭამ!

აბრამა. აბა თუ ძალა გაქვს და შე დამკვლანჭე! მოდიო, ბიჭებო! (მისცევიდებიან და ხელებს შეუკრავენ).

მკითხავი (ყვირის) კარაბადინი არ დამიკარგოთ, მომეცით აქა.

დარეჯან { (ყვირილს მოუმატებენ) გვიშველეთ! დავიხოცენით!
 ლუარსაბ }

ზარბარე (მთელის სცენის დროს შერბის და გარბის. დარეჯანს ეხვევა).
 ლამაზის. (შველის ლუარსაბს).

პრისტავი. (აბა წამოიყვანეთ და ეგ. გოგოც თან გამოატანეთ).

სირაჯი. (ავადმყოფებს უყურებს და თავს აქნევს, მერე მკითხავს მივარდება) ჩემი სამი მანეთი მეთქი!

მკითხავი. (სულ კარაბადინს ჰყვირის. მიჰყავთ).

აბრამა. წამოდი ჩქარა, შე კუდიანო! (მიჰყავს).

ჯალხი. ჩამოახრჩეთ! დასწვით!

(წივილ-კივილი, ხმაურობა).

1871 წ. 232 სტყბ
(საქართველოს რევოლუციის წლები)

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

საქართველოს რევოლუციის წლები

იდიოქ ჭაკჭაკაძე

დროა, ლომივით რომ დაიგრგვინო,
შენი ხმა ჩვენთვის მუდამ ტყბილია.
ჩვენო მშვენიებავე, ჩვენო გვირგვინო,
ღლიდაზე მეტო ილია!

განიერ მხრებზე ატლანტის მსგავსად
შენ გეპყრა მთელი ჩვენი ქვეყანა,
რომ ის, მოსილი მონობის ხაყსით,
ბნელ წარსულიდან გამოგვეყვანა.

თითქოს კანდელი შენ ჰიმართე,
ქვეყანას სხივი მოჰქვინე ბლომად,
შენ აღიარე, როგორც სიმართლე,
ხალხის ურყევი ძალა და შრომა.

ქართული სიტყვის იყავ როდენი.
აღზარდე ლექსი, როგორც თაველი,
პოეტო! შენი თქმა რაოდენი
ხმაურობს ისე, ვით რუსთაველი.

შენ მემამბოხეთ აქციე გლეხი,
ბატონთან ბრძოლა რომ გააჩაღა,
თავზე დაატყდა მტერს, როგორც მეხი,
კაკო, გაჭრილი ტყეში ყაჩაღად.

შენ უგალობდი შრომის საზეფოს,
ვერ გადაურჩი მტფის ჯაშუშებს.
შენს აგონიას და შენს წამებას
თვით ხალხის ვარდა ვინ დააშუშებს?

და დღეს მყინვარსა და საგურამოს
დაურღვევიათ თავის დუმილი
გეტრფიანება სოფლის საღამო,
ვით დედის კალთა და სასთუმალი.

მაგრამ მთაწმინდის ღრმა აკლდამაშ-

უდაბურ ძლით შენ ახლა გძინავს.
 და გამჭვირვალე ცოცხალ ღამეში
 დედა-ქალაქი სულ სხვაფორივ ბრწყინავს:
 ია გიხმობს. შენი ხმით აგზნებული,
 რათა შეგძოსოს ახალ დაფნებით.
 ხალხი, შენს მტრებზე გამარჯვებული,
 ვადიდებს გრძნობით და აღტაცებით.



კალე ბოზოხიძე

ილია ჭავჭავაძისადმი

მშობელი მხარე ხალხისთვის გზრდიდა,
 შენც მუხასავით გაიდგი ფესვი;
 საყვარელ პოეტს — ბუნებით მდიდარს
 მაინც არ აგცდა ცხოვრების გესლი;
 შავი ბურუსი დაეშვა მთიდან
 ატირდა ხალხი და შენი ლექსი!...
 საუკუნიდან გლოვის ხმა გვესმის:
 „დაეცი ვეფხვი განგმირულ შუბლით,
 სამშობლო მხარე დაპტურეს ღრუბლით!
 გზრდიდა ლამაზი მთები ყვარელის,
 დიდო პოეტო, ხარ საყვარელი!
 მიწას ვაწვიმეთ ცრემლი ღვარული,
 თან წაგყვა ხალხის სევდა ფარული
 მისი აღერსი და სიყვარული!...
 ტყვიამ ვერ მოჰკლა საქმე უკვდავი,
 და ნაპერწკალი დაენტო ალად;
 თვითმპყრობელობა სულთამხუთავი
 და-ცა მშრომელთა მედგარმა ძალამ;
 მგოსანო შენი ბედი მუხთალის
 სიკვდილის შემდეგ გამოიცვალა!
 წარვიდენ წლები, არ არის გლოვა,
 საუკუნიდან შენი ხმა გვესმის;
 ჯიგონებთ პოეტს დიდბუნებოვანს,
 გვიზიდავს შენი მგზნებარე ლექსი
 დღეს სალამური სევდით არ კენესის!
 არც გვაქვს სიმღერა შხამში ნალესი!...
 შენი სახელი ბორკილებს ლეწდა,
 მშობელი ხალხი ისევ გიგონებს
 და დაეიწყება არ აკრავს ზეწრად

შენი ლექსების მღელღარ სტრიქონებს,
 გლოვის სუღარა მხარეს რომ ეკრა
 ახლა ეს მხარე გაყრის მზის კონებს.
 აღსდგა ძლიერი ხალხი მშრომელი
 და მტარვალეზე იძია შური.
 აღარ სდის ცრემლი შეუშრობელი
 დაღეწა ციხე კარებდახშული;
 მკუხს შენი ხსოვნის უკვდავყოფელი,
 შექმნა ცხოვრება ჯერ არნახული!..
 შენს ხალხს დაუდგა მზიანი დარი,
 დიდო პოეტო, არა ხარ მკედარი.
 ხარობს სამშობლოს ზურმუხტი-ველი,
 დიდი სტალინის ქვეყანა ვრცელი,
 და მისი ხალხი დაუცხრომელი!
 გეახსოვს, რომ პოეტს აღარ ვაკმარეს,
 სიკვდილი და კვლავ გწამლავდნენ გესლით,
 მაგრამ ვერ გძლიეს ხალხის საყვარელს,
 ათასჯერ აღსდევ უკვდავი ლექსით,
 ახლა დაგიდგა დღე უკეთესი
 შენი ხმა უფრო ძლიერად გვესმის!
 მებრძოლი დროშა აღარ დაჰხარე,
 მკედარმა ცოცხალ მტერს სძლიე მახვილით;
 დღეს სამარეშიც ალბად გახარებს
 გმირული ხალხის მკვეთრი ძახილი:
 — გზრდიდა მშობელი მთები ყვარელის,
 დიდო პოეტო, ხარ საყვარელი!



როდინს კოჩია

მუნდირი

(ეპიზოდი ილიას სტუდენტობიდან)

I

— ახ, კობტა, რომ იცოდე, ...რომ იცოდე, რა ქალია!.. — და ილიამ
ემიზე ხელი გადისვა.

თმა ჰქონდა გრძელი, სქელი და ქალურად შუაზე გაყოფილი.

— ასეა, ჩემო ილია! ამურის ისარს ვინ გაუძღვებს? ამურის ისარმა
ზევესიც კი გაგმირა. პატარა ბიჭუნაა ამური, მაგრამ, შეხე, რაებს სჩა-
ლის? მთელი ღამე არ დაგაძინა. ჰა ჰა ჰა!.. — და კობტამ გადაიხარხარა.

— შენ იცი, კობტა, მე კი სმენა-დახშული და გონება-დაფანტული
ვარ, — უთხრა ილიამ მეგობარს. — დღეს სადარბაზოდ უნდა წავიდეთ...
იმასთან, მუნდირი კი არა გვაქს.

კობტამ წვერზე ხელი ჩამოისვა, უღწეშები გაისწორა და შუბლშეკ-
რულმა ჰკითხა:

— პიჯაკში არ შეიძლება?

ილიამ გაკვირვებით შეხედა მეგობარს:

— აბა რას ამბობ? განა არ იცი, რა ოჯახია! მამა მისი გენერალია,
დიდი გვარის კაცია — ჩაიკოვსკი.

— გვარი ჩვენი იკითხოს და... — სთქვა კობტამ.

— არა ეს იმიტომა ვთქვი, რომა უმუნდიროდ ასეთ ოჯახში ვერ მი-
ხეალ სადარბაზოდ.

— მართალი ხარ: ერთი მუნდირი და ორი სტუდენტი. მერე რა სტუ-
დენტები, თავადები... ერთი შეყვარებული მეორე მისი მესაიდუმლე.

— გეტყობა ხუმრობის გუნებაზე ხარ. მე კი თითქოს ვინმემ კლდის
პირას დამაყენა და ხელის კვრას მიპირებსო, — და ილიას ნათელი ღამა-
ში შუბლი უფრო მოიღურბლა.

სიჩუმე ჩამოწვა.



მეგობრის მწუხარებამ კობტას გულიც გაკაწრა. კობტა აეშტა დაეკარგა-გამოიარა. დადიოდა კუთხიდან კუთხემდე და თავში უტყუვად ეძიებდა:
 „ერთი მუნდირი, ორი სტუდენტი. ერთი მუნდირი, ორი სტუდენტი“.
 უცებ ილიას ზურგს უკან შეჩერდა „სოვრეძენიკ“-ის ნომრებს შორის თვალი მოჰკრა რვეულს, რვეული გადაშლილი იდო. ზაფხულის მზე ჰარბად დაფრქვევოდა თეთრ გვერდებს. თვალს მოხვდა ლექსის სათაური „ს.ჩ. სას“.

„აი, რატომ არ უძინია წუხელის ილიას“. — გაიფიქრა კობტამ და ცალი თვალი ქურდულად განუწონა ილიას, ილია იჯდა ღრმა ფიქრებში წასული, მარჯვენა ხელის ცერი პიჯაკის კილოვანში ჩაერკო.

კობტამ ცალი თვალით ლექს ჩახედა და წაიკითხა..

„სატრფოვ, ხშირად ლალი ფიქრი
 განამტყიცებს მსუბუქ ფრთითა,
 ვითომც მე შენ მოგხვევივარ
 საესეს ეშხის სიაშითა“.

კობტას ხუმრობის გუნება დაეკარგა. თითქოს მასაც გამოეხატა მსუბუქი ფრთები და გაიტაცა შორს, შორს საყვარელ საქართველოში. იქ კობტასაც ჰყავს სატრფო, „საესეს ეშხის სიაშითა“.

კობტა კვლავ დაეხარბა სტრიქონებს:

„დასტები გიჟო! — მეუბნები,
 აჰა, ჩემი წრფელი გული!
 ბაგე ბაგეს ჩავაყონოთ
 და ჩავეართათ სულთან სული!“.

გულმა ცემას უხშირა. თითქოს გაიწია გული და გაგანიერდა მკერდი. თითქოს იმ ზაფხულის მზე სულ კობტას გულში ჩაიდგარა.

კობტამ განაგრძო:

„თუმც ეს, ტურფავ, სიზმარია,
 მითაც სტკებება გული კრული...
 თუ არ სიზმრით, მაშ რით დასტკებს
 უიმედო სიყვარული!“.

ვერ მოითმინა კობტამ, მოეხვია ილიას და აღელვებით სთქვა:
 — რა კარგია, როცა ასე გიყვარს!
 ილია შეკრთა. სქელი კისერი შეაბრუნა. მწუხარე იყო ილიას თვალები.

— რა მშვენიერი ლექსი დაგიწერია, ილია! — უთხრა კობტამ. — ამათნობილი საქართველო იმღერებს.

— მერე მე რა!.. — ჩაიჭნია ხელი ილიამ. — შენ ვინ ხარ? — მუნდირი კლდეს რა ვქნათ? მე სიტყვა მივეცი, მოვალთ შეთქი. მარტო ვინ ვართ? — მუნდირი დასავლა.

— რასაკვირველია, ერთად უნდა წავიდეთ. — სთქვა კობტამ.

— ერთად... — ისევ ჩაიჭნია ხელი ილიამ. — მუნდირი კი ერთი გვაქვს. წაუსვლელობაც არ ივარგებს... ეპ, კობტა, რომ იცოდე, რა ქალია... რა ქალია...

— განა არ ვიცი... — დაეთანხმა კობტა. — სხვა არა იყოს რა, განა გონჯი ქალი ასეთ ლექა გამოიწვევდა?

— ეგა სთქვი და გაათავე!

— ისევ სიჩუმე ჩამოწვა.. ისევ ჩარგო ილიამ კილოვანში ცერი, დრო მიდიოდა. მზე მალლა ადიოდა. კუთხეში ერთი მუნდირი ეკიდა და ხსნა არსაიდან მოდიოდა.

— ეპ, მეორე მუნდირი რომ მოგცა! — ინატრა კობტამ. — ახლავე ჩავიცვამდით. თაიგულებს ვიყიდდით, ჩავსხდებოდით ეტლში და...

— ეტლში... ეტლში... — ჩაილაპარაკა ილიამ. — ეტლი ხომ... ეტლიც არის და ეტლიც.. არის ღია ეტლი და არის თავდახურული ეტლი.

— არის ღია ეტლი და არის თავდახურული ეტლი. — გაიმეორა კობტამ და თვითონაც გაუკვირდა რატომ გავიმეორეო. იფიქრა ილიას არ ეწყინოსო და ხმამალა უთხრა:

— მერე?

— მერე და... გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ნათქვამია.

— ვერაფერი გავიგე. — გაუკვირდა კობტას.

— ჩვენ ვჭირაობთ თავდახურულ ეტლს. ვსხდებით შიგ. მივდივართ სოფია ილინიშნასას. ვაჩერებთ ეტლს და ორნივე ვდარბაზობთ ერთი მუნდირით. — ამბობს ილია.

— ზღაპარს ხომ არ ამბობ ათას ერთი ლამიდან? გაუკვირდა კობტას.

— დამიჯერე. დამიჯერე! აბა, ჩქარა! დარბაზობას თავისი დრო აქვს, არ დაგვაგვიანდეს.

დაბალი და სქელი ილია მორგავით დაგორავდა ოთახში. გაკვირვებული კობტა აპყვა მეგობარს, თუმცა უკვირდა და არ იცოდა, რა მოიბაზრა ილიამ.

საჩქაროდ ჩაიკვეს. პალატუხები საგანგებო გაიკეთეს. თმები და ულვაშები დიდის ამბით დაიკობტავეს. ილიამ მუნდირს ხელი დასტაცა. სირბილით გავიდნენ ქუჩაში.

— აი, თავდახურული ეტლიც! — დაიკვირა ილიამ. — ყვავილებს ვზაში ვიყიდით.

— არაფერი მესმის! — სთქვა კობტამ.

მშენიერი მზე კაშკაშებდა, სიკოცხლით სავსე იყო პეტერბურგის ქუჩები. ილია აღტაცებული იყო და შეუძლებელი იყო უმეტესად...

2

მიჭრის თავდახურული ეტლი. მიჭრის და მიაქროლებს ორ მეგობარს. ილიას გულს ბავაბუფი გააქვს. კობტას კი უკვირს: რას აპირებს ილია? ერთი მუნდირით ორი როგორ შეეა სადარბაზოდ?

— ილია, მითხარი, შენსა მზესა, ხომ არ გავიყდი? — ეკითხება კობტა. — თუ არ შევიშალე, მგონი, ჩვენ ორნი ვართ.

— ორნი ვართ! — იცინის ილია და მარჯვენა ულვაში უთამაშებს.

— მუნდირი კი ერთი გვაქვს, — უხსნის კობტა.

— ერთი გვაქვს! — ეთანხმება ილია.

— სადარბაზოდ კი ორნი მოვდივართ.

— ორნი მივდივართ.

— და ორნივე მუნდირში უნდა ვიყოთ.

— ვიქნებით კიდევ. — იცინის ილია და ისევ უთამაშებს მარჯვენა ულვაში.

შენიშნული ჰქონდა კობტას: როცა ილიას მარჯვენა ულვაში უთამაშებს, რაღაც ეშმაკურს ამზადებს. მაგრამ ერთ მუნდირში ორი კაცი რომ ვერ ჩაეტყუა, ეს ცხადია. მაშ, რას ამზადებს ილია?

და გაეცინა კობტას:

— მისტიფიკაციაა, ჩემმა მზემ!

— ოვიდიუსის მეტამარფოზები ხომ გახსოვს? — იცინის ილია.

— არაფერი მესმის! — უკვირს კობტას.

ეტლი გაჩერდა.

— მოვედით! გადმოსძახა კოფოდან მეეტლემ.

ილიამ საჩქაროდ დაიწყო პიჯაკის გახდა.

— გავიყდა? — გაუელვა კობტას. — რა უბედურებაა ეს სიყვარული? ასეთი დინჯი და ჰკვიანი კაციც კი აამჩაბა... ვაი შენს კობტას, რას მოვესწარი!..

ილია კი შარვალში პერანგის კალთებს იჩრიდა. ჰალსტუხს ისწორებდა და მუნდირს ტანზე ირგებდა. ეტლის თავი დაბალი იყო, ილიაც დაბალი იყო. მაგრამ მაინც ვერ იმართებოდა წელში.

— ვერ გავიმართე ეს ოხერი! — საყვედურით ამბობდა ილია. — კობტა ჯან, ჩამომიწიე კალთები. კიდევ კიდევ. ხომ კობტადაა?

როცა მოირგო ასე სთქვა:

— აი რა ვქნათ კობტა-ჯან! ჯერ შე შევალ. შენ აქ დამიცადე. შემდეგ შენ შეხვალ, მე აქ დაგიცდი.

კობტა მიუხედა და აუტყდა ხარხარი:



- ჰა... ჰა... ჰა... ჰა . ზე.. ჰა..

კობტას სიცილი ილიასაც გადაედო.

დინჯად იდგა თავდახურული ეტლი და ორი სტუდენტი — ერთი უნდირიანი, მეორე უმუნდრო — გულიანად ხარხარებდა.

— Барин! А, Барин! — მოისმა მეეტლეს ხმა. — Приехали, што-ли?

მუნდროში გამოწყობილი ილია დარბაისლურად ჩამოვიდა. გაკვირვებულმა მეეტლემ თვალები დააქციტა. კარგად ახსოვდა, რომ მუნდროანი კაცი ეტლში არ ჩამჯდარა. მეეტლე ჩამოვიდა, ეტლში შეიჭვრიტა. ეტლში იჯდა პიჯაკიანი კაცი და ხარხარებდა.

— ვიტი თუა... — იფიქრა მეეტლემ. — ეს მუნდროიანი საიდან გაჩნდა? ან იქ რომ მეორე სტუდენტი იჯდა, სად დაიკარგა? ეჰ, განა გაუგებ მაგათ რამეს?

გაკვირვებული მეეტლე ისევ კოფოზე ავიდა. დიდხანს ფიქრობდა, ვერ მოენახა ახსნა.

3

— აბა, კობტა, ახლა შენი ჯერია! - და ილია შეძვრა ეტლში.

კობტამ სიცილით გაიხადა პიჯაკი. სიცილითვე ჩაიკცა მუნდრო. ილიას თვალები უბრწყინავდა და სულ იმეორებდა:

— ახ, კობტა, რომ იცოდე, რა ქალია! რა ქალია!

— სიცილი რომ ამიფარდეს შენს დულციხეასთან, რა ვქნა მაშინ? ან რომ შემატყოს? - ჰკითხა კობტამ ილიას!

— რა შეგატყოს?

— რომ ეს მუნდროი ახლა შენ გამშვენებდა. ხომ მოგვეჭრა თავი კრივეს.

— ილია ჩაფიქრდა.

— აი რა, თეთრი ყვავილი ჩავიდე კილოვანში. მე წითელი ყვავილი მქონდა, — დააროგა ილიამ. — აბა, გაიქე! სასხუათაშორისოდ ჰკითხე, ილია ხომ არ მოსულა-თქო. მეც ვკითხე: თავადი აფხაზი ხომ არ მოსულამეთქი. ვუთხარი, რომ შენც აპირებდი სადარბაზოდ მოსელას. აბა, იჩქარე.

კობტა გადახტა ეტლიდან. აირბინა კიბეზე. ახლა ილიას აუვარდა სიცილი.

მეეტლე ისევ ჩამოვიდა. შეიჭვრიტა ეტლში.

— რა დოზანაა? — იფიქრა მეეტლემ. — ეს კაცი ეს არის მუნდროში იყო. ახლა პიჯაკშია. ეგებ ეს სხვა კაცია? თუ სხვა კაცია ვინ მომცემს ფულს?

და მორიდებით იკითხა:

— ბარინ! თქვენ ხომ.. თქვენა ხართ?

— რაო? რა გინდა?

— თქვენა ხომ... — ვერ გაიმეორა კითხვა მეეტლემ. *ეჭყენეშლი*

— რა გინდა, მეგობარო? — გულთბილად ჰკითხა იდამიწი. *მწიგნობართა კავშირი*
მეეტლეს გული მოეცა:

— ის და თქვენ ხომ ერთად მოდიოდით? ის მუნდირიანი?

ილია მიუხედა და გადაიხარხარა:

— ერთად, მეგობარო, ერთად! ის მუნდირი ჯადოსნური მუნდირია. მეეტლემ შორი ეკლესიის გუმბათს შეხედა, პირველარი გადაიწერა. ისევ მოეწყო კოფოზე, ჩაილაპარაკა:

— განა მაგათ რასმეს გაუგებ? ღმერთო, შენ დამიფარე? არ გადამ-
რიო დღეს.

4

— კობტა სიცილით შევიდა ეტლზე. გაიხადა მუნდირი და სთქვა:

— ასეთი დარბაზობა პირველია დარბაზობის ისტორიაში. გარწმუნ-
ნებ, ილია, კარგად მოვიფიქრეთ.

— აბა, შენ მოიფიქრე სწორედ! — შენიშნა ილიამ.

— იცი რა მითხრა? — დაიწყო კობტამ. — ეს არის თქვენი მეგობარი-
კნიაზ ჩაჩაევადე იყოფო. არ შინახავს მეთქი, ეუბასუხე და მოწყენილი სახე
მივიღე. რა კარგად გამოველით ამ გამოუვალ მიდგომარეობიდან? ერთი
მუნდირით ერთსა და იმავე დროს ერთს და იმავე პირს რომ ორმა კაცმა
დარბაზობა გაუმართოს, ვინ დაიჯერებს?

— ბიჭობაც ის არის დაუჯერებელში დააჯერო. — უბასუხა ილიამ.
მეგობრებმა ერთმანეთს თვალებში ჩახედეს და კვლავ გადაიხარხარეს.
მეეტლემ ისევ შეიჭყვრიტა. სულ დაებნა დაეთრები საწყალს. მუნდირი-
ანი კაცი აღარსად იყო. ერთი იყო პიჯაკიანი, მეორე პერანგის ამარა,
მუხლებზე ედოთ მუნდირი და ხარხარებდნენ.

მეეტლემ ისევ გადაიწერა პირველარი. აძერა კოფოზე. გადატლირა
ცხენებს საწყებო და გააქანა. ხანდახან უკან მიიხედავდა და ჩურჩულობდა:

— ღმერთო, მიხსენ შე კოდვილი! რა გიყებს გადავეყარე...





ს. შავჭავჭავაძე 900-016 ფოტოგრაფია

გარონტი ქიმოძე

ილია ქაქუცაძე

მისი როლი ქართული კულტურის განვითარებაში

ილია ქაქუცაძის როლს ქართული აზროვნებისა და ხიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში შარბებულად ვერ დაეაფასებთ, თუ თვით საქართველოს კულტურის თავისებური ისტორიული გზები არ გაეცხნებთ. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც საქართველოს კულტურამ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია, წინააზიაში შეიქმნა დიდი კულტურული მსოფლიო, რომელშიაც ჩვენს ქვეყანას გარდა ბიზანტია, ბალდაღის ხალიფატი და სხვა უფრო პატარა სახელმწიფოები შედიოდნენ და რომელსაც საფუძვლად ალექსანდრე მაკედონელის ომების ეპოქიდან დარჩენილი ელინისტური ტრადიციები ედო. საშუალო საუკუნეების კულტურის აღორძინება საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში ელინიზმის საფუძველზე დაიწყო, ამ აღორძინებამ, სხვათა შორის, ხელი შეუწყო ადამიანის აზრის განთავისუფლებას რელიგიური ფანატიზმისაგან და ფხიზელი ფილოსოფიური და მეცნიერული ძიების სულის შექმნას. ამ კულტურულმა აღორძინებამ მთელს წინააზიაში მრწინავე კაცობრიობის ინტერესთა ერთიანობის აზრი გამოიწვია, ერთგვარი ჩანასახი მსოფლიო მოქალაქეობის იდეისა. ეს იდეა კარგად გამოსთქვა შოთა რუსთველის უმცროსმა თანამედროვემ დიდა ირანელმა პოეტმა ჯელალედინ რუმმა:—რაღა ვთქვა, მუსლიმანო, ჩემი საქმისა ვერაფერი გამოვიდა; მე არც ქრისტიანი ვარ და არც ებრაელი, არც ცეცხლის თაყვანისმცემელი და არც მაჰმადიანი, არც აღმოსავლეთს ვეკუთვნი და არც დასავლეთს, არც ხმელეთს და არც ზღვას.

თვით შოთა რუსთველიც ლეგენდარულ ანტიოსიებით ძლიერი იყო რამდენადაც თავისი სამშობლოს ნიადაგზე იდგა, მაგრამ მან თავის პოემაში, როგორც ეს ილია ქაქუცაძემ სწორად აღნიშნა, ზოგადი ადამიანური ტაბები მოგვცა, რომელთა მოქმედების არე სცილდება ვიწრო ეროვნულ და რელიგიურ ზღუდეებს. „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ძმაღ

შეფიცვა რამდენიმედ ჰომიროსის გმირების მეგობრობას ჰგავს, მაშინდელ მას საფუძვლად, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ, ტომობრივი მათებაობა არ უდევს, ვინაიდან ტარიელი, აეთანდილი და ფრიდონი მსხვერპლნი წინა-ციონალურ ოჯახს ეკუთვნიან. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რუსთველმა თავის პოემის ფილოსოფიური და ეთიკური შინაარსი თავის დროის დიდ საერთაშორისო იდეურ მოძრაობას დაუკავშირა და შექმნა ნაწარმოები, რომელიც ღრმად ეროვნული და საერთო კაცობრიულია ერთსა და იმავე დროს. ბოლოს მან მთელი იმ დროს ცნობილი მსოფლიო მოხაზა, ეგვიპტიდან დაწყებული ჩინეთამდე, ისეთი ქვეყნებიც კი მოიხსენა, რომელნიც თუმცა არც ერთ გეოგრაფიულ რუკაზე არ არიან აღნიშნულნი, მაგრამ რომელიმე ზღვის განაპირა საეაქრო რესპუბლიკას ჰგვანან. მაგალითად ვენეციას ან გენუას გულანშარდსავით. ტრაპიზონის იმპერიას მულღაზანხარივით ან ასასინების აღმუთს ქაჯეთის ციხესავით.

ფართო კოსმოპოლიტური ინტერესი მარტო რუსთველსა აზროვნების თვისებას როდი წარმოადგენს. როგორც ეტყობა საშუალო საუკუნეების ქართველი პოეტები კიდევ უფრო მეტს მოგზაურობდნენ ვიდრე ევროპელი ტრუბადურები და მენესტრელები. ყოველ შემთხვევაში მათი გეოგრაფიული პორიზონტი იმდროინდელი მასშტაბით მეტის მეტად ფართო იყო. თამარ მეფის ქების ავტორი, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ჩახრუხაქის გვარითაა ცნობილი, თავის თავს მაშმებელს უწოდებს, ეს ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტის აზრით მოხევე პოლიგრიმს ნიშნავს, ზოგიერთის კიდევ-მესხელ პოლიგრიმს, ერთს ადგილას თავის ქებაში ის დასტირის თავის უცნობ მეგობარს, რომელიც, როგორც სიანს, მასავით ავანტურისტული სულით აღჭურვილი ადამიანი უნდა ყოფილიყო. მაშა მებელის მეგობრის სახით ჩვენ ვეცნობით იმდროინდელი საქართველოს და წინააზიის ერთს მეტის მეტად რთულ და საინტერესო ტიპს. ის ველად გაქრილა, სადგურად ლომთა შამშარი ჰქონია. ადვილად შეიძლება ეს უბედური სიყვარულის გამო მოიზდარიყოს. შემდეგ შორეულ ქვეყნებში მოგზაურობა დაუწყია, შეიძლება სევდის გაქარება ჰქონდა მიზნად: „არვისა სწორად წავიდის შორად“. შემოუვლია ინდოეთი, ხატაეთი, ჩინეთი, არარად მიუჩნევია მათი ბინადრების საზარელი გარეგნობა; შემდეგ ხან ზღვით, „ოდეს ქროდეს ტაროსით ქარი“. ხან ხმელეთით, უმოგზაურია ხაზარეთსა, რუსეთსა, „ონთა ველსა, მუნ, სადა მეფედ ზის კეისარი“, ეგვიპტესა, არაბთა მზარესა, იამანში. საშობლოსკენ უკვე გაძიდებული დაბრუნებულია:

ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის,
ფერად ფერადი, მრავალი გვარი.
ყვანდის მოყმები, მონა-შხველები,
თვალმარგალიტი, სუნნელ — ამბარი“.

ფართო გეოგრაფიული და გონებრივი ჰორიზონტი აქვს მხოლოდ ძველ ქართველ პოეტსაც „აბდულ მესიანის“ ავტორს, რომელიც თავის თავს ძმირსა და მსხემს უწოდებს. ქართული ლიტერატურის უფრო იოანე შავთელის სახელითაა ცნობილი. „იოანე, კაცი შავთელი, ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღვაწემათა შინა და ლექსთა განომთქმელი, რომელსა მიეღო მადლი წინასწარ-მცნობელობისა“. როგორც მას ლაკონურად ახასიათებს თამარ მეფის ისტორიკოსი, თავის „აბდულმესიანში“ შავთელი ახსენებს აფრიკას, ეგვიპტეს, აბაშეთს, ჩინეთს, კლასიკური განათლების ცენტრებს ათინას და რომს და ელინისტური განათლების კერას ტარსს, ბერძენ ფილოსოფოსებს სოკრატს, პარმენიდს, ზენონს, პროკლე დაიდახოს, პერაპატეკოსებს და სხვ.

როგორც ქრისტიანულ ბიზანტიას და სირიას, ისე ქრისტიანულ საქართველოს არასოდეს კავშირი არ გაუწყვეტია ძველი საბერძნეთის ტრადიციებთან, ამიტომ მას არ დასჭირებია ხელახლა ძველი ბერძნული კულტურის აღმოჩენა, როგორც ეს რენესანსის ეპოქაში დასავლეთ ევროპას ქვეყნებს დასჭირდათ. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ადამიანი რენესანსის და ჰუმანიზმის ეპოქის სუნთქვას გრძნობს ჩვენა მეთორმეტე საუკუნის პოეტების ნაწერებში: რენესანსისებურია, მათი კონებრივი ჰორიზონტის სიფართოვე, მათი ინტერესი რეალური ქვეყნიერებისადმი და კლასიკური კულტურისადმი; ბოლოს რენესანსისებურია მათი გმირების მოუსვენარი, მაძიებელი სული. თუ ჩვენ ამ ვზით დაუბრკოლებრივ წინ წაესულიყავით, თუ საქართველოს კულტურა მონგოლების და თემურლენგის შემოსევას არ შეემუსრა, თუ მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში წინააზიის კულტურა საერთოდ არ ჩაშვებულყო, შეიძლება დასავლეთის ქვეყნებისთვის კიდევ გაგვესწრო „მეცამეტე-მეთოთხმეტე და ხელოვნებათა აღორძინების“ საქმეში, იმიტომ რომ მედრეზსა და ბორჯიებზე ადრე ბაგრატ მესამე და დავით აღმაშენებელი გეყავდა, ჩიმაბუესა და ჯიოტოზე ადრე ახტალის, ყინწვისის, ბეთანიის და უბისის ფრესკების ოსტატები, იტალიელ, გერმანელ და ფრანგ ჰუმანიისტებზე ადრე იოანე პეტრიწონელი და ეფრემ მკორე, ბოკაჩიოსა და პეტრარკაზე ადრე შოთა რუსთველი, ბოლოს მარკო პოლოზე ადრე ჩაბრუხაძის მიერ დატვირებული მოგზაური.

თუ გამოჩენილ ბიზანტიელ ჰუმანიტებზე, კონსტანტინეპოლის აკადემიის პროფესორებზე მიქელ ფსელოსსა და იოანე იტალზე სამართლიანად ამბობენ, ისინი თითქმის რენესანსის ადამიანები იყენენო, იგივე შეიძლება ითქვას მათს ქართველ მოწაფესა იოანე პეტრიწონელზე, თუ პლატონიზმის გაცნობა და პროპაგანდა დასავლეთ ევროპაში ფლორენციის აკადემიის დაარსებიდან დაიწყო. ე. ი. მე 15 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხოლო არისტოტელის ფილოსოფიისა კორდოვის არაბული უნივერსიტეტის აყვავების ხანიდან, ე. ი. მე-10—11 საუკუნიდან, საქართვე-

ლოში კლასიკური ბერძნული ფილოსოფიის ინტერესი ჰყვარებოდა. არასოდეს არ გამჭრალა, ხოლო მის ზედმიწევნით შესასწავლად გვერდებში უკუნის პირველ ნახევარში უმალლესი სასწავლებლები გვეპოვება გელათსა და იყალთოში. და დიდად დამახასიათებელია, რომ როცა ჩვენს ძველს მწერლებს სურდათ განსაკუთრებით შეექმთ გელათი, მას ახალ ელადს უწოდებდნენ.

ამ ფართო ჰუმანიტური და კოსმოპოლიტური ინტერესით გამსჭვალულ საქართველოსთან შედარებით გიორგი ბრწყინვალის, ბაგრატ დიდის და თემურლენგის მომდევნო საქართველო დღეს მხოლოდ ვიწრო და ჩამორჩენილ პროვინციად გვეჩვენება. შევიწროვებულია გონებრივი პორიზონტი, შევიწროვებულია საერთაშორისო ეკონომიური, პოლიტიკური და იდეური ურთიერთობის არეც. ჩვენი მე-16—17 საუკუნის მწერლები, სერაპიონ საბაშვილი, კედელაური, ხოსრო თურმანიძე, ნოდარ ციციშვილი, თეიმურაზ I თითქო სხვა კულტურულ მსოფლიოს არც კი იცნობენ გარდა ირანისა, ისინი ცალმხრივს დამოკიდებულებაში იმყოფებიან ირანული ეპიკური პოეზიისაგან, მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით ირანის მხატვრულ ლიტერატურას მე-16—17 საუკუნეებში უკვე კარგახანია განვლილი აქვს ბრწყინვალე აყვავების ეპოქა, თვით იმდროინდელი ირანული პოეტები თავიანთი დიდი წინამორბედების, ირანული კლასიკოსების ეპიგონები არიან და ფირდოუსის, ნიზამი განჯელის, ომარ ხაიამის, ჯელალედინ რუმის, ჰაფიზის და სხ. იდეებით და მხატვრული სახეებით იკვებებიან. ირანში ამ დროს უკვე დაშრეტილია ორიგინალური შემოქმედების ანკარა წყარო. გარდა ამისა, მე-16—17 ს. ქართველი მწერლებისთვის, რომელნიც უფრო ორტოდოქსალური ქრისტიანები არიან, ვიდრე ირანე პეტრიწონელი ან შოთა რუსთველი იყვნენ, იმიტომ რომ ქრისტიანობა მათთვის, სხვათა შორის, ეროვნული ვინაობის დამცველ იარაღადაც ექცა. უმეტეს შემთხვევაში, სრულიად მიუღებელია ირანული პოეზიის მაკჰადიანური იდეოლოგია და სუფისტური მორალი: ისინი სცილდებოდნენ ეს იდეოლოგია და მორალი განდევნონ თავიანთი ქართული თარგმანებისა და ვარიანტებისაგან. ამით აიხსნება, რომ ირანული მხატვრული ლიტერატურის გავლენა მე-16—17 საუკუნის ქართულ მწერლობაზე უფრო ფორმალისტურია და იმ ცხოველყოფელ იმპულსებს ვერ იძლევა, რომელიც ჩვენთვის შეიძლება ფორმის მხრივ ნაკლებ დამთავრებულს, მაგრამ იდეოლოგიისა და მორალის მხრივ უფრო ახლო მდგომარე ლიტერატურას მოეცა.

ნაციონალური და რეალისტური ოპოზიცია ირანული ტენდენციის წინააღმდეგ ქართულს მწერლობაში თავდაპირველად თითქო გარეშე გავლენების დამოუკიდებლად დაიწყო, ამ ოპოზიციის საუკეთესო წარმომადგენლები არჩილ მეფე, იოსებ ტფილელი, დავით გურამიშვილი საქართველოს აწმყოსა და წარსულში პოულობდნენ როგორც შემოქმე-

დების იმპულსს, ისე სიუჟეტურ მასალას. შეიძლება ითქვას, რომ მათ შექმნეს ტრაგიზმის გრძნობით გამსჭვალული ნაციონალური ეპოსი. ეს ლიტერატურა ძალიან ვნებიანია, ძალიან ადამიანური, დევნის გურამი-შვილის პოეზია დიდ სიმაღლეზე სდგას. ფორმალური ეფექტურობის დასაზრისითაც. მაგრამ, თუ შეხედვლობაში არ მივიღებთ საუცხოვო, დიდად ორიგინალურ „ქაცვია მწყემსს“, ეს ლიტერატურა ვიწროდ არისტოკრატიულია თავისი თემით და იდეოლოგიით და მოწყვეტილია თავისი დროის მოწინავე კაცობრიობის დიდ იდეურ მოძრაობას.

იმ რკინის სალტებიდან თავის დაღწევა, რომელშიაც საქართველო მოექცა ბაღდადის ხალიფატის და კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ, პირველად იმავე ნაციონალური ტენდენციის მწერლებმა სცადეს, და შეიძლება ითქვას, რომ პირველი თერგდალეულნი არჩილ მეფე, საბა სულხან ორბელიანი, ანტონ I-და სხვ. არიან. ეს პირველი შეხვედრა რუსებთან პოეტურ ენაზე დიდი სიძლიერით, გადმოგვცა მე-18 საუკუნის შაშა მეხელმა და იესო ჭრისტეს ტრუმადურმა დავით გურამიშვილმა, რომლის აზროვნებაში უცნაურად შეკავშირებულია ქრისტიანული სპირიტუალიზმი და ხალხური წარმართობის, შშის და ვარსკვლავების კულტის რემინისცენციები. თავის ტყვეობის და ორჯერ გაპარვის ასაწერად ის პოულობს ცეცხლიან სიტყვებს, რომლის მსგავსი იშვიათად თუ რომელიმე პოეტს უპოვნია თავის ტანჯვის გამოსახატავად. თავის შიშშილს, სიტიტელეს, უსახკარობას. ლეთისა, შშისა და შეიდი ვარსკვლავისადმი მინდობას ის ვასაოკარი დამაჯერებელი ძალით გვიამბობს, მკითხველის წინაშე ის დღესაც ისევე ნათლად სდგას თავის უჭორო თავით, როგორც ორასი წლის წინად ეკლესიაში თავმოყრილ რუსებს წარუდგა ჩრდილო კავკასიაში. ყველაზე დამახასიათებელი ამ ამბავში შეიძლება ის იყოს, რომ ჩრდილოეთმა გურამიშვილზე რაღაც მისტიკური ხილვის შთაბეჭდილება მოახდინა:

კიდევ შეეხედვ გავშინჯე,
 გარჩევით დავინახეო;
 თავთ იალქანნი ქალთანი
 დევთა რქად გამოვსახეო...
 მარტო პერანგით მოსილთა
 ყელზე ეკიდათ ჯვარები;
 მიველ და ჯვარსა ემთხვივე;
 ვიწერე ზედ პირჯვარები.
 ერთმა მიუთხრა მეორეს:
 — დაი ხლებაო, ლაზარი!
 ხლება რა მესმა, დამეცა
 მე სიხარულით თავზარი.

მოელი ეს ღრმა ტრაგიკული ადამიანური თავდადასავალი ჩვენთვის დღეს თავისებურ განათებას ღებულობს, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ რუსეთთან დაახლოება თავდაპირველად ქართველი ერის ბედოქველად არსებობის შესანარჩუნებლად მოხდა; წმინდა პოლიტიკური ინტერესი დიდხანს სჭარბობდა კულტურულს. ქართველი ემიგრანტების სმენას პეტრე I და ეკატერინე II ზარბაზნების გრალი უფრო მუსიკალურად და უფრო გასაგებადაც ეჩვენებოდათ ვიდრე ტრედიაციის, ხემნიცერის და სუმაროკოვის პოეტური ენა. ეს პირველი ქართველი თერგდალეულნი, უმრავლეს შემთხვევაში, უთვისტომო, სულიერად დაობლებულ პილიგრიმებად დარჩნენ ცივ ჩრდილოეთში და მათი სევდა და სინანული ყველაზე უკეთ იმავე გურამიშვილმა გამოჰხატა:

შვეე! სიშორითა შენითა
ესტირ გულზე კენსით, ქშენითა:
ყინვა მკლავს და მარჩობს ბუჭი,
განმათბე, მომფინე შუჭი.

და მართლაც ადვილი გასაგებია, რომ მე-17-18 საუკუნის რუსეთის კულტურას არ შეეძლო დიდი მოკრძალება გამოეწვია არც რაინდულად აღზრდილ, „ეისრაზიანის“ გამლექსავე, „ალექსანდრიანის“ მთარგმნელ ძველ ქართულ ზნეჩეულებეთა მცოდნე არჩილ მეფეში, არც ევროპის კულტურასთან გაცნობილ და კათოლიკობისადმი მიდრეკილ საბა სულხან ორბელიანში, არც „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორსა და „ვეფხისტყაოსნის“ კომენტატორ ვახტანგ მეექვსეში, არც დიდ ისტორიკოს და გეოგრაფ ვახუშტიში. საჭირო იყო, რომ ჯერ თვით რუსული აზროვნება და მხატვრული სიტყვა ასულიყო სათანადო სიმაღლეზე, აქტიური მონაწილეობის მიღება დაეწყო დიდ საერთაშორისო იდეურ მოძრაობაში, ნაციონალური და დემოკრატიული გამხდარიყო, ორიგინალური და სანიმუშო ძეგლები შეექმნა; ეს კი მხოლოდ მე-19 საუკუნეში მოხდა, როცა რუსეთის კულტურის ასპარეზზე ისეთი ბრწყინვალე ოსტატები გამოვიდნენ, როგორც რეალისტური ლიტერატურის დარგში პუშკინი და გოგოლი იყვნენ, კრიტიკაში ბელდნსკი და დობროლუბოვი, პუბლიცისტკაში ჩერნიშევსკი და გერცენი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა, რომ ქართველ ახალგაზრდობას თერგი გადაელახა არა რუსული ზარბაზნების გრგვინვის მოსასმენად, რუსული ჯგრის სამთხვევად და ლაზარეს პურის მისაღებად, არამედ დიდ საერთაშორისო კულტურის საზიარებლად.

აი ასეთ თერგდალეულთა ბელადი ილია ქავჭავაძე იყო. ის ნაბნედი ჩრდილო-დასავლეთელია თავის კულტურული ორიენტაციით; მას უყვარდა არა სლავიანოფილებისა და მილიტარისტების რუსეთი, რომლის მხატვრული ასახვა მან თავის „მგზავრის წერილებში“ მოგვეცა პირუტყვი-

ვით უაზრო რუსის იამშნიკსა და უტკუო, ქარაფშუტა რუსის ოფიცერში, არამედ პროგრესის გზით მიმავალი, დემოკრატიულნი წინაშე მდებარე კულური რუსეთი, რომლის საუკეთესო გამომატველად ის რუსული მწერლობასა და მეცნიერებას სთვლიდა. ის სავსებით ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ „თერგდალეული აღიზარდა რუსულს მწერლობასა და მეცნიერებაზე და შეითვისა, შეიბორცა ნათელი აზრები რუსეთის განათლებულის საზოგადოებისა და ხელსავსე მოვიდა სამშობლო ქვეყანაში“. ამ ახალი რუსეთის მასწავლებელი კი, მისივე სიტყვებით რომ ეთქვათ, „დაწინაურებული ევროპა იყო, საიდგანაც რუსეთმა გადმონერგა საკუთარ ნიადაგზე სწავლა-მეცნიერება და საიდგანაც დღესაც ეხიდება წყალსა და ჯაგარს განათლებისას“ („თერგდალეულნი და ახალი თაობა“). ამრიგად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ქართული აზროვნება ხელახლა დაუკავშირდა ელინიზმის საფუძველზე დაყრდნობილ მოწინავე კაცობრიობის კულტურას, რომელთანაც ის ახლო იდგა როგორც თავისი ნორჩობისა, ისე ვაეკაცური სიწიფის ასაკში და რომელსაც, წინააზიური კულტურის ჩაშვავების გამო, ის მოწვევითი იყო ხუთი-ექვსი საუკუნის მანძილზე.

აქედან ცხადია ის დიდი როლი, რომელიც ილია ჭავჭავაძეს უჭირავს ქართული კულტურის ევოლუციაში. შეიძლება წმინდა ფორმალური მიღწევების საზომით შოთა რუსთველი სქარბობდეს ილია ჭავჭავაძეს; მაგრამ როგორც მოაზროვნე მხატვრებმა მათ რამდენიმედ ანალოგიური როლები შეასრულეს ორ ერთი მეორეს დაშორებულ ეპოქაში: მათ მოგვეცეს უცხოეთიდან მომავალი რღვეური გავლენების ორიგინალური სინთეზი საქართველოს ეროვნული კულტურის საფუძველზე, მათ ქართველი ერის ზნეობრივი იდეალები მოწინავე კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებებს დაუკავშირეს. მხოლოდ რუსთველის ეპოქაში ეს მოწინავე კაცობრიობა ბიზანტია — არაბეთ-ირანის მსოფლიო იყო, ილია ჭავჭავაძის ეპოქაში კი რუსეთი და დასავლეთი ევროპა.

ძირითადი იდეა, რომელიც ილია ჭავჭავაძის აზროვნებას ჰფლობს, არის იდეა ადამიანის გონების ძლევამოსილებისა და კაცობრიობის დაუსრულებელი პროგრესისა: ეს იდეა მისი თანამედროვე გაგებით უცნობია როგორც ძველი კულტურული ერებისა, ისე წმინდა აღმოსავლეთური ცივილიზაციისათვის; ყველაზე ნათლად და გარკვეულად ის ფრანგმა რაციონალისტებმა გამოსთქვეს, კერძოდ კონდორსემ განავითარა მე-13 საუკუნეში. პროგრესის იდეა გაბატონებულია მე-19 საუკუნის ევროპის აზროვნებაშიც, კერძოდ იმ ადამიანების აზროვნებაში, რომელთაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს ახალგაზრდა ილიას რუს მასწავლებლებზე: ესენია ფრანგი სოციალისტ-უტოპისტები და გერმანელი ფილოსოფოსები, ჰეგელი, ფეიერბახი და სხ. ბოლოს პროგრესის იდეისთვის იბრძოდნენ ის პოეტები, რომელთა მებე სიტყვა და მღელვარე ცხოვრება ილიას უფრო მოსწონდა, ვიდრე ოლიმპიურად შეუშფოთებული მღვდე-

ლთმსახურება ხელოვნების ცივ პარნასზე: ესენი იყვნენ ბნელიანი, პეტრე-ვიქტორ ჰიუგო და სხ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე არასოდეს ევროპელი და რუსი განმანათლებლების უბრალოდ მიმდევარი არ ყოფილა. მისი მოწინააღმდეგეები მაშინაც კი აქარბებდნენ, როცა ბრძოლის ასპარეზზე ახლად გამოსულ პოეტს ეუბნებოდნენ, ფარის მაგივრად ბელინსკის ტომებით ხარ აღჭურვილიო. შემდეგ თავის მეცნიერულ-პოლემიკური წერილებით ილიამ დაამტკიცა, რომ მეცნიერების მრავალ დარგში, განსაკუთრებით ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, იურის-პრუსდენციის, პედაგოგიკის და სხ. დარგებში ის არ ყოფილა დილეტანტი. მით უმეტეს ის დილეტანტი არ ყოფილა საქართველოს წარსულის და ამწყოს ცოდნის დარგში, რომლის მნიშვნელობას, მისი თქმისა არ იყოს, ვერაინ ვერ უარპყოფს, „რადგანაც ის მწერლობა უქმი და მკედრად შობილია, რომელსაც საძირკვლად საკეთარის ვითარების შესწავლა არ დაუღვია“ („თერგდალეულნი და ახალი თაობა“).

როგორც დიალექტიკურად მოაზროვნე ადამიანს ილია ჭავჭავაძეს პროგრესის იდეა სრულიადაც ისე არ ესმოდა. როგორც რუს ნიგილისტებს ან როგორც ევროპული ვულგარული მატერიალიზმის მიმდევარს პისარევს. ილია ამბობდა, ცარიელი უარყოფილობა, კრიტიკული აზროვნების დამოუკიდებლად, დიდი უაზრობაა, რომ ერთად ერთი გზა ცთომილებიდან ქეშმარიტებისაკენ მიმავალი ჰოსა და არას დაპირისპირებაო. „არისტოტელი არამც თუ სწუნობდა დღეს სამართლიანად გაკაცულსა და მოსპობილს ბატონყმობას, არამედ იგი უფრო უარესის მონობის მომხრეც იყო, და განა აქედან ის გამოდის, რომ არისტოტელი სულელი იყო და ჭეყნის მუხანათი?“ („უარყოფილობა ჩვენში“). ამ დიალექტიკურა აზროვნებიდან გამომდინარეობდა ილიას მდგომარეობა რევოლუციის იდეისადმი, თვით სიტყვა რევოლუცია, თუ არ ეცდებით, მან პირველმა იხმარა მე-19 საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. მას რევოლუცია სწამდა არა როგორც თვითმიზანი, არა როგორც პერმანენტული პროცესი, არამედ როგორც ცხოვრების განახლების და დაწმენდის საწყისი. — ესეა ყველაფერი ამ ჭეყანაზედ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაირიოს და მერე დაწმენდება ხოლმე. ამბობს ის „მგზავრის წერილებში“.

ჰუმანისტური და სოციალისტური აზროვნების ზეგავლენით ილია ჭავჭავაძეს პროგრესი წარმოდგენილი ჰქონდა არა როგორც მარტოოდენ ტექნიკისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, არამედ როგორც ადამიანის გონებრივი ჩამორჩენილობის და მორალური სიღუბეჭირის გადალახვა და წინსვლა სრულქმნილი ადამიანობისა და სოციალური პარმონიისაკენ. „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა“, ამბობს ის საპროგრამო წერილში, რომელიც „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერს წარუმიღვარა: „ამ აზრის უკვდავებაში არის



მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ რომ *არაა* მისი განუწყვეტელია. ...რა ააზლოვებს, რა სცვლის და, თუ ცხოვრებას უკვრთელია, რას მიჰყავს ის წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან... მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურობთ როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა. თვით მომავალი წესწყობილება, როცა შრომას ბორკილები, აებსნება, როცა ცადმიღწეული მძლავრ კავკასიის ტომნი ერთი აზრით განდიდდებიან, ხოლო ქართველობის სახელი საამაყოდ ექნება საქართველოს ყოველ ერთგულს შეიღს, ილია ჭავჭავაძეს წარმოდგენილი ჰქონდა როგორც კვშმარიტების გულისთვის აღძრული ბრძოლის შედეგი, ეს იდეები მან პოეტურად გამოსთქვა თავის „შარდილში“.

ამ რაციონალისტურ აზროვნებასთანაა დაკავშირებული ილიას ბრძოლა ასკეტიზმისა, მისტიციზმისა, ფატალიზმისა, პესიმიზმისა და ყველა იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელნიც ადამიანს ხელს უშლიან მის ბუნებაში დამარბული ნიჭი და შესაძლებლობანი ყოველმხრივად განავითარონ. „მგზავრის წერილებში“ ის შეჩვენებას უგზავნის ბნელს ღამეს მისი სიზმრებითა და ადამიანის გონების დამაფრთხობელი მოჩვენებებით და ჰიშნს მიუძღვნის დღის სინათლეს; ეს მზის ჰიშნი დიდად დამახასიათებელია ილიასთვის, როგორც ერთის მხრით დასავლეთ ევროპის და რუსეთის განმანათლებლების მიმდევრისთვის, ხოლო მეორეს მხრივ რუსთველის და გურამიშვილის შემეკიდრისთვის. „განდევილში“ მან ბუდისტურ-ქრისტიანულ სპირიტუალიზმს და ასკეტიზმს, რომელიც ყველაზე უკეთ გამოითქვა ბუდდას ქადაგებაში, რომ სხეული არ არის ჩემი, ის არ არის მე ან ჩემი მეო, ან ჩენი „სიბრძნე ბალავარის“ სიტყვებში, რომ ცხოვრება არის ჩრდილი, რომელიც წარავალს და კვამლი, რომელიც განქარდებიისო, ბოლოს, გურამიშვილის სენტენციაში, ამაღ სჯობს ზორცი უარშყო, სულსა უწირო, ულოცოო, დაუპირისპირა ელინიზმიდან და საქართველოს ეროვნული ტრადიციებიდან მომავალი ჰუმანიზმი და მედნიერების მორალი და ამ უკანასკნელს გაამარჯვებინა:

განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჭხარის
ქვეყანას ლეთითვე დაბადებულსა?

ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო

ესე ლამაზად წუთისოფელი?

განა მისთვის, რომ ადამიანმა

შეაჩვენოს და აილოს ხელი?

ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,

ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სიხარულს?!

ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!

აღრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!..

ამ მხრივაც ილია ჭავჭავაძის აზროვნება სრულიად ეთანხმება დასავლეთი ევროპის მე-19 საუკუნის მოწინავე ადამიანების აზროვნებას, რომელიც ამ საკითხში საუკეთესოდ ტოფილ გოტიემ გამოხატა: „ქრისტიანების ამ ქვეყანად არ მოსულა, და მე წარმართი ვარ როგორც ალკიბიადი: გოლგოთის მწვერვალზე ვნების ყვაველები არასოდეს არ დამიკრფვია და არც ოდესმე იმ მდინარეში მიბანაენია, რომელიც ჯვარცმულის შვერდიდან მთელს მსოფლიოს თავს გადაესხა, ჩემს ამბოხებულს სხეულს არ სურს სულის ბატონობის აღიარება, ჩემს ხორცს არ სწადიან თავისი ჯვარცმა. მე ქანდაკება უფრო მომწონს ვიდრე მოჩვენება, ნათელი დღე უფრო ვიდრე საღამოს მწუხარი“.

მაგრამ იყო ერთი დარგი. სადაც ილია ჭავჭავაძე საშუალო საუკუნეების ასკეტებს უახლოვდებოდა თუ თავისი იდეოლოგიით არა, ყოველ შემთხვევაში თავისი განცდებით: ეს იყო ეროვნული მოღვაწეობის დარგი. მისი პატრიოტიზმი ასკეტური ხასიათისა იყო, სამშობლოს სამსახური მას ისე ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც მსხვერპლთშეწირვა. ის ამბობდა, რომ „ქვეყანად ცასა ლეთად მოუცია მარტო მამული, რომ დიდი არის ლეთის წინაშე იგი ცხოვრება, რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი ქვეყანასვე შეეწირება“; ის იმეორებდა ერთი გამოჩენილი მწერლის სიტყვებს, რომ რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატროსან გულში მას მაინც დიდი ადგილი უჭირავსო. თუმცა ილიას უახლოესი თანამშრომელი და პირველი ბიოგრაფი გიგა ყიფშიძე გვარწმუნებს, ბავშვობაში ის ბერად შედგომაზე ოცნებობდაო, მაგრამ შემდეგ არც თავის აზროვნებაში, არც თავის ბუნებაში მას არაფერი გამოუმჟღავნებია განდეგილობის შესაფერი. პირიქით, სტუდენტობის დროს ის იტალიაშიც კი აპირებდა წასვლას გარიბალდის რაზმში ჩასაწერად. ცნობილია, რომ მისი სუფრა არა ჰგავდა სამონასტრო ტრაპეზს, ის უფრო ხშირად, განსაკუთრებით ტრადიციულ ილიობა დღეს, კლასიკურ ბანკეტს უახლოვდებოდა. მას უყვარდა ქალები, შეიძლება ახალგაზრდობაში უფრო პლატონურად ვიდრე სიბერეში. მას უყვარდა პაზარტული თამაშობა; რამდენჯერმე ის ბარიერთან მდგარა როგორც ვნებიანი დუელიანტი, მაგრამ როგორც მებრძოლ პატრიოტს მას მღვიძარი სული ჰქონდა ევთიმე მთაწმინდელივით:

მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
 ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება!
 შენს ძარღვის ცემას მე ყურს ეუგდებ სულგანაბული,
 ღამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ღამდება.

ეს მღვიძარი პატრიოტიზმი სრულიადაც არ გულისხმობდა სხვა ერების დაჩაგვრას ან უპატივცემლობას: ის მხოლოდ თავდაცვის იარაღი იყო კატკოვების, იანოვსკების, რუსი ექსარხოსების, პატკანოეების, მუხრან



ბატონების შემოტყვის წინააღმდეგ, როგორც ცნობილია, ამ თეანასკინელმა რუსულ და ფრანგულ ენაზე ბროშურა დასწერა „საქართველოში ინდივიდუალიზმის არსებაზე“. სადაც ამტკიცებდა, ევოლუციის კანონები, და პროგრესის ინტერესი მოითხოვს, რომ პატარა ერები დიდ ნაციონალურ ერთეულებში გაითქვიფონო. და ილია სწორედ მას გულისხმობდა, როცა თავის „პასუხის-პასუხში“ სწერდა:

ენა მაღალი,
 მის სიღრმე, ძალი,
 ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;
 პირველ თქვენგანმა,
 იმა ბედშავმა
 მას მკვდრის სუდარა გადააფარა.

„სხვისი ნუ გინდა რა, შენი იკმარე, ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვეყთხელი, ეს არის დედაბოძი ზნეობისა, ამბობს ილია ჭავჭავაძე „ქვეთა ლალადში“: ერი როგორც კრებული ისტორიით შექმნილ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა, ყოველი პატიოსნისა და ჭკუათმყოფელი აღამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელია“. ისეთ ისტორიულ მოღვაწეებში, როგორც დავით აღმაშენებელი იყო, ილია ჭავჭავაძეს ისე არაფერი არ აკვირებდა, როგორც „მისი კაცთმოყვარეობა, პატივისცემა სხვისი ეროვნებისა, სხვისი სარწმუნოებისა, საკვირველი და საოცარი მაგალითი მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან“. მაგრამ, თავისთავად ცხადია, რომ ილიას აზროვნება სრულიად თავისუფალი იყო ყოველი განყენებული კოსმოპოლიტიზმისა, ყოველი გულისამწყვეტელი სანტიმენტალობისა და ფილანტროპიისაგან. მას ისე არაფერი არ ეჯავრებოდა როგორც „ცრუპენტელა ლიბერალები“, „ლიბერალობის პერიკიები“, რომელნიც მზად იყვნენ თავიანთი ეროვნული ვინაობისა და ინტერესების დაცვაზე ხელი აეღოთ იმის შიშით, ვაი თუ ნაციონალისტობა და შოვინისტობა დავეწამონო.

ილიას ინტელექტურ პატიოსნებას მოწმობს ის გარემოება, რომ ის სრულიადც თავისი დროის ჭართველობის იდეალიზაციას არ ახდენდა ზოგიერთ გონებაშეზღუდულ ნაციონალისტივით. საქმათა შმის საილუსტრაციოდ მისი „ბედნიერი ერი“ ან „რა ვაკეთოთ, რას ვშერებოდით“ ვაეიზხენოთ, ეს უმძაფრესი სატირა, რომელიც ოდესმე პოეტს თავისი ერის ზნეობრივი მანკიერების წინააღმდეგ დაუწერია. ის ებრძოდა მოლაღატეობას; ქვემძრომობას, ენატანიობას, სოციალური ინსტინქტების დაშლას, ერთი სიტყვით იმ ზნეობრივ ანარქიას, რომელმაც მე-19 საუკუნის ჭართველობის მაღალი წრეები მოიცვა; ის მათ სულიერი სიმტკიცის და ხანიათის მთლიანობის იდეალს უყენებდა თვალწინ. „მძლედ მობურთაღნა

ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდ ხასიათის კაცნი არიან. ჰოყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთუკისა და სხვათა დიდ ხასიათობა, იმისდამიუხედავად, ტრიალი ემარჯვებათ თუ ემარცხებათ", ამბობს ის თავის წერილში დიმიტრი ყიფიანის შესახებ. „მხოლოდ დიდ ბუნებოვანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიკა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირთ, ვიდრე საკუთარი სიცოცხლე“, სწერს ის ლუარსაბ მეფის დღესასწაულის გამო.

ილია ქვექვაძე მოწინავე ევროპულ აზროვნებას დაუკავშირდა თავისი ძირითადი იდეებით, სახელდობრ პროგრესის, ანტიასკეტური მორალის, ჰუმანიზმის, საღად გაგებული პატრიოტიზმის იდეებით. მას სწამდა, რომ ჩაგრული ერების განთავისუფლება მოხდებოდა შრომის განთავსუფლებასთან ერთად, ეს რწმენა მან თავის „აჩრდილში“ გამოჰხატა; მას სწამდა, რომ „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშის დაშლა“ შეაფერხებდა ისტორიას, ეს რწმენა მან გამოსთქვა თავის ლექსში „1871 წლის 23 მაისი“ („პარიზის კომუნა“). ილიას პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიზმი დღეს უდავოდ არის ცნობილი და ზედმეტ განმარტებას აღარ საჭიროებს. მაგრამ შეიძლება ბევრისთვის ასევე ნათელი არ იყოს ის როლი, რომელიც მან წმინდა მხატვრული აზროვნების დემოკრატიზაციის საქმეში შეასრულა. მან შეუთრგებელი ტერორი გამოუცხადა დამეფლებულ ორთოგრაფიას და გილიოტინაზე გაგზავნა ყველა ეს დრომოკმული უ-ბრჯგვილები. ჰიები და ჰიები. ეინაიდან მას კარგად ესმოდა, რომ არქაულე მეტყველება არქაული აზროვნების საფარი იყო. ძნელია მეორე ქართველი მწერლის დასახელება, რომელსაც ჩვენი სალიტერატურო ენა ისე გაემდიდრებინოს ხალხური გამოთქმებით, ანდაზებით და სიტყვის მასალით, როგორც ეს მან ჰქნა „ოთარაანთ ქერივში“, „ქებათა ღაღადში“ და სხ.

ქართული ლიტერატურის ევოლუციის თვალსაზრისით არა ნაკლებ საეჭლისხმოა ის, რომ მან სალიტერატურო ენის და ტიპების დემოკრატიზაცია მოახდინა: ძველს ქართულს მწერლობაში გაბატონებულ ისტორიულ და რომანტიკულ ეპოსს, რელიგიურ ჰიმნებს და ოდებს, სადაც მალალი ფეოდალური საზოგადოების უოფაცხოვრება, სულიერი მისწრაფება და გემოვნება იყო გამოხატული, მან რეალისტური მოთხრობის, რეალისტური ლირიკის და ფილოსოფიური პოემის ენარი დაუპირდაპირა, სადაც თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების წრეებია ასახული. თავიანთი უოველდლიური ცხოვრებით და თავიანთი აზროვნებით, ან მათი ზნეობრივი იდეალებია გამოხატული. თვით ილიას,

ბენ, მაგრამ რადგან მას გასაოცარი პლასტიკური ხილვის ნიჭი აქვს, ის იძლევა სრულიად გამოკვეთილ და ნათელ კონტურებს, გამჭვირვებულ ხაზებს-დეროში გახვეულთ. ის პეიზაჟის საუკეთესო ოსტატია ქართულ ლიტერატურაში, ამ მხრივ წინამორბედთაგან მხოლოდ ბარათაშვილი და გრიგოლ-ორბელიანი. შემკვიდრეთაგან მხოლოდ ვაჟა-ფშაველა შეედრება. მის პეიზაჟს ქართული აზროვნების დამახასიათებელი ბუნების კულტი ახლავს თან, ის თავისებური პანთეიზმითაა გაუღწეული. საკმაოა ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ ბუნების აღწერა „კაკო ყაჩაღის“ დასაწყისში ან ელეგიაში. ირემზე ნადირობა „გლახის ნაამბობის“ შესავალში, „განდევლის“ და „აჩრდილის“ მონუმენტალური ფონი, ბოლოს პეპიას სიკვდილი კავკასიონის მთების კალთებზე, სადაც მზე სანთლისა და კელაპტრის მაგიერობას სწევს, ხოლო დილის ნამის ორთქლი საკმევლისას. მას იშვიათად ღალატობს მხატვრული ზომიერების გრძნობა: ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა ის სოციალური უსამართლობის ან მორალური დეფექტების წინააღმდეგ ილაშქრებს, ან რაიმე აჩემებული აზრის მხატვრულად ასახვას სცდილობს. სხვაფრივ მას ესმის, რომ ადამიანი რთული მოვლენაა, რომ ყოველს სულიერში ღვთაებრივი ნაპერწკალი ღვივის, რომ სიკეთე და ბოროტება ამ ქვეყანაზე თანაბრადაა შეწონილი. თუ ღლუპისაბის და დარეჯანის სახეები ცოტა არ იყოს გაშარებულაია, ვინაიდან „კაცია ადამიანი“ ილია, უწინარეს ყოვლისა, სოციალური სატირის შექმნას ცდილობს, ბასრი იარაღის გაკედვას დრომოკმული საზოგადოებრივი წყობილების შესამუსრავად, სამაგიეროდ დათიკოს სახე „გლახის ნაამბობში“ დიდი მხატვრული მიუდგომლობითაა გადმოცემული. დათიკოს რაინდული ქცევა მის მიერვე დაღუპული პეპიას და გაბოს მიმართ, მისი ვაჟკაციური სიკვდილი გაბოსთან შეტაკების დროს გასაოცარი დამაჯერებელი სიძლიერითაა აღწერილი, და ეს გარემოება მკითხველს რამდენიმედ მაინც არიგებს მასთან.

პლასტიკურ გენიასთან ერთად ილია ქვეყნაძემ ფილოსოფიური განზოგადოების დიდი ნიჭი აქვს. თავის მოთხრობაში „სალწობელაზე“, სადაც მან ყალბი კულტურის მიერ შეურყეველი, გულალალი გლეხის ტიპი ზოგჯერ, მან დასვა აგრეთვე პრობლემა საზოგადოების პასუხისმგებლობისა ინდივიდუალური დანაშაულისათვის. ამ პრობლემის დასმა და გადაჭრა ამტკიცებს, რომ ის ეთანხმებოდა ევროპის მოწინავე ფილოსოფიური და სოციოლოგიური სკოლების შეხედულებას ამ დარგში. ისევე როგორც თავისი „გუთნის დედი“ და „ოთარაანთ ქერივით“, ამ პაწია მოთხრობითაც ილიამ დაამტკიცა, რომ კარგად იცნობდა ქართველი გლეხის ფსიქოლოგიას და მსოფლშეგრძნობას. „განდევლის“ რომელიც ქართული ხალხური ლეგენდის საფუძველზეა შექმნილი, მაგრამ საერთაშორისო თემის ქართულ პარალელს წარმოადგენს, მან დასვა ზოგადი საკაცობრიო პრობლემა სიუჟენო ბედნიერების მიღწევისა და თავისებური პასუხიც გასცა მას. მან

აღიარა, რომ წარუვალი ნეტარების მოპოება არ შეიძლება ამქვეყნიურ ცხოვრების უარყოფით და განადგურებით.

თავის პუბლიცისტურ ნაწერებში ის ოპტიმიზმის და აქტივიზმის დამცველად გამოვიდა. ეგრედწოდებული ორგანიული სოციალოგიური სკოლის წინააღმდეგ მან ის აზრი გამოსთქვა, რომ ეროვნების დაბერება და სიკვდილი უჭმი სიტყვაა, რომ მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის: ინტენსიური კულტურის განვითარებას კაცობრიობა დაძაბუნებისა და დაუძლურებისაგენ კი არ მიჰყავს, არამედ ენერჯის გაშლისაგენ; ის ადამიანის ვაფოლადებასა და გამოჯიქებას იწვევს, ის მას სწვრთინის არსებობისათვის საჭიდავოდ. ამით აიხსნება, რომ ილიას თავისი სამშობლოსათვის ისე არაფერი არ ენატრებოდა, როგორც ყოველმხრივ განვითარებული სულიერი და მატერიალური კულტურა. ერის ბიოლოგიურ ძალას ის განსაკუთრებით გვირისტიტ შეგერილ, ფოლადივით გამოწრობილ გლეხკაცობაში ხედავდა, რომლის გრძელი კვნესაც კი სიმღერაში გადადის; მდაბიო ხალხს სთვლიდა ის საქართველოს ისტორიის მთავარ-ანონიმურ გმირად. მას სჯამდა, რომ ქართველი ერი გადაშენებას სოფლის დემოკრატიამ გადაარჩინა, ამ დემოკრატიის საღ ეკონომიურ საფუძველს კი საქართველოს ისტორიული წარსულის საუკეთესო ეპოქებში, მისი აზრით, სათემო და საკომლო მიწადმფლობელობის სწორი განაწილება წარმოადგენდა. ის ამბობს, რომ საქართველოს უბედურება დაიწყო იმ დროიდან, როცა „ამ უკეთეს მხარეს ჩვენი ეკონომიური წყობისას ყური აღარ ათხოვეს; ვაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლულობამ, ჩამოვარდა უსწორმასწორობა მიწისმფლობელობაში“ („ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“). ილიას სწამდა, რომ ქართველ დემოკრატიის ჯერ კიდევ გაცვეთილი არ ჰქონდა თავისი ძალღონე და დიდი შემოქმედებითი ენერჯია შესწევდა მომავალი მშენებლობისათვის. „ჩვენი ქვეყანა ბევრ სხვა ქვეყანაზე უფრო მდიდარია, უფრო სავსეა, — ეუბნებოდა ის თავის ცნობილ სიტყვაში წინამძღვარიანთქარის სამეურნეო სკოლის გახსნის გამო ადგილობრივ გლეხებს: — არც ჩვენ თითონა ვართ, უხეირონი, ღმერთი-რჯული; მკლავძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალღონე მოგვდეგს, არც ხალისი გვაკლია“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრებაში არ წარმომდგარა არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე არ შეხებოდეს თავის მხატვრულ შემოქმედებაში ან პუბლიცისტურ წერილებში. აღიარას ვამბობ მის მრავალმხრივ პრაქტიკულ მოღვაწეობაზე. ვასაკვირველი არ არის, რომ ეს დიდი ადამიანი, ახალი საქართველოს წინამორბედი, ეს დიდი ზნეობრივი პიროვნება, ღირსეულად დაფასებულ არ იქნა მისი თანამედროვეების ერთი დიდი ნაწილის მიერ: ის მათზე ბევრად მაღლა იდგა გონებრივად:

და ზნეობრივად. ის ღირსეულად დაფასებულ იქნა ჩვენი სპეციალისტების მიერ, რომელთა ბელადი იყო ალექსანდრე სიციური სიტყვებით შეხვდა მისი მკვლევლობის ცნობას: როცა ტყეს სჭრიან, ნაფოტი სცვივაო. ის ღირსეულად ვერ დააფასეს ქართველმა კაცობრივმა ნაციონალისტებმა, რომლებიც თითქმის ათი წლის დაგვიანებით თვალთმაქცურად სწერდნენ: ჩვენ, მართალია, დიდად დაეშავეთ ილიას წინაშე, რომ დროზე არ დაეცავითო („სახალხო გაზეთი“ 1913 წ. 1 მაისი). ბუნებრივია, რომ მათ გზას გაყენენ კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ქართველი ნაძირალებიც (ტოროშელიძე, პ. ჯ. ჯ. და სხვ.), რომლებიც ცდილობდნენ ნილილისტურად უარეყოთ და შეებდალათ ილიას დიდი მემკვიდრეობა. მაგრამ დიდი მოქალაქე და დიდი მოაზროვნე პოეტი ღირსეულად დააფასა საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ და მთელმა განახლებულმა საქართველომ, რომლის მოსვლა მან თავის „აზრდილში“ იწინასწარმეტყველა.





ნ. შავშავაძე 900-იან წლებში

ილია ჭავჭავაძე როგორს ღივარავარდი კრიტიკოსი

I

ილია ჭავჭავაძის აზროვნება მომწიფდა და გაიფურჩქნა გასული საუკუნის 60-იანი წლების რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ზეგავლენით. მან განიცადა იმ დროის „აზრთა მფლობელების“ — ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის უდიდესი ზემოქმედება. ეს ორი უდიდესი მოაზროვნე 40-იანი წლების მანათობელი ვარსკვლავის — ბესარიონ ბელინსკის საქმის გამგრობობი იყო. ილია ჭავჭავაძისთვისაც ბელინსკი უდიდეს ავტორიტეტს წარმოადგენდა. პირველი თავისი წერილი „ორიოდე სიტყვა შეშლილის თარგმანზედა“ ჭავჭავაძემ 1860 წელს ამ დიდი კრიტიკოსის აზრების გავლენის ქვეშ დასწერა. მგორე წელს დაწერილი „პასუხი“ ბელინსკის ცნობილი ეპიგრაფით დაიწყო: ცნობილია, რომ ილიას მიერ დაარსებული „საქართველოს მოამბე“ ბელინსკის აზრების თავგაპოდებული გამავრცელებელი იყო. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, სპ. ჩიტორელიძის (მ. ყიფიანის) წერილი „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“, რომელიც მოთავსებული იყო დასახელებული ჟურნალის 1863 წლის მე-7 და მე-8 ნომრებში.

მეცნიერება, ილიას აზრით, კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია. იგი ქვეყნის გარდამქმნელი და წინ-წამწვევი საშუალებაა.

„მეცნიერებას და ცხოვრებას, — სწერდა ილია „საქ. მოამბის“ 1-ლ ნომერში (1863 წ.). — ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა“. ეს აზრი ძვალსა და რბილში ჰქონდა გამგდაარი ი. ჭავჭავაძეს და მთელი თავისი მოღვაწეობა მან ამ გზით გაშალა, ამას შეაღია თავისი მაღალი ნიჭი და ამავე მიზნისთვის ბრძოლაში განგმირეს მეფის პროვოკატორებმა მისი შუბლი.

„მეცნიერება და ხელოვნება, — განაგრძობს ილია. — არ არიან მოგონილი კაცის ქვეის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის“... „იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის“... „იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და შერე თავის რიგზედ თვით წინ მიჰყავთ ცხოვრება“... „რაც მათგან არის

მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა¹⁾.

ამაირად, ილიას ღრმად სწამს მეცნიერებისა და ხელოვნების უფრო-სად პროგრესული როლი ცხოვრების გარდაქმნაში.

ილია, რასაკვირველია, არ აიგივეებს მეცნიერებასა და ხელოვნებას, მან მშვენივრად იცის ამ უკანასკნელის სპეციფიკა. „მეცნიერება და ხელოვნება — ეს ორივე ერთსა და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთსა და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განიჩნევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხეანაირად მოქმედებენ და გამოსთქვამენ“. — ვკითხულობთ არა ერთხელ ციტირებულ წერილში. უკანასკნელ სიტყვებში ილია ხელოვნების სპეციფიკას გულისხმობს. რაში მდგომარეობს იგი? ი. ჭავჭავაძე ამ საკითხებზედაც საუბრით გარკვეულ პასუხს იძლევა: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალას ხმარობენ. როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა“, — ვკითხულობთ წერილში „პასუხი“. ამ სტრიქონებში, საიდანაც ბელინსკის აზრთა გამოხმაურება ისმის, ჭავჭავაძემ საერთოდ ხელოვნების და კერძოდ მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკაზედაც სრულიად გარკვეულად მიგვიითია.

ილიას აზრით, ცხოვრება ცვალებადი და უაღრესად რთული მოვლენაა. „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალუბზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა.. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძობა, ენა, რომელიც მავათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან“, — ასე იწყებს ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბიდან“ საზოგადოებასთან ბაასს. რისი საშუალებით უნდა აიხსნას ეს რთული და მუდმივად ცვალებადი მოვლენა, ე. ი. ცხოვრება და მისი მამოძრავებელი მიზეზები? ილია ასეთ პასუხს იძლევა იმავე წერილში: „მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც დღე-მოდამ ზედ დასტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად ვადმოიღონ, რომ ყოველი ყვაილი მისი მოპკრიფონ, შეიტყონ. რისთვის არიან იგინი და რანი არიან. — მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა“.

ამავე წერილის მეორე ადგილას ავტორი უფრო მკაფიოდ გამოსთქვამს ამავე აზრს: „ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვიერთათვის მოსახმარესა“.

¹⁾ ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 83.

დი საქმე გააკეთეს, — მაგრამ ძველებური აზროვნების ბუნებრივი კიდევ მტკიცედ იდგა. რელიგიურ-სქოლასტიკური აზროვნების გვერდით სუსტად მომდინარე რეალისტურ ნაკადს მძლავრი დამცველი უნდა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში. ილია ჭავჭავაძის დიდმა ნიჭმა და ცოდნამ ორივე ეს საქმე გააკეთა: კრიტიკული წერილების საშუალებით რეალისტური აზროვნების საპირობების თეორიული დასაბუთება მოახდინა, ხოლო „კაცია-ადამიანის“ და „კაცო ყაჩაღის“ შექმნით ერთი ათად გააძლიერა ამავე მიმართულების „რუსხმული“, — ვხმარობთ მისსავე ტერმინს.

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც ი. ჭავჭავაძე საერთოდ ხელოვნებას და კერძოდ ლიტერატურას უყენებს, არის სინამდვილის ასახვა შესწავლისა და ანალიზის მიზნით. ლიტერატურა მეცნიერის თვალთ უნდა სწავლობდეს და არკვევდეს ცხოვრებას, ცნობაში უნდა მოიყვანოს ყოველი მისი მოვლენა, რათა „ისევ ცხოვრებასავე“ გადმოსცეს ეს ცოდნა „ახალი ცხოვრების გამოსაკვანძავად“. ილია მთელის არსებით ებრძვის იმ მიმართულებას, რომელიც ხელოვნებას თვითმიზნობისკენ მოუწოდებს, მისი დევიზია „ხელოვნება ცხოვრებისათვის“, მისდა შესასწავლად, მისდა გარდასაქმნელად. დაე „ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელით უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბუღბუღსავით უაზრო სტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს“, — დაასკვნის ჭავჭავაძე.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ეს აზრი საბრძოლო ლოზუნგს წარმოადგენდა და უაღრესად აქტუალური ხასიათისა იყო.

II

მეორე მოთხოვნა, რომელსაც ი. ჭავჭავაძე მხატვრულ ნაწარმოებს უყენებს, არის ენის სავითხო.

პირველი ნიშანი ერის ვინაობისა — ენაა და, აი, სწორედ პირველმან ამან აიღვა ფეხი ჩვენში შემდეგ კარგა ხნის დუმილისა, — სწერს ჭავჭავაძე. ამასთან ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს აზრთა სელას, ჩვენს ზრუნვას და ფიჭრსა, მთელის ბუნებითად რთულის ცხოვრების ფართო მოედნიდამ მცირე კუნჭული და პქონდა დათმობილი ჟამთა ვითარებისაგან. მართო ამ კუნჭულში და გახდა შესაძლებელი ჩვენის ცხოვრებისათვის მოღვაწე კაცს თავი ეჩინა. ეგ იყო მწერლობა, რომელიც მზრდისა და ინახავს ენასა და რომელმაც ხმა ამოიღო ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში¹.

მწერლობამ და პირველ რიგში მხატვრულმა ლიტერატურამ, ილიას აზრით, უნდა შეინახოს — ენა. ამიტომ იყო, რომ ილია სამწერლო ასა-

¹) ტ. IV, გვ. 226.

რეზნე გამოსვლისთანავე ენის რეფორმის საკითხს დაწვავდა „თავისის მუხის სიტყვით“, როგორც მის მიერ მიწასთან გასწორებული კულტურის მთარგმნელი რევაზ ერისთავი ამბობს. ერისთავის წინააღმდეგ მიმართულ სტატიაში ჭავჭავაძე სწერს: „სხვისა არ ვიცი და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ეხ საღეთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

• ილიამ იცის, რომ ენა ცხოვრების თანამგზავრია და მუდმივ ცვალებადობას განიცდის. „კაცის ენა. — ილიას აზრით, — კერძო პირსავე იზრდება დ ეითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ — კაცი ზრდაში ვიცვლებით ზოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთს დროს საკირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ზოლმე; იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველს კაცსა“.

ი. ჭავჭავაძე პიონერი არ ყოფილა ენის განახლების საკითხში. ეს მუშაობა ათი-ხუთმეტი წლით ადრე გიორგი ერისთავმა დაიწყო. მან, როგორც პლატონ იოსელიანი ამბობს, „დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვის“. მისი გზა განაგრძეს ჯერ ზურაბ ანტონოვი და მერე არდაზიანმა და ჭონქაძემ. ჭავჭავაძე ამ დაწყებული საქმის უძლიერესი თეორეტიკოსი და დიდი პრაქტიკოსი იყო — კრიტიკითა და მხატვრული ნაწარებით. ნამდვილი ბრძოლა ამ საკითხის გარშემო მხოლოდ ჭავჭავაძის დროს გაიმართა: გ. ერისთავის, ანტონოვისა და სხვების ენას თითქმის არაფერი არ გაუნაწყენებია. ალბათ, უღლეურ მოვლენად მიიღეს დახვედებული „ციცკრის“ მესვეურებმა ამ მწერალთა ინიციატივა. ჭაობი მხოლოდ მაშინ შეშფოთდა, როცა ჭავჭავაძის „მუხის სიტყვა“ გაისმა, სიტყვა, — მართალი უნდა ითქვას, — მკაცრი და დაუნდობელი.

სარდიონ მესხივეი „ციცკრის“ გვერდებიდან (№ 861 წლის მე-9 ნომერში) ასეთი საბუთებით ებრძვის ილიას: „რასაკვირველია, კარგად იცით, რომ წერა არის სამგვარი: მაღალი, საშუალო და მდაბალი“. „სრულიად არ ვიცი თქვენმა მზემ, — მოუჭრის ჭავჭავაძე. — შემიტყვიე კი, რომ ძველს რიტორიკაში მაგ-რიგადა ჰყოფდნენ ენასა, რომელიც ერთი უნდა იყოს ლიტერატურაში და არა სამგვარი... უწინ რომ ჰყოფდნენ, მაგ-რიგად, იმ საფუძელიდან ჰყოფდნენ, რომ არიანო ქვეყნად სამგვარნი საგანნი: მაღალი, საშუალო და მდაბალი, რომელთ გამოსახატავად უნდა იყოს კიდევც სამგვარი ენაო; მაღალ საგნისათვის — მაღალი, საშუალო საგნისათვის — საშუალო და მდაბლისათვის — მდაბალი. აბა ეხლს ერთი მიბრძანეთ, არიან ქვეყნიერებაზედ ეგ სამგვარი საგანნი? განა ყოველი საგანი თავის კვალობაზედ არ არის მაღალი, მაღალ ლეთაებრიობის სიბრძნის გამომთქმელი? პოლიპი, რომელიც ძლიეს აჩენს თავის სულიერობას, ისე ცხადად მოგვეითბრობს ლეთის ძლიერებას, რო-

გორც მზე, ქვეყნის მანათობელი მნათობი... მაშასადამე, ყოველ სკანონს (ლირსია) ერთნაირად გამოთქმისა¹⁾.

ეს არის საკითხის წმინდა რეალური თვალსაზრისით, დღეს ქვეყნის-ტურ ლიტერატურას ენაც ასეთი უნდა ჰქონდეს. რეალიზმი თავის დროზე ლიტერატურის პოპულარობას და გადემოკრატებას მოითხოვდა, მაშასადამე, ლიტერატურის ენაც მდაბიო და ხალხური უნდა ყოფილიყო.

მესხიევი ჭავჭავაძის საყურადღებოდ სწერდა: „სადაცა იმარება ნაც-ვალსახელი „იგი“, ამ მალალს სიტყვას ზმნისზედა შეეფერება „ოდეს“ და არა მდაბიო „როცა“.

ილია ამის პასუხად სწერს: „ერთი მიბრძანეთ, სადაც „იგი“-ა, იქ რატომ „როცა“ არ ითქმის „ოდეს“ მაგივრად, როცა ეს ორივე სიტყვა ერთი მნიშვნელობისაა. განა ენაშიაც არის ღენერლობა და სალდათობა? თუ არის, მაშ მამინ ღენერალ „იგი“-სთან ვერ ვაპბედავს დგომას სალდათი „როცა“. ამ აზრის დასასაბუთებლად ილია მეორე ადგილას გვეუბნება: „უკადრისი სიტყვები ქვეყანაზედ არ არიან, მხოლოდ აზრი იქნება უკადრისად გამოთქმული სიტყვებთაგან. უეარგისი სიტყვაც არ არის ქვეყანაზედ. თუ ხალხი ხმარობს, მაშასადამე, ვარგისიანია“.

ენის წარმოქმნაში ჭავჭავაძე პირველობას ხალხს უთმობს, მდაბალი ფენების შემოქმედებას. როგორც მრავალ სხვა საკითხში (მაგ., ადგილობრივი თვითმართველობა, კანონმდებლობის სათავე, სწავლა-აღზრდის მთავარი ობიექტი და სხვ.), ისე ენის საკითხში ჭავჭავაძეს ძირითად დასაყრდენ ძალად მასა მიიჩნია. „ხალხია ენის კანონის დამდები“-ო,²⁾ ამბობს ილია.

ენის გამარტივებას და ხალხის მეტყველებამდე დაყვანას განსაკუთრებული მიზანი ჰქონდა ჭავჭავაძის რწმენით. „საქარ. მოამბის“ სარედაქციო წერილში ვკითხულობთ: „რა წამს მიხედნენ, რომ ლიტერატურა თუმცა უფრო ერცლად მოქმედობს ბეჭდვის შემწეობითა, მაგრამ მაინც ხალხს მისი გაგება ეძნელება, მაშინვე გამოჩნდა საჭიროება იმგვარ ლიტერატურისა, რომელიც როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულს შუამავლობასა მეცნიერების და ცხოვრების შორის“. ამ სიტყვებიდან ნათლად სჩანს, რომ ენის გახალხურების მიზანი ხალხში მეცნიერული ცოდნის შეტანა მეცნიერებისა და ხელოვნების საშუალებით. — ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა“. ამის გამო „შეატყვეს, რომ თვით ეს ლიტერატურაც ისე სწრაფად არ ავრცელებს მეცნიერებასა ხალხშია“. მას აღარ შეუძლია „მრავალთათვის მი-საწევლოში გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა“. მაშასადამე. — დაასკვნის ჭავჭავაძე. — ენის რეფორმაც აუცილებელია. „ახალი იდეები და აზრები“ ახალ ენას მოითხოვენ, ახალი ლენო ვერ მოთავსდება ძველ ტიკებში.

¹⁾ ტ. IV, გვ. 370.

²⁾ ტ. IV, გვ. 47.

რეალისტური ლიტერატურის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარეობს აგრეთვე ადგილობრიობის კოლორიტის დაცვა. მსაქმე მწამდელილის საყოფაცხოვრებო და ეროვნული ნიშანდობლიობის შესახებ ქვე-ქავე ამ პრინციპსაც გარკვეულად იცავს. კოზლოვის „შეშლილის“ შესახებ იგი სწერს: „ბევრიც რომ წაიკითხოთ, მაინც ქართული ვერ გაიცნობს ფრჩხილის ოდენასაც რუსის სოფლის გოგოსა, იმიტომ რომ ეს შეშლილი გოგო თუმცა კოზლოვი ამბობს რუსისააო, მაგრამ რუსის სარაფანიც არ აცვია ზედა; ეგ რაღაც ურუსო რუსია, კოზლოვის ფანტაზიის შეილი და არა რუსის ცხოვრებისა“. ლიტერატურული ტიპი ეროვნულ კონკრეტობაში და დამახასიათებელი ნიშნებით უნდა იყოს მოცემული, წინააღმდეგ შემთხვევაში განყენებულ და სქემატურ, ე. ი. არანამდვილადამიანს მივიღებთ. — ასეთია ამ ამონაწერის აზრი.

შოთა რუსთაველის შესახებ ილია ამბობს: „თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისის სამკაულით აკაზმუნებს, თავისის საფერავით აფერვინებს პოეტს „ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას“.¹

რეალისტური მიმართულება სრულებით არ მოითხოვს ყოველგვარი წერილმანის, ყველა საგნის და ყოველნაირი მოვლენის ერთნაირი შეურჩევლობით და ფოტოგრაფის ობიექტურობით ასახვას. მისი საგანი არ შეიძლება იყოს ყოველდღიურად მიმტბორავი და ერთფეროვანი სინამდვილე. ნიჭიერმა ხელოვანმა, უპირველეს ყოვლისა, ერთგვარი შერჩევა უნდა მოახდინოს, უმნიშვნელო და ნაკლებად დამახასიათებელი მხედველობაში არ უნდა მიიღოს და მთელი თავისი ყურადღება ისეთ მოვლენასა და საგანზე შეაჩეროს, რომელიც მრავალ მოვლენასა და საგანს შორის მთავარ, წამყვან ძალას წარმოადგენს. მათ თვისებათა შეჯგუფებას იძლევა. ერთის სიტყვით, ტიპურია. ტიპის ამორჩევა და სინამდვილის მრავალფეროვნებაში ტიპურზე შეჩერება, საზოგადოდ ტიპური აზროვნება უდიდესი პლუსია მწერლისათვის. ეს ამტკიცებს მისი აზროვნებისა და მომზადების სიღრმე-სისრულეს, სინამდვილის და განვითარების ტენდენციის ცოდნას.

ილია ჭავჭავაძე, რომელმაც სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე სწორედ ტიპური აზროვნების უდიდესი მაგალითები გამოამკლავნა ლუარსაბ თათქარიძის, კაკო ყაჩაღის, დათვიკოს და სხვების დახატვით, ასეთ აზრს გამოსთქვამს ამ საკითხის თაობაზე: „შემოქმედების ძალის ღონიერება ერთი და იგივე არ არის, როცა ერთი მთელს გადასწვდება ხოლმე და მეორე კი მარტო ნაწილსა. მწერალმა თუ სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა ზედმიწევნით და მშვენიერად გამოხატოს ერთი რომელიმე ცალკედ სახელწოდებული კაცი — ივანე თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა

¹) იქვე, გვ. 186.

უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადის კაცის გამოხატვის შემოქმედელია.¹⁾ ეს სიტყვები მსოფლიო მნიშვნელობის ტიპების — „ვეფხისტყაოსნის“ გმირების შესახებ სიტყვა ილიამ, მაგრამ, როგორც პრინციპული დებულება, ყოველგვარი ტიპურის თაობაზე ვრცელდება. მისივე სიტყვით, „პორტრეტების მხატვარი, დიდად სახელგანთქმულიც და გამოჩენილი, ყოველთვის უმდაბლესია, უმდარესია მასზედ, ვინც ზოგადის კაცის, ტიპის შემოქმედელია, თუნდაც ხელსაქმობით. ტეხნიკით ამისი თანასწორი იყოს. ამიტომაც ღი თონ პორტრეტების წერას, ესე იგი ცალკე კაცის ხატვას, მხატვრობაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს და თითქმის ხელოვნებადაც არ არის ცნობილი, რადგანაც ვე უფრო ოსტატობაა, ვიდრე ხელოვნება“.

მწერლის ნიჭის სიძლიერეს და სიღრმეს ჰავეჭავაძე სრულიად სამართლიანად ზომავს ტიპური მოვლენის შერჩევის უნართანობით. რამდენადაც დიდ მწერალს (გულისხმობს რუსთველს) კერძო პირების მხატვრად წარმოვიდგენთ, „იმდენად შემოქმედება მწერლისა მალლიდამ დაბლა ჩამოდის, იმდენად მწერალი ნიჭ-ნაკლებია და დაქვეითებული“.

ჰავეჭავაძე უტილიტარული თვალსაზრისით უდგება საერთოდ ხელოვნებას და კერძოდ ლიტერატურას. უტილიტარიზმის იდეა მას არ ესმოდა ისე, როგორც პისარევმა და მისმა მიმდევრებმა გაიგეს. პისარევის აზრით, მწერლის ნიჭი, ენის ცოდნა და თბრობის მანერა სრულებით არ არის ყურადღების ღირსი, ვე „ესთეტიკოსების საქმეა“ და არა მოაზროვნე ადამიანისა, რომელიც პოეზიაში ფაქტიურ მასალას უნდა ეძებდეს, პრაქტიკულ ცხოვრებაში სასარგებლოს და გამოსადეგს. მართალია, ი. ჰავეჭავაძის სიტყვები: „... ჩვენ სტატიაში ნუ ელოდებით ესთეტიკურ კრიტიკასა: ვინ ჩვენ და ვინ ესთეტიკური კრიტიკა! ჩვენ უბრალო სიკვდილის შვილივართ, სად შეგვიძლიან“, — ძალიან ჰგავს პისარევის აზრს, მაგრამ იგივეობის ნიშანი მათ შორის მაინც არ დაისმება: ილია მხატვრულ ნაწარმოებში აფასებს და ეძიებს არა მარტო შინაარსს და სასარგებლო ცოდნას, არამედ მისი გაფორმების საშუალებებსაც. ნიჭის სიძლიერე და თავისებურება მისთვის ერთი მთავარი საძიებელთაგანია მხატვრული ფაქტის შესწავლის დროს. გაეიხსენოთ, რა სასტიკად მოექცა იგი კაზლოვს და მის უნიკო მთარგმნელს ერისთავს, რა დღე დააყენა ბარ. ჯორჯაძეს, მესხიევს და სხვებს. ვიცით მისი აზრი აგრეთვე ენის შესახებ. ილიას მარტო „ცხოვრებაში გამოცხვარი“ არსებითი პური არ უძებნია ხელოვნებაში, როგორც იგი ამბობს „საქ. მოამბის“ პირველ ნომერში. მას ხელოვნურ ნაწარმოებში ერთნაირად სწამს შინაარსისა და ფორმის მთლიანობა და განუყოფელობა. ამაში გვარწმუნებს, სხვათა შორის, მისი შემდეგი სიტყვები: „ვეფხის-ტყაოსანი“ თუ არის უკვდავი, არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგანი ღირსებითაც“.²⁾

¹⁾ იქვე, გვ. 193.

²⁾ იქვე, გვ. 61.

III



საქართველოს მწერთა კავშირი

ი. ჯავჭავაძეს რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი წიგნები დაეძინა აქვეს მიძღვნილი ქართული ლიტერატურისადმი.

ძველი, ფეოდალური ხანის ლიტერატურიდან ილია საფუძვლიანად შეეხო მარტო „ვეფხისტყაოსანს“, რომლის მსოფლიო მნიშვნელობა მან შესანიშნავად დაასაბუთა ჩვენი პოეზიის მნათობთან აკაკისთან გამოკამათების დროს. სხვა ძველ მწერლებიდან იგი ვაკვრით ეხება გურამიშვილს და ჩახრუხაძეს. ხოლო მთელი ძველი ლიტერატურის შესახებ თავის კონსპექტში ილიას მოცემული აქვეს რამდენიმე ფრიად საინტერესო დებულება, რომელიც ავტორს განზრახული ჰქონია წერილის სარჩულად დაედო. პირველი სამი დებულება ასეთია: „1) ლირიკული მიმართულება ჩვენი პოეზიისა; 2) მიზეზი ამისთანა მოვლენისა — სისუსტე ტალანტებისა; 3) მოღუქეთა შორის მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა, თუმცა იმის პოემაშიც ურევია ბევრი ლირიკა; უნიჭობა ჩვენის მწერლებისა, რომელთაც უნდოდათ მის მსგავსი დაეწერათ, მაგრამ მაინც ლირიკაზედ გადადიოდნენ“¹.

როგორც ამ დებულებებიდან შეიძლება გაიგოს კაცმა, ილია აქ გულისხმობდა მარტო ინტიმურ გრძნობათა გამომხატველ ლირიკას და ამიტომ იყო, რომ ასე დაბლა აყენებდა მას. ძველი ქართველი მწერლების — თეიმურაზ პირველის, არჩილ მეფის, გურამიშვილისა და სხვათა ლირიკა უსათუოდ შეიცავს მძლავრ საზოგადოებრივ განცდებს და ამიტომ მათი მნიშვნელობის დამცილება და თანაც მათი უნიჭობად გამოცხადება არ იქნებოდა სამართლიანი.

ილია საყვედურს გამოსთქვამდა იმ ძველი ქართველი ლირიკოსებისადმი, რომლებიც თავის „გულთა წვა-დაგვას, პირსა და ღზინს“ უფრო უგალობდნენ, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლას და წარმატებას².

უსათუოდ სწორი და ფრიად საყურადღებოა ამ კონსპექტის მეოთხე და მეხუთე მუხლი. ჩვენი ძველი ლიტერატურის ნიშანდობლივი თვისებები საესებით სწორ ფორმულებად აქვეს ილიას მოცემული. ზაზი უნდა ვაესვას იმ მომენტს, რომ ჯავჭავაძე ძველ ლიტერატურას შინაარსისა და ფორმის მხრივ უღგება. ვაეცნოთ ეს დებულებები:

„4) იდეა ძველი პოეზიისა და ფორმა გამოთქმისა: ა) ჩივილი, წუთი-ხოფლის მღერვა; კაცის ამოება, აქაურ ცხოვრების ამოება და ნუგეშით თვალის შეჩერება ცაზე, სადაც მოვლიან საუკუნო განსვენებას და მართლმსაჯულებას; ბ) სიყვარული უფრო პლატონიური, მუხთლობა სიყვარულისა და დაუდგრომლობა; თუ აქ არ შეეხვდით ერთმანეთს — ცაში

¹) ტ IV, გვ 383.

²) იქვე, გვ 227.



და-მზანი ვიქნებითო; გ) ქალი ან ანგელოზა და უფრო ხშირად მსუქნი, წამწყმედი კაცისა; დ) ბუნება წმინდა სანთელია, იმას *სულში რასაც* უნდა, იმას გამოსახვენ; ბუნება თუ არის მშვენიერი, — იმათ გრძნობის მიხედვით; ის, როგორც ობიექტი, არ არსებობს იმათთვის; 5) ფორმა გამოთქმისა: ფიგურალობა და ალლეგორია სპარსულის ლიტერატურის გაღლენის გამო“.

საუბედუროდ, ქვეყანამ ეს დებულებები გაუშლელი დარჩა, ამიტომ მხოლოდ მისი შეხედულებების ზოგად მხარეზე შეგვიძლია მსჯელობა ვიქონიოთ. სამაგიეროდ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ილიას აზრები საკმაო სისავსით დ სრულის დამაჯერებლობით გვაქვს მოცემული.

დიდად საყურადღებოა ილიას წერილები მე-19 საუკუნის ლიტერატურის კორიფეების და საერთოდ მთელი ლიტერატურის მთავარი ხაზის შესახებ. ლიტერატურას, როგორც იდეოლოგიის ერთი სახის რაობას, ილიას აზრით, საზოგადოებრივი პირობები განსაზღვრავენ. ყველგან და ყოველთვის იგი ამ თვალსაზრისიდან გამოდის. მე-19 საუკუნის პირველი ჩვენი პოეტი ალ. ქავჭავაძე და მისი შემოქმედება ასეთნაირ მიზეზობრივ კავშირში ჰყავს ილიას წარმოდგენილი. მეფის რუსეთის საქართველოში შემოჭრის გამო, „რაკი საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა-შარტო თავის-თავილა, სხვა რა ექნა, რომ უსავნო გარემოსაგან ლტოლვილი თვალი თავის საკუთარს გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა და ქუთავონების ხედვისა“, — ამბობს ილია. „... ამ ტკბილს მიქმელსაც საყოველთაო უნუგეშ-ყოფამ მაშინდელის დროისამ წარმოათქმევინა ერთგან თავისი სამძიმარი, საცა ისმის ეგრეთ-წოდებული „მოქალაქური გულისტივილი“ იმის გამო, რასაც გულში იმაღავდა მაშინდელი ცხოვრება:

„ძალი დავალს ღიმიტ ნაქცევთა ზედა,
სად სიმართლეს მისგან შენარაზედა,
მის ყვავილთა ფერხით ჰლახავს გზაზედა.

რომელნი ჰქნებოენ

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეკით“.

ეს ძალა, რომელიც ღიმიტ დადიოდა ნაქცევთა ზედა და ფეხით ჰლახავდა გზა-და-გზა სიმართლის ყვავილსა, რომელნიც სჰქნებოდნენ მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეკით, — ნათელი სურათია მაშინდელის ყოფა-ცხოვრებისა. პოეტი უჩივის ამ ყოფას და უქადის, რომ დრო მოვა და სხვა იქნებაო, და ამბობს, გაფრთხილდითო:

„რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას,
სთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ სონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას...

არ მარადის იშვებთ —

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეკით“.



ასე მარტივად და თანაც ასე ღრმად ვერც ერთმა კრიტიკოსმა ვერ გაიგო დიდხანს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება. ამისგან გამომდინარეობს, რომ ილია ჭავჭავაძის დიდ კრიტიკულ ნიჭს გზას უნათებდა დიდი პოეტური ინტელიცია.

„გრ. ორბელიანი, — ამბობს ილია, — გამგრძობია თ. ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა; და ამას გარდა, თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც, რადგანაც ამან სრულიად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიურ სახელებით აკრელება სიტყვიერებისა, რომელშიაც ცოტა ურ იყოს, წილი უდევს თ. ალ. ჭავჭავაძეს“.

ახალი ქართული ლიტერატურის განხილვის დროს ილიას მთავარ მიზანს შეადგენს გამოარკვეოს, „თუ რამოდენად იზრდებოდა, მატულობდა ჩვენი აზრი, რამოდენად შორსა და შორს სცემდა ჩვენი თვალთახედვის ისარი, რამოდენად დიდდებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა, და გუშისდელი რას სთესდა დღეისათვის და დღევანდელი დღე რას ითხოვს ხვალისთვის“.

მხატვრულ ნაწარმოებისაგან ილია, უპირველეს ყოვლისა, აზრს და გონების ამამოძრავებელ შინაარსს მოითხოვდა. ამ ასპექტში გვაჩვენა მან ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი. ასეთნაირადვე უდგება იგი ნ. ბარათაშვილს — „ამ უდროვოდ დაკარგულს ჩვენს იმედს“. ბარათაშვილი, ილიას სიტყვით, „უფრო ძლიერი“ არის „ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ“, „მისნი გულისთქმანი, მისნი გრძობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი საყოველთაო და საკაცობრიონი არიან“. ამ სხვებთან შედარებით ძლიერმა პოეტმა „ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა. კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“. ბარათაშვილი დიდი მწერალია, იმიტომ რომ იგი „სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალგადუნწედენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არრწმენისა, მყოფობისა და არმყოფობისა“ და სხვ.

ბარათაშვილის პოეზიის შეფასება, რომელიც ჭავჭავაძემ მოგვცა ამ 45 წლის წინათ, დღესაც შეურყეველ დებულებად რჩება ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში.

ი. ჭავჭავაძეს ფრიად საინტერესოდ ჰყავს შეფასებული აგრეთვე გ. ერისთავი, რაფ. ერისთავი, ვახტ. ორბელიანი, ი. დავითაშვილი და სხვები.

ილია ამყლანებს ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის შესანიშნავ ცოდნას და კრიტიკულად შეფასების უნარს. მეტიც: იგი კარგად



იცნობს რუსეთისა და ევროპის ლიტერატურასაც. ზეენსა და მისი მოწვე-
 რაღს ყოველთვის მალე ეპირა სააზროვნო დროშა და ფუნდამენტის-
 დევედა რუსეთისა და ევროპის მოწინავე აზროვნებას. ახალი იდეა, პროგ-
 რესიული აზრი, — აი რა იყო ილიას ლოზუნგი. მას, როგორც დიდ მზატ-
 ვარს, უყვარდა ლამაზი სიტყვა, მხოლოდ როგორც საშუალება დიდო
 იდეების, ღრმა აზრის გამოსახატავად. ამიტომ იყო იგი უდიდესი თაყვა-
 ნისმცემელი ქართული სიტყვის გენიალური ოსტატის რუსთველისა, რომ-
 ლის შემოქმედებაც მას სიტყვისა და აზრის პარმონიულობის საუკეთესო
 მაგალითად მიაჩნია.



საქართველო

ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი

ქართული თეატრის ისტორიაში ილია ჭავჭავაძეს მეტად საპატიო ადგილი ეკუთვნის.

საქართველოში დაბრუნებისა და საზოგადოებრივ ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოსვლის პირველ წლებშივე იგი დიდ ყურადღებას აქცევს თეატრსაც. როგორც ვიცით, გ. ერისთავის თეატრმა მხოლოდ 5 წელიწადი იარსება: 1850 წლიდან 1855 წლამდე. ამ წელს მთავრობამ გენერალ რეაღვის ბრძანებით იგი დაშალა, გ. ერისთავის თანამდებობა გაუქმდა და თვით ერისთავი სამსახურიდან მოხსნა. ქალაქის გამგეობამაც მაშინვე მოუსპო სუბსიდიის თეატრს. სხვათა შორის მაშინდელ ქალაქის გამგეობაში არც ერთი ქართველი არ ყოფილა.

ვიდრე ქართველ მოღვაწეთა მეცადინეობით 1879 წელს მდ. ღმვი დასი ჩამოყალიბდებოდა, ქართული წარმოდგენები კერძო ოჯახებში იმართებოდა სცენის მოყვარეფა მონაწილეობით. 1870 წლიდან ამ საქმეს ხელს უწყობდნენ იმ დროის საზოგადო მოღვაწენი: ნიკ. ავალიშვილი, ვახტ. თულაშვილი, ანტ. ფურცელაძე, გ. თუმანიშვილი, ვას. თუმანიშვილი, იოს. ბაჭრაძე, დიპ. ყიფიანი, კოსტ. მამაცაშვილი, გ. ქართველიშვილი, დავ. ერისთავი, დავ. სარაჯიშვილი, ალექს. სარაჯიშვილი, იოს. ანდრონიკაშვილი და ივ. მაჩაბელი, რომელთა შორის ილია ჭავჭავაძეს საპატიო ადგილი ეკირა 1874 წლიდან. მანამდე იგი ტფილისში არა ცხოვრობდა, ღუშეთში იყო მომრიგებელ მოსამართლედ.

ჯერ კიდევ 1865 წელს ილია სწერს „გლებთა განთავისუფლების პირველ დროის სცენებს“. ეს ნაწარმოები წარმოადგენს დრამატულ ნაკვეთს, რომელშიაც მეტად შკაფიო ტიპებს ვხვდებით. მთავარი მომქმედი პირი ამ სცენებისა — გლახა ჭრიაშვილი ხომ ზოგად სახედ იქცა ლიტერატურასა და ცხოვრებაში ისეთი ტიპის დასახასიათებლად, რომელსაც თავი და ბოლო ვერ მოუხამს საქმისათვის.

სხენებული ნაწარმოები ილიამ თავის თანამედროვე ამბებს უძღვნა (დაწერილია 1865 წელს). ამაზე ადრე ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს, 1860 წელს ილია სწერს დრამატულ პოემას, რომელსაც იგი „სცენას მომავალ ცხოვრებიდან“ უწოდებს. „ნაციონალური რევოლუ-



ციის“ მებაირახტრის, იტალიის განთავისუფლებისათვის მებრძოლნი მგა-
რიბალდის მავალითით გატაცებული ილია დარწმუნებულია, რომ მის
სამშობლოსაც დაუდგება ეროვნული თავისუფლებისა და მაშერალთა და
ტვირთმძიმეთა განთავისუფლების დღე.

„ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოჰმედობს,
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ფიქრობს, —
და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება!“

ასე ალაპარაკებს იგი „დედას“, რომლის წინაშეც უდიდესი დილე-
მა დასმული: შვილის სიცოცხლე თუ მამულის დახსნა. ილიას „დედა“
იტანჯება, დედის გული ტკივილს მძაფრად განიცდის, მაგრამ როგორც
მოქალაქე და ქვეყნის მოამაგე იგი მზად არის ხალხის ინტერესებს შეს-
წიროს შვილი.

„ვით დედა შენი იმ სიკვდილით შენით ვივებ,
ვით ქართველის დედა ვინეტარებ და ვისახელებ“, —

ამბობს იგი. ილიას „დედას“ სწამს, რომ უმსხვერპლოთ ხალხი თავისუფ-
ლებას ვერ მოიპოვებს, იმ თავისუფლებას, რომლის შესახებ იგი ასეთი
აზრისაა.

„თავისუფლებაჲ, შენ ხარ კაცთა ნათესაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი“.

როდესაც საომრად მიმავალი ჯარის სიმღერას გაიგონებს სულთმო-
ბრძავე დედა, იგი გახარებული შესძახებს:

„მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გვრეყავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა“.

ფიზიკურად დაუძლეურებული, სიკვდილის პირად მყოფი დედა შვილს
საომრად გზავნის და ამ სიტყვებით ესალმება წუთისოფელს:

„არ უფილა მწელი სიკვდილი,
როცა შენ შენი აღასრულე... მამული... შვილი...“

და კვდება. ასე მაღლა აყენებდა ქვეყნისა და ხალხისათვის თავის გან-
წირვის იდეას ილია.

დრამატიული თვალსაზრისით პოემა თავიდან ბოლომდე ძლიერი გრძ-
ნობით არის გაყენებული: მკითხველსა და მსმენელს იტაცებს, მოვალეო-
ბის შესრულების სიდიადეს აგრძნობინებს და ხალხის სამსახურისათვის
გულს უძგერებს.

დრამატიული ნიჭიერების უდაო ბეჭედი აზის ილია ქავეკავადის „რამ-
დენიმე სურათს ანუ ეპიზოდს ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ესეც უდაოდ დრამა-

ტიული პოემა და ამისათვის მისი მთლიანად ინსცენირება, ისე, როგორც ავტორს აქვს მოცემული — როგორც წარსულში ხდებოდა, აწმყასთვისაც მეტად მიზანშეწონილია.

სხვა პოემებში („არდილი“, „განდეგილი“, „დიმიტრი“ და „მეცხეობა“) და მხატვრულ პროზაშიაც ძლიერია ქვეყნადის დრამატიული დიალოგი და სწორედ ამ გარემოებამ შეაძლებინა შალვა დადიანს გაემართა ილიას ნაწარმოებთაგან სასცენო წარმოდგენისათვის ილიას ტექსტი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ილია ქვეყნადის არ შეუქმნია საკუთრად დრამა, მხოლოდ თეატრისათვის განკუთვნილი. ამისი მიზეზი ის დიდი მოთხოვნა უნდა იყოს, რომელსაც ილია დრამატურგს უყენებდა, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, — და რომლისთვისაც მას მოცალეობა არა ჰქონდა, რადგან, როგორც ვიცით, მას მძაფრი მუშაობა უხდებოდა არა მარტო მხატვრული შემოქმედების, არამედ საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიური, პუბლიცისტური მოღვაწეობის სარბიელზედაც.

პრაქტიკულად ილია, როგორც აღვნიშნეთ, ტფილისში დაბინავებისთანავე ჩაება სათეატრო საქმეებში, მაგრამ ორგანიზებული ხასიათი მისმა მოღვაწეობამ სათეატრო ასპარეზზე მიიღო 1881 წლიდან, როდესაც დრამატიული საზოგადოება ჩამოყალიბდა და ამ საზოგადოების პირველ თავჯდომარედ ილია იქნა არჩეული.

როგორც ვიცით, დრამატიული საზოგადოება თეატრის დირექციის როლს ასრულებდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ დირექტორებს სახელმწიფო აძლევდა და აძლევს თეატრის შესახებ თანხებს, დრამატიულ საზოგადოებას თვითონ უნდა გამოენახა ეს თანხა. ილია, როგორც დრამ. საზ.-ის გამგეობის თავმჯდომარე და იმავე დროს ბანკის დირექტორი, შველის მატერიალურად თეატრს, ხელმძღვანელობს მის საქმიანობას, სთარგმნის ივანე მაჩაბელთან ერთად შექსპირის „მეფე ლირს“.

როდესაც 1881 წელს რუსულ წარმოდგენაზე ელ. მესხის შვილს „ადმო-აჩენენ“ ი. ქვეყნადე, დ. ერისთავი და მიხ. ბებუთაშვილი, ილია ასეთი სიტყვებით მიმართავს ლადოს: „როგორი ქართველი ხარ, ყმაწვილო, შენს სამშობლო სცენას ვაურბიხარ და რუსულ სცენაზე თაშაშობ? არ ეკადრება ქართველს ასეთი საქციელი. ჩვენი სცენა ჯერ-ჯერობით მეტად ღარიბია და ვისაც ნიჭი და უნარი აქვს, მოვალეა მის აყვავებას ემსახუროს“—ო.

ილია დიდი თავყანისმცემელი იყო ყველა დიდი ხელოვანისა, ეროვნების განურჩევლად. 1890 წელს მსოფლიოში ცნობილი იტალიელი მსახიობი **ერნესტო როსი** ჩამოვიდა ტფილისში. ილია ყველა მის წარმოდგენას დაესწრო და როდესაც იმავე წლის 18 ივნისს ქართულმა დასმა როსის პარტიესაცემად სპეციალური წარმოდგენა გამართა („ხანუმას“ მეორე მოქმედება და „ბიძიასთან გამობუზრება“ დივერტისმენტით). წარმოდგე-

ნის შემდეგ ძვირფასი სტუმარი, ვით ტრიუმფატორი, ბანკეტს წიყევანეს. ამ ბანკეტს ქართველ-სომეხ-რუს მოღვაწეთა შორის ილია და აკაკიც დაესწრნენ. როდესაც აკაკის პატარა, მაგრამ ლამაზი გუგუქი უთქმულ ექსპრომტს როსიმ უპასუხა — შექსპირი ზღვაა (როსი შექსპირის ქართული საუკეთესო განმასახიერებელთაგანი იყო და ტფილისში მან შექსპირის პიესიდან „ჰამლეტი“, „რომეო“, „ვენეციელი ვაჟარი“, „მეფე ლირი“ და „მაკბეტი“ შეასრულა. ს. ფ.), მისი სრულად დასავსებით გადმოცემა ძნელია და შეუძლებელიც არტისტისათვის. მისი ქმნილებანი უზარმაზარ ყუმბარას ჰგვანან, რომელიც ამდენი ხანია მოპქრის დიდის სისწრაფით სივრცეში და, ვინ იცის, როდის შეჩერდებაო, — ილიამ უთხრა: „პირველი აზრი მართალია ხოლო მეორის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ იმ ყუმბარას შეხვდა დღეს დიდი კაცი და ისიც გაჩერდა. სწრაფად მავალი ყუმბარა ახლა დიდ ფიქრსა და ყოყმანშია და აღარ იცის, განაგრძოს, ან საჭიროაა თუ არა მისი სწრაფი სელა საუკუნეთა განმავლობაში („ივერია“, 1890 წ., № 129).

1882 წლის 22 იანვარს დავით ერისთავის „სამშობლო“ წარმოადგინეს. აი, როგორ იგონებს ამ მომენტს ხსენებული წარმოდგენის დამსწრე დამსახურებული მცხოვანი მწერალი ქალი ეკ. გაბაშვილისა:

„სამშობლოს“ პირველი წარმოდგენის მოგონების დროს არ შევიძლიან არ აღვნიშნო კიდევ ერთი დიდი მომენტი, რომელიც იშვიათ წამად უნდა ჩაითვალოს ქართველთა ცხოვრებაში. ეს ის მომენტი იყო, როდესაც შესამე მოქმედებაში მეტეხის დარბაზში საბრძოლველად გამზადებული გზირები დროშაზე ფიცს სდებენ სამშობლოსათვის თავის განწირვაზე. საკვირველი იყო ეს წამი და სწორედ სასწაულთ მოქმედებათ აღიბეჭდა მსმენელებზე“.

აი ეს გარემოება დაიხვიეს ხელზე რუსის პრესის შავრაზმელმა კალმონებმა და ვრცელი დაბეზღების და ქართველ-სომეხთა აბურად აგდებისა და მათი ეროვნული თავმოყვარეობის შეურაცხმყოფელი წერილი აფრინეს მოსკოვის გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქციაში.

ილია დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ წერილს და 1882 წლის თებერვლის „დროებაში“ (№40) დაბეჭდა საპასუხო წერილი შემდეგი სათაურით: „კატკოვის პასუხად“. ამ წერილს ილიამ ეპიგრაფად რუსთველის შემდეგი სტრიქონები წაუთმღვარა: „მოყვარე — მტერი ყოველისა — მტრისაგან უფრო მტერია“. ხსენებულ წერილში ილია მისთვის ჩვეული მსახერალი კრიტიკით ამათრახებს ხსენებულ გაზეთის რედაქტორს და მის დამქაშებს, როგორც მამუზღარათ, ეროვნული შუღლის მთესველთ, და მათივე არგუმენტაციით ანიაგებს:

„კორესპონდენტს ჩვენი სეპარატისტობის და გადადგომის სურვილიც დასამტკიცებლად საბუთებიც მოჰყავს. მაგალითებრ: ქართველებსა და სომხებს, როცა წარმოდგენები აქეთო თეატრი კარგად განათებული და

გამთბარიან და, როცა რუსები არდგენენ, მაშინ კი არაო, ქართულს და ნამეტნაეად სომხურს თეატრში ხალხი ბევრი დაიარებაო და რაქცენულნი კი არაო. ქართველებმა „სამშობლოს“ გადმომოკეთებული აქტორნიცის ყოფით მიაცილეს ბინამდინაო და სომხებმა კიდევ ბევრი საჩუქარი მი-ართვეს სომხურს აქტორისას გრაჩისაო“.

აღნიშნავს რა ამ ფაქტს, ილია შემდეგ შეფასებას აძლევს მას:

„სასაცილოა, რომ საზიზლარი არ იყონ ამისთანა ბეზლი ამისთანა სა-ბუთხედ აშენებული! ქართველებს, თუ სომხებს რომ სციოდეთ და თე-ატრი გაათბონ, აქ გადადგომა და ორგულობა რა შუაშია? ქართველებმა რომ მოწონებულის თხზულების ავტორს პატივი სცენ და სომხებმა კი-დევე თავის აქტორისას საჩუქარი მიართვან, აქ სეპარატისტობა რა მოსა-ყვანია?“ — ეკითხება კატკოვს და მის დამქაშებს ილია და დასძენს, რომ კორესპონდენტის ლოლიკით შეიძლება იგივე ბრალდება ორგულობისა შეეწამოთ ადგილობრივ რუსებს, რადგანაც ისინი ნაკლებ ესწრებიან რუ-სულ წარმოდგენებსო.“ მაგრამ გარდა ამისა, არის კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც ილია განსაკუთრებით აღნიშნავს:

„ჩვენ ამ მასხარაობას მასხარა კაცისას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ პეზლობა მარტო ამაზედ შემდგარიყო და მახეზლარს არ შეეგინებინოს, უპატიურება არ მიეყენებინოს მთელ ქართველობისათვის და მის ეროვნუ-შის ღირსებისათვის. იგი ამბობს, რომ „სამშობლო“-ს წარმოდგენაზე დი-დი ხარჯი მოუვიდათ ქართველებსაო და ქართული დროშები რომ გოდ-ფრუას ცირკს მიჰყიდონ კარგს იზმენო“.

ასეთ შეურაცყოფას ილია დინჯად და განმანადგურებელი განცვიფ-რებით უპასუხებს.

„გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ებღღემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსე-შისას, რომლის შეუშწიკელელად დაცვისათვის, არამც თუ ცალ-კე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, — იმის ეგრედ უკადრისად ხსენებას არ ვიციო, რა სახელი დავარქვით და მისი ეგრედ მოშხსენებელი რა სულიერებში შევირცხოთ.“

წერილის დასასრულ ილქა ისეთ ლახვარს სცემდა ხსენებულ პროვოკა-ტორებს, რომ მათ ოდნავი გასაქანიც აღარ რჩებოდათ. ილიას პოლემი-კის ხერხის ორიგინალობა ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ გა-რეწრებს შეაქებს კიდევ, მაგრამ ვაი ასეთ ქებას! იგი სიკვდილზე უარე-სია, იგი მიწასთან გამასწორებელია მტრისათვის და მოყვრის გამამხნე-

*) დ. ერისთავის „სამშობლო“ გადმოკეთებულია ფრანგი დრამატურგის ვიქტო-რიენ სარდუს იმავე სახელწოდების პიესიდან.

ვებელი. ილიას ნაქედი სიტყვა აქაც ელავს და ბრწყინავს მთელი და შეუმართებელი არგუმენტებით. ამაში იყო ილიას სიძლიერე.

„თუ ჩვეულებრივმა გრძობამ მართებულებისამ, — უკლებსვესველია — არ შეაყენა ბ-ნი კატკოვი, იმას მაინც უნდა მოპრიდებოდა, რომ უპატიურად ხდის მთელ ერს, რომელიც შეპფარებია რუსეთს მარტო თავის პატრონების და ღირსების დასაცველად. თვით ბარბაროსიც კი არ იკადრებდა ეგრედ გაუპატიურებას მთელი ერისას! მაშ! ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც კი ითავლებდა“.

ასეთი კულტურული და მასთან ერთად გამანადგურებელი კრიტიკა მოწინააღმდეგისა საკუთარი თავის ღირსების სრული შენარჩუნებით, ოლიმპიური სიმშვიდით და შეურაცყოფილის ამალღებით და ღირსეული დაცვით მხოლოდ ილიას შეეძლო.

ილია ქავეკავაძე ვრცელ ანგარიშებს ათავსებდა ხოლმე თავის ვაზეთის „ივერიის“ ფურცლებზე ქართული თეატრის მუშაობის შესახებ. ზოგჯერ ის რეცენზიის დასაწერადაც კი იცლიდა. მაგ., ერთი წარმოდგენის შესახებ (დაიდგა ინგლისური ცხოვრებიდან აღებული მელიოდრამა „შეშლილი“ და რაფ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ“) 1886 წლის „ივერიაში“ (№ 251) ვკითხულობთ მთელ ფელეტონს, რომელსაც სამი „სარდაფი“ უჭირავს. ეს ფელეტონი ხელმოუწერელია, მაგრამ, როგორც უკვე გამოიჩვენა, ილიას ეკუთვნის. მომყავს ეს ფელეტონი თითქმის მთლიანად, როგორც წარმოდგენის გარჩევის“ და არტისტული შემოქმედების შეფასების კლასიკური ნიმუში.

„.....ქმრის როლს (საუბარია პიესა „შეშლილზე“. — ა. ფ.) თამაშობდა ბ-ნი მესხივევი. პირველ ორ მოქმედებაში უნაკლო იყო მისი თამაში. ყოველისფერი, მიხერა-მოხერა, ხმა, ლაპარაკი, სიტყვის გამოთქმა და ქართული კილოც კი, რომელიც წინად ხშირად უმტყუნებდა ხოლმე ამ ნიჭიერსა და ჭკუით სავსე არტისტს, ეხლა ყოველივე ეს ბედნიერად შეუერთდნენ ერთმანეთს, რომ საეხებით და მთელი ზედმოქმედება ექონიით მსმენელზედ. მის თამაშობით გატაცებულმა საზოგადოებამ არა ერთხელ და ორჯერ გამოიწვია არტისტი ტაშის ცემით და ბრავოს ძახილითა. ჩვენ განსაკუთრებით გავაოცა არტისტმა პირველ მოქმედებაში. ავტორი ერთი სიტყვითაც არ ამელავნებს მსმენელთა წინაშე, რომ ქმარია შეშლილი. პირიქით, თითქოს ყველა ღონისძიებასა ხმარობსო, რომ აცდინოს პაყურებელი და ქმრის სიტყვით შეშლილად ცოლი ავულისხმოს მსმენელსა. ბ-ნი მესხივევა, ამ ჭკვიანმა და ნიჭიერმა არტისტმა, აქ სწორედ მთელი დრამა შექმნა და ამით ძლიერ შესძრა პაყურებელთა გული, როცა იგი უამბობს ექიმს თავის შეშლილობას. აქი მოგახსენეთ, არც სიტყვით, არც რაიმე ნიშნით ნებას არ აძლევს არტისტს თავილი ჭკუიდან შეშლილობა გამოამელავნოს. მთხრობელის შეშლილობას იმოუდინად მალავს ჯერ

კიდევ ავტორი, რომ თვით გამოცდილ ექიმსაც კი გუშინი ევრო მიეტანა, რომ მართალს შეშლილს უგდებს ყურსა და მართალს შეშლილს ელაპარაკება.

ჩვენის ფიქრით, არტისტული, კემარიტად არტისტული თამაშობა კი თხოულობს ამ სცენაში ქმარმა ეჭვი შეაპაროს მაყურებელს და გულში ათქმევინოს: რა ექნა, თვითონ ეს ხომ არ არის ჭკუიდან შეშლილიო. ეს ეჭვი ბოლოს გამართლდება თუ გამტყუნდება სულ ერთია, ხოლო ეგ ეჭვი ატყვევებს მაყურებლის გულსა და გონებას და ინტერესს უჩენს, რომ თვალგაფაციკებით და გულის ლევით თვალი და გონება ადვენოს მოქმედებასა და თვით პიესასა.

ასეც მოახდინა ბ-ნმა მესხიევმა და მოახდინა საოცარის ხელოვნებითა. ეს მეტისმეტად ძნელია, ნამეტნავად, თუ გავიხსენებთ, რომ ავტორმა არავითარი ხორციელი ღონისძიება არ მისცა და განგებაც არ მისცა, რომ ეს ენიშნებინა მაყურებელთათვის.

ჩვენ ვამბობთ, განგებ არ მისცაო, იმიტომ კი არა, რომ ეგ ავტორს ფიქრად არა ჰქონია; პირიქით, ხელოვანი ავტორი თავისდღეში შემთხვევას არ დაკარგავს, რომ ამისთანა გულის დამტყვევებელი და წამლებელი საგანი, ამისთანა საყურადღებო სულის მოძრაობა და ხალისი არ უჩვენოს მაყურებელსა. კვანძი მელიოდრამისა აქ უნდა შეიკრას ავტორის აზრით და ეს სრულიად შიანდო მან არტისტის ნიქს, არტისტის ჭკუის, არტისტის მიხვედრილობას და გამოცდილებასა და თვითონ ავტორი კი მიდგა უკან. მით უფრო ღრმად აღსაბუქდია ადამიანის გულზე იგი სულის მოძრაობა, რომელიც არც სიტყვით, არც მოქმედებით განგებ არა თქმული და უნდა კი ითქვას იმოდენად, რამოდენადაც შესაძლოა კაცმა უთქმელი საგულეზლად გახადოს მაყურებლისათვის. ეს შეუძლიან მარტო ჭკვიანს, გონება ვახსნილს და ღრმად გამკითხავს არტისტს და სწორედ ამისთანა არტისტად გვეჩვენა ჩვენ ბ-ნი მესხიევი კვირა დღეს იმ სცენაში, როცა ექიმს ჭკვიანად უამბობს თავის ცოლის ჭკუიდან შეშლილობას მაშინ, როდესაც თვითონ არის შეშლილი და ავტორი კი მაქლამს, თითქო არტისტს ეუბნებოდეს, შენ იცი და შენმა ნიჭმაო, მე თქმაც მინდა და არა თქმაცაო. და ეს, თუ არტისტი ხარ, შენ მოახერხეო. გულწრფელად ვიტყვი, რომ ბ-ნმა მესხიევმა ეს მოახერხა.

არა კრიტიკა და ორი მაყურებელი ლაპარაკობდა ამ სცენის შემდეგ: აი, ვნახეთ, თუ თვითონ ქმარი არ გამოდგეს ჭკუიდან შეშლილიო და ისეთი კილოთი ამბობდა ამასა, რომ თავისივე სიტყვა სჯეროდა კიდევ და არც სჯეროდა.

ჩვენ დიდხანს შეეჩერდით ამ ერთ სცენაზედ, იმიტომ კი არა, რომ სხვა სცენები არა ჰქონდა კარგი და საყურადღებო ბ-ნ მესხიევს. აკი ესთქვით, ორი პირველი სცენა კარვად ჩაატარაო, ყოვლად უნაკლოდაო. ხოლო ეს სცენა. ჩვენის ფიქრით, ერთი იმისთანა სცენაა, რომელსაც მარ-



ტო ნიჭი და ცოდნა არტისტისა შესწავლება ხოლმე დაკარგულყოფილ აბისათვის უღონოა; ბურთი და მოედანი არტისტისა შეფასებაში ხოლმე და ამიტომაც ასე გრძლად მოგვივიდა მაგ სცენის თაობაზე.

არ შეიძლება არ ვიღიაროთ, რომ ილია ამ სტრიქონებში არტიკული ოსტატობის ანალიზის იშვიათ ნიმუშს იძლევა. ეს დაკვირვება ერთსა და იმავე დროს არტისტის შემოქმედების შეფასებაა და თან გაკეთილი, მთელი ლექცია იმისა, თუ რა ურთიერთობაში უნდა იმყოფებოდნენ ტექსტის ავტორი და ცოცხალი ადამიანის განშახიერებელი. ამავე დროს ილია შესანიშნავად აღწერს იმ ურთიერთობასაც, რომელიც სცენასა და დარბაზს შორის არსებობდა ამ წარმოდგენაზე და უნდა არსებობდეს ყოველ მხატვრული წარმოდგენის ათვისების დროს. დააკვირდით, როგორ ოსტატურად, შლის ილია გრძობა-გონების როლს არტისტის შემოქმედებაში და როგორი დინამიურობით გვიდგება თვალწინ ილიას სტრიქონების წყალობით მთელი მოქმედება პიესისა.

მესტიშვილის თამაშის განხილვის შემდეგ ილია სარგებლობს ეასო აბაშიძის გამოსვლით ვოდევილში და აქაც მსახიობის ვირტუოზული ოსტატობის არაჩვეულებრივი შეფასების ფონზე იძლევა ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი საკითხის — „ტიპის“ შესახებ კლასიკურ განმარტებას. აი ეს ადგილიც.

„ბ-ნ აბაშიძეს ერთი ისეთი შემოქმედების ნიჭი აქვს, რომელიც შეიძლება ექნება ხოლმე დიდ გამოჩენილ არტისტსაც, და რომელიც ჩვენს არტისტებში არ შეგვინიშნავს. ყოველ მოქმედ პირს, თუკი მისი შესაფერის როლისაა, იგი განასაზღვრებს ხოლმე და „ტიპად“ გადააქცევს, რაც უნდა ცოტა სახსარი ჰქონდეს მიცემული ავტორისაგან არტისტს აბისათვის. უყურებთ ბ-ნ. აბაშიძეს სცენაზე და ფიქრობთ, რა ვქნა, ამისთანა კაცი სადღაც მინახავსო და არ მაგონდება კი სად და ვინ არისო. სწორედ ასეთი კაცი წარმოგვიდგინა კვირას ბ-ნმა აბაშიძემ ხსენებულ ვოდევილში. სახის მეტყველება ჩაცმა-დახურვა, მიხვრა-მოხვრა, ყოველი გადადგმა ფეხისა, ყოველი სიტყვა ისე შეხაფებული და შეწყობილი იყო და შემოქმედულობის ნიჭით ისე გარდაქმნილი, რომ გულში კაცი იტყოდა: აი, ეხლა კი მომაგონდა, ვინც არისო, და მაგონებისვე უმალ თვალთაგან უქრებოდა, როგორც არდილი, მოჩვენება, როცა სცენაზე წარმოდგენილ სახეს კაცისას იცნობ კიდევ და არც იცნობ. ეს უტყუარი ნიშანია, რომ იგი სახე „ტიპია“, ზოგადი სახეა ერთგვარის კაცებისა, რომელთაგანაც თვითუღალ ცალკე თვალსაჩინო ნიშნებია მოგროვილი და ერთად შექსავილი, ერთ ადამიანად ქცეული. ამიტომაც „ტიპი“ ყველასაც ჰგავს ზოგადად და არც ერთსა ცალკე. ამიტომაც „ტიპად“ გარდაქმნილი სახე გეცნობათ კიდევ და არც გეცნობათ ერთსა და იმავე დროს. ჩვენის ფიქრით, ამ იშვიათის ნიჭით მიზადლებულია ბ-ნი

„აბაშიძე, და ერთი ამისი უტყუარი საბუთი და მავალითა კერძოდვე მი-
სი თამაშობა იყო ვოდევინში.“

აბა ეხლა დააკვირდით, თუ რა როლს აკეთებენ მანქანებისა და
როგორ განმარტავენ ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის სტრუქტურული
შემოქმედების თვალსაზრისით:

„მელოდრამაში ცოლის როლს თამაშობდა ბ-ნი ავალოვისა. ბ-
ნ ავალოვისას მშვენივრად უჭირავს თავი სტენაზედ. მიხვრა-მოხვრა,
ჭკვევა სტენაზედ სწორედ დიდაცური ჰქონდა, ესე იგი, იმისთანა, რო-
გორიც შეჰფეროდა მის როლსა. არც ერთმა ჩვენმა არტისტმა ჭალმა არ
იცის, როცა საჭიროა დიდაცურად თავის დაქვერა იმდენად, რამდენადაც
ბ-ნ ავალოვისამ. რაც შეეხება თამაშობას, როგორც გამომსახველს გულის
მოდრაობისას, რაც შეეხება სიტყვა-პასუხს, ლაპარაკს, როგორც გამომ-
ხატველს იმავე გულის მღელვარებისას, — ყოველს ამაში გულგრილობა
ეტყობა. ნამეტნავად ლაპარაკში. აქ თითქო ბ-ნ ავალოვისას ხმა არ
შოსდევს, არ უჯერებს, რომ სიტყვას ის სიტობო და სიტყვო მიანიჭოს,
რაც სიტყვას თვით ბუნებითად აკლია და რაშიაც სიტყვა ყოველად ულო-
ნოა, ერთი სიტყვით, ის კილო არა აქვს, რაც მტკიცებასა ჰქმნის ხოლმე
ანდაზისამებრ.“

ეს სტრიქონები პირდაპირ აქტიორის ქრესტომატიასა შეესატანი.

ეხლა ვნახოთ, როგორ აგვიწერს ილია უდიდესი მსახიობის ურთულეს
ემოციურ განცდას.

„ბ-ნი საფაროვისა თავის როლში იყო. ნელის ჰთამაშობდა. რა თქმა
უნდა. კარგი იქნებოდა; ამისთანა როლებში იგი შეუღარებელი რამ არის.
ბ-ნ საფაროვისასაც ერთი ისეთი სცენა ჰქონდა, რომელიც, როგორც
შემოთა ვსთქვით, ბურთი და მოედანია არტისტის ნიჭისა და ცოდნის
საცდელი. როცა შეშლილი ნათესავი ჰკითხავს ნელის, — განა გიყვარს
ვინმე? გულუბრყვილო ნელის შეუტოვდა გული: ცალკე მორცხვობა,
რომ როგორ გაამგლავნოს, ცალკე სიხარული, რომ თქმის შემთხვევა მიეცა,
ცალკე ჰოს თქმა და ცალკე არასი ერთად აეშალა პაწაწა ტრედივით
უბიწო გულში. ეს მორცხვობა და სიხარული, ეს ჰოს თქმის წყურვილი
და იმავე დროს არასიცა, ეს ტოკეა. ჰოკმანობა, გაბედება და გაუბედვე-
ლობა ისე მშვენივრად მოათავსა ორიოდ სიტყვის ხმაში და გამოთქმაში
ბ-ნმა საფაროვისამ, რომ კაცს მარტო ეს ერთი სცენა ენახა, იტყოდა
თუ მართლა არტისტია სადმე, ეს ჭალი ყოფილაო.“

ეხლა ვოდევინის შესრულების შეფასება მოვისმინოთ:

„ვოდევინმა მშვენივრად და წყობილად ჩაიარა. უმთავრესი როლები
ბ-ნ აბაშიძესა და ბ-ნ გაბუნია-ცაგარლისას ჰქონდათ. ბ-ნ აბაშიძის თამა-
შობაზედ ზომ შემოდა ვსთქვით. ბ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ დახოცა ნა-
ყურებელნი სიცილითა. მაყურებელთა სიცილისა და ხარხარისაგან აღარ
შსმოდა, რას ამბობდნენ სტენაზედ, ასეთი მხიარულება ასტეხა ბ-ნმა

გაბუნია-ცაგარლის თამაშობამ. მის თამაშობას წუნი არა ჰქონდა. ვერც კარგად და მშვენიერად ასრულებული როლი ხშირად არს. გვინდა ვთქვათ, რომ ის არის, რომ თავიდან ბოლომდე მ-ნმა გაბუნია-ცაგარლის ერთგვარის ხელოვნებით და ნიჭიერებით გაატარა თავისი როლი. არსად არც გადაუმეტებია, არც არა დაუკლია რა.“

აქაც არ შეუძლია ილიას თავისებური მახვილი და ჰქვიანი შენიშვნა-არ ჩასვას: „არსად არც გადაუმეტებია, არც არა დაუკლია რა“-ო. ეს ფრაზა მეორე ჩვენი დიდი არტისტი ქალის — ნატო გაბუნია-ცაგარლის მაღალი ნიჭის შესახებ დიდი მოაზროვნის, ხელოვნების მცოდნის, იშვიათი დამფასებლის ბრძნული ფორმულაა. ხელოვნებაში ყველაზე ძნელი ეს არის: სახე სრულყოფამდე აიყვანო ისე, რომ არც გადაამეტო და არც არაფერი დააკლო, როგორც ილია ამბობს. დასასრულ, ყურადღება მიაქციეთ დასკვნითს ფორმულას:

„ესეც კი გულში ჩასაჩენია, — ამთაერებს ამ შესანიშნავ წერილს ილია, — რომ ჩვენზე დრამატიკული დასი უფრო და უფრო კეთდება და ეს სიკეთე უფრო და უფრო იზიდავს თეატრის მოყვარე საზოგადოებას, რომელიც ეხლა ცოტა არ იყოს, ხალისიანად დადის თეატრში. ღმერთმა ქნას, რომ საზოგადოებამ არტისტებს არ უღალატოს და არტისტებმა საზოგადოებას.“ („ივერია“, № 251, 1886 წ.).

როდესაც 1887 წლის 3 მაისს ვასო აბაშიძეს ათი წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე გადაუხადეს, ილია ასეთ ბარათს სწერს:

„ბატონო ვასილ ალექსის-ძე! დიდათ ვწუხვარ, რომ პატივსადები მიზეზი შემემთხვა და ამის გამო ვერ დავესწრები თქვენი ათი წლის ქართულ სცენაზე მოღვაწეობის დღეობასა.

ათი წლის მოღვაწეობამ თქვენმა სცენაზე ნათლად დაგვანახა ყველას, რა შეუძლიან თქვენისთანა ნიჭსა. უკეთესნი წუთნი, ჩვენს ქართულს თეატრში ჩვენ მიერ გატარებულნი, ისე არ წარმოგვიდგებიან ჩვენის ხსოვნის თვალწინ, რომ თქვენს მიერ შექმნილი ტიზნიც თვალწინვე არ გამოგვესახნენ.

ამით თქვენ დაგვიმტკიცეთ, რომ ჰეშმარიტი არტისტი იგივე შემოქმედი, როგორც სხვა ჰეშმარიტი ხელოვანი. მოგილოცავთ. დღევანდელს დღეობასა და, მოგართმევთ რა ჩემი პატივისცემის ნიშნად ამ გვირგვინსა, ვისურვებ, რომ ამ ჩვენის სამშობლოს ყვევილებმა დაჰდაფნოს ჩვენი სამშობლოს სცენის დამდაფნელი არტისტი.“

ამ წერილში ყველაზე უფრო საყურადღებო მომენტი ის არის, რომ მაშინ, როდესაც არტისტს ვერც თვითონ დაუბნობს „მაღალი საზოგადოება“ ისე უყურებდა, როგორც ტაკი-მასხარას, ილია საჯაროდ აღიარებს: „ჰეშმარიტი არტისტი იგივე შემოქმედი, როგორც სხვა ჰეშმარიტი ხელოვანი.“

ილია ფიქრობდა მომავალ ქართულ ოპერაზედაც. რატილის კონცერტის მოსმენის შემდეგ იგი სწორს ვინმე თადეოზს:

„ვინ იცის, იქნება ბ-ნი რატილი შეიქმნეს დამაარსებელი ქართული ოპერისა. ჩემო თადეოზ, შე იმ კონცერტზე ქართულის ოპერის სუნი მომედინა. ვინ იცის, რამდენმა სხვადასხვანაირმა ფიქრმა და ოცნებამ გაიარბინა ჩემს ტვინში, როდესაც უურს ვუგდებდი რატილის ზოროს სიმღერას. იქნება დადგეს ისეთი დრო, რომ ქართულ ენაზედაც დაიწეროს ოპერის მსგავსი რამ ჩვენის ძველ მატეანედგან, და რატილის შთამომავლებმა მომღერლებმა ჩაგვილიდინონ რამ თამარ-მეფის ცხოვრებიდან, ან გიორგი სააკაძის მოქმედებიდან...“¹⁾

დასასრულ, მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ილია ერთ-ერთ თავის წერილში — „ახალი დრამების გამო“ — შესანიშნავ დებულებებს აყენებს დრამის თეორიისათვის. ეს წერილი დაწერილია ევრეთწოდებული ისტორიული დრამების „მტარვალისა“ და „ქართველი დედის“ გამო. პირველი მათგანი ეკუთნოდა ვინმე ი. ლაზარაშვილს, ხოლო მეორე — ცნობილ კომედიოგრაფს აექს. ცაგარელს. ქართულ თეატრს ჰქონდა პერიოდი, როდესაც ასეთი ყალბი ისტორიული პიესებით იკვებებოდა იგი. სიყალბე იმაში მდგომარეობს, რომ ხსენებულსა და მსგავს პიესებს („და-ძმა“, „ორი გმირი“ და სხვა) არც მხატვრული სიმართლე და არც ისტორიული სინამდვილე არ ახასიათებს. ავტორებს მხოლოდ „კეთილი სურვილი“ ამოქმედებდათ. მათ გმირებს კი ცარიელი სიტყვების კორიანტელი აქვთ დაყენებული. ამ გარემოებას ილია მოურიდებლად და პირდაპირ აღიარებს: „ამ სეზონში (საუბარია 1890 წლის შემსახებ. — ა. ფ.) ჩვენს ქართულ თეატრს თითქო კარგი ამინდი დაუდგა. საკმაოდ შესანიშნავი ამბავია, რომ ჩვენმა ღარიბმა სცენამ რამდენიმე ახალი პიესა მოიპოვა და ჩვენმა სათეატრო დასმა ეს ახალი პიესები ითამაშა.“

მიუხედავად იმისა, რომ ამ პიესებში საყურადღებო მხოლოდ ორი შემთხვევაში დამახლებული პიესა ყოფილა და საზოგადოებას ისინი მოსწონებია, ილია მაინც არ ერიდება, პირუთვნელი მსჯავრი დასდოს მათ.

„ორივე შემოხსენებული პიესა ისტორიულია, — აღნიშნავს იგი და იქვე დასძენს: — ხოლო იმ საბუთით კი არა, რომ თვალწინ გავგიტაროს ან ისტორიული კაცი ვინმე თავის ავტარგიანობით, ან თვით ცხოვრება, კერძო თუ საზოგადოებური რომელიმე წარსულის დროსი და ეპოქისა; გვაჩვენოს—რა აზრი, რა გულისტკივილი, რა სწრაფვა სულისა, რა გონებაგახსნილობა, რა ზნე-ჩვეულება ხელთ ჰქონდა მაშინდელ კერძო ცხოვრების, თუ საზოგადოებურის ასე თუ ისე წასამართავად.“

¹⁾ „წერილი მეგობართან“. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ტ. IV, ტფილისი 1927 წ.



როგორც ილია აღნიშნავს, არც ერთი ხსენებული ექვეყნეუ წესიერი მოთხოვნას არ აკმაყოფილებს. ილია სამართლიანად არ უკმაყოფილებს, რომ ამბავი, არაკი დრამისა მათ მოგონილი აქვთ და არა ისტორიული სინამდვილიდან აღებული, მხოლოდ მართებულად მოითხოვს, ავტორმა „დეე ამბავი, არაკი დრამისა თავის საკეთარი ფანტაზიით შექმნას, ზოლო თუ სურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ ამბავში ჩანასკვის, ჩაჰსახოს და დრამის სულში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობლად და დასაზნავედ.“

ამავე დროს ილია ჭავჭავაძემ ძლიერ კარგად იცის, რომ ეს ადვილი საჭმე არ არის და ამიტომაც აფრთხილებს დრამატურებს: „ამისთანა დრამის დაწერს წინ უნდა უძლოდეს დიდი ცოდნა ისტორიისა, დიდი გონება-გახსნილობა, დიდი განათლება, მომადლებულ ნიჭის გარდა, და, ჩვენის ფიქრით, ამაოდ ერგებიან ისინი, ვინც ამისთანა დრამის დაწერას მოუშნადებლად და, მაშასადამე, კადნიერად ეტანებიან.“

ილია არ სჯერდება ასეთ რადიკალურ გაფრთხილებას და საფუძვლიანად ახასიათებს დრამატიული შემოქმედების ბუნებას:

„ერთობ დრამის შექმნა დიდად ძნელი რამ არის, იმიტომ, რომ დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდ ძვრახეა ასაგებელი და ასაშენებელი. მეტის-მეტი მჭრელი, მეტის-მეტი მხილავი ნიჭი უნდა, მეტის-მეტი ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს, შექა რამ მოფინოს იმ საოცარ, იმ უცნაურ საიდუმლოებას, რომელსაც აღამაინის სულისა და გულის ძვრა ჰქვიან და რომელიც იმოდენად უფრო დიდ საიდუმლოებად გვევლინება, რამოდენადაც უფრო ახლო მივუვალთ“.

ეს სტრიქონები ისე უნდა გავიგოთ, როგორც ენგელსი განმარტავდა მომავალი დრამის თვისებებს, რომელთაც შექსპირისებური სიღრმე და სიცხოველე უნდა ჰქონოდათ. „დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი — თუნდ ნიჭიერიც — ვერ ბედავს ხელი შემართოსო,“ — დაასკვნის ილია.

შემდეგ ილია აღნიშნავს, რომ „ჩვენში ეს საჭმე მეტად ადვილად არის მიჩნეული, ოღონდ თხზულება მონოლოგებით და დიალოგებით იყოს დაწერილი სცენებად და მოქმედებებად დაყოფილი, შიგ ორიოდე ალაგას-ქალისა თუ კაცის სიკვდილიც ჩაკერებულ აქმნას და ავტორს არ უჭირდება სთქვას „დრამა არისო“ და ამ სახელით მოედანზე გამოიტანოს.“

სწორედ ასეთი რეცეპტით დაწერილ დრამებად სთვლის ილია „მტარვალსა“ და „ქართლის დედას“, სადაც არც ხასიათია მოცემული, არც მოქმედება დასაბუთებული. ამ ორი ძირითადი ნაკლის გარდა, ცარიელი „ყბედობა“ ახასიათებს მათ, მაშინ, როდესაც, ილიას თქმით, „მართალი გრძნობა ყბედი როდია, პირიქით, იმოდენად თავდაჭერილია, იმოდენად სიტყვა-ძვირია, რამოდენადაც უფრო ძლიერია და — თუ გნებავთ — ამ

სიტყვა-ძვირობაშია იმისი მიმზიდველი ღირსებაცა, იმისა გულსწვედენი ზედ-მოქმედებაცა მაყურებელზე.“

ერთი ღირსშესანიშნავი შენიშვნა აქვს კიდევ ილიამ გაქმნილში. „ორსვე დრამაში, — რა თქმა უნდა, — მტრნი კაცის შკამელნი არიან, ქართველების სისხლის მსმელნი, ყოველს ადამიანობაზე ხელაღებულნი და ქართველები კი — ყოვლის ადამიანობით სრულნი.“ ასეთი ცალმხრივობის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებს ილია რადგან, როგორც მოაზროვნემ, როგორც ხელოვანმა, ძალიან კარგად იცის, რომ მოქმედ პირობა ასეთი დაყოფა სიყალბეა და აბსურდი.

„ასე ყოველად მხეცობა მტრისა, ყოველადვე სისრულე და სავსება ქართველებისა ბავშვური წადილია, კაცმა თავი მოაწონოს მაყურებელსა. ბუნება ადამიანისა — ქართველია თუ გერმანელი, აეკარგიანობით არის სავსე და ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი. ავი და კარგი ყველგან არის და ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაიბრუნს მწერლობაში.“

ილიამ იცის, რომ ასეთი დაუსაბუთებელი და მშრალი ტენდენციის მატარებელი ნაწარმოები იდეურად და მხატვრულად ვერ ამართლებს დასახულ მიზანს, არამედ აყალბებს ქეშმარიტებას.

„ჩვენ კარგი ვართ, ისინი კი მხეცები და აფთრები არიანო. ეს გრძნობის ქეშმარიტ გზაზე დაყენება კი არ არის, გრძნობის წაწყმედაა, გაყალბება, დაბრმავება. ევ ცეცხლია ჩალაში გაჩენილი, რომელიც აპრიალეზის უმაღლესე ჩაქრება და ხელში მარტო ფერფლი გვრჩება და ჰაერში ნატრუსალი. ყალბად და, მაშასადამე, უქმად აპრიალეზულ გრძნობაზე უსაძაგლესი არა არის რა ქვეყანაზე და მით უფრო მოსარიდებელია, რომ წამტყუებელია, მაკდურია ყოველ გაუწურთინავ და გონებაგაუხსნელ კაცისათვის.“

ილიამ იცის, რომ ასეთი ხერხით შექმნილი ნაწარმოები ვერა ხსნის ადამიანის ბუნებას.

„თვითთული ადამიანის ბუნების აეკარგიანობაში იგივე მოძრაობაა სულისა და გულისა, რომელიც დრამის სავანდა აქვს და რომლის თვალწინ ცხოვლად წარმოდგენა ასე თუ ისე არყვეს ხოლმე მაყურებელს და მთელს აგებულობას შეუძრავს ან სიხარულით, ან მწუხარებით, ან სიყვარულით, ან მძულვარებითო.“

ილიას არ დარჩენია უყურადღებოდ იმის აღნიშვნაც, თუ რა იწვევს ასეთი სუსტი და ყალბი ნაწარმოების მოწონებას, და იგი გულთამბილავი ხელოვანის სადოსტაქრო დანით ჰკვეთს იმ ზორცმეტს, რომელიც მსმენელსა და მაყურებელს ატყუებს და იტაცებს იაფი და უღირსი საშუალებით. რადგან ორივე დრამაში „გამარჯვების ბურთი“ ქართველებს გააქვთ, — აი ეს იწვევს ეხლანდელ (იგულისხმება 90-იანი წლები. — ა. ფ.), გამარჯვებებს ვადიჩვეულ ქართველის აღტაცებას და არა დრამის ღირ-

სება." რომ ასეთი ალტაცება მავნებელია, ილია ჩვეული ურყევი არგუმენტაციით ამტკიცებს:

"ეს ამისთანა ალტაცება ისე ჰგავს ქეშმარიტ ალტაცებას, რომელიც მართალი სიცილი იმ სიცილს, რომელსაც კაცი კაცს ლიტინით ჭანგებ მოპვერის ხოლმე მაშინაც, როცა კაცს სულაც არ ეცინება, როცა სასაცილო არა არის—რა. ესეთი ფესვ-გაუდგმელი, გულთჩაურჩენელი, ესეთი ტყუილი ალტაცება გროშადაც არ ღირს და უფრო მავნებელია, ვიდრე მარგებელი, თუმცა წამცდენია კი იმისთვის, ვისაც არ ეთაკილება ადვილად მომკოს ის, რაც არ უხნავს და არ უთესნია.

ჭსენებულ დრამებში „გრძნობის აღფრთოვანება კი არ არის, რომ ადამიანი თავის ადგილიდან მისძრას-მოსძრას სამოქმედოდ, აქეთ-იქით შიახედოს ფხიზლის თვალით, გული ქეშმარიტის ცრემლით აუტიროს ან ყოველთომომქმედის სიხარულით, სიყვარულით გაუძლიეროს, გაულონიეროს. აქ მარტო უქმი აპრიალეებაა ყალბი გრძნობისა, უღონო, უთავბოლო და ხანმოკლე. აქ ახოვანი ძახილი კი არ არის სულთა ბრძვისა, გულის ჭიდილისა, არამედ წრიპინია, წუწუნია ცულ უბრალო მტრისაღასი."

აღნიშნავს რა მომქმედ პირთა სრულიად დაუსაბუთებელ ლაპარაკს, ცარიელ ბაჭიაობას, წინასწარ გამზადებული და შებლზე მიკრული ბილეთებით მათ სცენაზე გამოყვანას, ილია მოითხოვს, რომ მომქმედი პირის აკვარგიანობა „უნდა გვაუწყოს მისმა მოქმედებამ, მისმა საქმემ და არა სიტყვამ, რომელიც ამ შემთხვევაში უფრო ბაჭიაობას წარმოადგენს, ვიდრე საქმესა."

"აქტორს არ მოუწებებია გმირი ჭალი დრამისა დიდ გრძნობათა ქარტხილის ქვეშ გაეტარებინა ჩვენ თვალწინ და გრძნობათა ჭიდილში ეჩვენებინა დიდ-სულოვნობა და ადამიანობა დედისა. „იგი წინასწარ ვადაწყვეტილი აზრით შემოდის და მზა-მზარეული ფრაზებით გვიმასპინძლდება, რაც, რასაკვირველია, დრამატიულ განვითარებას შეუძლებელს ჰყოფს. ასეთები არიან სხვა მომქმედნი პირნიც, რომელთა შორის უსუფ-ფაშა თითქოს მცირეოდენ გამოჩაქისს წარმოადგენს, მის ადამიანის გრძნობათა ჭიდილის ნატამალი მოსცხებია, მაგრამ ეს შემთხვევითი მოვლენაა და არა აქტორის მიერ გააზრებული, რადგან ეს ნაბერევილი იფერფლება იმ ყალბ სიტყვათა ტყრციალში, რომლითაც შეპყრობილია ყველა დანარჩენი გმირი. „თუნდ ვახტანგისა და უსუფ-ფაშის ჭალის დამოკიდებულება, ან ვახტანგის საწამებლად თავის გამეტება, ან დედისაგან გაწირვა ვახტანგისა, რომ ნაძრახ სიცოცხლეს, მტრისაგან ჩუქებულს, სახელოვანი სიკვდილი წამებულისა ირჩიოს—ყოველს ამასში წუწუნს მტრისად ადამიანისას უფრო ეხედავთ, ვიდრე აფორიაქებულ გრძნობათა გრიალ-ქროლვას, ვიდრე თავის ბუდიდამ დაძრულ გულის ქარ-ცეცხლსა. ეგ იმიტომ, რომ გული დრამისა ფუქია და მარტო ვარეთი კანი, ნაჭუქი ზედ წარწერებით არის აჭრელებული."



თუ რა ეშველება ასეთ მდგომარეობას, ილიამ კარგაფიქრად დაიკარგა აყენებს შესანიშნავ დებულებას: „გული დრამისა უნდა იქნას, თუ თეულმა სცენამ, თვითთულმა მომქმედმა ისე, როგორც გორგალი ძაფის წვერმა და, საცა ეს გორგალი არ არის, ან ავტორს არ დაუხვევია, იქ ამათა ძაფების ტყუილ-უბრალო ცოდლობა, წევა და გრეხა. შინაგანი ძალი დრამისა უნდა გამომეტყველებდეს გარედ და არა ავტორს შიგ ჩასძახოდეს გარედამ“.

როგორც მხატვრული პროზისა, ისე პოეზიის დარგში, ჩვენ ბევრ რამ უნდა ვისწავლოთ ილიასაგან. როგორც დავინახეთ, არა მარტო შემოხსენებულ ცნობილ დარგებში, არამედ იმ დარგშიაც, რომელსაც ილია სპეციალურად არ ამუშავებდა, მაგრამ თავისი ღრმა ინტელექტუალური ბუნებით ასე ოსტატურად ჩასწვდა, მან სანიმუშო მაგალითები დაგვიტოვა, და ჩვენ დღესაც უდიდესი დაკვირვებით უნდა შევისწავლოთ ილიასაგან, როგორც მსახიობის შემოქმედების შეფასება და ღრმა ანალიზი, ისე დრამის თეორიის ბევრი ურყევი კონსტრუქცია.



Handwritten text at the top left, possibly a date or reference number.

Handwritten text at the top right, possibly a name or title.



Main body of handwritten text, appearing to be a letter or document, written in a cursive script.

ბ. რუხაძე

ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული ლიტერატურა

ილია ჭავჭავაძის ნაწერების შესწავლა გვიმტკიცებს, რომ მას სწორი, დღესაც ყურადსაღები და მისაღები აზრები ჰქონია გამოთქმული ძველი მწერლობის შესახებ.

ილიას დროს, განსაკუთრებით 60-80-იან წლებში, ძველი ლიტერატურის შესწავლის საქმე ჩვენში მეტად დაბალ დონეზე იდგა. წერილობითი, მხატვრულ-ლიტერატურული ძეგლების უმრავლესობა კერძო პირების ხელში იყო და, მაშასადამე, — გამოუცემელი. ამ პირობებში სწორი შეფასება ლიტერატურული წარსულისა დიანაც საპატიო საქმეს წარმოადგენდა. პოეტს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ ძველ მწერლობას ჯერ პირუთენელი კრიტიკოს — დამფასებელი არ გამოსჩენია. ასეთი პრეტენზია არავის არ შეეძლო ჰქონოდა იმ დროს. ილიაც, მიუხედავად დიდი დამსახურებისა ამ მხრივ, უპრეტენზიო იყო ამ საკითხში. მაგრამ იგი, როგორც პერსპექტივების მქონე მოაზროვნე, სწერდა, რომ ძველი ქართული ლიტერატურის კორიფეები „მოცილიან გონებამახვილს კრიტიკოსს, რომ თავისი მიუწყონ და სამართლიანის შარავანდელით მოპრთონ მათი ღირსშესანიშნავი გონებრივი ღვაწლი.“¹

ასეთი ოპტიმიზმი ქართული კრიტიკის განვითარების მიმართ არა ბრთვან აქვს პოეტს გამოთქმული. ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეს ილია ცოცხალ დარაჯად ედგა. ის დაუზოგავად ებრძოდა ყოველგვარ ნილილიზმს წარსულის მიმართ და ამავე დროს დიდის თანაგრძნობითა და სიხარულით ხედებოდა ძველი ლიტერატურის ყოველი ახალი მკვლევარის გამოჩენას. ასე, მაგალითად, იგი გულდასმით ადევნებს თვალყურს რუსეთში მომუშავე ქართველი პროფესორების დავით ჩუბინაშვილისა და ალექსანდრე ცაგარლის მოტყაწეობას ძველი კულტურის შესწავლის დარგში. მან საგანგებო წერილი მიუძღვნა ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს, რომელმაც საქართველოს ისტორიის დაწერა განიზ-

¹ ილია ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებული, 1926 წ., ტომი მეოთხე, გვ. 162.

რახა. „სიხარულით ვეგებები იმ ამბავს, — სწერდა ილია, — რომ ჩვენს დაულალავ მოღვაწეს ბ-ნს დ. ბაქრაძეს განუზრახავს ჩვენი, ქართველთა ისტორიის აღდგენა და გახსენება“ (ტ. V, გვ. 244). მარტო იმისთვის არ დაეთანხმა პოეტ აკაკი წერეთლის აზრებს „ვეფხისტყაოსანზე“, მაგრამ აკაკის ინიციატივა მოიწონა, სტიმული მისცა და მის შეხედულებას „მეტად მოსაწონი აზრი“ უწოდა. (ტ. IV, გვ. 183). ამავე დროს დახმარებისა და თანაგრძნობის ხელი გაუწოდა უცხოელ მოღვაწეებს ა. ლეისტს, მარჯორი უორდრობს და სხვებს, რომლებიც ქართული მხატვრული ძეგლების თარგმნასა და პოპულარიზაციას ეწეოდნენ ევროპულ ენებზე.

ილიას ძველი ლიტერატურა მრავალმხრივ აინტერესებდა. ჯერ ერთი, მას, როგორც „ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს“, ამით უნდოდა ეჩვენებინა, მისივე სიტყვებით რომ ეთქვათ, „რანი ვიყავით გუშინ“, ე. ი. დაენახებინა ქართველი ხალხისათვის მისი დღე ისტორიული წარსული. ილიას დამოკიდებულებას ძველ მწერლობასთან, ერთის მხრივ, პრაქტიკულ-პოლიტიკური მიზანი ჰქონდა, მეორეს მხრივ, მას აინტერესებდა მე-5-18 საუკუნეთა ლიტერატურის განსაზღვრული პრობლემების სწორი გაშუქება. ვარდა ამისა ძველი მწერლობა მისთვის ერთგვარი ლიტერატურული წყარო იყო, რომელსაც იგი იყენებდა შემოქმედებითს თუ პუბლიცისტურს პრაქტიკაში.

ილიამ კარგად იცოდა, რომ ლიტერატურული მოვლენების განვითარება განსაზღვრულ ისტორიულ გარემოსთანაა დაკავშირებული, ამიტომ იგი გულდასმით სწავლობდა „ქართლის ცხოვრების“ წიგნებს, დაწყებული „მოქცევაი ქართლისაით“ და გათავებული ვახუშტი ბატონიშვილის შრომებით. მერე, რა დაინახა ილიამ ქართულს მატეანეში? მოუსპინათ თვით პოეტს: „ეგ თხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“, (ტ. I, გვ. 373). ამავე იმეორებს ილია მეორეგან: „ქართლს ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“ (ტ. 5, გვ. 201). ეს სრული ჭეშმარიტებაა. ვინმემ შეიძლება ილიას ეს აზრები ნილილისტობად მიიჩნიოს. არა, აქ ნილილისტობა არ არის. მართლაც, ვისაც საქმე ჩვენი ისტორიის წყაროებათ ძველებთან ჰქონია, იგი საყურადღებოდ დაელოწმება ილიას სიტყვებს. პოეტს ხალხი უნდოდა დაენახა, რადგან ხალხი იბრძოდა, ხალხი ქმნიდა ისტორიას, მატეანეში კი მხოლოდ მეფეები და მათი ომებია აღწერილი. ამ ხალხის სიყვარულმა ჩვენი მწერალი კონკრეტულად ნილილისტობამდე მიიყვანა ჩაბრუნების პოემა-ხოტბის „თამარიანის“ საკითხში: არ მოსწონდა ილიას „თამარიანი“. რატომ? იმიტომ, რომ ჩაბრუნების ლექსში მარტოდ-მარტო მეფეებია შექმნილი, მძიმე, ნაძალადევი ლექსით, „ცარიელი“ სიტყვებით: „ცარიელი სიტყვები არ დაგვაჯე-

რებენ, რომ ჩახრუხაძე დიდი მწერალია“-ო, სწერს ერთგან ილია, ტ. IV, 372). ეს აზრი, უფრო ძლიერად მეორეგან აქვს გამოთქმული მწერლისაგან არაფერი, გარდა ზედშესრულების რაბაარუხისა“-ო (ტ. IV 7).

აი რითი უნდა აიხსნას ილიას ერთგვარი უარყოფითი დანოკიდებულება ძველი მწერლობის განსაზღვრულ ფაქტებისადმი. ამას ეხლა ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ არ არის სწორი, თითქოს „ოთხმოციან წლების ილიას სამი წიგნი ჰყვარებია: „ვეფხისტყაოსანი, „ქილია და დამანა“ და „დაუთიანი“¹⁾. როგორც ცნობილია, ილია თავის „ივერიის“ ფურცლებზე ადგილს უთმობდა იოანე ბოლნელს, სარგის თმოგველს, პოეტს არჩილს, ვახტანგ VI-ს და სხვებს. ასე გასინჯეთ, მისგან არ იყვნენ უგულვებელყოფილნი სასულიერო მწერლობის წარმომადგენლებიც (მაგ. შთაწმინდელები, ანტონ I და სხვები).

ძველი ქართული პოეზიის განვითარების გზების მოხაზვა ილიას ჯერ კიდევ 1862 წელს უცდია. ეს საქმე, რასაკვირველია, ძნელი იყო, რადგანაც ძველი საუკუნეების „თხუთულებები, საუბედუროდ, სულ ერთიანად არ არიან ცნობაში მოყვანილნი და დაბეჭდილნი“ (ტ. 4, 384). ამის მიუხედავად, პოეტი იძლევა ძველი ქართული პოეზიის განვითარების ზოგად სქემას: ეპიური ეპიკური შექმნა რუსთველმა, მას გამოუწინა უამრავი მიმბაძველი, მაგრამ ეს უკანასკნელნი უფრო ლირიკოსები არიან. ამგვარად, ამბობს ილია „ძველ დროთაგან დაწყებული აქამომდე ჩვენ ლექსთ-თხუთულებითს პოეზიაში შეენიშნეთ განვითარება მხოლოდ ლირიკული პოეზიისა“ (4, 384). „მარტო რუსთველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპიკისა“ (იქვე, 385). ამგვარად, ეპიკის თვალსაზრისით, ძველ ქართულ პოეზიას ორი ძირითადი ნაკადი გააჩნდა: ეპოსი და ლირიკა. ილიას ეს სქემა სწორია და მესალები.

ამის შემდეგ ილია გადადის საკითხზე, თუ რა იყო „იდეა ძველ პოეზიისა და ფორმა გამოთქმისა“ (ტ. 4, 383). ფორმის თვალსაზრისით, საერო პოეზია, ილიას სქემით, ირანული ლიტერატურის გავლენას განიცდიდა. ესვე სწორი გახლავსთ. ილიას სქემით, ძველ ქართულ პოეზიაში შემდეგი მოტივები გამოირჩევა: „ა) ჩივილი, წუთისოფლისადმი მდურვა; კაცის ამარება, აქაური ცხოვრების ამარება და ნუგეშით თვალშეჩერება ცისა, სადაც მოელიან საუკუნო განსვენებას და მართლმსაჯულებას; ბ) სიყვარული უფრო პლატონიური, მუხთლობა სიყვარულისა და დაუდგრომლობა; თუ აქ არ შევხვდებით ერთმანეთს; ცაში დამანი ვიქნებითო; გ) ქალი ან ანგელოზია და უფრო ხშირად — დემონი, წამწყენდი კაცისა; დ) ბუნება წმინდა სანთელია იმათ ხელში, რასაც

¹⁾ იხ. გრიშაშვილი: „საანდაზო ლექსები“, გვ. 12.

უნდათ, იმას გამოსახვენ; ბუნება თუ, არის მშვენიერი, — იმეორე გრძნობის მიხედვით; ის, როგორც ობიექტი, არ არსებობს იმათთვის, ვინც იმეორე გრძნობის მქონეა.

ეს სქემა ეხლა ერთგვარ შესწორება-დამატებას საჭიროებს. 60-იანი წლებში ილიას, ზევით აღნიშნული პირობების გამო, მეტის თქმა არ მოეთხოვებოდა. მას ძირითადად სწორად მიუყვლევია ძველი დროის პოეზიის მთავარი მოტივებისთვის. მართლაც, იქ დამახასიათებელი იყო უმთავრესად: ამაოებისადმი მღურვა, სატრფიალო მოტივი და ბუნების კულტი.

ილია ძველ მწერლობას ლიტერატურული სკოლების თვალსაზრისითაც მიუღდა ერთ-ერთ წერილში, რომელიც ე. წ. „მამებთან“ ატეხილ კამათის დროს აქვს დაწერილი. იგი იძლევა სენტიმენტალური და რომანტიული სკოლის ზოგად მიმოხილვას, აცნობს მკითხველს მის მთავარ წარმომადგენლებს (რუსო, კარამზინი და სხვ.) და ამბობს, რომ სენტიმენტალური მიმართულება ჩვენს მწერლობაში უფრო ადრე შეინიშნებაო. ასეთია, მაგალითებრ, „ვარდბუბუღიანი“ და „შაში ფარვანიანი“ თეიმურაზ პირველისა (ტ. IV, 61). „რომანტიკულის მიმართულებისაც გვეყონია ჩვენ მაგალითი ჩვენს ლიტერატურაში; მაგალითებრ, „ვეფხისტყაოსანი“ (იქვე). „ცრუკლასიკურისაც, მაგალითებრ, სულ იმ მწერლების მიმართულება, რომელთაც მიბაძეს მარტო გარეგან ფორმასა ჩვენ უკვდავის რუსთველის „ვეფხისტყაოსნისას“ და ვერ გაიგეს კი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თუ არის უკვდავი, არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგანი ღირებებით“ (4, 61). მართლაც, როგორც ცნობილია, „ალორძინების ხანის“ პოეზიაში ერთგვარ ლიტერატურულ შაბლონად გადაიქცა რუსთველის მიბაძვა, ყველას უნდოდა ეწერა „შოთაებრ“. ამ დროს პოეტმა არჩილმა ლოზუნგიც იყო წამოისროლა: „ვინც ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა, გადმოდეგით ასე აქეთ, მელექსობა არ შეშვენის დააყენეთ მოსაბაქეთ“-ო. ეს მიმბაძველობა მართლაც ფსევდოკლასიციზმი იყო XII საუკუნის ქართული „კლასიკური პოეზიის“ მიმართ. რასაკვირველია, ფსევდოკლასიციზმი, როგორც ევროპული მოვლენა, სხვა სიტუაციაში შეიქმნა: — საქართველოში XII საუკუნის პოეზია იყო წამაძვას ობიექტი, ხოლო ევროპაში — ელინო-რომაული კულტურა.

მე-XIX ს. პირველ ნახევარში ძველი ქართული ლექსის და საერთოდ ძველი მწერლობის ტრადიციები კიდევ ცოცხლობდა. ილიამ სწორედ ამ ეპიგონური პოეზიის წინააღმდეგ მიმართა თავისი „მწარე კალამი“: „ცისკრის“ ახალ მოღვესებებს, — სწერდა ილია, — ზოგიერთის გარდა, დიდი კავშირი აქვსთ ძველებზედა, კავშირი ისტორიული განვითარებისა კი არა, მხგავსებისა“. (IV, 384).

ილიამ თავისი „პასუხით“ მამებისადმი თვალი გაუსწორა ძველს ლიტერატურას. მუთითა იმას, რაც მისაღები იყო ამ დიდი წარსულიდან, აგრეთვე აღნიშნა ცუდი და მიუღებელიც.

„მამებთან“ ბრძოლის დროს ილია უციდურესობაში არ გადავარდნილა. იგი ზთელი თავისი შეგნებითა და ძლიერებით იცავდა მკაცრს კულტურას, ყველა სახის შინაური და გარეშე უარყოფილებას გან. ის ვერ ითმენდა რაიმე დაცინვა-გაკილვას ათასწლოვანი ქართული კულტურისა, ვისი მხრივაც არ უნდა ყოფილიყო ეს, არცევედა და ამუქებდა თავისი „ივერიის“ ფურცლებზე მე-V-XVIII საუკუნის ქართული კულტურის ცალკე პრობლემებს. არ გამოორჩენია მას ისეთი საკითხიც კი, თუ რომელა ქართული ანბანი უწინ წარმოიშვა, ნუსხა-ხუცური, მგლოვანი, თუ მხედრული; მას, ქართული პალეოგრაფიული მეცნიერების მაშინდელი დონის მიხედვით, რასაკვირველია, არ შეეძლო ეს საკითხი დადებითად გადაეჭრა, და ეს არც შეადგენდა მის მიზანს. (ტ. V გვ. 83). დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ თავდაპირველი ქართული ანბანი იყო ასომთავრული მგლოვანი, ამის შემდეგ განვითარდა ნუსხა ხუცური, ხოლო XI საუკუნიდან ნუსხურთან ერთად ჩნდება მხედრულიც, რომლის პარალელურადაც არსებობდა ნუსხა ხუცური; ქართული მწერლობის პირველი პერიოდის წერილობითი ძეგლები, როგორც ცნობილია, ბიბლიურ ტექსტებსა „წმიდათა“ ცხოვრებასა და მარტილობას შეიცავენ. ილია ამ ძეგლების ვასაოცარ ცოდნას ამჟღავნებს. მის თხზულებებში არა ერთგზის შეხედებით ციტატებს „საღვთო წერილის“ შესაფერ ადგილებიდან:

„ორგულობისა,

ორპირობისა

ძირსა დამცემი და დამორგუნველი

ფარისეველთა, სადუკეველთა“. („პასუხის პასუხი“).

ილია არ იყო სასულიერო მწერლობის დიდი თაყვანისმცემელი, მაგრამ, მან არც, ეს დარგი დაივიწყა. რასაკვირველია, ის დარწმუნებული იყო, რომ ეხლა შეუძლებელია წერა „ანტონ პირველის გემოვნებითა“ (IV, 53), მიუხედავად ამისა, — ამბობდა ილია, — „ნურავინ იფიქრებს რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოსისა. ანტონი დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა, მაგრამ ეხლა რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვიწოდოთ, ძალიან შეეცდებით“ (IV, 53-54).

ძველი მწერლობიდან საწრო პოეზია უფრო იზიდავდა ილიას. ყველაზე მეტი დრო ამ დარგის ლიტერატურის კვლევას შეაღია პოეტმა და ყველაზე მეტად ეს დარგი გამოიყენა. საწრო მწერლობიდან და პოეტებიდან მისი ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურეს რუსთველმა, სარგის თოგველმა, თეიმურაზ პირველმა, არჩილმა, საბა ორბელიანმა, ვახტანგ მეექვსემ, დავით გურამიშვილმა და სხვებმა.

როგორც ცნობილია, 1884 წელს ილია ქაეკავაძის, ალ. სარაჯიშვილისა და პ. უმიკაშვილის რედაქტორობით გამოიცა „ვისრამიანი“. ეს გამოცემა ეხლაც კი ერთადერთ ძვირფას გამოცემადაა მიჩნეული. პირ-



ველად აქ გამოამჟღავნა ილიამ თავისი გულისხმიერი დამოკიდებულება საერო ძეგლების ცნობაში მოყვანისადმი. პოეტი აქ, სხვა დამოკიდებულებებთან ერთად, ერთგვარ მეცნიერულ სიღინჯესს წინააღმდეგობას იჩენს. რედაქტორები ფრთხილობენ ერთბაშად არ გადასკრან „ვისრამიანის“ ავტორის პოზიციას: „ვისრამიანის“ დამწერად სარგის თმოგველს ამბობენ, თუმცა მტკიცე საბუთი ამისი, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერასგზით ვერსად ვიპოვეთ“-ო („ვისრამიანი“ გვ. 7). „ვისრამიანის“ ორიგინალობის დაკითხვით დაკავშირებით იხილავენ სამ მთავარ შეხედულებას. — რომ „ვისრამიანი“ ქართული თხზულებაა, რომ სიუჟეტი ვისის და რამინის თავგადასავლისა ირანულია“, ქართველ მწერალს „მხოლოდ შინაარსი აუღია და თავისით დაუწერია და არა ვადმოუთარგმნია სპარსული ტექსტი“, და, დასასრულ, „მესამე აზრი ის არის, რომ ვისრამიანი თარგმანია და არა საკუთარი ქართული თხზულება.“ (გვ. 8).

დამახასიათებელია, რომ ილია სხვა თანარედაქტორებთან ერთად უფრო ემხრობა აზრს იმის შესახებ, რომ „ვისრამიანის“ ქართველმა ავტორმა ირანული სიუჟეტი აიღო და „თავისით ახალი თხზულება“ დასწერა. ამავე წერილში მოცემულია ერთგვარი გზა „ვისრამიანის“ კვლევისათვის: „ვისრამიანის“ ქართულ-ირანული ტექსტი ერთმანეთს უნდა შეედაროს, ტექსტის საწოლო დადგენისათვის საჭიროა ყველა ზღუნა-წერების გამოძიება. „ვისრამიანს“ არც გამოცემის შემდეგ აკლებდა ილია მზრუნველობას, იგი „ივერიის“ ფურცლებზე „დამაკვირდი“-ში ბეჭდავდა ამ თხზულებიდან ცალკეულ დამახასიათებელ ადგილებს. ტექსტს პირველ ხანებში ქვეშ მოწერილი აქვს სარგის თმოგველი, მერე — „ვისრამიანი“ *). ასევე ბეჭდავდა ილია „ივერიაში“ არჩილის ლექსებიდან გამორჩეულ ადგილებს **). იქ, სხვათა შორის, დაბეჭდილია ადგილები „გაბაასება კაცისა და სოფლისა“-დან.

„შრავალთა სახლს არ აღირსებ,

ერთს ცამდის ააგებინებ.

ძველს თავადს ღალანობესა.

ქვეშ ჰილობს დააგებინებ“ („ივერია“, 1887 წ. № 13).

ვახტანგ VI-ის ლექსები, რუსთველისა, „ქილილა და დამანასა“ და გურამიშვილის შემდეგ ყველაზე ერთკლად წარმოადგინა ილიამ „ივერიის“ ფურცლებზე. სხვათა შორის აქ დაბეჭდა ცალკეული ადგილები ვახტანგის მიერ თარგმნილი დიდაქტურ-მორალური თხზულებიდან: „მოკლე სიტყუესება სოკრატისა“, თუმც აქ ამ თხზულების სახელდება არა ჩანს. ***)

*) „ივერია“ 1886 წ., № № 56, 58, 58, 61 და სხვ. 1887 წ. № № 3, 5 და სხვ. 1898 წ. № 12, 18 და სხვა.

**) „ივერია“, 1886 წ. № № 46, 48, 49, 51, 52, 54, 55, 56, 57, 58, 60, 61

***) ვახტანგ VI-ის ლექსებიდან ადგილები დაბეჭდილია „ივერიის“ შემდეგ ნომრებში 1886 წ.: № № 9, 14, 17, 23, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 34, 37, 38, 39, 41, 42, 45, 48, 51, 53, 54, 55, 56, 58, 59, 60, 61, 62 და სხვ.

ხელაზე დიდ ყურადღებას იქცევს „ივერიაში“ დაბეჭდილ „საანდაზო ლექსები - ვეფხის ტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანანის რამაინიდან“. ეს ლექსები ცალკე გამოიცა 1887 წ. ხოლო შემოკლებული ამ გამოცემისა და „ივერიის“ 1883-1887 წ. წ. ნომრების მიხედვით გამოსცა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა *) „ივერიაში“ 1887 წლის შემდეგაც იბეჭდებოდა ადგილები „ვეფხის-ტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანანის“ და „გურამიანიდან“, რაც არ შესულა ამ გამოცემაში.

არ დაუვიწყნია ილიას საბა-სულხან ორბელიანიც. აი რას სწერს იგი: „წინა ლექსებში მოგახსენეთ, რომ საბა ორბელიანისებური სიცრუე ნამუსიანია. არც არავის მტრობს და არც არავის ჰგმობს — მეთქი, არც არავის ჰყიდის და არც არავის ჰყიდულობს. იგი ერთგული მსახურია სიბრძნისა და ამიტომაც მაღლიანიც არის“ (IX, 276). ამ წერილში, როგორც ვხედავთ, „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე სიცრუე“ ჰქვია, მწერალი არა ერთგან იყენებს საბას და იმომწმებს მის „სიბრძნე სიცრუის“ წიგნს. ილიას ერთ-ერთ ლექსს („ალახანს“) ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს საბას აქამდე უცნობი ლექსი:

„სიკაბუჯისა ყვაილი,
დამიჭნო ვამთა დენამა,
ნდომა მომაკლო, დამიკლო,
სასამუროდ გული რბენამა“ (II, 57).

ერთგან მწერალი საგანგებოდ ჩერდება დ. გურამიშვილის ლიტერატურულ შემოქმედებაზე. მისი აზრით, დ. გურამიშვილმა სცადა „პირველად, ზოგიერთგან, რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში“ (IV, 383) მის გზას ამ მხრივ აგრძელებენ ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი (იქვე). მეორეგან ილია დ. გურამიშვილის პოეზიას უტოლებს ლუკრეციუსის, პორაციუსის და ვირგილიუსის დიდაქტურ პოეზიას.

თქმა არ უნდა, ილიას მხატვრულ შემოქმედებასა და წერილებში ყველაზე ვრცლად შოთა რუსთველი და მისი „ვეფხის ტყაოსანია“ წარმოდგენილი. რა ეპიტეტს არ იკონებს პოეტი რუსთველის დასახასიათებლად, რა სიტყვებით არ ამკობს „ვეფხის-ტყაოსანს!“ „გენიოსური კალმის მოსმა“, „სახელოვანი პოეტი“, „აქ ერთი კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ეხლანდელი მწერალი მთელს ფურცელს მოანდომებდა“, „გვირგვინი დიდებისა და ხელოვნებისა“, „რუსთველი გენია“, „უკვდავი ვეფხის-ტყაოსანი“ (ტ. IV, 190, 191, 195, 383, 385), „ქართველების ეროვნული ღირსებისა და ვინაობის სახსოვარი“ და სხვა.

*) იხ. „საანდაზო ლექსები“, ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი, წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, 1935 წ., ტფილისი.

*) იხ. „სომეხთა მეცნიერი და ქათა ლალი“, 1894 წ., გვ. 60.



პირველი საკითხი, რომელიც ილიას უნდა აღძვროდა „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით, იქნებოდა ამ პოემის ჯეროვანი მარ-თალია, მანამდე არსებობდა შოთას უკვედავი ქმნილების გამოცემანი, მაგრამ ისინი აი. აკმაყოფილებდნენ თანამედროვეთა მოთხოვნილებას. ამიტომ იყო, რომ პოეტი დიდი გულმოდგინებით ჩაება „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში. რომელიც 1881 წელს შესდგა. ამ კომისიის თავმჯდომარედ პირველ ხანებში პოეტი გრიგოლ ორბელიანი სჩანს, ხოლო ილია კომისიის მუდმივი და აქტიური წევრია. დღემდე არ მოღწეულა კომისიის ოქმები, რის გამო ძნელია ნათლად იქნას გათვალისწინებული კომისიის წევრთა რაოდენობა და ის პრინციპები, რითაც ეს კომისია ხელმძღვანელობდა ტექსტის დადგენისას. მაგრამ კომისიის იმ მოკლე ანგარიშებიდან, რაც ვაზ. „დროებაში“ იბეჭდებოდა, ვიგებთ, რომ ილიასთან და გრ. ორბელიანთან ერთად ამ კომისიაში მუშაობდნენ: პ. უმიკაშვილი, ი. მუნარგია, ი. მაჩაბელი, თედო ჟორდანიანი, ი. გოგებაშვილი, დ. ჯორჯაძე, ს. მესხი, პოეტი აკაკი წერეთელი და სხვები. კომისიაში ქალებიც მუშაობდნენ („ნესტან-დარეჯნის სქესილამ“, როგორც „დროების“ კორესპონდენტი სწერდა. 1881, № 31); ნინო ორბელიანი, ე. ვაბაშვილი, ოლღა ჭავჭავაძისა და სხვა.

როგორც კომისიის მოკლე ანგარიშებიდან სჩანს, ტექსტის დადგენისათვის მთავარ სახელმძღვანელო პრინციპს შეადგენდა შემდეგი: შეიფერება თუ არა შოთა რუსთველის შესატყუარ სულს ესა თუ ის საექვო სტროფი. აქვს თუ არა მას ლოლიკური ურთიერთობა პოემის მთელ ღონისთან. ე. ი. კომისია გამოდიოდა ესთეტიური და ლოლიკური პრინციპებიდან. ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მაშინდელი დონისათვის ასეთი მუშაობა დიდი ღირსება იყო.

ამ კომისიის მუშაობის შედეგია „ვეფხისტყაოსანის“ ცნობილი ვ. ქართველიშვილის გამოცემა (1888 წ. უფილისი). ამ გამოცემის ღირსება (მისი საბოლოო რედაქცია ი. მაჩაბელის შეუსრულებია), სხვათა შორის ისიც არის, რომ იგი დასურათებულია ცნობილი უნგრელი მხატვარის ზიზის მიერ ქართული ჩუქურთმების მრავალი არშიებითა და პოემის გვირთა რეალისტური პორტრეტებით. ეს გამოცემა ამ მხრივაც პირველია.

ასე და ამგვარად ილიამ ერთ-ერთი საპატიო როლი შეასრულა „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში.

უფრო ადრე ილიას ცნობიერებაში უნდა დასმულიყო საკითხი, თუ როგორ უნდა გასწავლოთ „ვეფხისტყაოსანი“. მას ამ საკითხზე რაიმე სპეციალური წერილი არ დაუწერია, მაგრამ თავის „გლახის ნაამბობში“

*) ნესტანგ VI-ს. მ. ბროსის, დ. ჩუბინაშვილის

**) ვაზ. „დროება“, 1881 წ. №№ 31, 36, 42, 44, 48, 54, 57, 60, 63, 68, 71, 86, 123 და სხვა.



მოგეცა თითქმის ყველა ის პრინციპი, რომელიც ეხლაც მერყეობს და დაე-
დაე პოემის შესწავლის ხერხების გამოსამუშავებლად.

ილიას აზრით, მოსწავლეს უბრალოდ კი არ უნდა გვაგაზეპირებინოთ
„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი, არამედ შევათვისებინოთ ამ ძეგლის ესთე-
ტიკურ-იდეურ-ჰუმანური სული.

„ვეფხისტყაოსნის“ ესა თუ ის ადგილი და აზრი ილია ჭავჭავაძეს-
სახელმძღვანელო დებულებად მიაჩნდა. ამ მხრივ პოეტმა სრულიად ღიო-
სეულად განაგრძო „ალორძინების ხანის“ პოეტების ჯანსაღი ტრადიცია.
„ალორძინების ხანის“ პოეტები ძალიან ზშირად იმოწმებდნენ შოთა რუს-
თველს. პოემაში წარმოდგენილი აფორიზმები და პრინციპები მათ სა-
ხელმძღვანელოდ მიაჩნდათ. დაახლოებით ასევე იქცევა ილია. მის მთელ
რიგ თხზულებებში, ლექსებში და წერილებში, ეპიგრაფის სახით, თუ შიგ-
ჩართვით, გამოყენებულია სათანადო ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“.
დავასახელებ ამის ზოგიერთ ნიმუშს.

რუსთველი, უპირველეს ყოვლისა, ილიას გამოყენებია იმ წერილში,
სადაც ლაპარაკია „კახლოვის მიერ შეშლილის თარგმანზედ“. „როცა
კახლოვი და მისი პოეზიონ მოგაგონდებათო, სწერს ილია, მაშინვე ენაზე
მოგვადგებიან ჩვენი სასიკაძულო რუსთველის სიტყვები, მხოლოდ ჩვე-
ნებურად კი, — და ვიწყებთ ხოლმე:

„კახლოვის ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა.

ვამსგავსე შეილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა.

არ ძალუმს სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა;

დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქეთ ხოცვა ნადირთა მცირეთა“. (IV, 3).

ასევე დაიმოწმა მწერალმა რუსთველი, როცა საგანგებო წერილი
მიუძღვნა „საქართველოს მოამბეს“. ჩემი რჩევა მოყვრულია. და თუ „მო-
ამბე“ ქართველების მართლა „მოყვასია“, რუსთველი გვასწავლის, მოყ-
ვას როგორ უნდა მოეჭყეს კაცი:

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დაშრიდად,

გული მისცეს გულისათვის“...

ილია „ვეფხისტყაოსნის“ იყენებდა მეტად მწვავე პოლემიკის დროს.
ცნობილია მისი პოლემიკა „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო ი. ჯანადაშვილთან,
ნ. ნიკოლაძესთან და სხვებთან.

როგორც ვიცით, ივანე ჯანადაშვილმა Н. Д-ს ფსევდონიმით ფურნალ
„სევერნი ვესტნიკ“-ში მოათავსა წერილი „Письма о Грузии“. აქ მან
ერთა ხელს მოსმით მოინდომა საქართველოს ისტორიის, ჩვენი ისტო-
რიის წყაროებისა და თვით „ვეფხისტყაოსნის“ განიხილება. ეს იყო ისტო-

რიული და ლიტერატურული ნილილიზმის მეტად მიუტყვებელ ფორმა. ჯაბადარის ეს წერილი მიწასთან გაასწორა ილიამ, ქვა-ქვავზე კარგად დაფიქსურებული „Письма о Грузии“-დან. აქ მან უპირველეს ყოვლისა რუსთველი დაიმოწმა და გამოიყენა. „არ შეიძლება ამ წერილში ყოველივე კრიტიკის საგანი იყოს; — ამბობს ილია, — ყველაფერს რომ გამოვდგეთ, —

„ენა და შერების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებთან“-ო. (V, 59).

ჯაბადარი ერთგან სწერს თავის წერილში, რომ მე რაც მივიღე, მას ვაწვდითო, ე. ი. რაც ცნობები მომაწოდეს, მასზე ვწერო. ილია ამაზე ამბობს — ეს ყალბის ძთქმელს არ ამართლებს, თუმცა კი

„ცემა ვმართებს გამზრდელისა,
რა ყრმა ნახო ცუდად ზრდილი“-ო (V, 70).

ასევე გამოუყენებია მწერალს „ვეფხისტყაოსანი“, როცა თავის ერთ-ერთ წერილში სხვათა შორის, ლაპარაკობს „ჩინოვნიკების“ თავგებდობასა და უსამართლობაზე. რომელთა შესახებ „ბევრი კიდევ სხვა რამ არის სათქმელი. მაგრამ...

„კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“ (VI, 178).

ასევე მკვეთრად გამოიყენა ილიამ „ვეფხისტყაოსანი“ პატკანოვის წინააღმდეგ. ილიამ არ გაიზიარა ახალგაზრდა ორიენტალისტის აკად. ნ. მარრის აზრიც. როგორც ცნობილია, მარრი მაშინ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის უცხო წარმოშობას აღიარებდა და რუსთველის პოემის მსგავს თხზულებასაც კი ეძებდა. ასეთად მას მიაჩნდა რ ი ეს კატალოგის აღწერილობით ცნობილი „მიპრიერ ნამე“, რაც მარრს ტარიელის წიგნად, ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ თავდაპირველ სუფიეტურ წყაროდ ეგულებოდა: ეს იმედი, როგორც ცნობილია, არ გაუმართლდა მარრს, რის შემდეგ თვითონაც დარწმუნდა ამ ჰიპოტეზის უსაბუთობაში და შემდგომ შრომებში სულ სხვა აზრს დაადგა.

ამ წერილში შიგა და შიგ მეტად მახვილგონიერად იყენებს ილია რუსთველს (გვ. 34, 35, 51, 160) ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ილია ჰაქაბავაძის წერილები ჯაბადარის, პატკანოვის, ნ. მარრის და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ა. წერეთლის წინააღმდეგ, ძვირფასი აქტივია რუსთველოლოგიაში. ილიამ ბევრი ისეთი აზრი გამოსთქვა, რომელსაც ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს.

ასევე იყენებს ილია რუსთველს ყოველდღიურ საგაზეთო და საყურნალო წერილებში (იხ. VII, 239, 240, IX, 3) და მხატვრულ შემოქმედ-



ბითს პრაქტიკაში. პოეტის მთელ რიგ ლექსებში ჩართულია ან წამ-
დღეარებულია წინ ეპიგრაფის სახით შოთასეული სტრიქონების.

ასევე უხვად გამოიყენებია ილიას „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონ-
ტიკაში.

ილიას „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზატორისა და კომენტატორ-
მკვლევარის როლსაც ვერავენ წაართმევს. დღეს ვრწმუნდებით, რომ
ილია ფრიად და ფრიად მართალი იყო რუსთველოლოგიის საკითხებში.

თქმა არ უნდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ საკითხში ილია არა იშვია-
თად ტრადიციულ შეხედულებებს იწყნარებდა. მას ეს ნაწარმოები თამა-
რის დროის ქმნილებად მიანდა, დედოფლის კარისკაცის შოთა რუსთვე-
ლის მიერ დაწერილად. (II, 69 და სხვა).

ილია შოთას პოემაში კაცად-კაცადს, ე. ი. საკაცობრიო ტიპებს ბე-
დავდა, მას არ სურდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ჩაეკეტა ვიწრო
ნაციონალურ ნაქუქში და უკვდავი პოემის იდეები გამოეცხადებია ვიწ-
რო ქართულ ნაციონალურ იდეებთან. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები საკაც-
ობრივია, — ამბობდა ილია, — და აქ მოცემული აზრები ზოგადი აზრებია“
(IV, 187, 188). ეს შეხედულება მწერალმა მკვეთრად გამოსთქვა „პოლე-
მიკაში“ აკაკი წერეთლის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, 1887 წ. აკა-
კიმ წაიკითხა საჯარო ლექციები, „ვეფხისტყაოსანზე“, საერთო სათა-
ურით: „სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც შემდეგ კიდევ და-
ბეჭდა თავის „კრებულში“*), ილიასადმი საპასუხო წერილითურთ**).
ამ წერილში აკაკი უმთავრესად სიუჟეტის საკითხებს ეხებოდა და თავის
აზრს ასე განმარტავდა: „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია საქართვე-
ლო მისი სამი მთავარი კუთხით: ქართლი, იმერეთი და სამეგრელო. ტა-
რიელი და ნესტანი თავიანთი ქცევით და ლაზთიანობით წარმომადგე-
ნელი არიან ქართლისა, ავთანდილი და თინათინი — იმერეთისა, ფრი-
დონი — ზღვის ადგილის, — სამეგრელოსიო. ასეთი დასკვნა აკაკის გა-
მოჰყავდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირების შედარებიდან ქართლელის, იმე-
რელის და მეგრელის ხასიათებთან. რასაკვირველია, აკაკი არ იყო მარ-
თალი. მზგავსი ცდა სხვებსაც ჰქონდათ (მაგ. პროფ. დ. ჩუბინაშვილს).
მაგრამ ამას „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის პრობლემის ვარკვევისათვის
მიანცდამიანც დიდი ნაყოფი არ მოუტანია.

აკაკის ლექციებს ილია არ დასწრებია, მაგრამ მან ვაიგო თუ არა სა-
ერთო აზრი მოხსენებისა, თავისებურად „რბილად მიბეჭვა“ იგი. ილიას
წერილი „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ (IV, 183 — 198
ერთადერთი წერილია, სადა მწერალი შოთა რუსთველის პოემას ცალკე
ეხება. აქ ილია აკაკის უწუნებს შოთა რუსთველის ვიწრო ნაქუქში ჩა-

*) იხ. „კრებული“ აკაკისა, 1898 წ. № 51, გვ. 10 — 31.

***) იქვე გვ. 1 — 18, მეორე განყოფილება.

კეტვის. „ვეფხისტყაოსანი“, მისი უღაო აზრით, „მდიდარი მოედანია კრიტიკისათვის“ (IV, 193), „ვიწრო მოედანი არა არის ჩვენს ქვეყანაში საქმე“ (IV 194). ილიას მოჰყავს მშვენიერი მაგალითი — შექაირის გმირი ფალსტაფი („ეგ ზოგადი ტიპი ცრუ და მკვეხარა კაცისა“) და ამბობს, რომ „ნუ თუ ეს გარემოება ნებას მისცემს ვინმეს სთქვას: შექაირმა ფალსტაფით ქართველები გამოიყვანაო“?. შექაირთან და სხვა მსოფლიო კლასიკოსებთან (ესხილი, ვოლტერი, რუსო, გოეთე, შილერი, ლამარტინი) ერთად თანაბარ ადგილზე ილია რუსთველს სხვა შემთხვევაშიაც აყენებს. მას სურდა შოთა რუსთაველი გამხდარიყო ღირსი მსოფლიო კლასიკოსებთან ერთად დაფასებისა. ეს ვერ მოხულობდებოდა ილიას დროს. ეს შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ ეხლა, დიად სტალინის ეპოქაში, როცა ყველაზე კარგად ფასდება წარსულის ყველა კულტურული მონაპოვარი.



პირობები ნაღირაპი

იღია ჭავჭავაძის აღზიანი

1. თერგის აპოლოგია

ნეტავი შენ, თერგო...
(„მგზავრის წერილები“).

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების უღელტეხილია. მანამდე უძრავი, მოდუნებული ცხოვრება მყუდროებიდან გამოიყვანა ახალმა თაობამ, რომელსაც თერგდაღუღულთა თაობა უწოდეს.

თავდაპირველად შემთხვევით წარმოშობილმა საქელწოდებამ რომელსაც დაკისრებულ პქონდა ახალი იდეების სათავეები აღენიშნა, შესანიშნავად გამოხატა ამ თაობის სოფლმშედეველობა, სიმბოლიურად განასახიერა მისი იდეური და პრაქტიკული მისწრაფებანი.

ჯერ კიდევ გრიგოლ ორბელიანმა უმღერა თერგს დაუფიწყარი სტრიქონებით:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს
კლდენი ბანს ეუბნებიან“.

ეს „რბენა“ და „ღრიალი“, ეს გამაცოცხლებელი მოძრაობა და შეუპოვრობა სამოციანი წლების თაობამ თავისი აზროვნებისა და მოღვაწეობის საფუძვლად აღიარა. თერგის დაუმონავე სახე იტაცებდა ამ თაობას, რადგან ის და მხოლოდ ის იყო მისი მღელვარე, შეუპოვარი სულის ხატება.

მოძრაობა და ბრძოლა, — აი ის ახალი, რომელიც ტრადიციით დამძიმებულ ცხოვრებელ გარდაქმნის ძალად უნდა ქცეულიყო.

ილიამ „მგზავრის წერილებში“ მოგვცა თერგის აპოლოგია, რომელშიაც მხატვრულად განმარტა შესამოციანეთა თაობის სამოქმედო და სააზროვნო პრინციპები:

„მიყვარს თერგის ზარიანი ხელი, გამაღებელი ბრძოლა,
დრტინვა და ვაი-ვაგლაზი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის
ცხოვრებისა, ამაღლევებული და ღირს-საცნობი სახეც არის: იმის
მღვრიე წყალში ჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა.

...ნეტავი შენ. თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუწყვენარი ხარ. ამა პატარა ხანს დადევ. თუ მურალ გუბედ არ გარდაიქმე, და ეგ შენი სიწმინდის ხმაურობა ნაყაყების ყიყინზედ არ შეგეცხვალნიყინაომა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღობისა და სიკოცხლის მიმცემი...“

მოძრაობისა და მოქმედების ფილოსოფია ილიამ დაუპირისპირა ადამიანთაგან „განზე ვადგომისა“ და „მიუქარებლობის“ ფილოსოფიას.

„არა, არ მიყვარს მყინვარი! — სწერდა ილია. — ამა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს ზუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედაშიწაზედ უდგია, თავი კი ცას მიუბჯეხია, განზე გამდგარა, მიუქარებელია“.

თერგის აპოლოგიის აზრი მოძრაობისა და მოქმედების, საზოგადოებრივი ზომილობისა და თაოსნობის პრინციპების დადგენაში მდგომარეობს. ეს იყო თერგდალეულთა თაობის მოღვაწეობის საფუძველი.

კვიეტისტური სოფლგაგების უარყოფა, რომელიც ილია ჭავჭავაძის მთელი ადამიანური და შემოქმედებითი ბუნების უკნობი სულია, მკაფიოდ არის მოცემული მის პოემაში „განდეგილში“, რომელსაც არსებითად მხოლოდ ეს ამოცანა აქვს დაკისრებული.

მწყემსი ჭალის სალი, უაღრესად ამქვეყნიური და, მაშასადამე, ღრმად ადამიანური შეხედულება ცხოვრებაზე დაურღვეველი აზრის შთაბეჭდილებას ახდენს. მის წინაშე უმწყეო ბერის უძღური მოსაზრება — ღვთაების იღვას შეეწიროს ადამიანის ნამდვილი ბუნება:

„განა სწყისს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
ფლ-ტობღი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს. და აილოს ხელი?“

ილიას შეხედულებანი ცხოვრებაზე, ადამიანზე, ისტორიულ წარსულზე და თანადროულ სინამდვილეზე მწყობრად გამომდინარეობენ პრინციპებიდან, რომელთა შორისაც თერგის აპოლოგიაში განვითარებულ მოძრაობისა და მოქმედების პრინციპს უზოგადესი ძალა აქვს მინიჭებული. თერგის აპოლოგია გვაძლევს იმ გამოსავალ ცნებას, რომელმაც ლოგიკურად უნდა დაასაბუთოს თერგდალეულთა მთელი თაობის აზროვნება, მხატვრული შემოქმედება და პრაქტიკული მოღვაწეობა.

სინამდვილეში მოძრაობის კანონი მოქმედებს. თუ ამ მოძრაობის ბუნებას დავაკვირდებით, ადვილად დავრწმუნდებით, რომ იგი მოპირდაპირე ძალთა ჭიდილით არის გამოწვეული.

1888 წელს ილიამ ასე განმარტა თავისი შეხედულება ამ საკითხზე: „მთელი ისტორია კაცობრიობისა ყოველ-გვარს სდევნის, საცა კი ადამიანს წარმატების ძლევამოსილება შეეძინა. და არ მიუძღვის, სხვა არ არის რა, გარდა ვაჭრისა, ვაჭრისა და ვაჭრისა დილისა „პოსა და არას“ შორის“. „ტყუილად კი არ არის ნათქვამი ერთის მეცნიერის ბრძენისაგან, რომ ცდომისაკენ ათასი გზა მიდისო და ქვეშაობისაკენ კი მარტო ერთად-ერთიო. ეს ერთად-ერთი გზა პოსა და არას დაპირისპირებაა“ (ხაზგასმა ჩემია¹⁾).

„პო“ და „არა“ გამუდმებულ ბრძოლაში არიან ერთი-მეორესთან. ეს ასეა ყველგან, სადაც კი ადამიანის თვლი და გონება შეიჭრება. ეს ასეა თვითონ ადამიანის აზროვნებაშიაც. „აზრთა მოძრაობაში, ზოგორც ყველაფერში ქვეყანაზედ ერთი მეორეს ადვილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად.“²⁾

ილიას აზრით, შეუძლებელია ერისა და ერთობ მთელი კაცობრიობის ისტორიული მოძრაობა სადმე შესწყდეს და განვითარების შესაძლებლობა აღიკვეთოს. საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა დაუსრულებელია, აი, როგორ განმარტა ეს აზრი თვითონ ილიამ:

„ყველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრობს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის — რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა — ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის; შესმენილი და გაგებული ექნება, — მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადვილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას იჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ ხელას დასასრული არა აქვს. თითონ კაცობრიობის ისტო-

¹⁾ „უარყოფელია ჩვენში“, 1888 წ., ტ. IX, გვ. 103, 104.

²⁾ „შინაური მიმოხილვა“, 1881 წ., ტ. VI, გვ. 118, სინამდვილისა და ცნობიერების დამოკიდებულების საკითხისათვის იხ. „საქართველოს მოამბეზედ“, ტ. IV, გვ. 73.

რიაც სხვა არა არის-რა, გარდა *ქვეყნის აღმშენებლის* გადანაცვლებისა“ (ხაზგასმა ჩვენი წინაშეა)

ფეხის გადანაცვლება, — აი ილიას კონცეპტია, რომელსაც იგი თანმიმდევრად და თავგამეტებით იცავდა.

ახალგაზრდა ილია „მგზავრის წერილებში“, რომელმაც შეურყევლად დაადგინა მარადიული მოძრაობის კანონი, სწერდა: „სიტყვამ რევოლუცია არ შეგაშინოს, შეითხველო! რევოლუცია დაწყნარების სათავეა. ასეა ყოველისფერი ამ ქვეყანაზედ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დარიოს და მერე დაწმინდება ბოლმეო“.

თერგის მოუსვენარი მოძრაობა იდეალია ილიასათვის და თერგდალეულთა. მთელი თაობისათვის. იმავე დროს ეს არის ჩვენი ისტორიული წარსულის შეფასების საზომი. როდესაც ილია გარდასულ დროთა სიყვარვეზე მსჯელობს, მას მუდამ მხედველობაში აქვს მათი მოძრაობის ხსიათი და ტეპი.

ილიას პირველი მახვილი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს შიხდება. სწორედ აქ დაინახა მან ის უძრაობა, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას ქაობად აქცევს.

1883 წელს ილიამ ასე შეაფასა განვლილი მანძილი:

„ამ ოც-და-ათი წლის წინათ. ბატონ-ყმობის გადავარდნამდე, ისეთი მყუდროება სუფევდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მისი შერყევა ოდნავ მაინც შესაძლებელი ყოფილიყო. როგორც ბურუსიანი, ღრუბლიანი, მშვიდი და თბილი დღე. ისე იხედებოდა მაშინდელი ჩვენი ცხოვრებაც“.

„დაბ. ასეთი გახლდათ ის წარსული დრო. დრო მე-40 და მე-50 წელთა, დრო მიძინებისა და ჩვენის გონებრივისა (და ეროვნული) მიძინარებისა, მოქანცულობისა. მწერლობაც ამ-გვარის მიძინარებულის ხასიათისა გახლდათ მაშინ. იგი ზედმიწეენილის სინამდვილით გვიხატავს მაშინდებურს (ჩვენს არარაობას), ჩვენს სილატაკეს აზრისას თუ ცხოვრებისას“.

ასეთი მკაცრი განაჩენი გამოუტანა ილიამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს. ახალი თაობის ძირითადი ამოცანა იყო — მოძრაობაში ქვეყანა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, სიცოცხლის ნაკადი შეეტანა მასში, გაეწმინდა დაგუბებული ქაობი.

1) შინაური მიმოხილვა, 1881 წ., ტ. VI, გვ. 120; შეად. „საქართველოს მოგზაურობა“, ტ. IV, გვ. 67.

2) შინაური მიმოხილვა, 1883 წ., ტ. VI, გვ. 5 — 6.



რა იყო ამისათვის საჭირო?

სამი ძირითადი ამოცანის გადაჭრა: ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების შემუშავება, ბრძოლა ამ იდეების განხორციელებისათვის და ადამიანისათვის.

2. ახლანდობა სულისა

როგორი უნდა იყოს ახალი ადამიანი — თერგდალეულთა თაობის წარმომადგენელი, რომელსაც ეკისრება „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა“?

სამოციან წლებში მკვეთრად შეიცვალა საზოგადოებრივი ცხოვრება. დაიბადა ახალი იდეები და მისწრაფებანი. თერგდალეულთა დრო შოთხოვდა აზრიანობას, ღონეს, საქმეს, ამტანობას, ბრძოლას, ერთის სიტყვით, ისეთ სულიერ თვისებებს, რომლებსაც მოკლებული იყო ჩვენი უსაქმური და უდარდელი თავად-აზნაურობა.

ეს უკანასკნელი ასე დაახასიათა ილიძე:

„მაშინ რომ ქართველისათვის გეკითხათ რას, ფიქრობთ, რა გსურთ, სიცოცხლეზედ ფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, ვიბასუხებდნენ... როგორ თუ სიცოცხლეო? — ისეო, გეტყოდნენ. რომ გავლა-გამოვლა შეგეტძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკობა, მზის ცქერაო და ჩვენი ქიის გახარებაო. გვინდა ვგრძნობდეთ, რომ თავი ისევე მხრებზე გვაბიაო, რომ ჩვენი თავისთვის გვეფქვა, ფიქრი არა გვაქვს, ისევე ცოცხალი ხარ. ჯერ არ მომკვდარხარო.“¹⁾

ამ ადამიანების კრებულს ვერ დაერქმევა საზოგადოების სახელი. ის უღონოა, მოდუნებული, გონებრივად ჩლუნგი, ზნეობრივად დაცემული. ისეთ ადამიანებს მხოლოდ თვალეში უჭყეტიათ, სვამენ, სკამენ, მრავლდებიან, უზრუნველად ატარებენ დროს, ერთის სიტყვით — ცხოველებად ქცეულან.

„ადამიანები განა მარტო მათურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მომკმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თვითონ ამ პირთა ქმნილებაო“.²⁾ ამბობს ილია.

თუ ცხოვრება ადამიანთა ქმნილებაა, მაშინ ვასაგებია, რატომ უნდა იყოს განწირული საქართველოს ფეოდალური საზოგადოება. „აბა ამგვარს დროს სად და ვის მოჰკითხავდი აზრსა, გონებას, თავგანწირულებას (ერისათვის), საქვეყნო საქმისათვის. აკი არც არაფერი შეინიშნებოდა ამ-

¹⁾ შინაური მიმოხილვა, 1883 წ., ტ. VII, გვ. 7—8.

²⁾ „ივერიის“ წინასიტყვაობა, 1877 წ., ტ. IX, გვ. 20.

გვარი. ქვეციანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აიქნეს, რადგან მათმა დაამშვენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და „სამსახურის ასპარეზი“. ¹⁾

ცხადია, თერგდალეულთა თაობის ადამიანი სრულიად ახალი სულიერი თვისებებით უნდა ყოფილიყო დაჯილდოვებული. ილიამ მოგვცა ადამიანის სახე, მან განსაზღვრა მისი შინაგანი თვისებები.

თერგდალეულთა თაობის ადამიანი ცხოვრებას შეგნებულად ეკიდება. მას ესმის სიციხის აზრი და თავისი დანიშნულება სახესებით შეგნებული აქვს. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამით განსხვავდება ახალი ადამიანი ძველისაგან.

თერგდალეული არ იზიარებს არც იმათ შეხედულებას, რომელნიც სიციხელში ვერავითარ აზრს ვერ ჰპოვებენ, არც იმათ შეხედულებას, ვისაც ცხოვრება ჭერეტისა და განცხრომის ასპარეზად წარმოუდგენია. თერგდალეულის პრაქტიკული ფილოსოფია საღი, ოპტიმისტური ღრმად ადამიანურია.

რამია აზრი და საგანი ცხოვრებისა? ვისაც ვერ უპოვია პასუხი ამ კითხვაზე, ის გამწვავებული სულიერი ბრძოლისა და ჭიდილის მსხვერპლი გამხდარა. ეს კი უფრო მწვავეა, ვიდრე „ვაზით ხორცის გლეჯა, ვიდრე ხორცის წვაიგახებურბულის შანთითაო“, გვეუბნება ილია.

ილიამ ყველა საბუთი განიხილა და ასეთი მკაცრი შეფასება მისცა სოლომონ ბრძენის ამოებინ ფილოსოფიას:

„მაძლარს მშვიერი წერილად უფხვნიდაო, რომ უტყვან, სწორედ ეს არის. ამ დალოცვილს ყველაფერი, რაც კაცის სინატრელია და დამატებობელი, ხელთა ჰქონია, ასე რომ ქვეციანაზედ სხვა აღარა დარჩენია—რა სასურველი. ამ ყველაფრობას, მისდამი ასე უხვად ბედისაგან მინიჭებულს, გული აუსუყებია და, რა საკვირველია, რომ გულასუყებულმა ყველა, რამაც გული აუსუყა, ამოებად ჩასთვალოს, ნამეტნავად მაშინ, როცა თვალწინ წარმოუდგება, მიწა ვარცა მიწად ვიჭვირო. აბა პატარა დაიჭვეითონ და ზოგი ჩვენა გვეკითხონ, ჩვენ, მდაბიოთა, სიკვდილის შვილთა, რომელთაც ყველაფერი გვენატრება, რომელნიც ყველაფერს სისხლით, ოფლით, წვეითა და დაგვიტეშოთ... ჩვენა გვეკითხონ და ჩვენ ეტყვიით: რა შიაც არის, აზრი, საგანი ცხოვრებისა“ (ხაზგასმა ჩემია ¹⁾).

¹ შინაური მიმოხილვა, 1885 წ., ტ. VII, გვ. 79.

მამ, რაშია ცხოვრების აზრი და საგანი? სწორედ ბრძოლა-სა და მოქმედებაშიო, — გვეუბნება ილია. „მოსაძრებელი ჩართო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის შესვენა“¹⁾

თერგის აპოლოგიაში დადგენილი პრინციპი მოძრაობისა ილიამ კონკრეტული შინაარსით შეავსო ცხოვრების აზრის პრობლემის განხილვის დროს. აქ მოძრაობა აღამიანის მოქმედებას ნიშნავს.

აი თვითონ ილიას სიტყვები ამ საკითხზე:

„აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო, ეამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა; გაყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულელილს, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა...“

დროს ჰსჭვრიტე, ეამთა რა მოაქვს
რას ისხამს, რა მოისთვლების, —

ქართველთაგან თქმულია, მეც ქართველი ვარ და არა ქართული არ მეუცხოვების. ამიტომაც ამ ამოცანას ამისთანა პასუხს ვაძლევ და ზედღაერთავ:

დუ ეამს ხელთ აქვს ისარიო,
შენცა ხელთ გქონდეს ფარიო“²⁾.

შრომა, ხმალი და ფარი. — აი აღამიანის მოქმედების სამი მთავარი ასპარეზი. ჩვენც ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ სამივე ეს ასპარეზი საქრობა და აუცილებელი.

„რასაკვირველია, ხმალი მაშინ უფრო კარგია, როცა იგი ფარია და არა სატევარი, მაგრამ, რასა იქ, ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო, რომ ხმალი უფრო სატევრობს, ვიდრე ფარობს. აღამიანის გაუძღომელმა წადილმა ეს უკეთესი მხარე ხვლისა დაიპლუნგა და უარესი გალესა. მინამ ქვეყანა ასეა და ძალა აღმართსა ხნავს, ხმალმა ორ-გვარი საშსახური უნდა გაუწიროს თავის პატრონს, იმის მიხედვით, თუ შემთხვევა და ფაფურაკი რა დროს რას მოითხოვს“³⁾.

შრომისაღმი სიყვარულია და პატივისცემის გრძნობის დანერგვაში ილია ტავკვაძემ დიდი ენერგია გამოიჩინა. მთელი თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობის განმავლობაში იგი დაუღალავი გარჯისა და შრომისაკენ მოუწოდებდა.

¹⁾ იქვე, გვ. 82.

²⁾ შინაური მიმოხილვა, 1881 წ., ტ. VI, გვ. 165.



„ქვეყანა ეხლა ამისთია, ვინც ირჯება და იცის წესი და ხერხი გარჯისა... მწერ-მა ვერ დაგვათხოვინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევიინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქო-ლაღი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან ვაგვი-ტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს ვაგვიქრობს, ვაგ-ვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვე-ნიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაუპატრონე-ბიან. შრომას და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძღვებს, თუ შრომა და გარ-ჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დაუყენეთ“. (ხაზგასმა ჩემია.)

შრომა ამალღებს და აფაქიზებს ადამიანის ბუნებას, რადგან აზრსა და საგანს აძლევს მის ცხოვრებას. სწორედ ამიტომაც შრომა ადამიანის ზნეობრივი მოვალეობაა. ჩვენში კი ზოგიერთი უფუნური ფიქ-რობს, რომ შრომა და გარჯა „წილად-ხდომილია მარტო მდაბოოსი“, ამ-ბობს ილია¹⁾.

თუ შრომა ადამიანის საყოველთაო ზნეობრივი მოვალეობაა, მისი პა-ტიოსნებისა და ღირსების საქმეა, მაშინ ცხადია, ადამიანთა ერთიმეორი-საგან გარჩევას ის კი არ უნდა ედოს საფუძვლად, თუ როგორია ის ღვაწ-ლი, რომელსაც ადამიანი გაიღებს თავისი ძალისა და უნარის მიხედვით. არამედ სრულიად სხვა რამ. ყოველი შრომა პატივსაღებია და დასაფასე-ბელი. შრომის მეტ-ნაკლებობა ადამიანის ღონეზეა დამოკიდებული. არც გასაკიცხია ტინზე, რატომ შენ პატარა საქმეს აკეთებო, არც დასაქადნია ვინმესგან, შე ასეთი დიდი ღვაწლი მიმიძღვისო. ცხოვრებაში ყოველმა ადამიანმა უნდა აკეთოს ის, რაზედაც ნიჭი და უნარი მიუწვდება, რა-საც მოერევა. აი რა გარკვევით განმარტა ეს შესანიშნავი აზრი ილიამ:

„მაღალ ზნეობის თვალის წინაშე სიდიდე ადამიანისა დანიშნუ-ლების სიდიდეზე არ არის დამოკიდებული. მრავალ-გვარია ნიჭი-ერება, ღონე და მიდრეკილება ადამიანისა. სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია საქმე თავის ნიჭსა, ღონესა, მიდრეკილებასა, და ვინ როგორ უძღვება. თითონ საქმის მეთ-ნაკლებობა აქ

1) „რა გიოხრაო, რით გავახაროთ?“ 1897 წ., ტ. VI, გვ. 12 — 13.

2) სიტყვა, თქმული ვაენათის მონასტერში გაპრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების აღლეს. 1896 წ., ტ. VII, გვ. 123.

არაფერს შუაშია. დიდი და პატარა სულ ერთი, ოღონდ
კაცმა იმას მიჰპართოს, იმას ჩაჰკიდოს ხელი, რაზედ უნდა
უწევს და ნიჭი და უნარი მიუწევდებო. უამის ომსა და
დიდი საქმე მცირეა და ამისით კი ყოველი
პატარა დიდია“.

„ყოველს ადგილას, ყოველს საქმეში, რაც
უნდა ჩუმი იყოს, რაც უნდა მცირე — ადამიანა
შეუძლია აღმოაჩინოს სიდიადე ღვაწლისა. (ხაზ-
გასმა ჩემია“).

შრომა ადამიანის ზნეობრივი მოვალეობაა, — ასეთია ილიას აზრი. ეს
იყო გამოსავალი დებულება ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ
მძაფრი და რადიკალური კრიტიკის დასაწყებად. ლუარსაბ თათქარიძის
თაობა ზნეობრივად გონჯია, რადგან ადამიანის ღირსებად ამ თაობას
უსაქმური ცხოვრება გამოუტყდადებია. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ვი-
კითხოთ: აქვთ თუ არა თათქარიძეებს უფლება „კაცებად“ იწოდებოდნენ?
ამ კითხვაზე ილიამ გადაჭრილი, მეტად მკაფიო, საესებოთ არაორაზროვა-
ნი პასუხი გასცა: არა, ამის უფლება. მათ არა აქვთ.

როდესაც ილია ამბობს, „შრომა ადამიანის ზნეობრივი მოვალეობა არი-
სო, ამით იმის თქმა კი არ უნდა, ადამიანმა რაც უნდა გააკეთოს და ვის-
თვისაც უნდა გააკეთოს, ეს მას დიდ ზნეობად ჩაეთვლება“.

ილია ქვეყნადე ყოველ შრომაში „საჩემოს“ და „საჩვენოს“
ერთიმეორისაგან საზღვრავს. შრომა მაშინ ჩაითვლება ღვაწლად, როდეს-
აც იგი საზოგადო საქმეს ემსახურება. სწორედ ამაშია მისი ზნეობრივი
ღირსება. კაცმა რომ ყველაფერი თავისკენ მიითალოს — ამას ღირსებად
ვერავის ჩაეთვლითო. ღირსება არც ის იქნება, რომ ადამიანმა „წუთისო-
ფლის სუფრაზე“ არაფერი არ მოიტანოს. ჭეშმარიტი კაცო-
ვა არ-ქონა ცოდვისა კი ხარბის, არამედ ქონაა
მადლისაო“, გვეუბნებთ ილია (ხაზგასმა ჩემია“). დეე. ყოველმა ადა-
მიანმა ის ჰქმნას, რის ძალღონეც შესწევს, ოღონდ საზოგადო საქმეს რი-
თიმე ხელი შეუწყოსო“).

შალალი ზნეობა ასე ლაღადებს:

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ ღღესა შენს თავს ჰკითხო,
აბა მე ღღეს ვის რა ვარგე?“

¹⁾ იასე ანდრონიკაშვილი, 1887 წ., ტ. VII, გვ. 163.

²⁾ დიმიტრი ყიფიანი, 1887 წ., ტ. VII, გვ. 110.

³⁾ ნინო ბეგრატონი (ნეკროლოგი), 1886 წ., ტ. VII, გვ. 152.

შრომის გამოცხადება ადამიანის ზნეობრივ ღირსებად დიდი საქმე იყო, რომელიც ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტული სიტყვებით უნდა იქნებოდა თერგდალეულთა თაობის შეგნებაში. მაგრამ ადამიანი, რომელსაც ილია დაეძებდა და ნატრობდა, მარტო ამ შესანიშნავი თვისებით როდია დაჯილდოვებული.

დიდებუნი ებოვანი და გულთასრული ადამიანი, რომელიც ილიამ კაცურ-კაცობის იდეალად აღიარა, მარტო შრომით არ გამოიხსნება, თუნდაც ეს შრომა საზოგადო საქმეთა ბრწყინვალე ღვაწლით იყოს შემკული. უფრო მეტი: ილიას აზრით, დიდებუნი ებოვანი და გულთასრული ადამიანი უნდა იყოს, რომ დიდი ღვაწლი შეგეძლოს.

სულით ახოვან ადამიანს უწინარეს ყოვლისა მაღალი თვითცნობიერება ახასიათებს. ადამიანმა უნდა შესძლოს საკუთარი აზრის, გრძნობისა და მოქმედების დაფასება.

„უფროს-ერთი ადამიანი ისე გაივლის ხოლმე სიცოცხლეს, რომ ერთხელაც არ ჩაახედებს თავის თვალს გულში იმის გამოსარკვევად თუ. — რისთვის ვიყავ, რისთვისა ვარ და რა გამოიკეთებიაო. ასე მოდის და ილევა ცხოვრება ათასისა და ათი-ათასისა. მარტო ათასში ერთი თუ იჭნება იმისთანა, რომ ამ ხვედრს არ ეჭვემდებარებოდეს და თავისი თავი განსაკითხველად თავის-თავისავე წინაშე დაეყენებინოს ანუ, როგორც რუსთაველი იტყოდა, გაეთავისწინებინოს“ (ხაზგასმა ჩემია“¹⁾).

ეს მშვენიერი სიტყვა — გათავისწინება ზედმიწევნით გამოხატავს მის აზრს ადამიანის მიერ თავისი თავის „განკითხვის“ შესახებ. ილიამ ადამიანის სულიერი განცდის გამომსახველი ძალა მიანიჭა ამ სიტყვას. გათავისწინება ნიშნავს ადამიანის მიერ თავისი შინაგანი განცდების ანალიზს.

ძნელია ადამიანმა თავის თავს პირუთენელი მსჯავრი დასდოს. „ძველნი ფილოსოფოსნი ამტკიცებენ და ახალნიც ემოწმებიან, რომ ყველაზე ძნელი ადამიანისთვის თავის-თავის ცნობა, თავის-თავის ცოდნა არის.“²⁾ დიდი სულიერი ძალღონე უნდა ჰქონდეს ასეთ კაცს, „იმიტომ რომ იგი ერთსა და იმავე დროს მსაჯულიც უნდა იყოს, მოსარჩლევ, ბრალმდებელიც და ბრალდებულიცა“³⁾.

„ვისაც ეს ღონე არა აქვს, ის, ჩვენის ფიქრით, მწევარი და არა კაცი“-ო. ამბობს ილია.“⁴⁾

ადამიანი უნდა შეიჩვიოს გათავისწინებას. ჩვენ კაცთა კრებულის გარეთ ცხოვრება არ შეგვიძლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „თვითეული

¹⁾ დიმიტრი ყიფიანი, 1887 წ., ტ. VII, გვ. 112.

²⁾ ნინო ბაგრატიონი, 1886 წ., ტ. VII, გვ. 151.

³⁾ დიმიტრი ყიფიანი, 1887 წ., ტ. VII, გვ. 112.

ჩვენგანი სხვის გამკითხველია და, მაშასადამე, თვითონაც სხვისგან არის გასაკითხავი“. მაშასადამე, დაასკვნის ილია: „ვერ-გამკითხველი თავის თავისა სხვის განკითხვასაც ვერ შესძლებსო“.¹⁾

გათავისწინება ის მძლავრი შინაგანი ენერჯიაა, რომელიც „გვეწურთნის, გვასწავლის, გვზრდის“. ვისაც არ შეუძლია თავისი ავკარგი ასწონ-დასწონოს, დასაგმობი დაჰგმოს და თავიდან მოიცილოს, ის საკუთარი უზნეობისა და შეცდომის ტყვედ გამხდარა.

ადამიანის მოქმედების ზნეობრივ მხარეს ილია მაღლა აყენებს. სულით ახოვანი ადამიანის შინაგანი თვისებები ზნეობრივი მოვალეობის მზით არის გაშუქებული.

ილია უდიდესი ჰუმანიستي იყო:

„ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, — სწერდა იგი, — ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა. ამაზედ უნდა მიექცეს მთელი ღონე ერის გულ-შემატკივრის კაცისა. იგი დედა თუ მამა, რომელიც თავისის შეილისათვის მზრუნველობას იმაზედ არ მიაქცევს, რომ კაცური კაცი გამოვიდეს, იგი ჭიაა, რომელიც თავის ერს მერმისის ძირს უთხრის და უღრღნის დღე-მუდამ...“²⁾

„კაცთა საზოგადოება თავისის სიმკვიდრისა, შეურყველობისა და არსებობისათვის ყოველ ცალკე ადამიანისაგან ითხოვს იმოდენა სათნოებას, რომ ნაკლები შეუძლებელი-ღაა კაცთა კრებულად ცხოვრებისათვის.“

„ბოროტის უქონლობა კი არ იზიდავს, კი არ გამსჭვალავს ადამიანის გულს, არამედ ქმნა მადლისა... ჭეშმარიტი კაცობა არ-ქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა“.³⁾

ილია ჰავკავადქს მუდამ აწუხებდა სოციალური ცხოვრების უსამართლობა და მოუწესრიგებლობა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კაცობრიობა ამ ტკივილს ოდესმე განკურნავს. რა ძალღონე უნდა გამოიყენოს კაცობრიობამ სოციალური უსამართლობის აღმოსაფხვრელად? ილიას გულწრფელად სწამდა, რომ ეს ძალღონე ადამიანის „განკაცებაში“ მდგომარეობდა.

ილიას აზრით, „განკაცება“ ერთად-ერთი გზაა სოციალური ტკივილის განსაკურნავად. ამ აზრს იცავდა იგი მთელი თავისი სამწერლო მოღვა-

¹⁾ იქვე, გვ. 114 — 115.

²⁾ „საზოგადოება და ზნეობა“ 1887 წ., ტ. VIII, გვ. 364.

³⁾ დიმიტრი ყიფიანი, ტ. VII, გვ. 110.

წეობის განმავლობაში. — „არდილიდან“ დაწეებული (სტყვეობა) არაანთ ჭერივამდე“ (1887 წ.)

თუ ისტორია „ფეხის ვადანაცვლება“, მაშინ, ცხადია, ადამიანის შეგნებაც ისე უნდა აღიზარდოს და გაიწვრთნას, რომ მან ეს მშვიდობიანი „ფეხის ვადანაცვლება“ მოამზადოს და წარმართოს.

ილია ვერ ამალდა იმ აზრამდე, რომ მხოლოდ კლასობრივი ბრძოლა მოიტანდა და განამტკიცებდა იმ ქეშმარიტ ჰუმანიზმს, სათნოებას, კაცურ-კაცობას, რომელსაც მან მთელი თავისი ცოდნა, ნიჭი და სიცოცხლე შესწირა.

ამავე დროს კაცურ-კაცობა ის საზომია, რომელმაც ქეშმარიტება და შეცდომა, კარგი და ცუდი, ავი და კეთილი ერთიმეორისაგან უნდა განასხვავოს, მსჯავრი დასდოს, ილიას სიტყვით რომ ვსთქვათ „განიკითხოს“.

ილიამაც მეტად მკაცრად „განიკითხა“ თავისი დროის საზოგადოება. კაცურ-კაცობის იდეალმა შესაძლებლობა მისცა მას დაეფასებია ადამიანის მისაღები და უკუსაგდები თვისებები, მკვეთრად ჩამოეყალიბებია დედებითი და უარყოფითი ტიპები.

არაფერი არ ჰყვარებია ილიას ამ ქვეყნიერობაზე ისე, როგორც მეტბრძოლი ადამიანი.

ილია იყო საზოგადოებრივი საქმისათვის მეტბრძოლი ადამიანის მოტრფიალე. ასეთ ადამიანს თაოსნობის, თვითმოქმედებისა და საქმის გატანის უნარი უნდა ჰქონდეს.

თერგდალეულთა მთელი თაობა, რომელსაც „მიმძინარებისა და მოქანცულობის“ მდგომარეობიდან გამოჰყავდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, სწორედ ასეთ ადამიანს დაეძებდა. ისინი მოუწოდებდნენ ხალხს თვითმოქმედებისა და თაოსნობისაკენ. ილია იყო ამ მოწოდების გული და გონება. ეამით-ეამზე გაისმოდა მისი დაუღალავი, მტკიცე სიტყვა თაოსნობისა და თვითმოქმედების საჭიროებაზე.

„ჩვენმა საზოგადოებამ, სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი სახელი დაიმკვიდრა შესახებ თაოსნობისა, გამჭრიახობისა, თვითმოქმედებისა და სხვა...“¹⁾ ასეთი გულისწყრომა, „დრტყინვა და ბორგვა“ გაისმის ყველ მის წერილში.

„...გუშინდელი ყველას მოსწყინდა, დღევანდელი ყველას შესძავდა, და თუ დაგვრჩა რამე ნიშნად სიცოცხლისა, სულდგმულობისა — ეგ

¹⁾ „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“, 1898 წ., ტ. VII, გვ. 177.

²⁾ შინაური მიმოხილვა, 1879 წ., ტ. VI, გვ. 51.

ხვალინდელის ლოდინია, გული ნდომით დამძიმებულია...
ლოდინითა...“

„ეგ ლოდინი ისე არავის სულს არ უხუთავს, როგორც იმას, ვისაც გული სხვისათვის ისე უცემს, როგორც თავისთვის, ვისაც სხვისი ბედი თავის ბედთან შეუერთებია, ვისაც „მე და ჩვენ“ განუყოფლად მიაჩნია, ერთ-არსებად ურწმენია... სული დრტვინავს გული ჰკენისის ამაო ლოდინის გამო. შესეა, შეპლია მაგ ლოდინმა მთელი ჩვენი მხნეობა, ქანცი გაგვიწყდა, და — აჰა! — თუ ამ დაუსრულებელს სიბნელეში ერთი მცირედი რამ შეუქი აღმოჩნდეს ადამიანის ნუგეშად!.. საშინელი ყოფაა ეს ყოფა ადამიანისათვის. ეგ საშინელება თითქო დაუსრულებელიაო...“ 2)

ლოდინი დაღუპავს საქართველოს და ქართველობას. თაოსნობისა და თვითმოქმედების მაგიერ ჩვენ გულხელი დაგვიკრეფია, ერთიმეორეს შევეყრებით; დაგვაიწყდა, რომ საქმე თავისთავად არ მოვა, ის ძალით უნდა დაიმორჩილო. ლოდინი ადამიანის მხნეობისა და თაოსნობის მოშაკედინებელი ლახვარია.

ერთი თვის შემდეგ ილია ხელახლა დაბრუნდა ჩვენი მოღუპების ამ საშინელ სნეულებას.

„ადამიანის გაბრუებისათვის და თითონ ტკივილის დაყუჩებისათვის მეცხრამეტე საუკუნის დასასრულმა ერთი უებარი წამალი იპოვა. ეგ წამალი „ლოდინია“ — სწერს ილია.

„ლოდინი თოკია, თუ ოსტატმა კარგა და ხეირიანად გამოიყენა, მაშინ ხსნილიც დაებმინა“. (ხაზგასმა ჩემია).

„იცი თ „სულელის“ ძირი რა არის? ლოდინი... აბა „ლოდინი“ და „სულელი“ — საიღამ სადაო, იკითხავთ. არც ისე შორს არიან ერთმანეთზედ ეს სიტყვები, როგორც თქვენა გგონიათ. იმ კაცს რას ეტყვიოთ, რომელიც „სულ ელის და სულ ელის“. „სულ ელიო“. შორჩა და გათავდა. გამოცანა ჩვენ გვერგება“. 3)

არც ერთ მწერალს არ უწერია ჩვენში თვითმოქმედებისა და თაოსნობაზე იმდენი, რამდენიც ილიას. ადამიანის ეს თვისებები მას იმ ძალად მიაჩნდა, რომელსაც ჩვენი „მიმძინარებული“ საზოგადოებრივი ცხოვრება ფეხზე უნდა დაეყენებია.

თვითმოქმედებითა და თაოსნობით გატარებულ წლებს ილია აღფრთოვანებით იხსენიებდა „შინაურ მიმოხილვაში“. 1892 წელს იგი სწერდა: „განვლილი წელი კარგა მსხმოიარე იყო ჩვენის ჭკუა-გონების და გუ-

2) შინაური მიმოხილვა, 1881 წ., ტ. VI, გვ. 151 — 152.

3) შინაური მიმოხილვა, 1881 წ., ტ. VI, გვ. 174 — 176.



ლის სამოქმედოდ დაძვრისათვის. მან „ორი დიდი ძალაა წამსაგანაჲ: მეცხე ჩვენში, იმისთანა ძალა, ურომლისოდაც წარმატება ერისსა; შასსა შინსკლა, შისი ბედნიერება, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ღონიერობა — შეუძლებელია და წარმოუდგენელი. ერთს ეძახიან ძალას თვით-მოქმედებისას, და მეორეს თავის თავის იმედისასო.“¹⁾ (ხაზგასმა ჩემია).

სულიერი მხნეობაა საჭირო თვითმოქმედი და თავის თავზე დაიმედებული ადამიანისთვის. ეს თვისება სიჭაბუკის განუყრელი ძალაა, თუკი ადამიანს სულიერი სენი არ შეჰყრია. ჭაბუკობის ეპოს სიბერეში ჩა-ვარდნილი კაცი, ე. ი. სულიერად დაძაბუნებული, საბრალო და უბადრუ-კი არსებაა. ასეთნი იშვიათად გვხვდებიან. უფრო ხშირია სულიერი მხნე-ობის დაკარგვა მოხუცების ეპოს. ხშირია, მაგრამ მისკატევებელი და შესაწყენარებელი კი არ არის, ილიას აზრით.

სიჭაბუკე სულის ძალაა და იგი მოხუცს ისევე ამშვენებს, როგორც ახალგაზრდას.

„დროთა ბრუნვა მარტო ხორცს ერჩის, ხორცსა სძლევს. ხორცს მა-ვისათვის არც ფარი აქვს, არც ხმალი... ადამიანს ხორცის გარდა ერთი რამ სხვა მოჰმადლებია... ის ერთი სული და გულია, უქცობის ნიჭით და ღონით დალოცვილი.“²⁾

მხნე იყავ და გაძლიერდი, ღმერთმა ნუ დაგაბეროს! ამაზე უკეთესი ნატვრა არ უნატრია ილიას თავის საახალწლო მილოცვებში.³⁾

საგულისხმოა მეტად, რომ ილიას შთელი აზროვნება ადამიანის და-ნიშნულებისა და ბუნებისათვის განუყოფლად ეხება კაცსაც და ქალსაც. საერთოდ, ილიას აზრით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სქესობრივი გან-სხვავება არ გამოდგება საბუთად ერთისათვის უპირატესობის მისანიჭებ-ლად მეორის წინაშე. ქალს ისეთივე უფლება-მოვალეობანი ეკისრება, რაც მამაკაცს.

ამ საკითხზე ილიამ მრავალი საყურადღებო წერილი დასწერა; მათ შორის შესანიშნავია „პატარასა უბარი“, სადაც ილია ისტო-რიულად ამართლებს ქართველი ქალის თანასწორობას მამაკაცთან.

ქართველებს „კაცი“ ვაჟისთვისაც უწოდებიათ და ქალისთვისაც (მა-მაკაცი, დედაკაცი). „არა გვეონია, რომელიმე სხვა ენაში დედაცა და მა-მაკი ერთნაირად კაცად წოდებული იყოს“-ო, ამბობს ილია. ამრიგად, რუსთველ-ის ცნობილი აფორიზმი: „ლეკვი ღომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ხვადია“ — ჩვენი ხალხის შეხედულებას გამოხატავს..

¹⁾ შინაური მიმოხილვა, 1892 წ., ტ. VII, გვ. 86.

²⁾ „ღმერთმა ნუ დაგაბეროს“, 1885 წ., ტ. IX, გვ. 232 — 233.

³⁾ „სახალწლოდ“, 1898 წ., იქვე, გვ. 237.

ილია უკმაყოფილოა, რომ დღევანდელ ქართველს ქაღალცი უფლებად-
ხსენება სათაილოდ და საწყენად მიიჩნია. „დღეს დედაკაცი... მისი
სახელია, თითქო „კაცი დედა“ მარტო მათ-ლა შერჩენიათ... ცოდვა არ
არის „დედაკაცი“ სათაილო იყოს და „ქალი“ თავმოსაწონებელი?..
„დედაკაცი“ — ეს ბრგე და ახოვანი ადამიანი
ქალად დავადნეთ?.. ცოდვა არ არის „დედაკაცი“
და ეკარგეთ და ქალი შევიძინეთ? ეს რას ჰნიშნავს, წინ-
სვლას თუ უკან დაწევას. აბა დაუკვირდით, დაფიქრდით... (ხაზგასმა-
ჩემია).

როგორც ხედავთ, აქ მარტო სიტყვათა გარჩევა არ არის. მცნების
შინაარსზეა ლაპარაკი.

აი როგორ განმარტა ეს ილიამ:

„ქალი შესანახია და არა შემნახველი, იგი ბარგია და არა ქირნახელი,
იგი პეპელაა და არა ფუტკარი. ქალისთვის ეს წუთისოფელი სასეირნო
წალკოტია, დედაკაცისთვის — სახლია პატიოსანის შრომისა, მინდო-
რია სახნავე-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა საღეწი, სარბიელია საომარო
ქუჩითა და მარჯვენითა. ქალი უფარ-ხმლო დედაკაცია და დედაკაცი ფარ-
ხმლიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან?..“)

შრომა, თვითმოქმედება, თაოსნობა, ზნეობრივი მოვალეობანი, ერთის-
სიტყვით — კაცურ-კაცობა ქალსაც მოეთხოვება და ვაჟსაც. აქ მეტნაკ-
ლებობაზედაც არ შეიძლება ლაპარაკი.

მეორე ადგილას ილია სწერს: სოლომონ ბრძენი ამბობდა: „დედაკა-
ცი მხნე ვინ ჰპოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისა“. ნეტა იმ
ქვეყანას, რომელსაც ჰყავს მხნე დედაკაცი“.)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების დაარსებას ილია გულმხურვალედ
მიესალმა, რადგან მასში დაინახა თვითმოქმედება და საკუთარი თაოსნო-
ბა — ეს ყოველდღისური და ძლევაგამოსილი ძალა საზოგადოების გამოფ-
ხიზლებისა და წინსვლისა.)

გულთასრული ადამიანის ბუნება მარტო შრომის პატივისცემით, მა-
ლალი თვითცნობიერებით, თვითმოქმედებით და თაოსნობით არ ამოი-
წურება.

„რამოდენადაც ეს გრძნობა აღმატებულია, იმოდენად ძლიერია, რო-
გორც ცალკე კაცი, ისე მთელი ერიც. ჩვენის ფიქრით, ყოველს-გვარს-

1) ტ. IX, გვ. 243 — 246.

2) ნინო ბაგრატიონი, 1886 წ., ტ. VII, გვ. 154.

3) „ქალი მასწავლებელი“, 1886 წ., ტ. VII, გვ. 236.



უბედურებას, უძლურებას ადამიანისას სათავედ ამ გრძნობის მძლავრ და-
ცემა აქვს“.

რას გულისხმობს ილია კ ა ც ე ბ უ რ ი ლ ი რ ს ე ბ ი ს ქ ე ე შ ?

უწინარეს ყოვლისა ეს არის თავისი თავისა და სხვის პატივისცემა, გულწრფელობა, პირდაპირობა, აზრისა და გრძნობის პირმოუფერებელი გამომჟღავნება.

პირმოთნეობას და ორგულობას, ფარისევლობას და სიცრუეს ილიაზე დაუნდობელი მტერი არ ჰყოლია.

მხოლოდ წვრილფეხა და გულნამცეცა ადამიანს შეჰფერის პირმოთნე-
ობა და სიცრუე. ვისაც საკუთარი აზრის გამჟღავნებისა ეშინია, ვი-
საც ნიღაბით სიარული ურჩევნია გულის გადაშლასა და ვაჟკაცურ თქმას,
იმას კაცის სახელი არც დაერქმევა.

ილია ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ამ არაადამიანურ გრძნობებს.
მართალი კაცის გულისათვის არავის არ გაუღია ილიასოდენა ენერჯია.

„სჯობს სიგლახაკე სიმართლით
ცრუს დიდსა, გამდიდრებასა.

სჯობს ტყუილით ქვე-ყოფნასა
ზე სიმართლით ავიზარვთ“.

ადამიანთა ურთიერთობაში სხვათა პატივისცემის გრძნობას დიდი ად-
გილი უნდა დაეთმოს. მაგრამ რას ნიშნავს ადამიანის პატივისცემა?

„პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ა ი მ ა შ ი კ ი ა რ უ ნ დ ა მ დ ჭ ო მ ა -
რ ე ო ბ დ ე ს . რ ო მ ა დ ა მ ი ა ნ ი ა დ ა მ ი ა ნ ს პ ი რ მ ო თ -
ნ ე ო ბ ი თ ე ქ ც ე ო დ ე ს . ე გ ა დ ა მ ი ა ნ ი ს პ ა ტ ი ვ ი ს ც ე -
მ ა კ ი ა რ ა , ე გ შეუ რ ა ე ც ო ფ ა ი ქ ნ ე ბ ა . ც უ დ ი ა ,
თ ა ვ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს შე მ ა გ ი ნ ე ბ ე ლ ი ა , ა დ ა მ ი ა -
ნ ი ს მ ო ლ ა ლ ა ტ ე ა ი ს ე ქ ი მ ი , რ ო მ ე ლ ი ც ს ნ ე უ ლ ს
უ ე ბ ა რ ს წ ა მ ა ლ ს ა რ ა ს მ ე ვ ს მ ა რ ტ ო ი მ ი ს გ ა მ ო .
რ ო მ მ წ ა რ ე ა ო . ა რ ა , ქ ე შ მ ა რ ი ტ ი პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ა
ი ს ა რ ი ს , რ ო მ პ ი რ შ ი , გ უ ლ ა ხ დ ი ლ ა დ . ა დ ა მ ი ა ნ -
მ ა ა დ ა მ ი ა ნ ს მ ა რ თ ა ლ ი ს ი ტ ყ ვ ა ' უ თ ხ რ ა ს ' . *) ხ ა ზ -
გ ა ს მ ა ჩ ე მ ი ა) .

აი სად ჩანს ილიას მაღალი შუბლი, მისი მორალური პრინციპების
უქნობი ძალა. იყავი გულწრფელი და პირდაპირი, დაჰგმე პირმოთნე-
ობა და ფარისევლობა, რომელიც კაცურ ღირსებას გართმევს, — ასეთია
ილიას მოწოდება.

*) „ივერიის“ წინასიტყვაობა, 1887 წ., ტ. IX, გვ. 21.

კიდევ ერთი საკითხი: საიდან მოელოდა ილია გულდასწრული: ხბო-
ვანი სულის ადამიანს? ჩვენი საზოგადოების რომელი ფენა უნდა მო-
სულეყო ეს ჯანსაღი კაცი?

თავის საკუთარ კლასზე ილია მუდამ გულდასწრული და უიშვო
იყო. თავად-აზნაურობა გულნამცეცა ადამიანების კრებულად გადაიქცა.
ერის ნამდვილი ძალღონე ჩვენი გლეხკაცობაა.
ახალი ადამიანი ციქიდან უნდა მოვიდეს.

„ჩვენ რაცა ვართ, ვაკეთებულნი ვართ, ისინი კი შექმნილნი. ჩვენ
დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით,
რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ზომ იცი — რა ოსტატია.
ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დონდლონი, დუნენი“.

აზოვანი სულის ადამიანმა თავისი ცოცხალი საბე ჰპოვა ოთარაანთ
ჭვრივეში.

აბა დააკვირდით ამ შესანიშნავ დედაკაცს. როგორ გაცოცხლებულა
მასში ილიას ადამიანი, და ბოლოს — როგორ დამსგავსებია იგი თავის
ავტორს, მუდამ პირში მთქმელს, მოურიდებელს, დღენიადავ გამრჯელს,
მაღალი ზნეობის — კაცურ-კაცობის მაძიებელს.

ეს იდეალი გულთასრული ადამიანისა ილიამ თვისი პიროვნებიდან
ვადმოსწერა.





Handwritten text in Persian script, oriented vertically on the page. The text appears to be a list or a set of notes, with several lines of cursive script. The characters are somewhat faded and difficult to read precisely, but the structure suggests a list of items or points.

მკაბერიძე ბაბაშვილი

ილიასთან მოგზაურობა მცხეთას ინგლისელი მწერალი ჟალის მარჯორი უოკდროკის შესახებდად

„ძვირფასო ქალბატონო, კატო!

დღეს საღამოს მატარებლით ტფილისში ჩამოდის ინგლისელი ქალი მარჯორი უოკდროკი, რომელსაც სურს სთარგმნოს ინგლისურად „ვეფხისტყაოსანი“ და ზოგიერთი ქართული პოეზიის შედევერები.

ილია ვთხოვთ, ჩვენთან ერთად წამოზარდნით მცხეთის სადგურზე უოკდროკის შესახებდრად. თუ ინებებთ წამოსვლას, საღამოს რეისნაბე-ვარზე მოზარდნით ჩვენთან და იქიდან ერთად გავემგზავროთ მცხეთას“,—მწერდა ილიას მეუღლე ოღლა 189.. წ. (წელი არ მახსოვს).

მე კარგად, ვიცოდი ვინც იყო მარჯორი უოკდროკი და, რასაკვირველია, ალტაცებით შევეგებე ამ წინადადებას. მოვემზადე წასასვლელად.

ჯერ რეის ნაბევირიც არ იყო, როდესაც ჰავჭავაძისანთ კარებთან (ზარი დავრეკე. კარის ვალები უმაღ სიხარულით ავირბინე კიბეზე (მაშინ ილია სცხოვრობდა თავისი დის ელისაბედ საგინაშვილის გრუზისკიანთ-გან ახლად შეძენილ სახლში, ავჭალის ქუჩაზე).

მოკრძალებით გავიარე ოდნავ განათებული დიდი დარბაზი და შევედი ლიზას პატარა სასტუმრო ოთახში, რომელიც დიდის გემოვნებით იყო მორთული: ძვირფასი ხალიჩებით დაფენილი, წითელ პლუმ-გადაჯრული დაბალი სავარძლებით, კედელზე დიდი ლამაზი სარკით, კუთხეში პატარა მაგიდაზე თვალწარმატცი ყვავილების უშველებელი თაიგული (უთუოდ ძვირფასს სტუმრის მისართმევედ). ორ ფანჯარაზე ჩამოშვებული იყო ძვირფასი ბლონდის ფარდები. ყველა ამას მკრთალ ნათელს ჰფენდა პირისფერ აბაჯურ-ჩამოფარებული ლუსტრა. ორ ფანჯარას შუა იდგა ოთახის მაგვარადვე მორთული ტახტი, მუთაქებით და ნაკერი ბალიშებით შემკული.

ტახტზედ იჯდა მდიდარი ქართული კაბებით და სარტყელ-გულისპირით გამოწყობილი სამი მანდილოსანი: კნენა სალომე, ლევან ჯანდიერის მეუღლე, ცნობილი მშვენიერი ბაბაღე, კნენა ბარათაშვილისა, და

დიასახლისი ელისაბედ საგინაშვილისა (ილიას და, გენერალის საყვანუშვილის ქვრივი). ქალები კრიალოსნებს ათამაშებდნენ და მეგობრობას მასობდნენ. ჩემს შესვლაზედ დარბაისელი კნენები, რასაკვირველია, არ გარჯილან ფეხზე წამოსადგომათ, მხოლოდ ალერსიანი ღიმილით მიიხრეს: „გაუმარჯოს ჩვენს კატოს“. ელისაბედმა მიმიწვია და თავის ახლოს სავარძელში დაჯდომა მოხოვა, ამასთან ამათვალეირ-ჩამათვალეირა, თუ რამდენად შესაფერად ვიყავ ჩაცმული წასასვლელად.

იმვე წამს მეორე ოთახიდან ჩქარის ნაბიჯით გამოვიდა ოლლა და მისთვის ჩვეული სისადავით მეგობრულად ვადამეხვია.

— წარმოიდგინეთ, ილია ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა, — გვითხრა შეწუხებული ხმით. მერე მომიბრუნდა მე და ილიას დაგვიანების მიზეზის ასახსნელად სთქვა: — ილია კვირაობით ყოველთვის დათიკო სარაჯიშვილთან სადილობს. იქვე იკრიბებიან ის პირნი, რომელთაც ილიასთან საზოგადო საქმეზედ სალაპარაკო აქვთ რამე და ბაასის დროს ნელნელა ღვინოს შეექცევიან. მეშინიან, როგორც ჩვეულებრივ, დღესაც სადილი არ გაგრძელდეს, — სთქვა ოლლამ და გავიდა საჩქაროდ ოთახიდან.

პატარა ხანს უკან ლაზათიანად გამოწყობილმა მოახლემ ჩაი შემოგვიტანა და გვახარა რომ „ქნიაში უკვე მობრძანდა“, თან ეშმაკურად ჩაიციანა და დაუმატა: „შექვიფებული ბრძანდება, თავის ოთახში შებრძანდა და ყელსახვევი შეიხსნა-ო“.

ჯერ ჩაის სმას არც კი შევდგომოდით, რომ ოთახში ხელიხელჩაკიდებული ილია და ოლლა შემოვიდნენ. ილიას საყვლოვანხსნილ პერანგზედ თავისი საყვარელი გარუსის ტუბა გადაეცვა. ოლლამ ხარხარით წარმოგვიდგინა ილია, რომელიც „ვადაკრული“ კაცის ღიმილით ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდა. მერე დაუყონებლივ დაეშვა ტახტზედ ორ კნინას შუა. მიიწია მუთაქა, ბალიში, თავი მისდო და მიეძინა. ქალებმა სიცილი დაიწყეს: მე კი, ცოტა არ იყოს, ავიმრიზე. ეს ყველა კაცისთვის ჩვეულებრივი მოვლენა ილიასთვის მიუღებლად მივიჩნიე და მცხეთაში „მიგებების“ პროექტი, რასაკვირველია, შეუსრულებლად ჩავთვალე...

ჩაის მომტანი მოახლე ისევ შემოვიდა: ეტლები უკვე გეახლნენო.

მე ფეხზე წამოვდექი და დაბალის ხმით მივმართე ოლლას:

— განა მცხეთაში წასვლას კიდევ შესაძლებლად სთვლით?

ოლლამ სიცილით მიპასუხა:

— თქვენ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ილია რაც უნდა დაღლილი და ნაბახურევი იყოს, თავის დროზე გამოიღვიძებს და წავალთ.

ჩაის სმას შევედექით. დუმილი ჩამოვარდა. ჩემსავით, ალბათ, სხვანიც დარწმუნებული იყვნენ, რომ წასვლა აღარ მოგვიხდებოდა. მარტო ოლლა იყო დამშვიდებული, უჩუმრად შედიოდ-გადიოდა. შემოიტანა ილიას პალტო და ქუდი. თითონ წამოსასხამი წამოისხა, თავზე ლამაზი ყვავი-

ლებით მორთული შლიაბა დაიხურა და ქალებს ანიშნა, რომ ისინიც მომზადებულიყვნენ. კნეინები ლეჩაქ-მოსახვევების გასწორებაც შეუდგნენ, მაგრამ წასვლის იმედი არავის ჰქონდა.

ილიამ თითქოს იგრძნო ჩვენი სულიერი განწყობილება და ისევე უცებ წამოდგა, როგორც უცებ მიიძინა, თვალბზე ხელი გადაისვა და წინანდელი ქეიფიანი ღიმილის მაგივრად, თავისებურად უხიკად სთქვა:

— არა, არ დავიგვიანებთ, მე მხოლოდ 15 წამი მეძინა, — ეილეტის ჯიბიდან საათი ამოიღო და შეამოწმა: — სწორეთ 15 მეძინა! ათი წამი გვაქვს კიდევ. დროზედ მივალთ. წაბრძანდით, ეკიპაჟში ჩაბრძანდით და მეც დაგეწვიეთ.

პირველი კლასის კუბეში სწორედ მესამე ხარის დარეკის დროს შევედით. ილია ვერ იყო გუნებაზედ. თავისი ვანიერ კალთებიანი შლიაბა თვალბზე ჰქონდა ჩამოფხატული და მკაცრად გამოიყურებოდა. დაიძრა თუ არა მატარებელი, ის კუბეს კუთხეში მიჯდა, გვერდი ოთხს მანდილოსანს შემოგვაქცია, თავი სავარძლის ბალიშზედ დასდო და ისევე მიიძინა. ქალები კვლავ სიცილით შეხედნენ ჩვენი კავალრის უხეშ საქციელს, მაგრამ არ განრისხებულან. როგორც შინაუბრებმა, უთუოდ იცოდნენ ილიას ჩვეულება და ხასიათი. ოღონდ სიცილით სთქვა, მაგრამ დიდის დაქეშვარიტებით:

— ილიას ყოველთვის იძენი სძინავს, რამდენიც ესაჭიროება დასასვენებლად, და ხრონომეტრის სისწორით წამოდგება, — სარკესთან დადებული ქალაღის პაკეთი გახსნა, რომელშიაც შავი სერთუკი, ნარნარი პერანგი და ყელსახვევი აღმოჩნდა და ხელების შლით განაგრო: — მცხეთამდე ჯერ კარგა მანძილია, ილია გამოძინებას მოასწრებს, ძალღონეს მოიკრებს და ინგლისელ ქალს ჩვენთან ერთად თავისებურად მაშაცადს იეგებება.

რესორებიანი ვაგონი ნელის რხევით ირყეოდა. მატარებლის მონოტონური გუგუნე, ილიას დამშვიდებული ფშვენა დამაძინებლად მოქმედებდა და ჩვენც გამოურკვეველმა ბურანმა შეგვიპყრო.

უცებ გაისმა მატარებლის გაგრძელებული წივილი მცხეთის სადგურის მიახლოვებისას.

ილია თოფნაკრავივით წამოხტა, საჩქაროდ გაიხადა პალტო და რაწამს მობრუნდა, ოღონდ ქალაღზედ გაშლილი მორთულობა მიაგება. ილიამ ოდნავი სიამოვნებით წარბი შეიჩხია, პაკეთი ჩამოართვა და საჩქაროდ საპირფარეშო ოთახში გავიდა. ჩვენც დაეფაცურდით, გადასასვლელად მოვემზადეთ. ილიაც საჩქაროდ შემობრუნდა მორთული, გაბრწყინებული მთელის თავისის მიშხიდველობის ძლიერებით. მხოლოდ ერთის წამით ჩაჯდა, მაგიდაზე ხელი დააყრდნო, ოდნავ თავი დახარა და ღრმად ჩაფიქრდა, უთუოდ სტუმრის მისასალმებლად მოსამზადებლად.

მატარებელი ქშენით და შიშინით სადგურის ბაქანთან შეჩერდა.

ბათუმის მატარებელი რამდენიმე წამით ადრე შეჩერებულიყო. ხალხი გაჩქარებული მიეშურებოდა ბუფეტისაკენ. ჩვენც ^{გაჩქარებით} დარბაზისაკენ და ოთახის შუა ალაგას შევხვდით ოლიგარქულ დროს თავისი დით, არა მშვენიერებას, მაგრამ დიდის სიმპატიით აღსავსე, სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელიც დიდის სიწრფელით და სასიამოვნო ღიმილით მოგვეგება.

ილია, ჩვენი თანამგზავრი ილია, მხოლოდ წამის წინად ძილისაგან გამოფხიზლებული, ებლა ნამდვილი ინგლისელი ლორდ-მერის ღირსებით იდგა ამ ყმაწვილი ქალის წინ და თავისებურის დარბაზობით აღჭურვილი მარგალიტებით აკინძულ მისასალმებელ სიტყვას მოახსენებდა. ის კი ვერ შევნიშნე, ხელზედ ეამბორა ამ ნორჩ პოეტ ქალს, თუ აქაც თავისი მუდმივი უარყოფა გამოიჩინა ამ საზიზღარ ევროპულ ჩვეულებისადმი.

პირველი ზარი დაირეკა. ჩვენს გარშემო მოზღვავებული აუარებელი ხალხი შეინძრა და ტალღამ ჩამომაშორა ჩემ თანამგზავრებს. ჩემ საბედისწეროდ მატარებელში ჩასაჯდომად გაქცეულ ხალხში შევნიშნე ტასო თუმანიშვილი თავისი ძმით გიორგით და მათთან ერთად დავბრუნდი ქალაქში.

გზაზე გიორგის შევეკითხე ამგვარ გაზვიადებული შეხვედრის შესახებ ამ ქალისადმი, რომელმაც ჯერჯერობით მხოლოდ აღგვითქვა ეთარგმნა რუსთველის უკვდავი პოემა. გიორგიმ ორაზროვანი ღიმილით მიპასუხა: „რასაკვირველია, აქ დიპლომატიას ლიტერატურაზედ არა ნაკლები ხლართები აქვს გაბმული“-ო.

ამ გადაკრული სიტყვის მნიშვნელობა შემდეგ ოდნავ გამოირკვა ჩემთვის.



თ. სასოკია.

მოგონება ილიაზე

სოხუმში

1903 წელს ტფილისის გუბერნიის თავად—აზნაურთა კრებას, ერთ-ერთ თავისს-სხდომაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი ჰქონდა იმ „ამაგზედ,“ რომელიც პრინციპა პეტრე ოლდენბურგელმა დასდო აფხაზეთის გაგრის კურორტის დაარსებით, იქვე რეალურ სასწავლებლის გახსნით და საერთოდ აფხაზეთის ამ კუთხის გამოცოცხლებით.

მადლობის გამოსაცხადებლად არჩეული იყო დეპუტაცია, რომელშიაც შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ალ. ორბელიანი (სიძე პოეტ ვახტანგ ორბელიანისა ტფ.სამაზრო მარშალი თავადაზნაურთა) და სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმ. ჩოლოყაშვილი.

დეპუტაციამ თავისი დავალება შეასრულა, გაგრა საფუძვლიანად დაათვალიერა და იქიდან სოხუმში შემოიარა, ახლა ამ ქალაქის დასათვალიერებლად.

ელვის სიმალეზე მოედო მთელს ქალაქს ილია ჭავჭავაძის მოსვლა. ასეთი ადამიანების სტუმრობით სოხუმელები მაინცდამაინც ვანებიერებული არ ვიყავით. წარმოგიდგენიათ რა რიგ უნდა გაგვხარებოდა მთელის საქართველოს სიამაყის, ნახევარსაუკუნის მანძილზე თავის ზურგით ჩვენის ცხოვრების კირ-ვირამის მზიდველის, მტრის წინაშე მარად ხმალამოდებულად მდგარ და მასთან შესაბამელად მზადყოფის — ილია ჭავჭავაძის მოსვლა!...

რომ ყველას შესძლებოდა ილია ჭავჭავაძის ნახვა, მისგან ცოცხალის სიტყვის გაგონება, გადაწყდა სადილი გამართულიყო მათა შარვაშიძეთა სასახლის ერცელს ეზოში, ასწლოვან მუხებისა და ცაცხვების ქვეშ და ამ სადილზედ მოეწვიათ გაგრიდან დაბრუნებული სტუმრები.

სადილში მონაწილეთ სულზე ხუთ—ხუთი მანეთი უნდა გაეღოთ. სოხუმში თითქმის ყველა ისწრაფოდა ამ სადილზე დასწრების სურვილი

განეცხადებინა. ასზე მეტმა ქალმა და კაცმა მოიყარა თავი, ყველამ მოუხაროდა, როგორც დიდ და ბრწყინვალე დღესასწაულზე. ცდილობდნენ ერთი—მეორეს არ ჩამორჩენოდნენ ამ ზეიმში, რომელიც სწავლასა და სრულს მართლა რომ ეროვნულ დღესასწაულად იქცა.

დამსწრეთა სანეტარო გუნებაზედ ყოფნას უმეტესად განამტკიცებდა სოხუმის არაჩვეულებრივად ალერსიანი ცხრათვალა მზე, რომელიც აქაურობას ზედ აფრქვევდა თავის ოქროს მკვლევლებს, გაზაფხულის სანეტარო სუნით გაჟღერებული ჰაერი, ხვეწრდისებური მწვანე, განსაკუთრებულის ლაგვარდოვნების ცა და ლაგვარდივე ზღვა, რომელიც იმ დღესდღე ყუჩი, ესდენ ნაზი და თვალთახედვის გამხარებელი იყო.

საათის ოთხზე მობრძანდნენ სტუმრები, რომელთაც სუფრის თავში დააქვრინეს ადგილი. ილიას გვერდით მოუსვენს ღრმად მოხუცებული ვრიგთლ შერვაშიძის მეუღლე ალათი დადიანის ასული. რომ ყველასათვის დასანახი ყოფილიყო ძვირფასი სტუმარი, მოსუფრალნი ორჯალად შემოურიგდნენ სუფრას. თამადად არჩეული იქნა აქაური მოქალაქე თეიმურაზ გაბუნია, ცნობილი თავისი სკუპით და სიდარბაისლით.

თამადამ პირველად ადღეგრძელა ილია ჭავჭავაძე. მიულოცა საქართველოს საუკეთესო შვილს მობრძანება საქართველოს ამ მივარდნილ კუთხეში; მადლობა მოახსენა, რომ თავის აქ მობრძანებით ყველასაგან დაზარალებული გაგვამხნევა, გული გაგვისალკლდევა, ვაგაკობის სული ჩავებრა; მადლობა მოახსენა, რომ ჩვენს მტრებს აჩენა, რომ ჩვენც არც ისე უპატრონონი ვართ, როგორც იმათა ჰგონიათ, აჩენა, რომ ზურგს უკან გვიდგა ისეთი კლდე-კაცი, როგორიც თქვენა ბრძანდებით, რომ ჩვენთვის კალთა გადაფარებული აქვს თქვენისთანა ადამიანს... ბატონო ილია, გაძლევთ პირობას, რომ თანახმად თქვენის მოძღვრებისა, ჩვენის ქვეყნისათვის ჩვენ ვიშრომებთ, ჩვენც შევიტანთ ჩვენს წვლილს საერთო საღაროში, მხოლოდ ერთსა ვთხოვთ, ჩვენო ძვირფასო ბატონო: თქვენ და თქვენისთანები ნუ დაგვივიწყებთ ხოლმე, ათასში ერთხელ დაგვხედეთ, ვაგამხნევეთ, რომ სხვებს უპატრონონი არ ვეგონოთ. დიდხანს და დიდხანს უცოცხლოს ჩვენს ქვეყანას თქვენი ძვირფასი თავი!..

თამადის შემდეგ მერგო ბედნიერება ილიას სადღეგრძელო დამელია. დიდის იოკრძალებით გავიზიარე ეს საერთო აღტაცება, რომელსაც ცათფრენა შემდგარი ხალხი განიცდიდა მის დანახვაზე. ეს დღე ოქროს ასობით ექნება სოხუმელთა ცხოვრებაში ჩაწერილი. რაც ჩვენი ხალხი ტანჯულა მტრისაგან, თვენმა აქ მობრძანებამ ყოველი ტანჯვა დაავიწყა აქაურებს; დღევანდელი დღე დაუვიწყარი იქნება სოხუმელთათვის. მათმა თვითშეგნებამ ფრთა შეისხა, მათი მხნეობა გაასკეცდა, ოდეს თქვენა გვჭვრეტენ, ოდეს თავიანთ შორის თქვენ ეგულებით მწედ და მეოხად. ნება გვიბოძეთ შრავალყამიერი სიცოცხლე ვისურვოთ და განუზომელი

მადლობა მოვახსენოთ აქ მობრძანებისათვის, ჩვენის ნახვისა და მუგეშისათვის.

სამადლობელო სიტყვის სათქმელად ილია ზეზუდის მთელი საზოგადოებაც დგომელა მოემზადა მის მოსასმენად. ^{მთელი საზოგადოებაც დგომელა მოემზადა მის მოსასმენად.}

„ბატონებო! დიდის პატივისცემით მოგესალმებით! ბედნიერი გახლავართ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს კალმით დაბატულს კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს... მადლობელი ვახლავართ თქვენის დახვედრისათვის, ჩემის პატივისცემისა და დღევანდელი მადლობისათვის!

თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ისე ადვილად არ დავეჩაგვრინებთ. რომაელთა ერთი თქმა მაგონდება: სინათლე აღმოსავლეთით მოდისო. თქვენ რომ გიციებთ, ეს თქმა ასე უნდა შეეცვალოს: სინათლე დასავლეთიდან მოდის, საქართველოსთვის მაინც-მეთქი! თქვენაც მიხვედრილხართ, რომ დღევანდელს ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გამაგრდეს. ვინც ამას არა ფიქრობს, ვინც სხვას შეპყურებს, აცა რამე გაპვარდეს ხელიდან და მე ავიღოვო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილად იმედი ნუ აქვს ცხოვრების ჭიდილში ფონს გავიდეს; ასეთი ერი, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა იყოს, საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირზეთ აცდება ნასუფრალი თუ ხედა, ღმერთს მადლი შესწიროს. ყველასაგან გათელილი, ყველასაგან დაბრიყვებული, ყველაფერში ჩამორჩენილი, ყველასაგან ყბადღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავის ძალღონით არ ლაპმის ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე.

თქვენი მოძმენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვართ შესაბრალებინი, რომ მეტად ტატიტ მივდივართ ეკონომიურ მოლონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენა გეჩაგრავენ. თავზე გვასხდებიან. აქ, თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათლდება, სასოებით მევსება. მთელი ქალაქი თქვენს ხელშია. აქაურობის ბატონ-პატრონი თქვენა ხართ. გეტყობათ, დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ უკვე შეძენილს კიდევ მიუმატოთ. თქვენი ქონება ერთი-ორად აქციოთ, ფზიზლობთ, ყური ნახვილად გიჭირავსთ, საიდან როგორ უკეთესად და სარფიანად შოგავართოთ თქვენი საქმე. ამისთვის თქვენთვის გამჩენს შნო მოუკია და ამ შნოთი შნოიანად სარგებლობთ კიდევ. მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონიერები რჩებით, ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიურად წელში გავიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდერძვე, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს; თუ ვაჭრობას, თანაშეღროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს, ვუერთგულეთ, ბურთი და მოე-
13. „მნათობი“, № 5.

დანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავენ შეგვეცილება. რომ მოგახსენოთ: საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმით მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძებებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოველებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივის ძალით მამაპაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მის დაპატრონების მადამ არ გაუღვიძოთ, მოსეულს ათასგვარს მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩაეუდგეთ, გაეუმკლავდეთ, ხმაღამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გაეცინოთ. . .

„მაშ, გაგიმარჯოთ, ბატონებო, ჩვენის ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების პირველი მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭირიხობას, სიმკვირცხლეს: ჩვენის ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენის ქვეყნის სანუგეშოდ და წარსამატებლად!!

ყოველი სიტყვა ძვირფასის სტუმრისა ელექტრონის დენისებრ უვლიდა სხეულში სმენად გადაქცეულს მაყურებლებს, ყველანი ხარბად პირში შეჰყურებდნენ და ცდილობდნენ ერთი სიტყვაც არ გამოჰპარეოდათ. მათს ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა: მთელის საქართველოს სათაყვანო აღამიანს, მთელის ქართველებისათვის მზრუნველს ილ. ჭავჭავაძეს თავიანთს შორის ხედავდნენ! ყველას განუმტკიცდებოდა რწმუნება, რომ თბლად არ იყვნენ შთენილნი, ჰყავდათ პატრონი, პატრონი ძლიერი, შემმართველი, რომლის წინაშე ჩვენი დაუძინებელი მტერიც კი ქედს იხრიდა.

კარგა შებინდებულზე უმატეს სუფრას. ყველანი მზიარულნი და ბედნიერნი დაიშალნენ. მერე დიდხანს და დიდხანს ჰქონდათ სობუძელთ ეს სადილი სალაპარაკოდ და სასიამოვნოდ მოსაგონებლად.

ნეორე დღეს გემში ზოულმა ქალმა ჩააცოლა ილია ჭავჭავაძე და მისნი თანამგზავრნი მათს პატივცემელთაგან და განსაკუთრებით მანდილოსანთაგან მოტანილი თაიგულებითა და ყვავილებით. ეს გაცილება ერთ მთლიან ზეიმად იყო გადაქცეული.

ბჟილისში დავით სარაჯიშვილთან

1903 წლის შემოდგომაა. საქართველოში პარიზიდან ჩამოსულია ცნობილი მოგზაური და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ამწერი ბარონ დე-ზაი. დავით სარაჯიშვილმა ფრანგი უცხო სტუმარი სადილად დაპატივა თავის სახლში ფრეილინის ქუჩაზე. სადილათვე მოწვეული ყავდა: ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი და მე. დავით სარაჯიშვილის მეუღლე ეკატერინე ქალაქიდან გასული იყო. . . რომ სუფრას მარტო მამაკაცები ვუსხედით. დავითმა

ზოდის მოხადა დიასახლისის იქ არყოფნისათვის. - მეტად მზარულად მიდიოდა სადილი. ვლადიმერობით ქართულად და ფრანგულად პეტრე უმიკაშვილი ვილასაც თუ ვილევბსაც უჩივოდა: დამზარეს, დამზარეს, კეთილი ხარო, დაბალ ღობედ გამიხადესო. თავისი ნათქვამი უფრო ნათელი ზომ ყოფილიყო მსმენელთათვის, ქართული ანდაზა მიიშველია: პეტრედ თავისი სიბაღით ნისკარტს მოსჭირანო. სრულებით დაავიწყდა პეტრეს, რომ პატარა თავ-ტანთან მეტად დისპროპორციული ცხვირი ჰქონდა და რომ იმისი ცხვირი ილია ჭავეჭავაძეს შეეძლო მეგობრულის შარვის საგნად გაეხადნა. პეტრემ ნათქვამი რომ დაასრულა, ილიამ ასე ანუგეშა:

— ჩემო პეტრე, ფიჭვი ნუ გაქვს, რაც უნდა ბევრი მოგაჭრან ცხვირი, სამყოფი მაინც დაგრჩებაო.

ილიას მოსწრებულმა სიტყვამ საერთო სიცილი გამოიწვია და ყველაზე მეტად განსვენებული თვით ობიექტი ამ მოსწრებულ სიტყვისა აცინა სრულიად გულწრფელად და უწყინრად. რა თქმა უნდა, ეს ჩვენს შორის დარჩა და ფრანგ სტუმრის, რომელმაც ქართული არ იცოდა, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად რაღაც შევთხზეთ სახელდახელოდ და ესიც ვაცინეთ.

აკაკის ნაკვეთი ილია ჭავეჭავაძეზე

ილია ჭავეჭავაძე ცნობილი იყო, როგორც მეტად დინჯი ადამიანი, აუჩქარებელის ტემპერამენტისა, როგორც ქცევაში, ისე ლაპარაკში. აკაკის საარაკოთა ჰქონდა ილია ჭავეჭავაძის სიზარმაცე, მისი „სიმძიმე“, რომელიც ესდენ ეწინააღმდეგებოდა მის იმერულს, მკვირცხლ, მოძრავ ბუნებას.

როგორც ვიცით, ჩვენნი მალაღნიჭიერი მსახიობი ქალი ნატალია გაბუნია-ცაგარლისა ძალზე შავგვრემანი იყო. ლამაზიყო, კაცი ვერ იტყოდა, მაგრამ ვერც ეშხანობას წაართმევდა. ამასთან ისეთი მოქცევა და სიღარდიმანდე ახასიათებდა, რომ იშვიათი ვაჟაკი გაუძლებდა მის სიყვარულის ბადეში არ გახვეულიყო. ბევრს სილამაზით ცნობილს ქალს წყაროზე წაიყვანდა, წყალს არ დაღვეინებდა და ისეც უკან წამოიყვანდა. ყველასათვის ცნობილი იყო, როგორ მოიგო გული ამ გარეგნობით თითქოს არაპოეტურმა ადამიანმა ჩვენის დიდის პოეტის გული. მათის რომანის ამბავი, რა თქმა უნდა აკაკიმაც იცოდა და ვერ მოითმინა თავის კვიმატის ენით არ ეკბინა. და აჰა, 15 ტომის დამწერს ილიას „სიზარმაცე“ უკიჟინა და ასეთის მოსწრებულის სიტყვის მსხვერპლად გაბადა:

— ილია ქალის არჩევნაშიც ზარმაციაო...

ამბობენ, როცა ილიას უთბრეს აკაკის ეს ნათქვამი, არა სწყენია, ყოველსავე შემთხვევაში, სახეზე არ დაუჩენია და ბევრიც უცინიაო.



ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე

ილია ჭავჭავაძეს ნიკო ნიკოლაძე და აკაკი თეთქმეძე ცნობილი მკვლევარები არიან და, ყოველსავე შემთხვევაში, ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ. ერთხელ ნიკოლაძეს მოუნდომნია გახუმრებოდა ილიას და ეს ზმით გამოეხატა. ერთ ზაფხულის პირზედ ურთმანეთს შეპხვედრიან, როცა ტფილისიდან სააგარაკოდ გასასვლელად ემზადებოდნენ. ილიას ეკითხნა:

ამ ზაფხულს საით აპირებ წასვლასაო?

ნიკო ნიკოლაძეს რუსულად ეპასუხნა:

— Или Коджори или Боржоми.

ამაზე ენამოსწრებულს პოეტს ზმითვე უპასუხნია რუსულადვე:

— Я ни Коджори ни Боржоми.



შალვა დადიანი

ნ ა მ ც ე ტ ე ბ ი

სიღარიბე მჭირს ფრიად ილიას ვახსენებისას.

ნაკლებ შევხვედრივარ, ნაკლებ მინახავს.

მაგრამ ბუმბერაზი ცხოვრებისა ნამცეცებიც კარგია და საილიოდ კალმის აღებას ეს მახედვინებს.

ბავშვობიდან ვიცნობ მის სახელს. მარტო ნაწერებით კი არა.

ჩვენს ოჯახში თითქოს ილიას კულტი იყო გამეფებული.

მამარქმი პირადი მეგობარი იყო ილიასი და ხშირად გვიამბობდა მის ნათქვამს, მის ნამოქმედარს.

აკი მამამ თავის „საამდროვო გამოცანებში“ (ზმავიდურებში) ასეთი ალტაცებული სტრიქონები უძღვნა მას:

„იმას ვერა ჰგავს ვერავინ გრძნობის მცოცხლები მწერალი;

ლომია ოდეს განრისხდეს მუდამ მშობისა მღერალი,

იტყვის მართალს და-გზიანსა, უპყრია მართლის მწვერვალი,

არის ზნე-ქველი, მხნე-მსრბოლი, მედგარი, მოუფერალი“.

მახსოვს, როგორის აღფრთოვანებით ვკითხულობდით 1886 წ. ვაზ. „ივერია“-ში ფელეტონებად ჩამომწერივებულ „ოთარაანთ ქერივს“. და მამა როგორ ქება-დიდებას ასხამდა ამ საუცხოო ნაწარმოებს.

და სულ ასე. ილიას მოწინავე, ილიას პოლემიკური წერილები, განსაკუთრებით „აი ისტორია“ და „ქეთათა ლალაღი“ იყო ჩვენს ოჯახში ალტაცებისა და ქება-დიდების საგანი.

აქედან ჩამწერგვა სიყვარული და მოწიწება ამ რჩეულ კაცისადმი.

და, აი, პირველად ვნახე ილია... სამეგრელოში.

ტფილისიდან კომისია იყო ჩამოსული მინგრელსკის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად.

ცნობილია, რომ თავისი მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, აღსავსე ძველის მანუსკრიპტებით, მინგრელსკიმ შესწირა მაშინდელ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომლის თავმჯდომარედაც იყო ილია და რომლის კომისიასაც მეთაურობდა იგი იმჟამად.

ბანძაში ვიყავით სტუმრად ნათესავებში. გაზაფხულიც კარგად მიწვეწერიდეს ფართო ეზოში ცხენი შემოაქენა ერთმა წერწეტა მწვეწეტმა და მამას გადასცა, „ქანქანიძე“ მოდის შენთანო. —

ჩვენ ვერ გავიგეთ, ვინ იყო ეს „ქანქანიძე“, მაგრამ მამას სცოდნოდა, რომ ილია უნდა ჩამოსულიყო, დიდად გაიხარა და ჩვენც გვახარა ეს ამბავი.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ეზოში შემოვიდა ასე 20 — 25 ცხენოსანი, რომელთა შორის სხვებზე ცოტა წინ იონა მეუნარჯიას თანხლებით გამოჩნდა კარგ ბედაურზე მჯდომი პირ-ბუდალი და თვალემ-მცინარე აღამიანი.

მამა რომ მიეგება, ვიცანით, რომ ეს ილია იყო.

„გავიგე, რომ აქ ყოფილხარ, ნიკო, და გულმა არ მომიტმინა არ მენახეო“, — დაახლოებით ასეთი იყო ილიას პირველი სიტყვები.

და გაჩაღდა საუბარი, რამდენადაც მახსოვს, ჩასაბარებელ ბიბლიოთეკაზე, სიერთოდ ძველ მწერლობაზე და განსაკუთრებით ერთ ძველს შესამჩნევ წიგნზე, „ნებროთიანზე“, რომელსაც მამა დიდათ აქებდა. ბავშვობისას ჰქონდა თურმე წანაკითხი და მოელოდა, რომ მინგრელსკის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდებოდა.

ზოგს ეხლანდელ მკვლევარს ზღაპრად მიაჩნია „ნებროთიანის“ არსებობა, შეიძლება იმიტომაც, რომ დღეს აქამომდე არ აღმოჩენილა. ზოგი მას „აღამიანის წიგნსაც“ უწოდებს, მაგრამ მამა ამბობდა, რომ ეს იყო რალაც შესანიშნავი კრებული, მგონი, უფრო ეს აპოკრიფიული ხასიათისა, და ზოგჯერ იგონებდა კიდევ იქიდან სხვადასხვა სხარტულ ნათქვამს და შაირს.

მამას თვით ჰქონია ეს წიგნი, მაგრამ, როდესაც მისი ბიბლიოთეკა ცეცხლს უმსხვერპლია, „ნებროთიანიც“ იქ დაღუპულა.

შემდეგში ისტორიკოსმა თედო გორდანიამ მამას სიტყვით აღწერა ეს წიგნი თავის „ქრონიკებში“, მაგრამ თვით ხელთაწერი, როგორც ვთქვი, დღემდე მაინც დაკარგულია. თუმცა უკუვაგდოთ ეს „სიტყვის მოტანილი“ ამბავი.

ამ წიგნის გარდა, მახსოვს, საუბარი გადავიდა თანამედროვე საკითხებზე: ბანკი, თეატრი, გაზეთი, ქართული ენა, უმთავრესად კი თვით სამეგრელო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი.

და აი აქ იყო, რომ პირველ დაირბა ილიას შესამჩნევი ფრაზა: „სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავო“.

მეორეჯერ ენახე ილია, უკვე ტფილისში, მის სახლში, მაშინდელ ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21, საცა „ივერიის“ რედაქციაც იყო მოთავსებული. რალაც დღესასწაული იყო, მამა უქეიფოდ იყო და მე გამგზავნა თავის მავიერ.

უნდა გენახათ ჩემი გახარებაც და ჩემი შეწუხებაც.

შეწუხება იმიტომ, რომ, გამოეტეხილვარ, ჭაბუკობისას მტრის-მტრი მორცხვი და უკან-დახეული ვიყავ. აბა ილიასთან როგორც წინააღმდეგობა თავი სიტყვებისათვის.

შველ დიდ დარბაზში. რასაკვირველია, ევროპულად, მაგრამ სადად იყო მორთული, არაფერი გადამჭიკული, არაფერი ბრჭყვიალა, გარდა იმ პირეებისა, თაღთან რომ იყო სალუქ ფარდასავით ჩამოკიდებული და დარბაზი. ორად რომ ჰყოფდა.

ძალზე ცხელოდა და მეც ორმაგ ოფლში ვიწურებოდი: ცალკე სიციხისა და ცალკე მოკრძალებიან. თან დიდი უბედურება:

ცვირსახოცი დამეწიწებოდა.

ამან ის სითამამეც კი წამართვა, რაც გზაში მოვიმარაგე, მაგრამ საქმეს რას ვუშველიდი.

დარბაზში ილიას მეუღლე დამხვდა და ერთი შუახნის, წარმოსადეგი კაცი. როგორც შემდეგში გამოირკვა, კონსტანტინე ჩიკვაძე იყო, მგონი, უნივერსიტეტით ილიას ნაამხანაგარი.

ილიას მეუღლემ ჩვეულებრივის თავაზიანობით მიმიღო და, წარმოიდგინეთ, მაშინვე ილიას მოსაყვანად წავიდა. მამიჩემის პატივისცემისათვის თუ. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ მძივებმა გაიწკრიალეს და ილიას ჩასკენილი და ბრგე ფიგურა გამოჩნდა.

გამოშქითხა მამის ამბავი, დაინანა, რომ უჭედიდა იყო, ბოლოს ერთი-ორი სიტყვა ჩიკვაძეს გაუზიარა და შემდეგ ისევ მე ამხედ-დამხედა.

ოფლმა იწყო წკურწკური. უთუოდ ვწითლდებოდი, ვყვითლდებოდი, ავიწურე. საჭკიელი წამიხდა. ოფლსაც ვერ ვიხოცავ.

ილია შეკითხება:

— სადა სწავლობთ, ყმაწვილო?

მოგეხსენებათ, რომ მე არსად სკოლაში არასოდეს არა ვყოფილვარ და ესეც მოვახსენე. თან გულს მომეშვა. მივხვდი: იმიტომ ამხედ-დამხედა, რომ ეგონა რაიმე მაშინდელურ სასწავლებლის ფორმაში ვიქნებოდი გამოწყობილი. მე კი 14—15 წლის ვაჟს ცივილური ტანისამოსი მეცვა.

როცა გაიგო ჩემი ვითარება, შემდეგ წარმოსთქვა:

— ბამა თქვენი ჩვეულებრივი ბილიკით მავალი კაცი არ არის.

ეს იყო და ეს. ეს იყო პირველი და უკანასკნელი საუბარი ილიასი ჩემთან.

ნახვით კი კიდევ ვნახე ორჯერ.

ერთხელ ტფილისის ბანკის კრებაზე, როცა პირველად დაიწყო მაჩაბლისა და ილიას შეტაკება.

ქართული თეატრის დარბაზში ზდებოდა სხდომები, იქ, საცა ეხლა გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამაა. არწრუნისეული შენობა თვით ილიას ინიციატივით ახლად იყო შეკეთებული, ჭერზე რომ მსოფლიო გიგანტი მწერლები იყო მოხატული.

პარტერში ისდნენ ბანკის წევრები და სხდომაზე ხმის შექმნის ღონისძიებას, აივანსა და ქანდაკებაზე კი დანარჩენი საზოგადოება.

გულისფანცქალით ვუვადებდი ყურს ორატორებს. ვერცხვანაშვილი, ვენცობოდი, ხალხს. ზოგი ძალიან მჭერმეტყველი იყო, მაგრამ უფრო რუსულად. მიკვირდა ეს ამბავი, რადგან ქუთაისშიც იმაზე წინ დავსწრები-ვარ საბანკო კრებებს და იქ თითქმის ყველა ქართულად იყო მოსაუბრე. ჩემთვის დაუფიწყარია ქუთაისში: კირილე ლორთქიფანიძე, ცოტა გრძლად, მაგრამ დასაბუთებით და მშვენიერის ქართულით მოლაპარაკე, მიხეილ დარახველიძე, ცხარე და ნიჭიერი ორატორი, ან დარბაისელი მოქართულე ლეჩხუმელი იასონ გელოვანი და ბევრი სხვა.

აქ კი ასე არ იყო, მხოლოდ, როგორც კი გამოჩნდებოდა ტრიბუნაზე ან ილია ან მაჩაბელი მაშინვე მთელი დარბაზი ახრიალდებოდა: ქართულად, ქართულად. და ისინიც იწყებდნენ იშვიათი ორატორული ნიჭის ქართულად გადმოშლას.

მაჩაბელი ფიცხი ორატორი იყო, ტემპერამენტიანი, სწრაფი მოლაპარაკე. გამიგონია: ფრანგი საზოგადო მოღვაწე, გამბეტა, ერთ წუთში რამდენიმე ასეულ სიტყვას წარმოსთქვამს, მაგრამ ისე მკაფიოდ, რომ ყველასათვის გასაგებიაო. მე მგონი ასეთი იყო მაჩაბელიც.

ილია კი პირიქით: აუჩქარებელი, დინჯი, ტემპერამენტი თითქო სულ არ ეტყობა, თუმცა შინაგან აუცილებლად ბოზოქარი. თითქო მტკვარივით მღორედ, მაგრამ მძლავრად და წამლექავად მიმდინარე.

დაუფიწყარია ჩემთვის მაშინდელი მაჩაბლის პირველი გამოსვლა ილიას წინააღმდეგ; სახე-გაფითრებული, მღელვარე ხმით იწყებს იგი, რომ იძულებულია გამოვიდეს იმ კაცის წინააღმდეგ, რომელსაც მთელი საქართველო აფასებს და რომელსაც, როგორც უებრო მწერალს, თვით იგთაყვამსა სცემს. შემდეგ კი გადადის ბანკის საქმეებზე და მოჰყავს საბუთები ილიას თითქო სიზარმაცისა, დაუდევრობისა, განსაკუთრებით „კონვერსიის“ საქმეში.

მე ამ „კონვერსიის“, საბანკო ოპერაციებისა და ბალანსისა ვერა გავიგე რა, მაგრამ ჩემი ჭაბუკური გული კი დაატყვევა მაჩაბელმა. ეს დამმართა უფრო მისმა წინასიტყვაობამ, რადგან ვიწამე მისი გულწრფელობა.

მაგრამ აგერ გამობრძანდა ილია.

საოცარია!

ხუმრობს. თითქო არავითარი საბუთი. ხალხი ხაზხარებს, მაგრამ თანდათან გრძნობთ, რა გამანადგურებელია ეს ხუმრობა.

სხვათა შორის ილია ამბობს: ჩვენ ისეთი დამფასებელიცა გვყავდა, როდესაც მამულის შესაფასებლად ვგზავნიდით, ესეთ ცნობებს მოგვტანდა: ამა და ამ ალაგას ერთი შენობა დგას, რომელსაც ოთხი კედელი აქვს და ოთხივე ერთიმეორეს შეჰყურებსო.

ხარხარი.



თურმე ეს დამფასებელი ერთ დროს ვანო მაჩაბელი უყვარდნაში ან და თავის სიზარმაცეზე. სამსახურში გვიან მოდიხარ, რომელიმე ნებდნენ:

— ზოგი კაცი შეიძლება გვიანაც მოვიდეს და მხოლოდ ერთი საათი დაპყოს სამსახურში, სამაგიეროდ იმდენი შეიძლება გააკეთოს, რასაც მეორე მთელი ერთი კვირის განმავლობაში ვერ გააკეთებს, რაგინდ ადრეც მოდიოდეს სამსახურში და სულ შიგაც ტრიალებდესო.

დაახლოვებით ასე.

ელა ილიამ მომხიბლა საერთოდ მთელი თავისი ნათქვამებით ამ კრებებზე, თავისი შეუვალი ლოგიკით და გამანადგურებელი ჰუმორით.

და ასე, მერყეობდა ჩემი სიმპატია ამ ორ კაცს შუა, და განა მარტო ჩემი, გამოუცდელი, ახლად შეღერებულის ქაბუჯისა, არამედ ბევრად ჩემზე გამოცდილებისა და გადამახდებებისაც. თან დიდად სწყინდათ, რომ ილიასა და მაჩაბლის შორის ესეთი დავა ატყდა და თანდათან მწყვე ხასიათს იღებდა.

დანაღვლიანებულებში ერთა მამა ჩემიც და მისი ნაღვლიანობა მის შეილებს მე და ჩემ დასაც, გვახევედიანებდა.

ქიდევე შევხვდი დიდ ილიას ქუთაისში. გაბრიელ ეპისკოპოსს მარხავდნენ.

მე უკვე 22 წლის ახალგაზრდა ვიყავ და სხვა ბევრთა შორის მეც მონდობილი მქონდა მოწესრიგედ მყოფილიყავ და უნდა გენახათ, როგორ ვამაყობდი, რომ მკლავზე საამისო ნიშანი მქონდა და საცა გავივლიდი, ხალხი ჩემს განკარგულებას ემორჩილებოდა.

ჰე, რა ხარ ახალგაზრდობაე! რა პატარა რამ გართობს და თავბრუს გახევეს!

ველესიაში ვართ, გელათში. უკვე მოთავედა სიტყვები სასულიერო პირებისა: რუსი ექსარხოისა. ეპისკოპოსებისა და სხვ. ხალხში ვაისმა: „ილია, ილია სად არის?“ მამამაც მანიშნა. წადი მოძებნეო. ხალხი გაირღვა და ილია მოვძებნე ეზოში. ეთხოვე, რომ წამობრძანებულყო. ვიცოდით, რომ სიტყვა უნდა ეთქვა. ჯგუფში საუბრობდა ხალისიანად და მე რომ მივადექი ბოქაულივით, უეცრად ეს კაცი შეიცვალა, სახე კუშტი გაუხდა, თითქო წარბებაც შემოუქურუხანდა, მაგრამ სიტყვა-შემოუბრუნებლც მორჩილად წამომყვა.

ელა რომ მოვდივარ როგორ ვამაყობ! იცით, ვინ მომყავს? გაიწით, მოგვეცალენით!

რასაკვირველია, ამას ხმამაღლა არ ვამბობ. მაგრამ ან განა საჭიროა ვაფრთხილება? უბირმაც კი იცის, ვინ მოდის ეხლა, ირგვლივ ესმის: ილია ქაბუჯაძე! თუ არც ვაუგონია, მაინც გრძნობს, რომ ვილაც დიდი კაცია, რადგან ისეთი მოკრძალებით და სიყვარულით არის ნახსენები.

აი შევედით ტაძარში. გზა გავუპერ და მივიყვანე ამბოთთან. მეც გვერდით ამოუდებქ.

განა ეხლა წავალ სადმე? ასე ახლოს და შერე ვისთან? ვინა სთქვა, რომ ილია ტემპერამენტისანი არ არისო? ჯერ არ იწყებს სიტყვას. მესმის მისი გულის ბაგა-ბუგი, მკერდი აღის და ჩაღის. ეს რა არის? შეკრთა? რა სათქმელია!

ეს ის არის, რომ შინაგან მოზღვავებული სათქმელი ბობოქრობს და ეძიებს თავის შხატვრულ გამოსაველსა.

დაიწყო. გარეგან თითქო დამშვიდდა. მაგრამ მკერდი მაინც აღის და ჩაღის. ისე ახლოს ვდგევარ, რომ თვალნათლივ ვხედავ. მესმის მისი გულის ძგერა, ამ მკერდიდან აღმომხდარი ხმები.

რა ბედნიერი ვარ ამ წუთას!

და დაუვიწყარია ჩემთვის ეს წუთი. მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ბუმბერაზის გულისძგერა მომისმენია ესე ახლოს და თითქო შევჭრილვარ მის ლაბორატორიაში, სადაც ითხზებოდა ჩემი თანადასწრებით ილიას ნაჭედი სიტყვები.

მან დაახლოვებით ასე დაიწყო: „დიდბუნებოვანი კაცი იმითაც არის შესამჩნევი, რომ, რომელი მხრიდანაც არ უნდა მოუარო ლამაზი სანახავიო.“

მეც ამით გავათავებ, მხოლოდ ამეაჩად მისი სიტყვები, დეე, თვით მასვე მიუღებს.



სანდრო შანშიაშვილი

მონაწილე ვნახე

ცხრაას ხუთსა და ექვს წელს დღევანდელი რუსთაველის თეატრის სკონცერტო დარბაზში პროფ. ივ. ჯავახიშვილი ლექციას კითხულობდა, ვკონებ საქართველოს ძველს კანონმდებლობაზე.

მთელი მაშინდელი ქართველი ინტელიგენცია ამ ლექციას დაესწრო.

მე იმ დროს მოწაფე ვიყავ. დარბაზში ხალხი ჯერ უცბად გაჩუმდა, შემდეგ კვლავ ალაპარაკდა: ილია! ილია!

ილია ეტლით გავლილი ქუჩაში ნახული მყავდა, მაგრამ ასე ახლოს არა.

მისი ნაწერები ყველა წაკითხული მქონდა, ლექსებიც ზეპირად ვიცოდი: ნეტა მასთან დამალაპარაკა-მეთქი!

დარბაზი დიდებულად გამოიარა. რამდენიმე მოღვაწე მოაცილებდა, მათ შორის იაკობ გოგვაშვილიც.

წამოვიდნენ და პირველ რიგში ჩასხდნენ.

ხალხი ძალიან ბევრი იყო. მე ისედაც დასაჯდომი ადგილი არა მქონდა, შეპარული ვიყავ. ვიძვრინე და პირველი რიგის ახლოს, ილიას პირდაპირ, კედელს ავეკარ. ლექციას აღარ ვუსმენდი. დაეინებით ილიას მივსჩერებოდი. ვადარებდი მის სახეს წიგნში დართულ სურათს და ძალიან ცოტა მსგავსებას ვპოულობდი.

ჩემ წინ იჯდა ჩასხმული, ქალაჩი ილია (სახე დამრგვალებული მქონდა, ამასთან ისეთი სუფთა და წმინდა, როგორც მე თვითონ ვადმოიხატნია წიგნიდან) მხარბეჭიანი. ცოცხალი და მსხვილო-თვალეებით როცა ვადმოიხედავდა, თითქოს გაანათებდა.

მამაჩემს, თვითონ ილიას, ილია ჭაქვაძე ძალიან უყვარდა და მისი სურათი, როინაშვილის ფოტოგრაფიაში გადაღებული, კედელზე ეკიდებოდა. კედელს როცა სოფლის სკოლაში დავიარებოდი, ზამთრის დამებში ილიას მოთხრობებს გვიკითხავდა. მეზობლებიც ესწრებოდნენ. ერთხელ „კაცია-ადამიანის“ კითხვის დროს ყველას არაჩვეულებრივი სიცილი აგვიტყდა. თურმე ვნახე გამვლელები ჩერდებოდნენ და კითხულობდნენ: „ამ ხალხს რა დაემართათ, რომ ასე იცინიანო“.

შემდეგაც მამაჩემს ბევრი რამ უამბუნია ილია ჭაქვაძეზე. იგი, სემინარიელი, თურმე ფარულად ესწრებოდა „ბანკოშიას“ და უსმენდა ილიას და ივანე მაჩაბლის შებმას.

ერეკენულში

ყველაფერი ეს გულში ჩაჩენილი მქონდა. ვუცქეროდი ვეღარც ვხედავდი ტაცებაში მოედოდი. ალბათ, თვითონაც შემამჩნია, რომ ასე აბუნარად მივჩერებოდი და რამდენჯერმე გადმომხედა.

ვხედავ, ილიამ გვერდზე მეზობლებს გადახედ-გადმოხედა და რალაცა წასჩურჩულა. მეზობლებმა მიიწ-მოიწიეს და ადგილი დაადგეს სკამებ-შუა. ილიამ თითოთ მანიშნა: დაჯექით. ყურებმა წივილი დამიწყეს, გავ-ბრუვდი, გავშტერდი. დარცხენილმა და თავჩალუნულმა უკან დავიხიე. გულში ვფიქრობ: იქნებ ვისმე მიმამსგავსა, თორემ, საიდან, როგორ? ან იქნებ მე არ მანიშნებდა. მაგრამ პირდაპირ რომ მე მიცქერდა! სხვას თუ ანიშნა, არც რომ სხვა დამეჯღარა!

ლექცია დიდხანს ვაგრძელებდი, მაგრამ ჩემთვის დრომ სულ სწრაფად გაიბრუნა. ხალხი დაიშალა და ილია რამდენიმე ხანს ივანე ჯავახიშვილს და სხვებს ელაპარაკებოდა.

ილია გამოემშვიდობათ და წამოვიდა. მე ისევ წინ დავხედი. მინდოდა კარი მე გამეღო მისთვის, მაგრამ დარაჯმა ხელი მკრა. ილიამ ეს დაინახა და დარაჯს საყვედურით შეხედა. კიბეზე ჩავდიოდით და. მეკითხებოდა ვინაობას, სადაურობას, სად ვსწავლობდი, ვისი შვილი ვიყავ. აქ არ დავიბენ და ყველაფერი ვუპასუხე. ბოლოს ისიც ვუთხარ: სკოლაში არ გვასწავლიან, მაგრამ თქვენი ლექსები ვიცი მეთქი, და ჩამოვთვალე.

— ბარაკალაო! — მითხრა და ეტლში ჩაჯდა. სანამ შეეტლე დაიძვრებოდა, მითხრა: — შენ მოდი ჩემთან სახლში, ელისაბედის ქუჩაზე, ზომ იცი...

მიწაზე ვიდექ თუ ცაში დავფრინავდი, ანგარიში ვერ მიმეცა ჩემი თავისთვის. სრულიად შემთხვევით შევიპარე ლექციაზე და ვნახე ილია. მეორე დღეს ამხანაგებს ვუამბობდი, მაგრამ არ სჯეროდათ.

რამდენჯერმე მიველ მის სახლთან.... დავაპირე შესვლა, მაგრამ „ბურ-საკი“ ვიყავ. ვერ გავებდე.

წელიწადნახევრის შემდეგ მოჰკლეს წიწამურში, საგურამოსთან.

იმ დროს მე „ისრის“ რედაქციაში მიღებულ იც ვიყავ და დაახლოვე-ბულიც. პასუხისმგებელ მდივნად იყო ილია აგლაძე. ჩემს ლექსებს ბექ-დავდა ა. შ-ლის ინიციალებით, მაგრამ არ იცოდნენ, თუ ავტორი მე ვი-ყავ. მიმქონდა ლექსი და ვეუბნებოდი: გამომატანეს-მეთქი. ბოლოს პირ-ველმა ილია აგლაძემ გაიგო და ხუმრობით მითხრა: ჭკვიანი ყმაწვილი ხეგონე და ლექსების წერა კი დაგიწყვილი!

რედაქციაში ცნობა მოვიდა: ილია მოჰკლესო! მეხი დაგვეცა. გაშტე-რებული შევცქეროდი უფროს ამხანაგებს. ცრემლი ყელში მებჯინებოდა.

წამოველ შინ გულმოკლული და დავეწერე ლექსი, რომელიც ილიას სიკვდილზე პირველ ლექსად დაიბეჭდა მეორე დღესვე. აი ის:

იგლოვეთი!

მზეო, დაბნელდი, ნულარ გვინათებ!
 ვარსკვლავო, მოსწყედი ცისა კამარას!
 უგუნურებმა უწყალო ხელით
 მოუკლეს შვილი ობოლ ქვეყანას!
 სამშობლო კუთხევე, შენც აქეთინდი,
 უბედურება ამცნე მთა-ბარსა;
 დაე, გლოვის ხმამ სიმი-შესწყვიტოს
 სამხიარულოდ მომართულ ქარსა!
 მამული-შვილნო! განა არ გესმით?
 მოხუც გულისა ძგერა ყუჩდება!
 იგლოვეთ ყველამ!.. ჰლეარეთ ცრემლები,
 მოჰკლეს მგოსანი — ჩვენი დიდება!
 („ისარი“, 1 სექტ. 1907 წ.)

იმ დროს მე დარჩიაშვილების ოჯახში ვცხოვრობდი. ეს ისეთი ოჯახი იყო, სადაც ბინას პოულობდა არალეგალური ხალხი. იქ ხშირად კრებას-ჰმართავდნენ და მე, მოწაფეს, მზევრავად მაყენებდნენ. ჰეგტოგრაფზე დასაბეჭდი პროკლამაცია ჩემთვის გადაუწერიებიათ, რადგან კარგი და სუფთა ხელი მქონდა.

იქვე გავიცან იროდიონ ევდოშვილი.

ამ საღამოს ისიც გულმოკლული მოვიდა. შემთხვევით იმ დღეს დარჩიაშვილების ოჯახში რამდენიმე მენშევიკი იყო. ევდოშვილმა მე ყურადღება არც კი მომაქცია, მათთან შევიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მესმის ხმამალალი ლაპარაკი. ევდოშვილი ყვირის, ჩხუბობს. შემდეგ მიაჯახუნა კარი და გაბრაზებული წავიდა. თურმე შეწუხებული ევდოშვილი მასხარად აიგდეს: ეთქვათ: რა ვაგიხდა თავადი ილია, როცა ხეს სჭრიან ნაფოტი ცვივაო! შემდეგ ამ აზრის და ასეთის სიტყვებით ნოე ეორდანიამ ვრცელი ფელეტონი დაბეჭდა, და ვხედავ, რომ ნოეს წერილზე ზოგიერთები აღშფოთებულნი არიან. აგინებდნენ ნოე ეორდანიას და ბარბაროსობად სთვლიდნენ იმ წერილის დაბეჭდვას. ეს ამხანაგები თურმე ბოლშევიკები ყოფილიყვნენ.

სკოლაში გაკვეთილებზე აღარ წაველ. რედაქციაში ვიყავ. მოდიოდა ხალხი ამბის გასაგებად. კამათობდნენ. ჩხუბობდნენ, ვინ მოჰკლა ილიაო. მხოლოდ ამის გარშემო იყო დავა.

იმ დღესვე გავრცელდა ხმა, რომ ილიას მოკვლის მომწყობი არის მისივე მოურავი დიმიტრი ჯაშიო, რომელმაც თურმე ილიას თავი მრავაზრა, სანამ მოურავად მიიღებდა.

ვინ იყო ეს ჯაშიო?

ზოგი ამბობდა „ოზრანკის“ აგენტიაო, ზოგიც მენშევიკიაო.

დიდს პროვოკაციაში გაება მაშინდელი ინტელიგენცია.

ჯაშს აგვიწერდნენ რაღაც საზიზღარ პიროვნებად. გარეგნულად დაბალი, „რიფა“, პირნაყვევილარი და მსხვილკბილება იყო. და მართლაც, როცა პირადად ვნახე, უფრო საზიზღარი შთაბეჭდილება დასტოვა.

რედაქციაში შეიკრიბნენ: ვიორჯი ლასხიშვილი, ვიგო რცხილაძე, ლადო ლორთქიფანიძე, ილია ნაკაშიძე, მიხაკო წერეთელი და სხვანი მრავალნი.

ვიგო რცხილაძე ამტკიცებდა, რომ ილია მოკვლა მეფის ქანდარმერიამო. პარალელს ატარებდა დიმიტრი ყიფიანსა და ილიას მკვლელობის შორის და ასეთს აზრს გამოსთქვამდა:

ამ ზაფხულს ილიამ სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გაილაშქრა, მიწის საკითხში მხარი დაუჭირა რევოლუციონერებს, აღძრა ავტონომიის საკითხი და პატარა ერების უფლებაზე ხმა აიწილა. ეს ცარიზმმა არ აპატია და მას პეტერბურგიდან დაადევნეს მკვლელებიო.

ამ აზრს იზიარებდნენ ლასხიშვილი და ილია ნაკაშიძე.

დიმიტრი ჯაშიო ვითომც დაიკირეს კიდეც, მაგრამ გაანთავისუფლეს, მიუხედავად იმისა, რომ საქმის ვითარება უჩვენებდა მის აშკარა მონაწილეობას მკვლელობაში.

რამდენიმე წლის შემდეგ (1913 წ.) საზღვარგარეთიდან ორი თვით საქართველოში დაებრუნდი. მე და შალვა დადიანი მუშტაიდის მახლობლად ბაღში ვვახშმობდით. აუარებელი სხვა ხალხიც იყო. ხოლო მოშორებით შავიდაზე მარტო იჯდა ჯაშიო. და ან მას ვინ მიეკარებოდა! მას ზურგს აქცევდნენ. ჯაშუს და მკვლელს ეძახოდნენ.

ტკბილი ლაპარაკი გვქონდა მე და შალვას. ვუამბობდი საზღვარგარეთის ამბებს.

უცბად ჩვენთან თავხედურად მოვიდა დიმიტრი ჯაშიო და შალვას დაუწყაო აღელვებულმა ლაპარაკი.

აი აქ ვნახე პირველად ჯაშიო. გარდა გარეგნული სიმახინჯისა, ლაპარაკის დროს პირი უჭაფდებოდა, წინა კბილებს ღორის ლოჯებივით გადმოჰყრიდა ხოლმე.

რასი იყო საქმე, რას ედავებოდა?

თურმე შალვა დადიანს ქუთაისში მოხსენება გაუკეთებია და იქ ის აზრი გამოუთქვამს, რომ უშუალო მკვლელიც და ორგანიზატორიც დ. ჯაშიაო.

შალვა დადიანს უსაყვედურებდა: მკვლელობას მე რათ მამრალეობო, და ბოლოს დაუმატა.

მე მაქვს მემუარები, იმას გამოვაქვეყნებ და მაშინ გაიგებთ მკვლელი ვინც არის.

მე მოურიდებლად პირში მივხალე:

მკვლელად დღეს შენ გთვლიან და თუ სხვა რამ იცი, რატომ ამ ბრალდებას თავიდან არ მოიცილებ-მეთქი.

დაიღმანჭა — ნიკაპი გვერდზე მოექცა. მაგიდაზე დაყრდნობილს დაუცდა ხელი, ერთხელ კიდევ შემომხედა და წავიდა.

მე და შალვამ განვაგრძეთ ჩვენი ლაპარაკი. მე ხელში ჭიქა მეჭირა და უცბად რალაცამ იქუხა.

თუქმე ზურგიდან მომპარვია ჯაში და ყურის ძირში ისე მძლავრად გამარტყა, რომ რამდენსამე წამს გონს ვერ მოველ.

როდესაც გონს მოველ და უკან მოვიხედე, ვხედავ ხალხს ეს ჯაში წაუგდია ფეხს ქვეშ. უწყალოდ სცემენ და უნდათ შუა გაგლიჯონ. შემოუძარცენიათ ტანსაცმელი.

ცოცხალს არ გაუშვებდნენ, მაგრამ უცბად, თითქოს იქ ჩასაფრებული ყოფილიყვნენ, გაჩნდნენ „გოროდოვები“, იშიშვლეს რევოლვერები და ხალხს ხელიდან გამოჰგლეჯეს.

შევაღვინეთ ოქმი, მაგრამ ის ოქმი დაიკარგა და ჯაში თავისუფლად დადიოდა.

ამის შემდეგ კვლავ გაიარა 7-8 წელიწადმა. მე უკვე სოფლის მეურნეობას ვეწეოდი.

ერთს მშვენიერს დღეს, წისქვილიდან წნორინ წყალზე ამოვიარე. ენახე სასტუმროში იგი ჯაში.

გაყვითლდა. გაფითრდა.

შემთხვევით ჯიბეში ჩავეყავ ხელი... წამოხტა, დაიჩოქა და იყვირა:

— ნუ მომკლავ, მაპატიე დანაშაული...

მას ჰგონებია, თითქოს მე ჯიბიდან რევოლვერს ვიღებდი. მივაფურთხე და გამოვბრუნდი.



შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ ილიას სამუშაო კაბინეტში მე ვცხოვრობდი 1920 წლამდე. მაშინ ჯერ კიდევ ილიას და ელისაბედი ჯანმრთელად იყო. ბევრი რამ მიაზმო ელისაბედმა ილიას ოჯახური ცხოვრების ირგვლივ და ის ამბავიც, თუ როგორ მოაბეზრა თავი ჯაშმა, სანამ მას მოურავად მიიღებდა. იგიც სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ჯაში ილიას მიუჩინეს, რათა ბოლოს შავი ზრახვები სისრულეში მოეყვანა მეფის მთავრობას. ელისაბედმა მისახსოვრა ილიას ნაჭონი ხელთნაწერა

მოზრდილი კრებული, სადაც შეკრებილი იყო ძველი მგოსნების და აზუ-
ლების ლექსები. ჩემის მხრით ეს კრებული გიორგი ლეგინძის სახსოვ-
რე, ხოლო მას მწერალთა მუზეუმისთვის გადაუცია.

ილიას მოკვლის წელს თუ ცოტა შემდეგ (მეექვსე კლასის გიმნაზიელი ვაყაე) ჟინდარმებმა გამჩხრიკეს. მიპოვნეს არალეგალური მოწაფის ეტრ-
ნალი, ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი, რომელსაც მე ვრედაქტორობდი, მი-
პოვნეს აგრეთვე პროკლამაციები, არალეგალური ლიტერატურა და ჩემი
ლექსი „მტარვალს“. წამაბრძანეს მეტეხის ციხეში. მაშინ უკვე 18 წლის
ვოყაე. პოლიტიკურმა ტუსალებმა გაიგეს თუ არა დამიწყეს გამჩხრევა.
იმ დროს იქ იჯდა პ. მ. საყვარელიძე და აგრეთვე მრავალი სხვა. ამ დროს
მოიყვანეს ერთი ტუსალი, რომელიც მალევე წაიყვანეს ჩვენგან და მისი
გვარი აღარ დამახსოვდა. მან გვიამბო, რომ ილია ჭავჭავაძის ერთი მკვლე-
ლი გაიქცა და უნდოდა ერთ-ერთ „ტყის ძმას“ შეჰფარებოდაო. დიდი
ძებნის შემდეგ თურმე შეხვდა ერთს პოლიტიკურად დევნილს და ტყეს
შეფარებულს. გვარი აღარ მახსოვს. თურმე „ტყის ძმამ“ ჰკითხა: ვინ ხარ
ოისთვის მოსულხარ ჩემთანო. როდესაც ვაიგო, რომ მასთან იყო მისული
ილია ჭავჭავაძის მკვლელი, იშიშვლა რევოლვერი და უთხრა: „შენ კა-
კოს ავტორი მომიკალ, განა კაკო მაგას გაპატიებსო.“ და იქვე დასცა რე-
ვოლვერი და მოჰკლა.

20 იელისს საგურამოში იმართებოდა ილიას დღესასწაული. ამ დღეს
საქართველოს ყოველ კუთხიდან ინტელიგენტი თუ გამოღვიძებული გლე-
ხი მიდიოდა საგურამოში ილიასთან. დღესაც ცოცხლები არიან ქიზიყში
გლეხები (ნიკო ზედელაშვილი და ნიკო ახმეტელაშვილი), რომლებიც
სხვებთან ერთად (20-30 ცხენოსანი) მიდიოდნენ თურმე ილიას დღეობაზე
დასასწრებლად. ილია დიდ ზეიმს უმართავდა მისულ სტუმრებს და რამ-
დენსამე დღეს დროს ატარებინებდა. ამ დღეს სტუმრებს ილია ემსახურე-
ბოდა. ერთს ასეთ დღესასწაულს ვაყა-ფშაველაც დასწრებია, ჯიხვით
დაუღლეია ილიას სადღეგრძელო და ზედ მიუყოლებია რომელიღაც ლექ-
სი, რასაც ხალხში დიდი აღტაცება გამოუწვევია და ილიას თვალებზე
ცრემლები მოსდგომია. ამდგარა ილია და ოთახში შესულა. იქიდან გამო-
უტანია თავისი ოჭროს კალამი, მისულა ვაყასთან, გადაჰხვევია, დაუკო-
ნია, კალამი გადაუცია და უთქვამს:

— ჩემს სახსოვრად გჭონდეს ეს! შენს შემდეგ მე აღარ შემფერის
ლექსების წერაო.

და კიდევ გადაუკოცნია. ვაყა და ის ქიზიყელი გლეხები, რომლებმაც
მე ეს მიაშხეს, ილიას ერთ კვირამდე აღარ გამოუშვია.



ლევან მებრეველი

როსა ვიყავ სხრა წლის ბიჭი

ერთხელ ვნახე ილია ჩემს სიცოცხლეში.

მაშინ სხრა წლის ბიჭი ვიყავი.

ილიას სახელს კარგად ვიცნობდი მის ნახვამდისაც.

ქართულ წერა-კითხვაში ნაადრევად ვიყავი გავარჯიშებული ჩემი უფროსი-ბიძაშვილის ხელშეწყობით.

ჩემი ბიძაშვილები უბრალო ხელოსნები იყვნენ. მეტ წილად შინ მუშაობდნენ. წიგნი ძალიან უყვარდათ. მაგრამ ყოველთვის არ ეცალათ მის საკითხავად.

ამ შემთხვევაში მე ვიყავი იმათი ნუგეშისმცემელი. თვითან მუშაობდნენ, მე კი მომისვამდნენ გვერდით და მაკითხებდნენ ხმამაღლა, ვიდრე არაქათი არ გამომეცლებოდა.

წიგნები კი სულ ნაირნაირი მოჰქონდათ ან ზაქარია ჭიჭინაძისაგან, ან წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკიდან.

მეც, გამოტეხით უნდა ვსთქვა, დაუზარელი ვიყავი ასეთ სამსახურზე. მხოლოდ ზოგიერთი წიგნის კითხვის დროს ნამეტან სისუსტეს ვამჟღავნებდი. რაიმე გრძნობიერად დაწერილ ადგილს რომ წაეკითხავდი, გული ამომიჯდებოდა და ჩემდა უნებლიეთ თვალებიც ცრემლებით მვესებოდა.

ბარემ მრცხვენოდა ასეთი სისუსტის, მაგრამ ჩემი თავი ჩემ ხელთ არ იყო.

ასევე უხვად მიღვრია ცრემლი „კაკო ყაჩაღისა“ და „გლახის ნაამბობის“ კითხვის დროსაც.

ილიას სახელი ასე ჩამეწვეთა გულში ცრემლებად და შემდეგ რაღა დამავიწყებდა მას!

1895 წელს მიმამარეს ქაშვეთის სამრევლო სასწავლებელში. იმავე შემოდგომას მოაწვეს რაფიელ ერისთავის იუბილე. რაფიელის სახელსაც ვიცნობდი, თითქოს ბავშვის უბიდან ამომხტარი მისი ლექსებით, „დედაენისა“ და „ბუნების-კარის“ ფურცლებს რომ ამშვენებდნენ.

საიუბილეო პარაკლისი გადიხადეს ქაშვეთის ტაძარში. ეკლესია გაჰქედილი იყო ხალხით და ბავშვებს ვინღა შეგვიშვებდა იქ.

მე კარში ვიდექი და ველოდი წირვის გათაებას. მინდოდა ჩემი თვლით შენახა ადამიანი, რომლის ლექსებიდანაც მთელი სტრუქტურა მოუსვენრად ბტუნაობდნენ ჩემს მეხსიერებაში. აი თუნდა: *მინდოდა ჩემი თვლით შენახა ადამიანი*

„გადაბრუნდა ჩვენი ცივა. კოტრიელა კოტრიელა“!

გათავდა პარაკლისი. ხალხი გამოდის. მე გავიქეცი და ეზოს კართან დავდექი. იქიდან უფრო უკეთესად დავენახავდი ეტლში ჩაჯდომისას.

აგერ გამოიყვანეს ქალარა ხმელ-ხმელი მოხუცი და ჩასვეს გულლია ლანდოში.

ეს იყო რაფიელი.

მას მარცხნივ მოუჯდა სრულტანიანი შუახნის კაცი. მაშინათვე ირგვლივ სასოებით გაისმა ჩურჩული:

— ილია ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძე!

დაიძრა ეტლი. ხალხმა ერთხმად შეჰქენა ქუხილი.

— ვაშა რაფიელ!

— ვაშა ილია!

ეტლთან ერთად მე და ჩემი ამხანაგებიც მოეწყდით ადგილს და გავყეთ უკან სიხარულით. თან რაც ძალი და ღონე. გვაქვს გავყვიროდით:

— ვაშა რაფიელ!

— ვაშა ილია!

ნაწვიმარი დღე იყო. მაშინდელი მოუწყობელი გოლოვინის პროსპექტი ტალახითა და წუმპეებით იყო საცეს.

დაოთხილ ცხენებს სანაძლეო-დადებულებით მივდევეთ უკან ბავშვები ვაშას ძახილით და განგაშით.

ამხანაგები ჩქარა ჩამომჩრენ.

მე მაინც არ დავიშალე და მივსდევე ისევ სირბილით. მინდა კარგად შევხედო რაფიელსაც, ილიასაც. მინდა გაჩერებულმა დავინახო იმათი სახე, მაგრამ ვინ მაელის.

ცხენები მიჭენაობენ. მეც მივსდევე უკან არამკითხე ბაჭისავეით.

მე რაფიელის ნახვას ვნატრობდი და აქ ილიასაც ვხედავ ზედმეტად. ამაზე სასიხარულო რაღა უნდა იყოს ჩემთვის იმ დღეს და კიდევ სხვა მრავალ დღეებსაც!

აგერ მივიდა ეტლი და გაჩერდა ქართული თეატრის წინ.

ვიდრე რაფიელი და ილია ჩამობრძანდებოდნენ, მეც მივედი ქაქანით. რა უყოთ, რომ არავინ დამიბარა! მაინც ღობემძვრალასავით შევიქერ ხალხში და იმდენი მოვახერხე, რომ შევხედე რაფიელსაც და ილიასაც.

აფსუს იმათაც არ დამინახეს ეს თვალებდაცეცებული ბიჭი! მაშინ ხომ თავზე ხელს წამისვამდნენ და ეს რამდენხანს მეყოფოდა, რომ, უფრო სიხარულით მერბინა დედამიწაზე.

„არაუშავს რა, მაინც სიხარულით გავიქეცი შინისკენ.“



მივედი სახლში, მაგრამ ვაი ჩემ დღეს! შემომხედდა და მკვრივ ჩემს კბეებ-
რმა ძაღლუამ, მაშინათვე წყველა-კრულვად გადაიჭტა:

— აი, შე გასაციებელო, შე ღდინ-გასაწყვეტო! ლამტოპია ხომ არ
იყავი, რომ წელთამდის ტალახებში გივლია!

მე მარტო ეხლა შევამჩნიე, რომ წელზევითაც ლაზათიანად ვიყავი ტა-
ლახით მოსვრილი. არამც თუ წელქვევით.

ძაღლუა ჩემი თავისებური სამართლიანობით გამიმასპინძლდა „სამოთხი-
დან გამოსული“ წკეპლით.

სხვა დროს ასეთ გამასპინძლებას ტირილით მოვიშუშებდი ხოლმე.
ახლა კი ერთი ცრემლიც არ ჩამომივდია.

რა სახსენებელი იყო „სამოთხიდან გამოსული“ წკეპლით მოყენებული
ტკივილი იმ სიხარულთან შედარებით, რაც მომანიჭა რაფიელის და ილიას
ხილვამ!

ასე ვნახე ერთად-ერთხელ ილია ჩემს სიცოცხლეში.



დავით სულიაშვილი

მოგონება ი. ჭავჭავაძეზე

ბავშვობიდანვე ქართული ლიტერატურა მიზიდავდა. განსაკუთრებულად და უაღრესი პატივისცემით მიყვარდა ილია ჭავჭავაძე. მისი „კაკო ყაჩაღი“ ზეპირად ვიცოდი. „გლახის ნაამბობი“. „კაცია-ადამიანი?!“ და „ოთარაანთ ჭჭრევი“ მრავალჯერ მქონდა წაკითხული.

გორის სასულიერო სასწავლებლის დამდავების შემდეგ, როცა ტფილისის სემინარიაში შევედი, სალიტერატურო წრის მოწაფეები ერთმანეთს ხშირად შევეკითხებოდით—ვის რომელი ქართველი მწერალი უნახავს და ან თუ იცნობს ვინმეს მათგანს. მე მხოლოდ ს. მგალობლიშვილს ვიცნობდი, მისი ოჯახშიაც ვყოფილვარ. გორში კიდეც ნ. ლომურს ვხვდებოდი ხოლმე. სხვა მწერლები არ მენახა, და როცა ზოგი დაიკვებინდა, რომ მას ილია ჭავჭავაძეც უნახავს, თვალეში მიფართოვდებოდა და ცნობის მოყვარეობით ვეკითხებოდი, თუ როგორია გარეგნობით. ან როგორ ლაპარაკობს, დადის, იცინის და სხვა.

როცა ბანკის გარშემო ცხარე კამათი გაიშართა ილია ჭავჭავაძესა და მაჩაბელს შორის, ხსდომებს უამრავი ხალხი ესწრებოდა. მაგრამ ჩვენ, სემინარიელებს იქ წასვლა ვერ გავგებდნა, რადგან ამისთვის სასწავლებლიდან გამოგვრიცხავდნენ. შორიდან კი თვალყურს ვადევნებდით ამ ამბავს და ვუცდიდით ჭუჩაში ილიას გავლას.

ჩვენამდე მოაღწევდა ხოლმე ილიას ნაკვესები კამათის დროს. კარგად მახსოვს, როგორ აღგვაფრთოვანა და გაგვანცვიფრა მისმა მოსწრებულმა შედარებამ, ვანო მაჩაბელს რომ „ვანკა-ესტანკა“ უწოდა. ამის შემდეგ ჩვენც ხშირად ვხმარობდით ამ შედარებას და მოხერხებულ მოწაფეს „ვანკა-ესტანკას“ ვეძახდით.

ერთხელ ქაშვეთის ეკლესიაში ახლად გარდაცვალებული გიორგი წერეთლის პანაშვიდის გადახდის დროს მე და ჩემმა ამზანაგებმა ეზოში ერთად მდგომი რამდენიმე მწერალი შევნიშნეთ. მათ გარშემო ვიწყეთ სიარული. მალე ამ წრეს ილიაც მიემატა. მაშინ უფრო გაფხიზლდა ჩვენი ყურადღება და მახვილი სმენით ვცდილობდით არ გამოგვპაროდა მათ მიერ თქმული არც ერთი ფრაზა, არც ერთი სიტყვა. მწერალთა ჯგუფს ერთი ქალიშვილი მიუახლოვდა, ილიამ მას ხელი მოხვია და სთქვა: „აი ერთად-ერთი და ნამდვილი ორიგინალი ნაწარმოები ანტონ ფურცელა-

ძისაო“. ყველამ გაიცინა ამ შენიშვნაზე და ჩვენც გახარულნი ვიყავით. უნდით სემინარიის კედლებში, რომ ილია ახლო ენახეთ, მისი დასაძრავი მოვისმინეთ და მოსწრებული სიცხვა გავიგონეთ...

ვილაცამ გვითხია, როცა ილია სწერს, მაგიდაზე გაწყობილი აქვს სხვადასხვა მურაბა ვაზებში და წერის დროს მურაბას სჭამსო. ჩვენ ეს გვეჯეროდა. მხოლოდ ერთმანეთში ვკამათობდით, რომელი მურაბა უფრო უყვარს ილიას. უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ კაკლის მურაბა უფრო უნდა ყვარებოდა.

ერთი ჩემი ამხანაგი სემინარიიდან ადრე გამოვიდა და „ივერიის“ რედაქციაში რეპორტიორად მოეწყო. მას ხშირად ვკითხავდი ილიას შესახებ და ვებეჭებოდი, როგორმე რედაქციაში წავეყვანე. ერთხელ მითხრა, „ივერიის“ რედაქციას კორექტორის თანაშემწე სჭირდება და ამ თანამდებობაზე ხომ არ დათანხმდებიო. ამ დროს სწავლა დამთავრდა და საზაფხულო არდადეგები დაიწყო. მაშინვე სიხარულით წავყვეი რედაქციაში. აღტაცებული მივიღოდი. ახლა კი ამხანაგები ველარ მაჯობებენ მწერლების ნაცნობობაში, ყოველდღე შევხვდები ილიას და გამოველაპარაკები მეთქი, — ვოცნებობდი დარჩარი ნაბიჯით მიექროდი რედაქციაში.

მაგრამ ჩემი აღფრთოვანება ჩაიფერფლა, როცა ილიას მაგიერ რედაქციაში სხვა პირთან მქონდა მოლაპარაკება. გამოირკვა, რომ კორექტორის გასწორება სტამბაში იწარმოებდა და არა რედაქციაში და თვეში თხუთმეტი მანეთი მექნებოდა. სტამბა რედაქციას კარგა მანძილით იყო დაშორებული.

სალამოს დანიშნულ ალაგზე მივედი. კორექტორას ივანე ახალშენი-შვილი ასწორებდა, მე კი ორიგინალისთვის უნდა მედევნებინა თვალი. იმ დღეს ილიას მოწინავე იბეჭდებოდა. როცა მას ვასწორებდით და მე ხელში ილიას ნაწერი მეჭირა, — სტამბის შავი ფერით შეთბუნნილი, — ხელი მითრთოდა. კორექტორის კითხვას ვერ მივუყვებოდი. ეს წერილი ძალიან ფრთხილად უნდა გავასწოროთ, ილიასიო, — მითხრა ახალშენი-შვილმა და კითხვა ნელა დაიწყო. რომ შევასწორეთ, კიდევ მეორეთ წავიკითხეთ და მხოლოდ მაშინ გავუშვივით.

მე ის მიხაროდა, რომ ილიას ნაწერი ხელში მეჭირა და რომ მე იმ სალამოსვე ვიცოდი ის, რაც დაიბეჭდებოდა გაზეთში, რომელსაც საზოგადოება მეორე დღეს წაიკითხავდა.

შემდეგ რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა რედაქციაში ილის ნახვისა, და ჩემი წარმოდგენა ქართული მწერლის შესახებ, რომ ის დარბაისელი, კვიციანი და მახვილი გონების პატრონი უნდა ყოფილიყო, ილიამ საესებით გაამართლა.



ი. მხედლიშვილი

მამაჩემის მოგონება ილია ჭავჭავაძეზე

მამაჩემი, სოლომონ ისაკის ძე მხედლიშვილი, უწიგნო გლეხი იყო. მარტო თავისი გვარისა და სახელის მოწერა იცოდა. მაგრამ სახელიანი და გავლენიანი იყო კაკაბეთის კვალობაზე.

1907 წელს, როცა ილია მოჰკლეს, მე ტფილისის საქალაქო სასწავლებელში ვსწავლობდი (ვერაზე). სწორედ იმ ხანებში ჩამოვიდა მამაჩემი და დანანებითა სთქვა: აფსუს, რა კაცი მოჰკლესო.

გამიკვირდა მისგან ასეთი მოკითხვა და ვკითხე:

— ვანა შენ ვაგიგია ილიას სახელი, მამაჩემო?

— ვამიგია კიდევ, შეილო, და ვიცნობდი კიდევ.

— საიდან? როგორ? — ვკითხე უფრო მეტად გაკვირვებულმა.

— მაშინ, — დაიწყო მამაჩემმა, — ილიას სახელი გამეგო, მაგრამ თითონ ჯერ არ მენახა. სამძირალზე ანეულსა ეხნამდი (სამძირალი გორაა გარე-კახეთში, სადგურ ბადიურის დასავლეთით — ი. მ.). ჩვენს მიწას შარაზე გაუდის თავი და როცა მეხრებმა შარაზე გასული გუთნეული მოაბრუნეს, დავინახე ვიღაცა დიდი ხალხი მოდიოდა (მამაჩემი დიდ ხალხს ეძახდა ვისაც ევროპულად, ან თავადურად ეცვა. — ი. მ). ეს დიდი ხალხი რომ მოგვიახლოვდა, გამარჯობა გვითხრეს: გამარჯობა გუთნის დედას, ბარაქა თქვენს გუთანსო.

გამიკვირდა და მეუცხოვა, რო ასეთმა დიდმა ხალხმა გვიკადრა და ჩვენებური გამარჯობა გვითხრა.

ჩვენ ქუდი მოვუხადეთ და ჩვენებურადვე „ვაგამარჯოს“ ვუთხარი. გუთანს რო მოვუკიდე, იმათ ჩვენკე შემოუხვიეს. წინ თეთრცხენიანი მოუძლოდათ. ეხლა მარტო თეთრცხენიანმა მოგვცა სალაში. სრული, მსუქანი კაცი იყო, თვალები იმედიანი და საზრიანი ჰქონდა, შუბლი იგეთი გაშლილი და ნათელი, ასე გონია. მზე და მთვარე ზედ ამოდისო. გუთანს დავაყენე.

— გუთანს ნუ მოაცდენ ჩენი გულისთვის, — მითხრა მამ.



— არა, ქარი უნდა ამოვალებინო-მეთქი. მეხრეებს ტყუილად დასჯენდათ, მაგრამ რა დაასვენებდათ, სუკველანი ჩემთან მოგროვდნენ და სტუმრებს სულ აღმა-დაღმა და გარდი-გარდმო ჰსინჯავდნენ.

— ეისია გუთნეული? — მკითხა მან.

— ჩემი ვახლავს.

— შეილები გყავს?

— მყავს.

— არ ასწავლი?

— ერთი წლებულს გავგზავნე ქალაქში, მეორემ არ ისწავლა, ძროხაში გამექცა, მესამე ჯერ პატარაა (პირველი უფროსი ძმა ჩემი, სკო, მეორე შაქრო და „პატარა“ მე ვარ—ი. მ.). ეს ვუთხარი თუ არა, მაშინვე ჩამოხტა ცხენიდან და ბეჭებზე ხელი დამარტყა.

— ყოჩაღ! ჭკვიანი კაცი ჰყოფილხარ! აი ვერე უნდა! ბევრია თქვენს სოფელში შენნაირი გლეხი, რომ შეილებს ასწავლიდეს?

— არა, შეილებს ძალიან ცოტანი ასწავლიან: ერთი მე ვარ და ერთი ოთიაშვილი. მგონი, ექვთიმისშვილიც აპირებს წელს.

— გუთნის თავში რომ ხარი გიბია, ხომ ჰხედავ, მაგ უნო საჭონელსა ჰგავს უსწავლელი კაცი. ძველი კაცი ხარ და გეცოდინება, რომ წინად თავადებისა იყო ჭვეყანა. ეხლა გლეხებისაა მომავალი. დღეს საქართველო შევდარია და გლეხობამ უნდა გააცოცხლოს. მაგრამ თუ გლეხი არ ისწავლის, ისე ყურმოჭრილი მონა იქნება სხვისა, ისიც და საქართველოცაო.

მეგრე ვიდევ მითხრა: „შენ რომ ასწავლი შეილებს და მაგდენი ჭკობა გიხმარია, სხვასაც უნდა ასწავლოო. ვინც რამე იცით, სკიპრებში ნუ ჩაპოტავთ. სხვასაც უწყალობეთო. მეგრე კიდევ ბევრი მელაპარაკა საქართველოზე. თქვენს შეილებს რომ ასწავლით, ასწავლეთ, მაგრამ თვალყურიც უნდა გქონდეთ, არ გადაავარონო.“

ეს რამდენჯერმე გაიმეორა და კარგად დამახსოვდა. მეგრე სთქვა: კარგია სამეორნიო სკოლები გვექონდეს სოფლებში, მაგრამ მაგას ჯერ არავენ გაიღირობესო.

— ვინა ბრძანდები, ბატონო, შენა? — ვკითხე, როცა წასვლა დააბო-რეს.

— ილია ქავჭავაძე ვარ.

— შენ- (ახელი გამიგია, უფალო ილია, სად მიბრძანდები?)

— ჯოდალოვს!

ამოგვიშვიდობნენ და წაიღინენ.

მამა ჩემი 1918 წლის დეკემბერს გარდაიცვალა.



შ ი ნ ა ა რ ს ი

	83
ლ. პ. ბერია — საქართველოს ბოლშევიკების X ყრილობის შედეგები	III
ლ. პ. ბერია — საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება (საქ.კ.პ. (ბ) მე-X ყრილობაზე 1937 წლის 15 მაისს გაკეთებულ მოხსენებიდან)	XIV
ამხანაფ ი. სტალინის ახალგაზრდობის დროინდელი ლექსები	XXV
ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლის თავი	
ი. ჭავჭავაძე — დაე, თუნდ მოკვლე... (ლექსი)	3
ი. ჭავჭავაძე — პოეტი (ლექსი)	4
—————	
ილიას ავტობიოგრაფია	7
ი. ბალახაშვილი — ილია ჭავჭავაძე და სამოციანი წლების პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრე	13
არტურ ლეისტი — უკანასკნელი დღეები ი. ჭავჭავაძისა	23
აკაკი წერეთელი — ილიას ხსოვნას (ნაწყვეტი ლექსიდან)	27
ვაჟა-ფშაველა — ილია ჭავჭავაძის ხსოვნას (ლექსი)	29
ავქსენტი ცაგარელი — შეითხაუ (კომედია-ფარსი 3 მოქმ. ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანიდან“ გადმოკეთებულ)	33
ვალერიან გაფრინდაშვილი — ილია ჭავჭავაძე (ლექსი)	55
კ. მობოხიძე — ილია ჭავჭავაძისადმი (ლექსი)	67
როდიონ ქორჭია — მუნდირი (ეპიკური ილიას სტუდენტობიდან)	69
წერილები ილიას უმსახეზ	
გერონტი ქიქოძე — ილია ჭავჭავაძე (მისი როლი ქართული კულტურის განვითარებაში)	77
ვ. ხუროძე — ილია ჭავჭავაძე, როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი	95